

სამოქალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2014, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2014, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2014, №4

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2014, №4

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

**მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო
მოთხოვნით**

ბანკინება

№ას-645-613-2013

6 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნო-
ბა და საჯარო რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ა-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ლ. და კ-სა“ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე პირები რუსთავის საგადასახადო ინსპექცია, სს „ა-ი“ გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით, სს „ა-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი შპს „ლ. და კ-ას“ დამფუძნებელ ე. კ-სა და მ. კ-ეს შორის 2005 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულება (რეესტრში რეგისტრაციის №1-3118) შემდეგი მოძრავი ნივთების დაგირავების ნაწილში: მეტალის კარადა (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 6); კონდიციონერი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 7); სავარძელი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 8); ჯოჯგინა აძნე (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 12); ბეტონის ამრევი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 14); მეტალის ფორმა რიგელის (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 16); მეტალის ფორმა რიგელის გვერდული ქვის – 3 ცალი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 21-22-23); მეტალის ფორმა რიგელის გვერდული ქვის ორმაგი – 3 ცალი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 25-26-27); მეტალის ფორმა გადახურვის ფილის – 3 ცალი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 30-31-32); მეტალის ფორმა გვერდული ქვის ერთმაგი – 10 ცალი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 33-34-35-36-37-38-

39-40-41-42); მეტალის ფორმა კოლონის 14 მმ – 2 ცალი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 43-44); მეტალის ფორმა საკედლე ბლოკის – 4 ცალი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 48-49-50-51); მეტალის ფორმა ფუნდამენტის ბლოკის – 6 ცალი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 52-53-54-55-56-57); ლითონის კარადა – 2 ცალი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 62-63); საბეჭდი მანქანა იანტარი – 2 ცალი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 64-65); მაგიდა მისადგმელით (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 68); კომპრესორი (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 80); ბეტონის ბაიოკი 7,5 ტ. (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 105); ცემენტის სილოსი 30 ტ. (ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 108); ჩარხი ელპ 25-1 – 2 ცალი ((ხელშეკრულებაში მითითებული ნომერი – 124-125). გადაწყვეტილების მეორე პუნქტის შესაბამისად ცვლილება იქნა შეტანილი საჯარო რეესტრში შპს „ლ. და კ-ის“ მოძრავ ნივთებზე 2005 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების რეგისტრაციაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-ემ და შპს „ლ. და კ-ამ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. კ-სა და შპს „ლ. და კ-ის“ სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა. მოცემულ საქმეზე, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სს „ა-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სს „ა-ს“ მ. კ-სა და შპს „ლ. და კ-ის“ სასარგებლოდ, დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 306 ლარის ოდენობით. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის განჩინებით წარდგენილი საჩივარი ცნობილ იქნა დაუშვებლად. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური წარმოადგენს მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს სსსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ, გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტს, რის გამოც, წარდგენილი საჩივარი დაუშვებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა შემდეგი დასაბუთებით: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის, 5 ივნისისა და 31 ივლისის სტდომის ოქმებით, ასევე 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით დას-

ტურდება, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური წარმოადგენს მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლება აქვს გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. კ-სა და შპს „ლ. და კ-ის“ სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა შემოსავლების სამსახურმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის განჩინებით წარდგენილი საჩივარი ცნობილ იქნა დაუშვებლად.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად უთითებს იმ ფაქტს, რომ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის წარდგენის უფლება ჰქონდა, ვინაიდან იგი მესამე პირია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ მხარეთა პაექრობის დანყებამდე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). მესამე პირის სარჩელის მიღება და განხილვა წარმოებს საერთო ნესების დაცვით. მესამე პირისა და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელის გადაწყვეტა ხდება ერთდროულად. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და მათ ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა. ამავე კოდექსის 236-ე მუხლის მიხედვით კი, მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აგრეთვე მოპასუხეს ამ კოდექსის 232¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეუძლიათ ასეთი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანონ საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების

გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ.

საქმის მასალებით, მათ შორის, კერძო საჩივარში მითითებული სასამართლო დადგენილებებით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური მესამე პირია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს შემდეგს: მესამე პირები სარგებლობენ მოსარჩელის ყველა საპროცესო უფლებით. იმის გამო, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის შესვლა პროცესში თავისი სამართლებრივი ბუნებით ნიშნავს ამ პირის მიერ სარჩელის აღძვრას, პროცესში შესვლის შემთხვევაში მესამე პირმა სარჩელი უნდა შეიტანოს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაცვით. მესამე პირს აწევს სასამართლო ხარჯი, მასზე ვრცელდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ყველა მატერიალური და საპროცესო შედეგი. პროცესში მესამე პირის შესვლის შემთხვევაში სასამართლომ უნდა განიხილოს ორი სარჩელი: თავდაპირველი მოსარჩელისა და მესამე პირის სარჩელი და ამის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს სასამართლოს გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებული რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში შემოსავლების სამსახური მითითებულია მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ამავე გადაწყვეტილებით არ დგინდება, რომ სასამართლომ განიხილა სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტი არ არის, რაც კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკროცესო უფლებამონაცვლეობა

ბანჩინება

№ას-785-745-2013

18 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სამკვიდროდან წილის მიკუთვნება, სამკვიდრო მონაწილის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. ყ-მა, გ. კ-ემ, ა. ს-მა და ვ. მ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების პროფმომსახურების სამმართველოს მიმართ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების პროფმომსახურების სამმართველოს 2004 წლის 30 სექტემბრის ბრძანების მე-4, მე-6, მე-7, მე-8, მე-10 პუნქტები. მოსარჩელები აღდგენილ იქნენ სამუშაოზე, ასევე აუნაზღაურდათ იძულებითი განაცდური სამუშაოზე აღდგენამდე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ა. ს-ის უფლებამონაცვლის გ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას ა. ს-ის უფლებამონაცვლის გ. ს-ის სასარგებლოდ 2004 წლის 30 სექტემბრიდან 2005 წლის 24 ნოემბრამდე პერიოდის ა.ს-ის იძულებით განაცდურის ანაზღაურება დაეკისრა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის

განჩინებით დაკმაყოფილდა ლ.მ-ის შუამდგომლობა და გ.ს-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ლ.მ-ი, პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა. ს-ი გარდაიცვალა 2005 წლის 24 ნოემბერს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 მაისის განჩინებით ა. ს-ის სამუშაოდან გათავისუფლების გამო განაცდურის ანაზღაურების ნაწილში ა. ს-ის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა გ. ს-ი. 2011 წლის 27 ოქტომბერს გარდაიცვალა გ. ს-ი. 2012 წლის 19 ივნისს გაცემული სამკვიდრო მონუმბით დგინდება, რომ მისი სამკვიდრო მიიღო მემკვიდრემ ლ. მ-მა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. მ-ი ცნობილ უნდა იქნეს გ. ს-ის უფლებამონაცვლედ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელი გაიცეს კრედიტორ ლ. მ-ის სასარგებლოდ. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ შემდეგი დასაბუთებით: ლ. მ-ზე გაცემულ იქნა სამკვიდრო მონუმბა 2012 წლის 19 ივნისს, თუმცა ამით არ დასტურდება თავდაპირველი მოთხოვნის უფლების მქონე პირის ა. ს-ის ქონებაზე ლ.მ-ის მოთხოვნის უფლების წარმოშობის უფლებამოსილება. ლ. მ-ი არ არის უფლებამოსილი ა.ს-ის იძულებითი გაცდენილი დროის მანძილზე მიუღებელ თანხაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ა. ს-ს აუნაზღაურდა განაცდური სამუშაოზე აღდგენის დღემდე და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. ს-ის უფლებამონაცვლის გ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას ა. ს-ის უფლებამონაცვლის გ. ს-ის სასარგებლოდ 2004 წლის 30 სექტემბრიდან 2005 წლის 24 ნოემბრამდე პერიოდის ა. ს-ის იძულებით განაც-

დურის ანაზღაურება დაეკისრა. გადანყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

ამის შემდგომ, ლ. მ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და გ. ს-ის უფლებამონაცვლედ ცნობა მოითხოვა, განცხადებას თან დაურთო სამკვიდრო მონუმბა. წარდგენილი განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა.

კერძო საჩივარში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის განჩინების გაუქმების საფუძვლად მითითებულია, რომ ლ.მ-ის სამკვიდრო მონუმბით არ დასტურდება ა.ს-ის ქონებაზე ლ.მ-ის მოთხოვნის უფლების წარმოშობის უფლებამოსილება. შესაბამისად, ის თანხის მიღებაზე არაუფლება-მოსილი პირია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას შემდეგი სამართლებრივი დასაბუთებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სადავო ან სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 1-ლი ნინადადების თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადანყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამონმა ნოტარიუსმა.

ლ. მ-მა წარმოადგინა უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი დოკუმენტი – სამკვიდრო მონუმბა, რაც წინაპირობაა იმისა, რომ სააღსრულებო ფურცელი გაცემულიყო მის სახელზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კერძო საჩივრის ავტორს რაიმე დასაბუთებული პრეტენზია უფლებამონაცვლეობასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია, ის მხოლოდ მიუთითებს, რომ ლ. მ-ი არ არის უფლებამოსილი ა.ს-ის იძულებითი გაცდენილი დროის მანძილზე მიუღებელ თანხაზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საპროცესო უფლებამონაცვლეობა შეიძლება პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, სანამ მოთხოვნა ჯერ კიდევ არსებობს და ვალდებულება არ არის შესრულებული მოვალის

მიერ კრედიტორის წინაშე, მათ შორის, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების სტადიაზეც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ლ. მ-მა სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც კერძო საჩივრით სადავოდ არ გამხდარა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ს ა პ რ ო ც ე ს ო უ ფ ლ ე ბ ა მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-580-551-2013

8 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: საბანკო კრედიტის ძირითადი თანხის, პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ს. ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ნ+-ის“, მ. ც-ის, გ. ა-ის, ლ. ლ-ის, ზ. მ-ის, დ. ქ-ის, ა. მ-ის, ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. თ-

ის, ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-სა და ნ. ს-ის მიმართ საბანკო კრედიტის ძირითადი თანხის, პროცენტისა და პირგასამატეხლოს დაკისრების, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციისა და გარიგების ბათილად ცნობის შესახებ.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ შპს „ნ+ს“ მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2007 წლის 25 მაისს შედგენილი №708542-204712 ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული დავალიანება – 1270383.14 ლარის, 2007 წლის 25 მაისის №708542-2047133 ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 1195532,39 ლარისა და, 2008 წლის 8 ოქტომბრის №708542-640851 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 116929.46 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა, №708542-204712, №708542-2047133 და №708542-640851 საკრედიტო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი დავალიანების დასაფარად სარეალიზაციოდ მიექცეს იპოთეკით დათვირთული ქ.თბილისში, ჭ-ის გამზირ №49^ბ-ში მდებარე უძრავი ნივთები.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს, ხოლო ნ. ლ-ემ, ი. თ-მა, ვ. ჭ-ამ, ნ. რ-ემ, მ. კ-ემ, გ. გ-ამ, ნ. ს-ემ და ქ. ჩ-ემ შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს სს „ს. ბ-სა“ და ი. მ.ა ა. „ჩ-ს“ შორის 2007 წლის 25 მაისს შედგენილი №708542ა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ სადავო გარიგების დადების უფლებამოსილება ამხანაგობა „ჩ-ის“ თავმჯდომარეს არ გააჩნდა.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად სს „ს. ბ-ის“ მხარეზე ჩაება იბა „ჩ-ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნები ნაწილობრივ დაკამყოფილდა, შპს „ნ+ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1 537 838.86 ლარის გადახდა, აღნიშნული დავალიანების დაფარვის მიზნით, სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული მ. ც-ის (საკადასტრო კოდი ...), ზ. მ-ის (საკადასტრო კოდი ...) და ა. მ-ის (საკადასტრო კოდი ...) სახელზე რიცხული ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირ №49ბ-ში მდებარე უძრავი ნივთები, სს „ს.ს ბ-ის“ მოთხოვნა შპს „ნ+ს“ მიმართ 1045006.13 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, სს „ს. ბ-ის“ მოთხოვნა ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. თ-ის, ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-ას და ნ. ს-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების რეალიზაციის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. თ-ის, ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-ას და ნ. ს-ის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2007 წლის 25 მაისის №708542ა იპოთეკის ხელშეკრულება ნაწილობ-

რივ ბათილად იქნა ცნობილი ქ. ჩ-ის, ნ. ლ-ის, ი. თ-ის, ვ. ჭ-ას, ნ. რ-ის, მ. კ-ის, გ. გ-ას და ნ. ს-ის უძრავი ნივთების იპოთეკის დატვირთვის ნაწილში, ხოლო გ. ა-ის, ლ. ლ-სა და დ. ქ-ის მიმართ სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სს „ს. ბ-მა“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის საოქმო განჩინებით მოწინააღმდეგე მხარე ი. თ-ის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება ი. რ-ა შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მატერიალურ სამართალურთიერთობაში კანონი უშვებს უფლებამონაცვლეობას, რაც თავის მხრივ, საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია.

პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სს „ს. ბ-ის“ სარჩელი სხვადასხვა ფიზიკურ პირთა, მათ შორის, ი. თ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე, შესაბამისად, დაკმაყოფილდა ამ პირთა შეგებებული სარჩელის მოთხოვნა იპოთეკის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე. წარმოდგენილი 2013 წლის 2 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებითა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 11 აპრილის ამონაწერით დასტურდება, რომ იპოთეკის საგანი – ქ.თბილისში, ი. ჭ-ის გამზირ №49^ა-ში მდებარე №82 ბინა ი. თ-სა და ი. რ-ას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლებით აღირიცხა ირაკლი რაფაეას სახელზე. შესაბამისად, ი. თ-ის (ყოფილი მესაკუთრის) უფლებამონაცვლედ საქმეში უნდა ჩაებას ქონების ამჟამინდელი მესაკუთრე – ი. რ-ა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სს „ს. ბ-მა“ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოსარჩელე თავად განსაზღვრავს მის პროცესულურ მოწინააღმდეგეს – მოპასუხეს. მოცემულ შემთხვევაში ბანკის მიერ აღძრულ სარჩელში განსაზღვრულია მოპასუხეთა წრე, კერძოდ, ერთ-ერთი მოპასუხეა ი. თ-ი, რომელიც მოპასუხედ საქმეში ჩაება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელის აღდგრის პერიოდში მის საკუთრებაში არსებული ქონება წარმოად-

გენდა იპოთეკის ერთ-ერთ საგანს. გასაჩივრებული განჩინებით კი ბანკს არ მიეცა შესაძლებლობა, ახალი გარემოების გათვალისწინებით, თავად განესაზღვრა მოწინააღმდეგე მხარე. ვინაიდან ი. თ-ის მიერ ქონების გასხვისების საფუძველზე იპოთეკის საგნის მესაკუთრე შეიცვალა, ბანკის მიერ აღძრულ სარჩელზე მიმდინარე დავაზე ახალი მესაკუთრე ი. რ-ა უნდა ჩაბმულიყო მოპასუხედ და არა წინა მესაკუთრის უფლებამონაცვლედ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ შეგებებული სარჩელით მოსარჩელები სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მიიჩნევენ 2005 წლის 23 დეკემბერს ქ.თბილისში, ჭ-ის ქ. №49ბ-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, ამხანაგობის წევრებს შორის გაფორმებული სადამფუძნებლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებსა და ვალდებულებებს. ბანკი კი, თავის მხრივ, შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობის ერთ-ერთ არგუმენტად მიიჩნევს იმას, რომ მოწინააღმდეგე მხარემ შეიძინა ვალდებულებით დატვირთული უძრავი ნივთი და მათზე არ უნდა გავრცელდეს 2005 წლის 23 დეკემბრის ამხანაგობის წევრებს შორის გაფორმებული სადამფუძნებლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ს. ბ-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ სს „ს. ბ-ის“ სარჩელი შპს „ნ+-ის“, ი. თ-სა და სხვათა მიმართ ეხება საბანკო კრედიტის ძირითადი თანხის, პროცენტისა და პირგასამატებლოს დაკისრებას, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციასა და გარიგების ბათილად ცნობას. ი. თ-ი წარმოადგენდა სადავო კრედიტის უზრუნველსაყოფად ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს, რომელმაც დავის მიმდინარეობისას კუთვნილი ქონება გაასხვისა ი. რ-ე.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით და მიიჩნია, რომ ი. რ-ა საქმეში უნდა ჩართულიყო ი. თ-ის უფლებამონაცვლედ.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწი-

ლის მიხედვით, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გავსელის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმა დასაშვებად მიიჩნევა სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტის შეცვლას, რაც ნიშნავს ახალი სუბიექტის იმ უფლება-მოვალეობებით აღჭურვას, რომლებიც გააჩნდა მის წინამორბედს.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სს „ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა ემყარება ერთი მხრივ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას შპს „ნ+ან“, ხოლო მეორეს მხრივ ამ ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებულ სანივთო-სამართლებრივ ურთიერთობას (იპოთეკა), რომლის მონაწილესაც მოსარჩელის აზრით წარმოადგენდა ი. თ-ი.

დადგენილია ასევე, რომ ი. თ-მა, რომელიც წარმოადგენდა იპოთეკის საგნის, უძრავი ქონების მესაკუთრეს, აღძრა შგებულებული სარჩელი სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობის ბათილად ცნობის მოთხოვნით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრეს, რომელიც იმავდროულად არ არის იპოთეკარის პირადი მოვალე, მატერიალური კანონმდებლობით მინიჭებული აქვს უფლება კრედიტორს (იპოთეკარს) წარუდგინოს შესაგებლები (სამოქალაქო კოდექსის 288-ე, 291, ასევე გარიგების ბათილობასა და საცილობასთან დაკავშირებული მუხლები), რომელიც დაიცავს იპოთეკით დატვირთულ ნივთს რეალიზაციის ან მასზე საკუთრების გადაცემისაგან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იპოთეკა, როგორც რეგისტრირებული სანივთო უფლება უძრავი ნივთის გასხვისების შემთხვევაში გადადის ახალ მესაკუთრეზე. შესაბამისად, ახალ მესაკუთრეზე უნდა გადავიდეს ის შესაგებლებიც, რომლებიც წინა მესაკუთრეს ჰქონდა. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ 2013 წლის 2 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე, იპოთეკის საგნის – ქ.თბილისში, ი.ჭ-ის გამზირ №49ბ-ში მდებარე №82 ბინის მესაკუთრე გახდა ი. რ-ა. აღნიშნული ფაქტი ცალსახად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სს „ს. ბ-ან“ არსებული სანივთო-სამართლებრივი ურთიერთ-

ბიდან გავიდა წინა მესაკუთრე ი. თ-ი და მისი ადგილი დაიკავა ახალმა მესაკუთრემ ი. რ-ამ. ამდენად გამორიცხულია დასახელებულ გარემოებათა გათვალისწინებით, იმავე დავის პირობებში კვლავ დარჩეს მხარედ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გასული პირი.

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა. მოცემული ნორმა უნდა განიმარტოს იმგვარადაც, რომ უფლებამონაცვლის წინამორბედის მიერ შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ითვლება შესრულებულად უფლებამონაცვლის მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ სადავო განჩინების გამოტანამდე განხორციელებული საპროცესო მოქმედებები ძალაში რჩება და ამ კუთხით სს „ს. ბ-ის“ ინტერესები არ ილახება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას და თვლის, რომ იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს. ბ-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკროცესო უზღუბამონაცვლეობა

განჩინება

№ა-2831-ა-25-2011

14 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია**

განიხილა მ. გ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინების და 2011 წლის 25 ნოემბრის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი შ. დ-ესა და გ. ზ-ეს შორის 2008 წლის 20 ივნისის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება სოფ. წინსვლა-ში მდებარე 544.6 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. დ-ემ და გ. ზ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით შ. დ-ისა და გ. ზ-ის წარმომადგენლის შ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება. მ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინებით მ. გ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დადგენილ ვადაში კასაციორის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

2011 წლის 25 ივლისის საკასაციო სასამართლოს განცხადე-

ბით მომართა მ. გ-მა. განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, რის საფუძვლადაც მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს არ დაურღვევია ხარვეზის შესავსებად საკასაციო სასართლოს მიერ დადგენილი ვადა, რამდენადაც საკასაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების შესახებ 2011 წლის 30 მაისის განჩინება მან ჩაიბარა არა 2011 წლის 10 ივნისს, როგორც ეს საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტურშია მითითებული, არამედ 2011 წლის 20 ივნისს; იმის დასადასტურებლად, რომ 2011 წლის 30 მაისის განჩინება ადრესატს ნამდვილად 2011 წლის 20 ივნისს ჩაბარდა, მ. გ-მა განცხადებას თან დაურთო საქართველოს ფოსტის აჭარის ფილიალის წერილი და საფოსტო რეესტრი, საიდანაც ირკვევა, რომ შეკვეთილი წერილი №371 ჩაჰბარდა გამგებელ შ. დ-ეს 2011 წლის 20 ივნისს, ასევე განცხადებას დაურთო გამოკითხვის ოქმები, საიდანაც ირკვევა, რომ გ-მა საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გაგზავნილი განჩინება ჩაიბარა 2011 წლის 20 ივნისს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ნოემბრის განჩინებით მ. გ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინება.

კასატორის წარმომადგენელმა ს. შ-ემ მომართა სასამართლოს განცხადებით და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მ. გ-ს საფოსტო გზავნილი არ ჩაბარებია და მის სახელზე და მისამართზე გაგზავნილი გზავნილი ჩაბარდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ორთაბათუმის გამგებელს შ. დ-ეს 2011 წლის 20 ივნისს და დ-ეზე გზავნილი ჩაბარება მისივე ხელმოწერითაა დადასტურებული, შესაბამისად, გუნათაიშვილი რომელსაც არ ჩაბარებია საფოსტო გზავნილი ის საფოსტო შეტყობინების ბარათზე ხელს ვერ მოაწერდა და შეუძლებელი იყო ჩაუბარებლად წინასწარ ხელი მოეწერა აღნიშნული მოკვლეული მასალების შემდეგ გახდა ცნობილი. ასევე განცხადებას დაურთო მ. გ-ის მიერ ხელმოწერილი რწმუნებულების ასლი, რომლითაც დგინდება, რომ საფოსტო შეტყობინების ბარათზე არსებული კასატორის სახელით შედგენილი გაყალბებული ხელმოწერა არ არის რწმუნებულებაზე მ. გ-ის მიერ ხელმოწერის იდენტური. აღნიშნული ის მტკიცებულებაა, რომლითაც მხარემ დადგინილ

ვადაში გამოასწორა ხარვეზი და რაც გახდა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, ამდენად, გ-ისათვის ამ გარემოების თაობაზე ცნობილი გახდა სწორედ 2011 წლის 20 ივლისს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის წარადგენდა საპროცესო მოქმედების დადგენილ ვადაში განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტს, რაც მისი ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდებოდა.

საკასაციო პალატა გაეცნო მ. გ-ის წარმომადგენლის ს. შ-ის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და თვლის, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა, ასევე, გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

მოცემულ შემთხვევაში მ. გ-ის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი შპს „საქართველოს ფოსტის“ წერილი არ აბათილებს საქმეში არსებულ საფოსტო შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ მ. გ-ს უზენაესი სასამართლოს განჩინების ასლი ჩაბარდა 2011 წლის 20 ივნისს. თუ განმცხადებელი ეჭვქვეშ აყენებს ზემოაღნიშნულ საფოსტო შეტყობინებას, ამის თაობაზე შეუძლია მიმართოს კანონით დადგენილი წესით შესაბამის ორგანოებს, რადგან სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის აღნიშნული ფაქტის გამოკვლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის და ამა წლის 25 ნოემბრის განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერია და არ არსებობს განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. გ-ის წარმომადგენლის ს. შ-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს;

უცვლელი დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის და ამა წლის 25 ნოემბრის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი მტკიცებულებათა დასაშვებობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-678-638-2012

12 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეიძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 11 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს „ჯ. ა. გ-მა“ მოპასუხე შპს „ს.ს ს-ის“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის განეული მომსახურების საფასურის 19000 ლარისა და ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს 20016 ლარის დაკისრება.

სარჩელი დაემყარა შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს:

2008 წლის 1 აპრილს, შპს „ჯ. ა. გ-სა“ და შპს „ს.ს ს-ის“ შორის დაიდო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მიხედვით, მოსარჩელეს უნდა გაენია საფინანსო-საბუღალტრო მომსახურება მო-

პასუხისათვის მივლენილი სპეციალისტების (მთლიანობაში 3 ადამიანი, მათ შორის: ფინანსისტი, ეკონომისტი და ბუღალტერი-მოლარე) მეშვეობით. მოპასუხე მხარე, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა, გადაეხადა მომსახურების ყოველთვიური საზღაური 8000 ლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით). ეს საფასური მას უნდა გადაეხადა ყოველთვიურად, მომსახურების განვიდან არა უგვიანეს მომდევნო 10 რიცხვისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაერიცხებოდა პირგასამტეხლო ყოველთვიური თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

შპს „ჯ. ა. გ-მა“ 2008 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად შეასრულა. მას ასევე სრულად ჰქონდა შესრულებული 2007 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამას ადასტურებდა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოპასუხეს არც ერთხელ არ მიუმართავს მოსარჩელისათვის წერილობითი ფორმით იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ მივლენილი სპეციალისტების მხრიდან ადგილი ჰქონდა ვალდებულებების შეუსრულებლობას, სამუშაო რეჟიმის დარღვევას, სამუშაოს უხარისხოდ და არაჯეროვნად შესრულებას, როგორც ამას ითვალისწინებდა ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი;

რაც შეეხებოდა მოპასუხეს, იგი ხშირად არღვევდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, კერძოდ, აგვიანებდა განეული მომსახურების ანაზღაურებას. ამის საფუძველზე, მოსარჩელეს წარმოეშვა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება. გარდა ამისა, მოპასუხეს არ აუნაზღაურებია მოსარჩელის მხრიდან 2008 წლის დეკემბრის თვეში განეული მომსახურების საფასური სრულად, კერძოდ, კუთვნილი სახელშეკრულებო თანხიდან – 8000 ლარიდან 2009 წლის 22 მაისს მიღებული ჰქონდა მხოლოდ 5000 ლარი. ამასთან, მოპასუხეს გადაუხდელი ჰქონდა 2009 წლის იანვრისა და თებერვლის თვეებში მოსარჩელის მიერ განეული მომსახურების მთლიანი საფასური 8000 ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით (ჯამში 16000 ლარი);

მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა მოპასუხეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ. ამიტომ, 2009 წლის 28 თებერვალს, შპს „ჯ. ა. გ-ი“ იძულებული გახდა, მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულება შეენწყვიტა წერილობითი შეტყობინების გზით.

მოპასუხე შპს „ს.ს ს-იმ“ სარჩელი არ ცნო და მის მიერ წარდგენილ შესაგებელში მიუთითა შემდეგი:

2008 წლის დეკემბერში, მოპასუხე ორგანიზაციამ შპს „ჯ. ა. გ-ს“ გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება 2008 წლის 1 აპრი-

ლის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. იმის გამო, რომ აღნიშნული შეტყობინება არ წარმოადგენდა დაზღვეულ წერილს, მოპასუხემ განმარტა, რომ შესაგებელს დაურთო მხოლოდ ამ წერილის ასლი. ხსენებული შეტყობინების შედეგად, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა დასტურდებოდა მოწმეთა ჩვენებებით, კერძოდ, შპს „ჯ. ა. გ-ის“ სპეციალისტები ადასტურებდნენ, რომ 2008 წლის მეორე ნახევარში, 2009 წლის იანვარსა და თებერვალში მათ შპს „ს.ს ს-ის“ საფინანსო-საბუღალტრო მომსახურება არ გაუწევიათ;

ამდენად, 2009 წლის იანვარსა და თებერვალში შპს „ს.ს ს-ის“ მოსარჩელე ორგანიზაციისაგან მომსახურება აღარ მიუღია, მოსარჩელის მიერ მიწვეული სპეციალისტები მოპასუხეს აღარ უწევდნენ საფინანსო-საბუღალტრო მომსახურებას;

თავისი პოზიციის გასამყარებლად მოპასუხემ შესაგებელში მოიხიბო სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსაღები საფუძვლიდან გამომდინარე უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსაღებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მოშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება. მოცემულ შემთხვევაში, მის მიერ გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე უარის თქმის პატივსაღებ საფუძველად მოპასუხემ დაასახელა 2008 წელს საქართველოში არსებული საომარი მდგომარეობის შედეგად გამონვეული ეკონომიკური კრიზისი, რამაც გამოიწვია ბიზნეს გარემოში არსებული ვითარების გაუარესება. როგორც მან განმარტა, აღნიშნულმა გავლენა იქონია აგრეთვე შპს „ს.ს ს-ის“ საქმიანობაზე, რომელიც ველარ ხორციელდებოდა ჩვეული ტემპით. ამასთან, შპს „ს. ს-ი“ აღარ ახორციელებდა ისეთ ფინანსურ ოპერაციებს, რომელიც ძვირადღირებული დაქირავებული კომპანიების მომსახურებას საჭიროებდა;

მოპასუხემ მიუთითა 2008 წლის 1 აპრილის ხელშეკრულების მე-2 თავის მე-13 პუნქტზეც, რომლის შესაბამისად, მხარეები უფლებამოსილნი არიან, ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „დამკვეთის“ ბალანსზე რიცხვული საწარმოო სუბიექტების ჯამი განსაზღვრული იქნება 3-ზე ნაკლები ოდენობით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, „დამკვეთის“ მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა არ გამოიწვევს „დამკვეთის“ ფინანსურ დაჯარიმებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად იგი არ იყო ვალდებული უკვე ანაზღაურებულის გარდა დამატებით რაიმე მომსახურების საზღაურის გადახდაზე, ვინაიდან დასახელებული პერიოდისათვის ვალდებულებითი ურთიერთობა მხარეებს შორის აღარ არსებობდა და შპს „ს.ს ს-ის“ მომსახურება აღარ მიუღია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ჯ. ა. გ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „ს.ს ს-ის“ მოსარჩელე შპს „ჯ. ა. გ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 19000 ლარის გადახდა, შპს „ს.ს ს-ის“ მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად ასევე დაეკისრა პირგასამტეხლო 3644 ლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს.ს ს-იმ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინებით შპს „ს.ს ს-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 1 აპრილს შპს „ჯ. ა. გ-სა“ და შპს „ს.ს ს-ის“ შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმად შემსრულებელი (შპს „ჯ. ა. გ-“) ვალდებული იყო საფინანსო-ეკონომიკური, სალარო მეურნეობის წარმოებისა და საბუღალტრო მომსახურების განევის მიზნით დამკვეთთან (შპს „ს.ს ს-ი“) მიეგლინა 3 წლის სტაჟის მქონე სპეციალისტები – ფინანსური მენეჯერი, ეკონომისტი და ბუღალტერი. ხელშეკრულების ვადად განისაზღვრა 1 წელი.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ყოველთვიური საზღაური განისაზღვრა ყოველთვიურად 8000 ლარით, დღგ-ს ჩათვლით.

ხელშეკრულების 3.3 მუხლის თანახმად, მომსახურების თანხის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო სრულად, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ყოველთვიურად, მომსახურების განევიდან არა უგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა.

ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, განეული მომსახურების მიღება-ჩაბარება მოხდებოდა ყოველთვიურად, არა

უგვიანეს მომსახურების განევის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, სათანადო წესით გაფორმებული აქტის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენდა „დამკვეთის“ მიერ „შემსრულებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესაბამის თვეში ჯეროვნად და სრულად შესრულების აღიარებას.

ხელშეკრულების 5.1. მუხლის თანახმად, „დამკვეთის“ მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების თანხის ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისას, „შემსრულებელს“ უფლება ჰქონდა დაეკისრებინა „დამკვეთისათვის“ საურავი ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე თვიური თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „დამკვეთის“ მიერ მომსახურების თანხის დადგენილ ვადაში გადახდის ვალდებულება უკავშირდებოდა მივლენილი სპეციალისტების მხრიდან მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობას და აღნიშნულის თაობაზე „დამკვეთს“ წერილობითი ფორმით, არა უგვიანეს თვის ბოლო რიცხვისა უნდა ეცნობებინა „შემსრულებლისთვის“.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მივლენილი სპეციალისტების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის, სამუშაო რეჟიმის დარღვევის, სამუშაოს უხარისხოდ შესრულების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

შპს „ს.ს ს-ის“ მოსარჩელის მიერ გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურაში სერიით ბბ04, №841094 დაფიქსირებული მომსახურების თანხიდან გადახდილი ჰქონდა ნაწილი 5000 ლარის ოდენობით, 2009 წლის 22 მაისს.

მოსარჩელე შპს „ჯ. ა. გ-ის“ მიერ შედგენილი ბბ-04 №020062 და ბბ-04 №1020064 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებში დაფიქსირებული მომსახურების საზღაური 8000-8000 ლარი, მთლიანობაში 16000 ლარი, შპს „ს.ს ს-ის“ არ გადაუხდია.

შპს „ჯ. ა. გ-ის“ მიერ განეული მომსახურების ანაზღაურება ფაქტობრივად ხდებოდა განეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გარეშე, მაშინ როდესაც ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, განეული მომსახურების მიღება-ჩაბარება უნდა მომხდარიყო სათანადო წესით გაფორმებული აქტის საფუძველზე. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება საქმეში წარდგენილი არ ყოფილა.

შპს „ჯ. ა. გ-მა“ შპს „ს.ს ს-ის“ გაუწია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2008 წლის დეკემბრის, 2009 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში. მოპასუხე შპს „ს.ს ს-იმ“ ჯე-

როვნად არ შეასრულა ხელშეკრულებით შპს „ჯ. ა. გ-ის“ წინაშე ნაკისრი ვალდებულება.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის მომსახურების განწვევა დაადასტურა შპს „ს.ს ს-ის“ მიერ 2008 წლის დეკემბრის თვეში შედგენილი და შემოსავლების სამსახურში წარდგენილი დღგ-ის დეკლარაციებით, კერძოდ, 2008 წლის დეკემბრის თვეში წარდგენილი დეკლარაციით, სადაც თანდართულ რეესტრში ფიქსირდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ბბ-04 №841094, 2009 წლის აპრილის თვეში წარდგენილი დეკლარაციით, სადაც თანდართულ რეესტრში ფიქსირდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ბბ-04 №1020062, 2009 წლის მაისის თვეში წარდგენილი დეკლარაციით, სადაც თანდართულ რეესტრში ფიქსირდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ბბ-04 №1020062. მითითებულ ანგარიშ-ფაქტურებში შპს „ჯ. ა. გ-ის“ მიერ განეული მომსახურების ღირებულება შეადგენდა 24000 ლარს, საიდანაც უდავო იყო, რომ 5000 ლარი ანაზღაურებული ჰქონდა მოპასუხეს.

მოპასუხე შპს „ს.ს ს-ი“ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და მოსაზრებების გასაქარწყლებლად შემოიფარგლა სასამართლო სხდომაზე გაკეთებული ახსნა-განმარტებით, რაც სასამართლოსათვის არ იყო სარწმუნო და საკმარისი, ხოლო მოპასუხის შუამდგომლობით გამოძახებული მოწმეების მიერ მათთვის პირადად ცნობილი გარემოებების შესახებ მიცემული ჩვენებებით სასამართლომ ვერ გამოიტანა დასკვნა საქმისათვის ისეთი მნიშვნელობის მქონე გარემოების არარსებობაზე, როგორც იყო მოსარჩელის მხრიდან მომსახურების განწვევა. რაც შეეხებოდა მოპასუხის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის დასადასტურებელ მტკიცებულებად წარდგენილ წერილს, რომელიც შედგენილი იყო მოსარჩელის მისამართით, იგი ასეთად ვერ იქნებოდა მიჩნეული, ვინაიდან წერილის მიღება ადრესატის მიერ არ იყო დადასტურებული საამისოდ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს, მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით, შეეძლო დაედასტურებინა სადავოდ გამხდარ თვეებში მის მიერ მოპასუხე შპს „ს.ს ს-ის“ მომსახურების განწვევის ფაქტი, რისი გაქარწყლებაც შპს „ს.ს ს-იმ“ მის მიერ მითითებული გარემოებების დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ შეძლო. შესაბამისად აღნიშნული წარმოადგენდა მისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე შპს „ს.ს

ს-ის“ მიერ ვალდებულება არ შესრულებულა ჯეროვნად, რაც გამოიხატა განუვლი მომსახურების, საერთო თანხით 19000 ლარის გადაუხდელობაში. რაც შეეხებოდა პირგასამტეხლოს მოთხოვნას, მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების 5.1 მუხლის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ „დამკვეთის“ მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების თანხის ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისას, „შემსრულებელს“ უფლება ჰქონდა დაეკისრებინა „დამკვეთისათვის“ საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თვიური თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „დამკვეთის“ მიერ მომსახურების თანხის დადგენილ ვადაში გადახდის ვალდებულება უკავშირდებოდა მივლენილი სპეციალისტების მხრიდან მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობას და აღნიშნულის თაობაზე „დამკვეთმა“ წერილობითი ფორმით, არაუგვიანეს თვის ბოლო რიცხვისა წერილობით აცნობა „შემსრულებელს“. უდავო იყო, რომ მივლენილი სპეციალისტების მხრიდან მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობას ადგილი არ ჰქონია. ამასთან, ვინაიდან დადგინდა, რომ ხელშეკრულების პირობა მოჰასუხე შპს „ს.ს ს-ის“ მხრიდან დაირღვა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მოთხოვნა იყო საფუძვლიანი.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალი იყო და იგი საქმეში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა შემცირებულიყო, კერძოდ, მოთხოვნილი 20016 ლარი შემცირდა და მოჰასუხე შპს „ს.ს ს-ის“ შპს „ჯ. ა. გ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 3644 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სააპელაციო საჩივრის დასაბუთება იმ გარემოებაზე მითითებით, რომ შპს „ჯ. ა. გ-ს“ შპს „ს.ს ს-ის“ არ გაუწევია საფინანსო-საბუღალტრო მომსახურება სადავო პერიოდში, კერძოდ, 2008 წლის დეკემბრის და 2009 წლის იანვარსა და თებერვლის თვეში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა 2008 წლის 1 აპრილის საფინანსო-საბუღალტრო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე, რომელიც დაიდო ერთი მხრივ, შპს „ჯ. ა. გ-ს“ და მეორე მხრივ, შპს „ს.ს ს-ის“ შორის და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა ერთი წლით. მოსარჩელის მიერ განუვლი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი განისაზღვრა ხელშეკრულების მე-4 მუხლით, რომლის თანახმად, განე-

ული მომსახურების მიღება-ჩაბარება მოხდება ყოველთვიურად, არა უგვიანეს მომსახურების განვეის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, სათანადო წესით გაფორმებული აქტის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს „დამკვეთის“ მიერ „შემსრულებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესაბამის თვეში ჯეროვნად და სრულად შესრულების აღიარებას.

სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ მოპასუხე სადავო პერიოდში მოსარჩელის მიერ მომსახურების განვეის შესახებ ფაქტობრივი გარემოების არარსებობას უკავშირებს ამ პერიოდში, კერძოდ, 2008 წლის დეკემბრის და 2009 წლის იანვარსა და თებერვალის თვეში შემსრულებლის (მოსარჩელის) მიერ მომსახურების განვეისა და დამკვეთის (მოპასუხის) მიერ მისი მიღების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტების არარსებობას.

საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ 2008 წლის 31 მაისის მიღება-ჩაბარების აქტი ხელმოწერილი ერთის მხრივ, შპს „ჯ. ა. გ“-ის (შემსრულებლის) დირექტორის ვ. ბ-ას და მეორეს მხრივ, შპს „ს.ს ს-ი“-ს (დამკვეთი) დირექტორის კ. ძ-ის მიერ, რომლითაც ირკვევა, რომ 2008 წლის 1 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელმა შეასრულა 2008 წლის მაისის თვეში მასზე დაკისრებული ვალდებულება სრულად. ასევე, მოსარჩელის განმარტებით ირკვევა, რომ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გაფორმდა მხოლოდ ორჯერ 2008 წლის აპრილის და ამავე წლის მაისის თვეში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსრულებლის მიერ მომსახურების განვეა და დამკვეთის მიერ მომსახურების მიღება უმრავლეს შემთხვევებში ხდებოდა მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების გარეშე. პალატის ამგვარი დასკვნა გამომდინარეობდა იმ ფაქტობრივი გარემოებიდან, რომ ხელშეკრულების მოქმედების დანარჩენ პერიოდში მოსარჩელის მიერ განხორციელებული მომსახურების ღირებულება ანაზღაურებული იქნა მოპასუხის მიერ, თუმცა არც ამ პერიოდზე არ ყოფილა შედგენილი ამგვარი მიღება-ჩაბარების აქტები. ამ ფაქტობრივი გარემოების არსებობა პალატას აძლევდა საფუძველს დასკვნისათვის, რომ მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტების არარსებობაზე მითითება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად, რომ სადავო პერიოდში მოსარჩელეს არ გაუწევია საფინანსო-საბუღალტრო მომ-

სახურება მოპასუხისათვის.

ამასთან, სააპელაციო პალატამ მიუთითა შპს „ს.ს ს-ის“ მიერ 2008 წლის დეკემბრის თვეში შედგენილი და შემოსავლების სამსახურში წარდგენილი დღგ-ის დეკლარაციებზე, რომლითაც ირკვევა, რომ 2008 წლის დეკემბრის თვეში წარდგენილი იქნა დეკლარაცია, სადაც თანდართულ რეესტრში ფიქსირდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ბბ-04 №841094, 2009 წლის აპრილის თვეში წარდგენილი იქნა დეკლარაცია, სადაც თანდართულ რეესტრში ფიქსირდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ბბ-04 №1020062, 2009 წლის მაისის თვეში წარდგენილი იქნა დეკლარაცია, სადაც თანდართულ რეესტრში ფიქსირდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ბბ-04 №1020062. აღნიშნულ ანგარიშ-ფაქტურებში შპს „ჯ. ა. გ-ის“ მიერ განეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 24 000 ლარს, ხოლო ამ თანხიდან მოპასუხის მიერ ანაზღაურებული 5000 ლარი მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება წარმოებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც ის ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ეკისრება იმ გარემოებათა დაამტკიცება, რაც მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის საფუძვლიანობაში დაარწმუნებს სასამართლოს. მეორეს მხრივ კი, მოპასუხეს ეკისრება მის მიმართ არსებული მოთხოვნის გაქარწყლება შესაბამისი მტკიცებულებებით. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ სადავო პერიოდში, კერძოდ, 2008 წლის დეკემბერში და 2009 წლის იანვარსა და თებერვალში შპს „ს.ს ს-ის“ შპს „ჯ. ა. გ“-ათვის საბუღალტრო-საფინანსო მომსახურება არ გაუწევია. თუმცა ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია. აღნიშნული გარემოება კი, პალატის აზრით მეტყველებს იმაზე, რომ მოპასუხემ კონკრეტულ შემთხვევაში, სარწმუნოდ ვერ დაადასტურა და შესაბა-

მისად, ვერ უზრუნველყო მისთვის დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის დასაბუთება იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოპასუხემ ხელშეკრულების მე-13 მუხლით დადგენილი წესის დაცვით ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება მოსარჩელსთან და აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელს გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება. შესაბამისად, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

პალატამ მიუთითა 2008 წლის 1 აპრილის საფინანსო-საბუღალტრო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-13 პუნქტზე, რომლითაც ხელშემკვერელი მხარეების მიერ გათვალისწინებული იქნა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლებამოსილება, რომლის თანახმად: „მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „დაძველების“ ბალანსზე რიცხული საწარმო სუბიექტების ჯამი განსაზღვრული იქნება 3-ზე ნაკლები ოდენობით.

პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლზე, რომელიც შეეხება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას. ნორმის დანაწესით, ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების განხორციელებას უკავშირებს მოსარჩელისათვის წერილის გაგზავნას, რომელიც მოპასუხის მითითებით გადაეცა მოსარჩელის მიერ მოვლენილ თანამშრომლებს ადმინისტრაციისათვის გადასაცემად, რომლებმაც დაადასტურეს ამ წერილის ჩაბარება შპს „ჯ. ა. გ“-ის დირექტორისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის 1-ლი ნაწილი წერილობით მტკიცებულებად მოიაზრებს აქტებს, საბუთებს, საქმიან და პირადი ხასიათის წერილებს, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. ამავე კოდექსის 127-ე მუხლის თანახმად, მხარეთა ახსნა-განმარტება ასევე წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს. პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის დანაწესით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მოხმობილ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, პალა-

ტამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული ორმხრივი ხელშეკრულების მოპასუხის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ ფაქტობრივი გარემოების დადასტურება მხოლოდ ახსნა-განმარტებით დაუშვებელია. შესაბამისად, მხოლოდ აპელანტის მითითება, რომ მოსარჩელის მიერ მოვლენილმა თანამშრომლებმა დაადასტურეს წერილის ჩაბარება დირექტორისათვის არ არის საკმარისი მტკიცებულება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ფაქტის დადგენილად მიჩვეისათვის და საფუძვლად ვერ დაედება სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე უნდა ემყარებოდეს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

რაც შეეხება თავად შემსრულებლის მიერ მივლენილი თანამშრომლებისათვის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გადაცემას, პალატამ მიიჩნია, რომ არც აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-13 პუნქტით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულებას ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შეტყობინების თაობაზე იქიდან გამომდინარე, რომ მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ხელმძღვანელობის უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში სანარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს სანარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულება უნდა განხორციელებულიყო უშუალოდ დირექტორის მიმართ, რისი დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხეს არ წარმოუდგენია. ამდენად, მოპასუხის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ფაქტი ვერ დაადასტურდა, რის გამოც პალატას მაინც, რომ სადავო პერიოდში მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან, რაც თი-

თოეულ მათგანს აკისრებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლოს სხდომაზე შპს „ს.ს ს-ის“ წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ წერილის დედანი, რომელიც განკუთვნილი იყო შპს „ჯ. ა. გ“-ის დირექტორისათვის გადასაცემად და დედნის მათთან არსებობა ახსნა იმით, რომ დედანი შპს „ს.ს ს-ის“ თანამშრომელმა, რომელსაც დირექტორისათვის გადასაცემად ჰქონდა ჩაბარებული აჩვენა იგი უფლებამოსილ პირს – შპს „ჯ. ა. გ“-ის დირექტორს და ამის შემდგომ, უკან დაუბრუნა შპს „ს.ს ს-ის“ წარმომადგენლებს, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით წარმოადგენს დამატებით მტკიცებულებას ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ ფაქტობრივი გარემოების უარსაყოფად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს.ს ს-იმ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სასამართლომ არ გაიზიარა შპს „ს.ს ს-ის“ მიერ წარდგენილი რიგი მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომელთა არსებობა გამორიცხავს შპს „ჯ. ა. გ-ის“ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. მოდავე მხარეებს შორის 2008 წლის 1 აპრილს დადებული ხელშეკრულებით დეტალურად განისაზღვრა მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი. კერძოდ, დადგინდა, რომ განუული მომსახურების მიღება-ჩაბარება უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს მომსახურების განუვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, სათანადო წესით გაფორმებული აქტის საფუძველზე, რომელიც დაადასტურებდა ყველა ვალდებულების შესაბამის თვეში ჯეროვნად და სრულად შესრულებას;

ზემოთ მოყვანილი დებულებიდან გამომდინარე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება წარმოადგენდა იმის დამადასტურებელ მტკიცებულებას, რომ შპს „ჯ. ა. გ-მა“ თავისი ვალდებულება სრულად და ჯეროვნად შეასრულა. მას მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მოეთხოვა შპს „ს.ს ს-ის“ მიერ შემხვედრი ვალდებულების შესრულება და განუული მომსახურების ანაზღაურება. ის გარემოება, რომ სადავო პერიოდის განმავლობაში (რომელიც მოი-

ცავს 2008 წლის დეკემბერსა და 2009 წლის იანვარ-თებერვალს) მხარეებს არ მოუხდენიათ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, წარმოადგენს იმის დამადასტურებელ მტკიცებულებას, რომ ხსენებულ პერიოდში შპს „ჯ. ა. გ-ის“ სპეციალისტებს დამკვეთისათვის არანაირი მომსახურება არ გაუწევიათ. მოცემული ფაქტი სასამართლოს დაუდასტურეს მონმეებმაც, რომლებიც წარმოადგენდნენ მივლენილ სპეციალისტებს. მათგან ორი სპეციალისტი – დ. რ-ე და მ. ა-ი, მოწინააღმდეგე მხარის დამფუძნებელი პარტნიორები არიან. დასახელებულმა პირებმა სასამართლო სხდომაზე განაცხადეს, რომ მათ სადავო პერიოდში დამკვეთისათვის მომსახურება არ გაუწევიათ;

სასამართლომ არასწორად შეაფასა ანგარიშ-ფაქტურებთან დაკავშირებული საკითხი. ანგარიშ-ფაქტურებს, რომლებიც სასამართლომ მომსახურების შესრულების მტკიცებულებად მიიჩნია, ორივე მხარეზე ხელს აწერს შემსრულებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი. ამასთან, იგი გამოწერილია შემსრულებელი ორგანიზაციის დირექტორისა და ამავე ორგანიზაციის ბუღალტრის მიერ. ორივე მხრიდან ერთი და იმავე ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ხელმოწერით წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურები არ შეიძლება ჩაითვალოს ვალდებულების შესრულების საფუძვლად. აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ ანგარიშ-ფაქტურა არ ემთხვევა სადავო პერიოდს. კერძოდ, სასამართლომ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებად მიიჩნია ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც გამოწერილია 2008 წლის იანვარში, მაშინ როდესაც სადავოა 2009 წლის დასაწყის პერიოდი. მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნული არ გაიზიარა;

სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ხელშეკრულების მე-13 პუნქტი, რომლის შესაბამისად, მხარეები უფლებამოსილი არიან ცალმხრივად მოშალონ ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დამკვეთის ბალანსზე რიცხული სანარმოო სუბიექტების რიცხვი სამზე ნაკლები აღმოჩნდა. მოცემულ შემთხვევაში სპეციალისტებმა დაადასტურეს, რომ მთელი პერიოდის განმავლობაში დამკვეთი ორგანიზაციის ბალანსზე იმყოფებოდა 3 სანარმო და ხორციელდებოდა მათი მშენებლობა. 2008 წლის ნოემბერში მოხდა ერთი სანარმოს ლეგალიზება, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ობიექტი კომპანიის სანარმო სუბიექტთა ნუსხიდან მოიხსნა;

სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულება ცალმხრივად მოიშალა შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ 2009 წლის თებერვლის ბოლოს გაგზავნილი წერილის საფუძველზე, რომელიც

ჩაბარდა კანცელარიის თანამშრომელს, მაგრამ არ გაითვალისწინა დამკვეთის მიერ გაგზავნილი წერილი, რომელიც გადაეცა კომპანიის დამფუძნებელ პარტნიორებსა და მივლენილ სპეციალისტებს. ისინი ადასტურებენ, რომ მათ მიიღეს და გაეცნენ ამ დოკუმენტს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეინაწვლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ შპს „ს. ს-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ჯ. ა. გ-მა“ შპს „ს.ს ს-ის“ გაუნია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2008 წლის დეკემბრის, 2009 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში, ხოლო მოპასუხე შპს „ს.ს ს-იმ“ ჯეროვნად არ შეასრულა ხელშეკრულებით შპს „ჯ. ა. გ-ის“ წინაშე ნაკისრი ვალდებულება.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის მომსახურების განევა დაადასტურა შპს „ს.ს ს-ის“ მიერ 2008 წლის დეკემბრის თვეში შედგენილი და შემოსავლების სამსახურში წარდგენილი დღგ-ის დეკლარაციებით, კერძოდ, 2008 წლის დეკემბრის თვეში წარდგენილი დეკლარაციით, სადაც თანდართულ რეესტრში ფიქსირდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ბბ-04 №841094, 2009 წლის აპრილის თვეში წარდგენილი დეკლარაციით, სადაც თანდართულ რეესტრში ფიქსირდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ბბ-04 №1020062, 2009 წლის მაისის თვეში წარდგენილი დეკლარაციით, სადაც თანდართულ რეესტრში ფიქსირდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ბბ-04 №1020064. მითითებულ ანგარიშ-ფაქტურებში შპს „ჯ. ა. გ-ის“ მიერ განეული მომსახურების ღირებულება შეადგენდა 24000 ლარს, საიდანაც უდავო იყო, რომ 5000 ლარი ანაზღაურებული ჰქონდა მოპასუხეს, ხოლო მოპასუხე შპს „ს. ს-ის“ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მას 2008 წლის დეკემბერში და 2009 წლის იანვარსა და თებერვალში შპს „ს.ს ს-ის“ შპს „ჯ. ა. გ-ის“

ათვის საბურალტრო-საფინანსო მომსახურება არ გაუნწევია. აღნიშნული გარემოება კი, პალატის აზრით მეტყველებს იმაზე, რომ მოპასუხემ კონკრეტულ შემთხვევაში, სარწმუნოდ ვერ დაადასტურა და შესაბამისად, ვერ უზრუნველყო მისთვის დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიზნებისათვის „დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია“ გულისხმობს მხარის მითითებას პროცესუალურ დარღვევებზე, რამაც მტკიცებულებათა არასწორი შეფასება და ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა გამოიწვია. განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ისარგებლა 407-ე მუხლით გარანტირებული შედავების უფლებით და მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაშვები პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლომ, განიხილა რა შედავების სამართლებრივი საფუძვლები, მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია გაზიარებულ უნდა იქნეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრობითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყო ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებანი, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. ამტკიცებს ის, ვინც ამტკიცებს და არა ის, ვინც უარყოფს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „ჯ. ა. გ-ი“ ვალდებული იყო ემტკიცება ის გარემოება რომ მან 2008 წლის დეკემბერში და

2009 წლის იანვარსა და თებერვალში შპს „ს. ს-ის“ გაუნევია საბუღალტრო-საფინანსო მომსახურება, ხოლო აღნიშნული ფაქტის უარყოფის მტკიცების ტვირთი კასატორს არ ევალებოდა.

მოცემულ შემთხვევაში კი შპს „ჯ. ა. გ-ის“ მიერ წარმოდგენილი ერთადერთი მტკიცებულება რომელიც მისი განმარტებით ადასტურებს ვალდებულების შესრულებას წარმოადგენს ანგარიშფაქტურები. ანგარიშფაქტურა თავისი სამართლებრივი ბუნებით იქმდება საგადასახდო მიზნებისათვის და არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ფაქტი. შესაბამისად ანგარიშფაქტურა არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელე შპს „ჯ. ა. გ-ის“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურებით არ დასტურდება მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფაქტი და არ წარმოადგენს ვალდებულების, კერძოდ მომსახურების განევის უტყუარ მტკიცებულებას, ვინაიდან სადაო პერიოდში შემსრულებლის მიერ გამოწერილ ანგარიშფაქტურას ერთი მხრივ, ხელს აწერს შემსრულებელი შპს „ჯ. ა. გ-ის“ დირექტორი ვ. ბ-ა და მეორე მხრივ, ამავე კომპანიის მიერ დამკვეთ ორგანიზაციაში, შპს „ს. ს-ი“, წარდგენილი პირი ნ. ზ-ე. შესაბამისად, ანგარიშფაქტურის ორივე მხარეს ერთი და იმავე კომპანიის წარმომადგენლები აწერენ ხელს, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას დამკვეთის მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებად.

ასევე გასათვალისწინებელი ის გარემოებაც, რომ სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა შპს „ჯ. ა. გ-ი“ მივლინებულმა სპეციალისტებმა დ. რ-ემ და მ. ა-მა, რომლებიც ამავე დროს აღნიშნული კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან დაადასტურეს, რომ მათ სადავო პერიოდში დამკვეთისათვის მომსახურება არ გაუნევიათ, ხოლო მოწმე ნ. ზ-ემ დაადასტურა, რომ მან ანგარიშფაქტურებს ხელი მოაწერა შპს „ჯ. ა. გ-ის“ დირექტორის ვ. ბ-ას დაუინებელი მოთხოვნით და მას აღნიშნულ ანგარიშ-ფაქტურებზე არ სურდა ხელის მოწერა, ვინაიდან მხარეთა შორის შეწყვეტილი იყო ხელშეკრულება და იგი შეყვანილი იქნა შეცდომაში ვლ. ბასარაიას მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოსარჩელე შპს „ჯ. ა.

გ-მა“ 2008 წლის დეკემბერში და 2009 წლის იანვარსა და თებერვალში შპს „ს. ს-ის“ გაუნევია საბუღალტრო-საფინანსო მომსახურება, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ შპს „ჯ. ა. გ-ის“ მიერ ვალდებულება შესრულებულია ნათლად და ჯეროვნად, საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ ემყარება და უსაფუძვლოა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის საფუძველზე, მისი გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობს მტკიცებულებათა დამატებით შეფასების აუცილებლობა და საქმის სააპელაციო ინსტანციაში დაბრუნების საჭიროება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ჯ. ა. გ-მა“ ვერ დაადასტურა ვალდებულების შესრულება, შესაბამისად, მისი სარჩელი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ჯ. ა. გ-მა“ შპს „ს. ს-ის“ უნდა აუნაზღაუროს საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 1133 ლარი, ხოლო სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 905 ლარი სულ 2038 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. შპს „ს. ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ჯ. ა. გ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ჯ. ა. გ-ს“ შპს „ს. ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო და სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2038 ლარის ანაზღაურება; საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა გამოკვლევა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-941-979-2011

1 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ს-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. გ-ის, თ. გ-ის, ნ. გ-ას, შ. შ-ის, კ. ძ-ის, მ. გ-ას, თ. ც-ის, მ. ნ-ას, ლ. კ-ლის, ზ. ბ-ის, ა. ე-ას, თ. ტ-ის, გ. მ-ის, ნ. კ-ისა და ვ. ს-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: თბილისში, ჭ-ას ქ. №5-ში 1959 წლიდან პრივატიზებულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრობდნენ მოსარჩელე, მისი მეუღლე და მამა ა. ს-ი (ბინის მესაკუთრე), რომელიც გარდაიცვალა 2007 წელს და კანონიერ მემკვიდრედ ითვლება ა. ს-ი. 1996 წელს ნ. გ-მა ძველი ბინის დანგრევისა და ახლის აშენების მიზნით, ზემოთ ჩამოთვლილ პირებთან ერთად შექმნა ამხანაგობა „მ-ა“ და 1997 წელს ის და მისი ქალიშვილი ჩაენერნენ მოსარჩელის კუთვნილ 17 კვ.მ ბინაში. 1999 წლის 15 მარტს განხორციელდა ამავე მისამართზე 580 კვ.მ მიწის პრივა-

ტიზაცია ამხანაგობა „მ-ის“ წევრების მიერ, რომელშიც შედიოდნენ: ა. ს-ი 53 კვ.მ საცხოვრებელი ფართით, ვ. ს-ი 76 კვ.მ საცხოვრებელი ფართით, ნ. და თ. გ-ები 17 კვ.მ საცხოვრებელი ფართით. 2003 წელს შემომატებული ამხანაგობის ახალი წევრების დაფინანსებით და მათ მიერ შეძენილ მიმდებარე მიწაზე ძველი ბინის დანგრევის შემდეგ დაიწყო ახალი მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა, რომლის მშენებლობის ნებართვაც გაიცა 2003 წელს. ზეპირი მოლაპარაკების თანახმად, სამივე მესაკუთრეს უნდა მიეღო გარემონტებული ბინები. მოსარჩელის ოჯახს ეკუთვნოდა 100 კვ.მ მშენებლობის დამთავრების შემდეგ ნ.გ-მა თავის კუთვნილი 17 კვ.მ ბინის სანაცვლოდ, უფასოდ მიიღო 340 კვ.მ ასევე 3 გარაჟი და ფართი მაღაზიისთვის. ვ. ს-მა 76 კვ.მ ბინის სანაცვლოდ მიიღო 209 კვ.მ და ერთი გარაჟი. მოსარჩელის ოჯახს კი არაფერი არ მიუღია. 2005 წლის 29 სექტემბერს ა. ს-მა სარჩელი შეიტანა სასამართლოში ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომლის თანახმადაც ალ. ს-ს ამხანაგობიდან გასვლის ნება ზეპირად გამოუხატავს ისე, რომ წილის კომპენსაცია არ მოუთხოვია. ა. ს-ი ითხოვდა ძველი უფლებების აღდგენას, სახლის დემონტაჟსა და ზარალის ანაზღაურებას. სასამართლოს სამივე ინსტანციამ სარჩელი არ დააკმაყოფილა. უზენაესმა სასამართლომ, მართალია, არ დააკმაყოფილა სარჩელი, მაგრამ უდავოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ ა. ს-ს გააჩნდა საკუთრების უფლება ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზეც.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს მიერ გაცემულ იქნა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მ-აზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 1995 წლის 10 აგვისტოს №18.14.763 დადგენილებით. შესაბამისად, ა. ს-ის ვაჟმა ვ. ს-მა ამავედროულად მემკვიდრემ, რომელმაც თავისი წილი მოსარჩელეს დაუთმო სამკვიდრო უფლებიდან მამის სამკვიდროზე, მიიღო ორივეს მისაღები ფართობი უსასყიდლოდ, კერძოდ, 230 კვ.მ ფართი და 25-ე ავტოსადგომი, ასევე მან მიიღო ნ. ც-ას მიერ ამხანაგობაში შემონატანი თანხა. ა. ს-ს არ გააჩნდა საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე. ა. ს-ს არ ეკუთვნის კომპენსაცია 210 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რადგან მას მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება არ გააჩნდა. ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის საპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის განჩინებით ა. ს-ის საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით: პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1993 წლის 22 იანვარს გაფორმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე ა. ს-მა (მოსარჩელის მამამ) უსასყიდლოდ საკუთრებაში მიიღო თბილისში, ჯ-ის ქ. №5-ში მდებარე ოროთახიანი ბინა, 32 კვ.მ საცხოვრებელი ფართით, საერთო ფართით – 53 კვ.მ; 1993 წლის 22 იანვარს გაფორმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე ვ. ს-მა (მოსარჩელის ძმამ) უსასყიდლოდ საკუთრებაში მიიღო თბილისში, ჯ-ის ქ. №5-ში მდებარე სამოთახიანი ბინა, საცხოვრებელი ფართით – 56 კვ.მ, საერთო ფართით – 76 კვ.მ; სარდაფი – 10 კვ.მ. თბილისის მუნიციპალიტეტის 1994 წლის 20 ნოემბრის №1082 განკარგულებითა და 1995 წლის 10 აგვისტოს №18.14.763 დადგენილებით ქ-ას ქ. №5-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის დანგრევის სანაცვლოდ ავარიულ სახლში მცხოვრებ პირებს მიეცათ ახალი სახლის მშენებლობის უფლება. ამ მიზნის განსახორციელებლად, ამავე მისამართზე მცხოვრები მოზინდრების განცხადების საფუძველზე, თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1996 წლის 21 აგვისტოს №70 გადაწყვეტილებით დამტკიცდა საინიციატივო ჯგუფი ნ. გ-ის (თავმჯდომარე), ვ. ს-ის, ა. ს-ისა და ს. ციცივიძის შემადგენლობით. 2003 წლის 6 აგვისტოს გაფორმდა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „მ-ის“ სადამფუძნებლო ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, ერთობლივი საქმიანობის მიზანს წარმოადგენდა თბილისში, ქ-ას №5-ში მდებარე 1097 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელის სახლის მშენებლობა. ამავე ხელშეკრულების დანართით №2 განისაზღვრა ამხანაგობის წევრების მიერ მისაღები ფართები. მოსარჩელის ძმას – ვ. ს-ს უნდა მიეღო მე-3 სართულზე №18 ბინა, 210 კვ.მ და №25 12 კვ.მ ავტოსადგომი. პალატამ არ გაიზიარა ა. ს-ის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ა. ს-ი მისი ნების საწინააღმდეგოდ იქნა ამხანაგობიდან გამოყვანილი, აღნიშნული მსჯელობის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ იმ კრებას, რომელზეც მიღებულ იქნა აღ. ს-ის გაყვანის საკითხი, ესწრებოდა ვ. ს-ი – ანუ აღ.ს-ის შვილი, რომლის დასწრების ფაქტი მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. ამავე კრებას თავმჯდომარეობს კ. ძ-ი, რომელიც, თვით მოსარჩელის განმარტებით, თავად მიიყვანა ამხანაგობის წევრებთან, ამასთან, საქმე-

ზე დართული და წარმოდგენილია ა. ს-ის წერილობითი განცხადება, რომლითაც იგი ამხანაგობიდან გასვლის ნებას ავლენს. გარდა ამისა, ა. ს-ის ამხანაგობის წევრობიდან გაყვანის მართლზომიერებას ადასტურებს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 დეკემბრის განჩინება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის განჩინება. 2003 წლის 6 აგვისტოს ამხანაგობა „მ-ის“ №4 კრების ოქმის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის წევრობიდან, საკუთარი ინიციატივით გაყვანილ იქნა მოსარჩელის მამა ა. ს-ი. დასახელებული ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნით წარდგენილი სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის განჩინებით. საქმის მასალებიდან გამომდინარე, არ დასტურდება მხარეთა შორის უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებული შეთანხმების არსებობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-105-ე მუხლების თანახმად, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულება (წერილობითი ხელშეკრულება), რომელიც დადასტურებდა, ერთი მხრივ, ა. ს-ს, ხოლო, მეორე მხრივ, ნ. გ-სა და ა. ე-ს შორის შეთანხმების არსებობას, რომლის მიხედვითაც მოპასუხეებმა იკისრეს ა. ს-ისთვის ან ა. ს-ისთვის ფართის გადაცემის ვალდებულება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად, ა. ს-ი წარმოადგენდა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „მ-ის“ წევრს და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან ის საკუთარი ნების გამოვლენის შედეგად გავიდა. ა. ს-ს, როგორც ამხანაგობის წევრს, სხვა წევრებთან ერთად გააჩნდა საკუთრების უფლება ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზეც. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე უარის თქმისას კი, მას სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლის საფუძველზე წილის კომპენსაცია არ მოუთხოვია.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები პალატამ სამართლებრივად შემდეგნაირად შეაფასა: სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, პალატა განმარტავს, რომ ამხანაგობის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა, რომლითაც განისაზღვრება გარიგების მხარეთა უფლება – მოვალეობები. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „მ-ის“ სადამფუძნებლო ხელშეკრულების (დებულების) 3.2 და 3.3 პუნქტე-

ბის შესაბამისად, სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის თვალსაზრისით, ამხანაგობის წევრები იყოფიან ორ ჯგუფად: „დამფუძნებელი წევრები“ და ჩვეულებრივი წევრები. „დამფუძნებელ წევრებს“ განეკუთვნებიან ამ ხელშეკრულების ხელმომწერი პირები, რომლებიც ამხანაგობის წევრთა მიერ არჩეული არიან ამხანაგობის საინიციატივო ჯგუფში და პასუხისმგებელნი არიან ამხანაგობის ორგანიზაციულ-ფინანსურ მართვაზე. დებულების 9.4 პუნქტის თანახმად, ამხანაგობის, როგორც ჩვეულებრივი, ისე დამფუძნებელი წევრების ვინაობა მითითებულია ამხანაგობის წევრთა კრების №4 ოქმში. ამავე დებულების 9.5 პუნქტის მიხედვით, „ამხანაგობის“ წევრის მიღებისას „დამფუძნებელ წევრთა“ კრება განსაზღვრავს მისაღები წევრის წილს, საკუთრებაში მისაღები ქონების იდენტიფიკაციით. წილის ან წილის ნაწილის მყიდველი პირი ავტომატურად ხდება „ამხანაგობის“ „ჩვეულებრივი წევრი“. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადამფუძნებლო დოკუმენტს ხელს აწერს ა. ს-ის შვილი ვ. ს-ი, ხოლო ა. ს-ი სადამფუძნებლო დოკუმენტში წევრად მოხსენებული არ არის და, შესაბამისად, არც მისი ხელმოწერა ფიქსირდება სადამფუძნებლო აქტზე. ამასთან, ზემოაღნიშნული დებულების 9.5 პუნქტის შესაბამისად, სადამფუძნებლო დოკუმენტს ერთვის ამხანაგობა „მ-ის“ წევრების მიერ მისაღები წილის ოდენობა, ქონების იდენტიფიკაციით. აღნიშნულ წევრებს შორის მოხსენებულია ვ. ს-ი და არა ა. ს-ი. ამასთან, აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, ამხანაგობა „მ-ის“ სადამფუძნებლო დოკუმენტზე, როგორც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირები არიან ამხანაგობა „მ-ის“ დამფუძნებლები და ის პირები, რომლებიც 2003 წლის 6 აგვისტოს კრების ოქმის საფუძველზე შემოყვანილ იქნენ ამხანაგობის წევრებად. 2003 წლის 6 აგვისტოს დაფუძნებული ამხანაგობა „მ-ის“ სადამფუძნებლო აქტზე ხელმოწერა ანუ მრავალმხრივ გარიგებაში ა. ს-ის მონაწილეობა არ იკვეთება, შესაბამისად, არ დასტურდება ა. ს-ის წილზე უფლება აღნიშნულ ამხანაგობაში. პალატა განმარტავს, რომ 2003 წლის 6 აგვისტოს დაფუძნებული ამხანაგობის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ქ.თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის მთანმინდის რაიონის გამგეობის 1996 წლის 25 აგვისტოს №70 და 1999 წლის 31 მარტის №78 გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებული ამხანაგობა „მ-ა“, თუმცა, აღნიშნული ამხანაგობის საფუძველზე 2003 წლის 6 აგვისტოს ჩამოყალიბდა ამხანაგობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით, იმავე მიზნებით,

თუმცა, განახლებული დამფუძნებელი და ჩვეულებრივი წევრებით, ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები, მათი წილობრივი მონაწილეობა ამხანაგობაში, მათ მიერ განსახორციელებელი შენატანები. სასამართლო მიიჩნევს, რომ 2003 წლის 6 აგვისტოს, ფაქტობრივად, მართალია, კონსტანტირებულ იქნა ძველი ამხანაგობა „მ-ის“ არსებობა, თუმცა, სამართლებრივი თვალსაზრისით, უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლის გათვალისწინებით, აღნიშნული მიჩნეულ უნდა იქნეს ახალ გარიგებად, შესაბამისად, ახალი გარიგების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ამხანაგობად, ამიტომაც სასამართლო აღნიშნულ ამხანაგობას მიიჩნევს, 2003 წლის 6 აგვისტოს დაფუძნებულად, ვინაიდან აღნიშნული ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობები სწორედ 2003 წლის 6 აგვისტოს დაფუძნების ხელშეკრულებიდან მომდინარეობს. პალატა ასევე განმარტავს, რომ ძველი ამხანაგობის უფლება-მოვალეობებიც ერთმანეთის მიმართ სწორედ აღნიშნული ახალი სადამფუძნებლო დოკუმენტით დადგინდა, სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ამხანაგობიდან ა. ს-ის გასვლა შეფასებულ უნდა იქნას არა როგორც დაფუძნებული ამხანაგობიდან, ანუ შემდგარი, ხელმოწერილი გარიგებიდან გასვლა, არამედ, იმთავითვე 2003 წლის 6 აგვისტოს ამხანაგობა „მ-ის“ დაფუძნებაში, მრავალმხრივ გარიგებაში მონაწილეობის მიუღებლობა. ვინაიდან, სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ა. ს-ი არც დამფუძნებელ და არც ჩვეულებრივ წევრებს შორის არ ფიგურირებს, შესაბამისად, დებულების მიხედვით, მისი წილობრივი მონაწილეობა 2003 წლის 6 აგვისტოს დაფუძნებულ ამხანაგობაში არ დასტურდება. ამდენად, არ დასტურდება რა ა. ს-სა და 2003 წლის 6 აგვისტოს დაფუძნებულ ამხანაგობა „მ-ას“ შორის უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველი, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს სამართალურთიერთობების სამართლებრივ შედეგებზე ანუ შენატანის ოდენობასა და, შესაბამისად, მისაღებ წილზე. პალატა მსჯელობისას შეეხო 2003 წლის 6 აგვისტოს დაფუძნებული ამხანაგობა „მ-ასა“ და ა. ს-ს შორის არსებულ სამართალურთიერთობას და მიიჩნია, რომ ა. ს-ი იმთავითვე არ ყოფილა აღნიშნული ახალდაფუძნებული ამხანაგობის წევრი და, შესაბამისად, მას არ წარმოშობია ის უფლება-მოვალეობები, რაც ამხანაგობის წევრს ამხანაგობიდან გასვლისას შეიძლება წარმოემვას, თუმცა ა. ს-ის მოთხოვნის საფუძველების სამართლებრივი შეფასების მიზნებისათვის მნიშვნელოვანია იმის ანალიზი, თუ რისი უფლება ჰქონდა ა. ს-ს იმთავითვე ახალი ამხანაგო-

ბა „მ-ის“ დაფუძნების ეტაპზე. როგორც საქმის მასალებიდან და მხარეთა ახსნა-განმარტებიდან დასტურდება, ა. ს-ი იყო თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის მთაწმინდის რაიონის გამგეობის №70 გადაწყვეტილებით დაფუძნებული საინიციატივო ჯგუფის წევრი. ამხანაგობას ეწოდა „მ-ა“. სწორედ „ამხანაგობის“ საკუთრება გახდა შემდგომში 1097 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთი თავდაპირველად სახელმწიფო საკუთრება იყო, ამიტომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეებმა შენობა-ნაგებობის დანგრევის შემდეგ მიწაზე ახალი მშენებლობის წამოწყების მიზნებისათვის შექმნილ ამხანაგობაში განვევრიანების უფლება მოაპოვეს. ამდენად, ა. ს-ს უფლება ჰქონდა, გამხდარიყო ამავე მიზნით 2003 წლის 6 აგვისტოს შექმნილი ამხანაგობის დამფუძნებელი წევრი, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე არაერთგზის აღინიშნა, ა. ს-ი ხელს არ აწერს დაფუძნების დოკუმენტს, არ არის გათვალისწინებული მისი ნილობრივი მონაწილეობა ამხანაგობაში, შესაბამისად, მას არ აკავშირებს ვალდებულებითი სამართალური თერობა 2003 წლის 6 აგვისტოს შექმნილ ამხანაგობის წევრებთან. რაც შეეხება საქალაქო მმართველობის მთაწმინდის რაიონის გამგეობის №70-78 გადაწყვეტილებით დაფუძნებულ ამხანაგობას, მათი დამფუძნებელი წევრების უფლება-მოვალეობები დადგინდა ახალ ამხანაგობა „მ-ის“ დებულებით, სადაც ა. ს-ს უფლება ჰქონდა, თავისი მოთხოვნა და შესაბამის წილი აესახა ახალ სადამფუძნებლო დოკუმენტში. 2003 წლის 6 აგვისტოს სადამფუძნებლო დოკუმენტსა და კრების ოქმში, რომელსაც, როგორც ა. ს-ი, ასევე ა. ს-ის შვილი, ვ. ს-ი ესწრებოდნენ, ვალდებულებაზე არაფერია მითითებული.

იმის გათვალისწინებით, რომ 2003 წლის 6 აგვისტოს სადამფუძნებლო ხელშეკრულებით ა. ს-ს ამხანაგობის წევრებთან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის ფაქტობრივი საფუძველი ჰქონდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სავარაუდოა, ა. ს-მა 2003 წლის 6 აგვისტოს სადამფუძნებლო დოკუმენტზე ხელი იმ მოტივით არ მოაწერა და ამხანაგობის წევრობაზე იმ საფუძველით თქვა უარი, რომ მას სხვა მესამე პირისაგან რაიმე შესრულება ექნებოდა მიღებული ან აღნიშნული შესრულების სამომავლოდ მიღების ინტერესი გააჩნდა. აღნიშნულზე მეტყველებს ა. ს-ის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მას პრეტენზია მხოლოდ ა. ე-სა და ნ. გ-თან აქვს და არა სხვა ამხანაგობის წევრებთან, ვინაიდან სწორედ ისინი შეჰპირდნენ მას ბინის აშენებას. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამო-

სილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლისაგან. 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ არ დასტურდება ა. ს-ის მოთხოვნის უფლება სახელშეკრულებო ვალდებულების გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე ა. ე-ასა და ნ. გ-ისაგან, ვინაიდან არ დასტურდება შესაბამისი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობა აღნიშნულ სუბიექტებს შორის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ს-მა შემდეგი დასაბუთებით: საქალაქო სასამართლოში მოპასუხეების მიერ კომპენსაციის გადაუხდელობის ერთადერთ მიზეზად სახელდებოდა ბინების პრივატიზაციის გაყალბების ფაქტი, ასევე, დადგინდა, რომ სახლი არ იყო დანგრეული და ერთბინიანი. მოსარჩელე მზად იყო, წარედგინა დამატებითი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ პრივატიზაცია იყო ნამდვილი და ამ დროს მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შესახებ. თუ პრივატიზაციის ნამდვილობას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რატომ მოანდომა სასამართლომ ამ საკითხის გარკვევას ხუთ თვეზე მეტი. სასამართლოს ყურადღება არ მიუქცევია იმ ფაქტისათვის, რომ მოპასუხეები სასამართლო პროცესებზე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ასახელებდნენ სხვადასხვა მიზეზებს, თუ რატომ არ ეკუთვნოდა მოსარჩელეს კომპენსაცია, კერძოდ, ჯერ აცხადებდნენ, რომ ბინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე, შემდგომ თითქოს აღ. ს-ი გავიდა ამხანაგობიდან და ა.შ. ახლა კი, ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულებაა გაყალბებული. საყურადღებოა, რომ სასამართლოს აზრით არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები, მაშინ როდესაც დადგენილია, რომ ე-ამ და 1998 წელს მოსარჩელის სახლის 17 კვ.მ ფართში ჩაწერილმა ნ. გ-მა ამხანაგობის სხვა წევრების მიერ აშენებულ სახლში უფასოდ მიიღეს საერთო ჯამში 650 კვ.მ. გარემონტებული ფართი, მათ შორის 100 კვ.მ ოფისი, მაღაზია და 5 ავტოფარეხი. სააპელაციო სასამართლო განჩინებაში თავდაპირველად აღნიშნავს, რომ ა. ს-ი არ ყოფილა

ამხანაგობის წევრი, ხოლო შემდგომ კი მიუთითა, რომ წევრი იყო, მაგრამ საკუთარი განცხადებით გავიდა ამხანაგობიდან. უსაფუძვლოა სასამართლოს მტკიცება, რომ მინა იყო სახელმწიფო საკუთრება. სარჩელზე თანდართული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მინა პრივატიზებული იყო. უდავო ფაქტია, რომ ა. ს-ი იყო უძრავი ქონების მესაკუთრე და მას სახლის დანგრევის შემდეგ არაფერი მიუღია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ს-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევა და მის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასარწმუნოობა, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად, ა. ს-ი წარმოადგენდა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „მ-ის“ წევრს და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან ის საკუთარი ნების გამოვლენის შედეგად გავიდა. ა. ს-ს, როგორც ამხანაგობის წევრს, სხვა წევრებთან ერთად გააჩნდა საკუთრების უფლება ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზეც. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე უარის თქმისას კი, მას სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლის საფუძველზე წილის კომპენსაცია არ მოუთხოვია.

მოცემულ დავაზე ა. ს-ი სარჩელით თავდაპირველად ითხოვდა ამხანაგობა „მ-ის“ საკუთრებაში არსებული 580 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან მისი წილის კომპენსაციას. 2010 წლის 26 ივლისის სასამართლო სხდომაზე ა.ს-მა მოითხოვა მამისათვის – ა. ს-ისათ-

ვის გადასაცემი ფართის სანაცვლოდ მისი საფასურის კომპენსაცია. პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის საგანი ზიანის ანაზღაურებად შეაფასა, რაც გაიზიარა სააპელაციო სასამართლომაც (იხ. სასამართლო გადაწყვეტილებები). ამასთან, მოსარჩელე სარჩელის საფუძველად უთითებდა ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ ამხანაგობა „მ-ას“ მისი შენატანის სანაცვლოდ ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები სათანადოდ არ გამოუკვლევია, კერძოდ:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების კონკრეტულ მატერიალურ სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს უფლებაცაა და ვალდებულებაც. დავის სამართლებრივი შეფასებისას მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძველებზე მუშაობისაგან და არ არის შეზღუდული დისპოზიციურობის ან შეზღუდვებითობის პრინციპებით.

შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ, თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი. მათ ასევე შეუძლიათ, თავად გადაწყვიტონ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებასთან ერთად მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მხარე თავის მოთხოვნას ამყარებს და მოთხოვნის შინაარსი. მიზანშეწონილია, მაგრამ არაა აუცილებელი, თუ მხარეები მოთხოვნის იმ სამართლებრივ საფუძველზეც – ნორმაზე მიუთითებენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ან შესაგებელი ემყარება, თუმცა ეს არც აუცილებელია და არც შემზღუდავი სასამართლოსათვის. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული, ასევე არც კანონის იმპერატიული დათქმაა, გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან

არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ, თუ საქმის მასალებზე დაყრდნობით და სხვაგვარი დასაბუთებით, კანონიერი გადანაცვლებების გამოტანა შესაძლებელია, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის უფლება აქვს. სწორედ აღნიშნული წარმოდგენს სამოსამართლო საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას.

მხარე, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, თვითონვე განსაზღვრავს, თუ რომელ კონკრეტულ ფაქტს დაამყაროს თავისი სასარჩელო მოთხოვნა, ამასთან სარჩელის საფუძველი იმ ფაქტების ერთობლიობაა, რომლებიც დასაბუთებენ, ფაქტობრივად ამართლებენ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელის საგანს. ამდენად, სარჩელის ფაქტობრივი დასაბუთება განაპირობებს სარჩელის მოთხოვნის კანონიერებას, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული უფლების კანონიერება უნდა დამტკიცდეს, ხოლო დარღვეული უფლების დაცვა მხარეს კონკრეტული ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლია და ამ ფაქტების მითითება მხარის მოვალეობაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს მხარეებს მისცეს შეკითხვა, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადანაცვლებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამოკვლევას. ამავე კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადანაცვლებისათვის მქონე მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას, მათ დასადასტურებლად მტკიცებულებების გამოვლენას და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას. აღნიშნული ნორმების ანალიზი ერთმნიშვნელოვნად გვაძლევს დასკვნის საფუძველს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპის ფონზე განსაკუთრებულ შემთხვევებში უშვებს და აუცილებლადაც მიიჩნევს მოსამართლის ინიციატივას საქმის სათანადოდ განხილვის მიზნით.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მხარისთვის დასმული შეკითხვებით უნდა გამოერკვია და დაეზუსტებინა, მოსარჩელის მოთხოვნა თანხის გადახდის დაკისრების თაობაზე, რა სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ ვალდებულებას ეფუძნებოდა, ვინაიდან მოსარჩელე სარჩელის საფუძველად უთითებს სწორედ ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილ

ფაქტებს, ხოლო მოთხოვნად თანხის გადახდას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ ა. ს-მა 2003 წლის 6 აგვისტოს სადამფუძნებლო დოკუმენტზე ხელი მაღალი ალბათობით იმ მოტივით არ მოაწერა და ამხანაგობის წევრობაზე იმ საფუძვლით თქვა უარი, რომ მას სხვა მესამე პირისაგან რაიმე შესრულება ექნებოდა მიღებული ან აღნიშნული შესრულების სამომავლოდ მიღების ინტერესი გააჩნდა. აღნიშნულზე მეტყველებს ა. ს-ის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მას პრეტენზია მხოლოდ ა. ე-სა და ნ. გ-თან აქვს და არა სხვა ამხანაგობის წევრებთან, ვინაიდან სწორედ ისინი შეჰპირდნენ მას ბინის აშენებას.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით, თუმცა მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესი, რომლითაც დადგენილია ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულების მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა, რაც, ამავე კოდექსის 465-ე მუხლის თანახმად, უფლებას აძლევს კრედიტორს, ნებისმიერ მოვალეს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება. რაც შეეხება სასამართლოს ვარაუდს ამხანაგობის წევრობაზე უარის თქმის საფუძვლის თაობაზე, აღნიშნულს კონტრაჰენტის მიერ ვალდებულების ჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით რაიმე იურიდიული მნიშვნელობა არ ენიჭება.

ასევე დაუსაბუთებელია პალატის დასკვნა, რომ 2003 წლის 6 აგვისტოს, ფაქტობრივად, მართალია, კონსტანტირებულ იქნა ძველი ამხანაგობა „მ-ის“ არსებობა, თუმცა, სამართლებრივი თვალსაზრისით, უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლის გათვალისწინებით, აღნიშნული მიჩნეულ უნდა იქნეს ახალი გარიგების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ამხანაგობად, ამიტომაც სასამართლო აღნიშნულ ამხანაგობას მიიჩნევს, 2003 წლის 6 აგვისტოს დაფუძნებულად, ვინაიდან აღნიშნული ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობები სწორედ 2003 წლის 6 აგვისტოს დაფუძნების ხელშეკრულებიდან მომდინარეობს. პალატა ასევე განმარტავს, რომ ძველი ამხანაგობის უფლება-მოვალეობებიც ერთმანეთის მიმართ სწორედ აღნიშნული ახალი სადამფუძნებლო დოკუმენტით დადგინდა, სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ამხანაგობიდან ა. ს-ის გასვლა შეფასე-

ბულ უნდა იქნას არა როგორც დაფუძნებული ამხანაგობიდან ანუ შემდგარი, ხელმოწერილი გარიგებიდან გასვლა, არამედ, იმთავითვე, 2003 წლის 6 აგვისტოს ამხანაგობა „მ-ის“ დაფუძნებაში, მრავალმხრივ გარიგებაში მონაწილეობის მიუღებლობა. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, პალატამ დაასკვნა, რომ არ დასტურდება რა ა. ს-სა და 2003 წლის 6 აგვისტოს დაფუძნებულ ამხანაგობა „მ-ას“ შორის უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველი, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს სამართალურთიერთობების სამართლებრივ შედეგებზე ანუ შენატანის ოდენობასა და, შესაბამისად, მისაღებ ნიღზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია შემდეგი: მატერიალურ სამართალში ურთიერთობის მონაწილე – კონტრაჰენტის ამა თუ იმ საფუძველით ურთიერთობიდან გასვლა იწვევს ამ ურთიერთობაში უფლებამონაცვლის ჩართვას და მისთვის იმ უფლება-მოვალეობათა გადაცემას, რაც თავდაპირველ სამართალსუბიექტს გააჩნდა. ზოგადად, სამოქალაქო სამართალში ორი სახის უფლებამონაცვლეობა გვაქვს: პირველი – უნივერსალური ანუ ზოგადი უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მისი წინამორბედის ყველა უფლება-მოვალეობა (მემკვიდრეობა, იურიდიული პირის რეორგანიზაცია და სხვა) და მეორე – სინგულარული (კერძო) უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მხოლოდ ცალკეული უფლება (მოთხოვნის დათმობა). ორივე შემთხვევაში უფლებამონაცვლეობის ფარგლები იმისა და მიხედვით დგინდება, თუ რა სახის უფლებამონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამასთან, უფლებამონაცვლე უფლებებსა და მოვალეობებს იმ ფარგლებში იძენს, რა ფარგლებშიც იგი მის წინამორბედთან იყო. უფლებამონაცვლეობის ფარგლების შეზღუდვა, განსაკუთრებით ადრე არსებული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების ფარგლებში, მხოლოდ უფლებამონაცვლის ნებაზე ან მასსა და მის წინამორბედს შორის შეთანხმებაზე არ არის დამოკიდებული, ვინაიდან იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მესამე პირის ინტერესზე.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო გასაჩივრებულ გადანაცვლებლაში უთითებს 2003 წლამდე არსებული ამხანაგობას და მის შემდეგ დაარსებულ ამხანაგობას შორის კავშირზე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ადგენს, რომ ახალი გარიგების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ამხანაგობას ა-ის მიმართ ვალდებულება არ გააჩნია, რადგან ის ახალი ამხანაგობის წევრი არ გამხდარა. ამ დასკვნისათვის აუცილებელია არა ამხანაგობის წევრობის ფაქტი, არამედ იმ ფაქტების გამორკვევა, გააჩნდა

თუ არა ადრე არსებულ ამხანაგობას რაიმე ვალდებულება ა. ს-ის მიმართ და არის თუ არა ახლადშექმნილი ამხანაგობა ამ ვალდებულების უფლებამონაცვლე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მხარეთა შორის წარმოშობილ დავას მხოლოდ განჩინების კვლევით ნაწილში მითითებულ გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ა. ს-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა გამოკვლევა

განჩინება

№ას-1320-1340-2011

31 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „... 91-ის“ კრების ოქმების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „... 91-ის“ თავმჯდომარე დ. დ-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს შ. მ-ის მიმართ და მოითხოვა 2008 წლის 15 სექტემბრის №2 და 2008 წლის 22

სექტემბრის №3 კრების ოქმების ბათილად ცნობა შემდეგი დასაბუთებით: ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „... 91-ის“ წევრებისათვის, მოულოდნელად ცნობილი გახდა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2008 წლის 15 სექტემბერს განხორციელებული რეგისტრაციების შედეგად, ამხანაგობა „... 91-ის“ კუთვნილი ფართები, ქ. თბილისში, ... მ/რ-ის I კვარტლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მშენებარე „ა“ კორპუსში 363,187 და 219 კვადრატული მეტრი აღირიცხა ამხანაგობის წევრ შ. მ-ის სახელზე. აღნიშნული რეგისტრაციების საფუძველს სამივე შემთხვევაში წარმოადგენს 2008 წლის 22 სექტემბერს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „...-91-ის“ სახელით წარდგენილი და ქ.თბილისის ნოტარიუს ქ. მ-ს მიერ დამოწმებული №3 კრების ოქმი. რეგისტრაციის საფუძველად მითითებული კრების ოქმი შედგენილია კანონის უხეში დარღვევით, რომლის დროსაც კრება ჩატარდა ამხანაგობის წევრების გარეშე, რის შედეგადაც მიტაცებულ იქნა უძრავი ქონება, რომელიც ამხანაგობის ქონებას წარმოადგენდა. კრების ოქმი №2 ასევე შედგენილ იქნა კანონის უხეში დარღვევით, ამხანაგობის წევრთა შეტყობინების გარეშე, გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღებით და სწორედ იგი გახდა უკანონო სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2008 წლის 15 სექტემბერს თბილისის ნოტარიუსის ქ. მ-ს მიერ დამოწმებული კრების ოქმი №2, ისევე როგორც 2008 წლის 22 სექტემბერს ქ.თბილისის ნოტარიუსის ქ. მ-ს მიერ დამოწმებული კრების ოქმი №3 ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან ეწინააღმდეგება ამხანაგობა „...-91-ის“ წევრთა თავდაპირველ შეთანხმებას და არღვევს კანონით დადგენილ ნორმებსა და წესრიგს.

წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შაქრო მაჭავარიანმა იმ დასაბუთებით, რომ 2002 წლის 11 დეკემბერს ქ.თბილისის ნოტარიუს ნ. მ-ს მიერ დამოწმებულ იქნა ამხანაგობა „...-91-ის“ კრების ოქმი, რომლის თანახმადაც, ამხანაგობამ ფუნქციონირება გააგრძელა სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლების შესაბამისად, როგორც ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობამ, რაზედაც მათ შორის 2002 წლის 24 დეკემბერს გაფორმდა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის ხელშეკრულება. 2002 წლის 11 დეკემბრის ოქმით ამხანაგობის თავმჯდომარედ და გამგეობის წევრად არჩეულ იქნენ დ. დ-ე, ხოლო თანათავმჯდომარედ და გამგეობის წევრად შ. მ-ი. გამგეობის წევრებად ასევე არჩეულ იქნენ ზ. ა-ე და ბ. ტ-ე. კრების ოქმითა და დღის წესრიგის მე-6 საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ

იმ დროისათვის მშენებარე „ბ“ კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებისა და დ. დ-ს, ბ. ტ-სა და ზ. ა-ს მოთხოვნების დაკმაყოფილებისთანავე მათ და ასევე დ. დ-ს უწყდებათ დამფუძნებელი წევრისა და გამგეობის წევრის უფლებამოსილება, ხოლო ამხანაგობის საკუთრებაში არსებული 3590 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 1600 კვ.მ განისაზღვრება მშენებარე „ბ“ კორპუსის მცხოვრებთა საერთო საკუთრებად, ხოლო დანარჩენი 1990 კვ.მ – მშენებარე კორპუსის მცხოვრებთა საერთო საკუთრებად, მშენებარე „ა“ კორპუსის გამგეობის წევრად და თავმჯდომარედ შ. მ-ი.

2002 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განისაზღვრა ამხანაგობის მიზანი, კერძოდ, თბილისში, ... მე-3 მიკრორაიონის I კვარტლის მიმდებარე 3590 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამავე ხელშეკრულების მე-13 პუნქტი ადგენდა, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყდება მას შემდეგ, როდესაც დასრულდება შენობის მშენებლობა, მიღებული იქნება ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით, ყველა წევრი დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში როგორც მესაკუთრე და სრულად შესრულდება წევრების ფინანსური ვალდებულებები ამხანაგობის მიმართ. ამ ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ წევრები განიხილებიან როგორც ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა და კისრულობენ ვალდებულებას, გააფორმონ ურთიერთშორის შესაბამისი ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. უსაფუძვლოა სარჩელში მითითებული გარემოება, თითქოს შ. მ-ს არ ჰქონდა კრების ჩატარების უფლებამოსილება, რის დასადასტურებლადაც მოსარჩელე მხარე მიუთითებს 2005 წლის 30 მარტის კრების ოქმზე, რომლითაც თითქოს შ. მ-მა უარი თქვა თავის უფლებამოსილებაზე, რაც არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან შ. მ-მა თ. მ-სა და ო. ბ-ს მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილება, მინდობილობით მისცა, ხოლო თანათავმჯდომარე ამხანაგობის სრულუფლებიან კრებაზე უნდა გადაერჩინათ, რომელიც ჩატარდებოდა 2002 წლის 24 დეკემბერს ხელშეკრულების 4.3. და 6.7 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „... 91-ის“ სარჩელი 2008 წლის 15 სექტემბრის №2 და 2008 წლის 22 სექტემბრის №3 კრების ოქმების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, პა-

ლატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2002 წლის 11 დეკემბრის ამხანაგობა „... 91-ის“ საერთო კრების (ოქმი №1) გადაწყვეტილებებით ამხანაგობის წევრების მიერ მიღებულ იქნა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სადამფუძნებლო ხელშეკრულების პროექტი, ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარედ და წევრად არჩეულ იქნა დ. დ-ე, ხოლო თანათავმჯდომარედ – შ. მ-ი. გამგეობის წევრებად ასევე არჩეულ იქნენ ზ. ა-ე და ბ. ტ-ე. კრებამ დაამტკიცა მშენებარე „ა“ და „ბ“ კორპუსების ბინებისა და ავტოფარეხების განაწილების გეგმა. კრების გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ „ბ“ კორპუსის აშენების შემდეგ მიწის ნაკვეთი უნდა გაყოფილიყო ორ ნაწილად. „ბ“ კორპუსის მცხოვრებლების საერთო საკუთრებად უნდა განსაზღვრულიყო 1600 კვ.მ ზემოაღნიშნული კორპუსის, 14 ავტოფარეხის აშენებისა და ექსპლოატაციაში შესვლის, ასევე დ. დ-ს, ბ. ტ-სა და ზ. ა-ს მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ მათ უნდა შეწყვეტოდათ გამგეობის წევრის უფლებამოსილება. აღნიშნული პროცედურების შემდეგ ამხანაგობის გამგეობის წევრი და თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო მხოლოდ შ. მ-ი. დასახელებული გარემოებები დასტურდება ამხანაგობა „... 91-ის“ 2002 წლის 11 დეკემბრის კრების №1 ოქმით, ბინებისა და ავტოფარეხების განაწილების სქემებითა და 2002 წლის 24 დეკემბრის ამხანაგობის ხელშეკრულებით.

2002 წლის 24 დეკემბრის ამხანაგობის ხელშეკრულების მიხედვით, ამხანაგობის მიზანია თბილისში, ... III მ/რ-ის I კვარტლის მიმდებარედ 3590 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ შენობის – როგორც ამხანაგობის წევრთა წილობრივი თანასაკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა. ხელშეკრულების მიხედვით, ამხანაგობა „... 91-ის“ მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა წევრის თანხმობა. დამფუძნებელ წევრთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება: 1) ამხანაგობის ძირითადი ორგანიზაციულ-ფინანსური საკითხების გადაწყვეტა; 2) ამხანაგობაში წევრთა მიღება; 3) ამხანაგობაში შენატანების ოდენობისა და კვოტების განსაზღვრა; 4) განუთავსებელი ფართების განაწილება; 5) წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; 6) ამხანაგობის წევრთა შორის წილობრივი საკუთრების იდენტიფიკაცია და განსაზღვრა; 7) ამხანა-

გობის გამგეობის არჩევა; მ) ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარის არჩევა. დასახელებული გარემოებები დასტურდება 2002 წლის 24 დეკემბრის ამხანაგობის ხელშეკრულებით. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 აგვისტოს ბრძანებით თბილისში, ... III მ/რ-ის I კვ-ის მიმდებარედ პროექტის დარღვევით აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი („ბ“ კორპუსი) ჩაითვალა ლეგალიზებულად, საექსპლოატაციოდ ვარგისად და ექსპლოატაციაში იქნა მიღებული. დასახელებული გარემოება დასტურდება თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 აგვისტოს ბრძანებით. 2002 წლის 11 დეკემბრის ამხანაგობა „... - 91-ის“ საერთო კრების (ოქმი №1) გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ავტოფარეხების მშენებლობა წინამდებარე საქმის განხილვის დროისთვის არ არის დასრულებული. შ. მ-ს განმარტებით, ასაშენებელი დარჩა 9 ავტოფარეხი. დასახელებული გარემოება სადავო არ ყოფილა და დასტურდება მხარეთა განმარტებებით. თბილისში, ... III მ/რ-ში I კვარტლის მიმდებარედ აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის „ბ“ კორპუსის აშენების შემდეგ ამხანაგობის 2002 წლის 11 დეკემბრის №1 ოქმით დადგენილი საცხოვრებელი სახლებისა და ავტოფარეხების განაწილების გეგმის მიხედვით დონარა დოლიძეს უნდა მიეღო მეხუთე სართულზე მდებარე ბინა №10, ასევე 34 კვ.მ. ამავე ოქმის მიხედვით, ბ. ტ-ს უნდა გადასცემოდა მესამე სართულზე მდებარე ბინა №5 და 34 კვ.მ ავტოფარეხი, ხოლო ზ. ა-ს უნდა მიეღო მეექვსე სართულზე მდებარე ბინა №12 და 34 კვ.მ ავტოფარეხი. 2008 წლის სექტემბრისათვის დ. დ-ს სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო ამხანაგობის 2002 წლის 11 დეკემბრის №1 ოქმით განსაზღვრული უძრავი ქონება. ანალოგიურად ბ. ტ-სა და ზ. ა-ის სახელზე აღრიცხული იყო იმავე სხდომის ოქმით გამოყოფილი ბინები და ავტოფარეხები.

2008 წლის 15 სექტემბერსა და 22 სექტემბერს შ. მ-მა ჩაატარა ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა ორი კრება, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები: 1. ... მე-3 მ/რ-ის I კვარტლის მიმდებარედ „ა“ კორპუსში კორექტირებული საოფისე ფართისა (363 კვ.მ) და საცხოვრებელი ფართების (191,8 და 223,2 კვ.მ) შ. მ-ს საკუთრებად აღრიცხვის შესახებ; 2. საცხოვრებელი ბინა „ა-სა“ (187,7 კვ.მ) და ბინა „ბ-ს“ (219,1 კვ.მ) შ. მ-ს საკუთრებად აღრიცხვის შესახებ. აღნიშნული კრების ოქმების შედგენაში მონაწილეობდა მხოლოდ შ. მ-ი. კრებების გადაწყვეტილების მიხედვით, უძრავი ქონება საჯა-

რო რეესტრის სამსახურში აღირიცხა შ. მ-ის საკუთრებად. დასახელებული გარემოებები დასტურდება ამხანაგობა „...-91-ის“ დამფუძნებელ წევრთა საერთო კრების 2008 წლის 15 სექტემბრის ოქმი №2-სა და 22 სექტემბრის ოქმი №3-ის საფუძველზე, ასევე საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით. 2008 წლის 15 სექტემბრისა და 22 სექტემბრის ოქმების შესაბამისად, შ. მ-სათვის მიკუთვნებულ იქნა ფართები, რომელთა განაწილებაც არ ყოფილა შეთანხმებული 2002 წლის 11 დეკემბრის ამხანაგობის დამფუძნებელთა კრების მიერ დამტკიცებული გეგმით.

სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წერილობით დადებული ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს: 1. მონაწილეთა დასახელებასა და მისამართს; 2. მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნების შესახებ; 3. მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს; 4. მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს; 5. მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესსა და პირობებს; 6. ხელშეკრულებიდან გასვლის წესს; 7. საქმიანობის ხანგრძლივობას; 8. ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს. ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებს ანიჭებს თავისუფლებას, თვითონ განსაზღვრონ ამხანაგობის საქმიანობის ფუნქციონირების წესი და პირობები, ხოლო ამის არარსებობისას, სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლი ადგენს ზოგად ნორმებს. მოცემულ შემთხვევაში 2002 წლის 11 დეკემბრის კრების მონაწილეთა შეთანხმებით მათ შორის წარმოიშვა ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ, კრების გადაწყვეტილებით ამხანაგობის – „... 91“-ის წევრების მიერ მიღებულ იქნა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების პროექტი, ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარედ და წევრად არჩეულ იქნა დ. დ-ე, ხოლო თანათავმჯდომარედ – შ. მ-ი. გამგეობის წევრებად ასევე არჩეული იქნენ ზ. ა-ე და ბ. ტ-ე. კრებამ დაამტკიცა მშენებარე „ა“ და „ბ“ კორპუსების ბინებისა და ავტოფარეხების განაწილების გეგმა, ასევე კრებამ განსაზღვრა მის მიერ არჩეული გამგეობის წევრებისა და თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა. სახელდობრ, კრების გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ „ბ“ კორპუსის აშენების შემდეგ მინის ნაკვეთი უნდა გაყოფილიყო ორ ნაწილად. „ბ“ კორპუსის მცხოვრებლების საერთო საკუთრებად უნდა განსაზღვრულიყო 1600 კვ.მ. ზემოაღნიშნული კორპუსის, 14 ავტოფარეხის აშენებისა და ექსპლოატაციაში შესვლის, ასე-

ვე დ. დ-ს, ბ. ტ-სა და ზ. ა-ს მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ მათ უნდა შეწყვეტოდათ გამგეობის წევრის უფლებამოსილება. როგორც დადგენილ იქნა, ამხანაგობა „... 91-ის“ 2002 წლის 24 დეკემბრის ამხანაგობის ხელშეკრულებით ამხანაგობის მიზანია თბილისში, ... III მ/რ I კვ-ის მიმდებარედ 3590 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ შენობის, როგორც ამხანაგობის წევრთა წილობრივი თანასაკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა. ხელშეკრულების მიხედვით, ამხანაგობა „... 91-ის“ მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა წევრის თანხმობა. დამფუძნებელ წევრთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება: ამხანაგობის ძირითადი ორგანიზაციულ-ფინანსური საკითხების გადაწყვეტა; ამხანაგობაში წევრთა მიღება; ამხანაგობაში შენატანების ოდენობისა და კვოტების განსაზღვრა; განუთავსებელი ფართების განაწილება; წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; ამხანაგობის წევრთა შორის წილობრივი საკუთრების იდენტიფიკაცია და განსაზღვრა; ამხანაგობის გამგეობის არჩევა; ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარის არჩევა.

მოცემულ შემთხვევაში, ამხანაგობის 2008 წლის 15 სექტემბრისა და 22 სექტემბრის კრების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ იქნა ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხი – დადგინდა შ. მ-ს წილობრივ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხი. როგორც დადგენილ იქნა, დამფუძნებელ წევრთა კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტისათვის ამხანაგობის ხელშეკრულებით შეთანხმებულ იქნა ყველა წევრის თანხმობის აუცილებლობა. ამდენად, სადავო გადაწყვეტილებების მიღებაზე ამხანაგობის სახელით შ. მ-ი ერთპიროვნულად არ იყო უფლებამოსილი, რის გამოც არსებობს აღნიშნული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საფუძველი. პალატამ არ გაიზიარა შ. მ-ს მითითება, რომ სადავო გადაწყვეტილების მიღებისას დ. დ-ს, ბ. ტ-სა და ზ. ა-ს შეწყვეტილი ჰქონდათ ამხანაგობის გამგეობის წევრების უფლებამოსილება 2002 წლის 11 დეკემბრის კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, ვინაიდან მათ გადაეცათ კუთვნილი წილი საკუთრებაში და „ბ“ კორპუსი შევიდა ექსპლუატაციაში. პალატამ აღნიშნა, რომ 2002 წლის 11 დეკემბრის ამხანა-

გობის კრების გადაწყვეტილებით განისაზღვრა გამგეობის წევრთა უფლებამოსილების ვადა შემდეგი პირობების დადგომამდე: 1. გამგეობის წევრთა მიერ კუთვნილი წილის საკუთრებაში მიღება; 2. „ბ“ კორპუსის ექსპლოატაციაში მიღება; 3. 14 ავტოფარეხის აშენება. სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეული უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. მხარეები საგანგებოდ შეთანხმდნენ ხელშეკრულების პირობაზე, რომელიც, თავის მხრივ, პირობით გარიგებას წარმოადგენდა. ვინაიდან, გარკვეული პირობის დადგომას მხარეები უკავშირებდნენ ამხანაგობის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების საკითხის განსაზღვრას, ამგვარი შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმებას გულისხმობს. სამოქალაქო კოდექსის 97-ე მუხლის შესაბამისად, გარიგება გაუქმების პირობით დადებულად ითვლება, როცა ამ პირობის დადგომა ინვესტს გარიგების შეწყვეტას და აღადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას. აღნიშნული ხასიათის გარიგებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: პირობა უნდა დადგეს მომავალში; უცნობია, დადგება თუ არა იგი; პირობის დადგომა უნდა იყოს შესაძლებელი. დასახელებული ნორმა (გარიგება გაუქმების პირობით) ითვალისწინებს ისეთ პირობას, რომლის დადგომა ინვესტს მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტას. განსახილველ შემთხვევაში მხარეებმა განსაზღვრეს სწორედ ამხანაგობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმების პირობა, რაც კონკრეტულ მოვლენებს დაუკავშირეს. თვისობრივად ამგვარი შეთანხმება არ არის უცხო თავად ერთობლივი საქმიანობის სამართალურთიერთობისათვის, რადგან ამხანაგობა – ესაა ხელშეკრულება (სკ-ის 930-ე მუხლი), რომლითაც განსაზღვრული მიზნის მისაღწევად მოქმედებს რამდენიმე პირი და თავისთავად ასეთი ურთიერთობის შეწყვეტა უკავშირდება ამხანაგობის ხელშეკრულებით დათქმული მიზნის მიღწევას. დადგენილია, რომ კონკრეტული პირობა – ავტოფარეხების მშენებლობის დასრულება წინამდებარე საქმის განხილვის დროისთვისაც არ დაყენებულა. ამდენად, 2008 წლის სექტემბრისათვის ამხანაგობა „... 91-ის“ გამგეობის წევრთა უფლებამოსილება არ შეიძლებოდა, მიჩნეულიყო შეწყვეტილად. გარდა ამისა, ამხანაგობის ხელშეკრულების მიხედვით, გამგე-

ობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს ამხანაგობის დამფუძნებელი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას, სადავო გადაწყვეტილების მიღებაზე კი, უფლებამოსილი იყო დამფუძნებელ წევრთა კრება ერთობლივად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „... 91-ის“ თავმჯდომარე დ. დ-მ და ბ. ტ-მ იმ დასაბუთებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეკრებილა მოსარჩელების მიერ გადახდილი ბაჟი. შ. მ-ს უნდა დაკისრებოდა არა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 160 ლარი, არამედ 3150 ლარი, რომელიც მოსარჩელებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაიხადეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შ. მ-მა შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების 4.4. პუნქტში მიუთითა, რომ 2002 წლის 11 დეკემბრის ამხანაგობა „...-91-ის“ საერთო კრების გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ავტოფარეხების მშენებლობა საქმის განხილვის დროისათვის არ არის დასრულებული. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ ფაქტობრივი გარემოებები არ დაადგინა სწორად, კერძოდ, ამხანაგობის 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმის დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით დამტკიცდა მშენებარე „ა“ და „ბ“ კორპუსებში ბინების გარაჟებითურთ, ასევე, ცალკე მდგომი გარაჟების განაწილების სქემა №1, №2 და №3 დანართების მიხედვით. ამავე კრების ოქმით დამტკიცებული №2 დანართის მიხედვით დ. დ-ს მშენებარე „ბ“ კორპუსის მე-5 სართულზე უნდა მიეღო №10 ბინა და №5 ავტოფარეხი, ბ. ტ-ს მე-3 სართულზე №5 ბინა და №1 ავტოფარეხი, ხოლო ზ. ა-ს მე-6 სართულზე №11 ბინა და №6 ავტოფარეხი. კრების ოქმით დადგინდა, რომ იმ დროისათვის მშენებარე „ბ“ კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებისა და დ. დ-ს, ბ. ტ-სა და ზ. ა-ის თანასაკუთრების ტაბულით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებისთანავე მათ უწყდებათ დამფუძნებელი წევრისა და გამგეობის წევრის უფლებამოსილება, აგრეთვე, დ. დ-ს უწყდება გამგეობის წევრისა და თავმჯდომარის უფლებამოსილება, ხოლო ამხანაგობის საკუთრებაში არსებული 3590 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 1600 კვ.მ განისაზღვრება მშენებარე „ბ“ კორპუსის მცხოვრებელთა საერთო საკუთრებად.

2002 წლის 23 დეკემბრის №2 ოქმის საფუძველზე დ. დ-ს ამხანაგობა „... 91-ის“ მიერ მშენებარე, ცალკე მდგომი 14 ავტოფარეხი გადაეცა დროებით პირობადებულ საკუთრებაში, რომ-

ლის თანახმადაც, ამ ავტოფარეხების გადაცემით „... 91-ის“ არსებული ვალდებულებები უნდა დაკმაყოფილებულიყო, თითოეული ასეთი შემთხვევა განხილული უნდა ყოფილიყო ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრებაზე, ხოლო ასეთი ვალდებულებების არარსებობის შემთხვევაში აღნიშნული ავტოფარეხები უნდა ყოფილიყო ამხანაგობის საკუთრება და განთავსებულიყო საერთო წესით, მაშასადამე, 2002 წლის 11 დეკემბრის კრების დღის წესრიგის მე-6 საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებით გადაწყდა კორპუსის ქვეშ განლაგებული ავტოფარეხების საკითხი, ხოლო 2002 წლის 23 დეკემბრის კრების ოქმით ცალკე მდგომი გარაჟების საკითხი, რითაც დასტურდება, რომ ცალკე მდგომი გარაჟების დამთავრების საკითხი, რომელთანაც განსაზღვრულია 9 გარაჟი, არ ეხება 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმში დღის წესრიგის მე-6 პუნქტზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ ავტოფარეხებს, რომლებიც განლაგებულია კორპუსის ქვეშ. თვით სახელწოდება „ცალკე მდგომი ავტოფარეხები“ მიაჩნდება იმაზე, რომ ამხანაგობის წევრები ამ ნიშნით განასხვავებდნენ ამ ავტოფარეხებს კორპუსის ქვეშ განთავსებული ავტოფარეხებისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ცალკე მდგომი ავტოფარეხების მშენებლობის დაუსრულებლობა არასწორად მიიჩნია 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმის დღის წესრიგის მე-6 საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობად, რის გამოც გამოიტანა უკანონო გადაწყვეტილება. გარდა ამისა, პალატამ მიუთითა, რომ ამხანაგობის ხელშეკრულების მიხედვით გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს ამხანაგობის დამფუძნებელი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას. მოცემულ შემთხვევაშიც, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმის დღის წესრიგის მე-6 საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში დ. დ. ს. ბ. ტ-სა და ზ. ა-ს უწყებოდათ დამფუძნებელი წევრისა და გამგეობის წევრის უფლებამოსილება, ხოლო დ. დ-ს უწყებოდა ასევე თავმჯდომარის უფლებამოსილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. მ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული

განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ხოლო 394-ე მუხლის ე' პუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველს წარმოადგენს, თუკი გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონიშნა შეუძლებელია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია კანონის არასწორი განმარტების შედეგად საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების არასრული გამოკვლევა და არასარწმუნოება, კერძოდ:

მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს 2008 წლის 15 სექტემბრისა და ამავე წლის 22 სექტემბრის ამხანაგობა „... 91-ის“ კრების ოქმების ბათილად ცნობა. აღნიშნული ოქმებით შაქრო მაჭავარიანს საკუთრებაში გადაეცა ... მე-3 მ/რ-ის I კვარტლის მიმდებარედ „ა“ კორპუსში კორექტირებული საოფისე (363 კვ.მ) და საცხოვრებელი ფართები (191,8 და 223,2 კვ.მ), ამასთან, საცხოვრებელი ბინა „ა“ (187,7 კვ.მ) და ბინა „ბ“ (219,1 კვ.მ). კრებები ჩატარდა და გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ფართების საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიიღო შ. მ-მა, როგორც ამხანაგობის დამფუძნებელმა ნევრმა და თავმჯდომარემ.

სადავო ფაქტობრივი გარემოების დასადგენად – ჰქონდა თუ არა შ. მ-ს ამხანაგობა „... 91-ის“ კრების №2 და №3 სადავო ოქმების შედგენის დროს ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილება და წარმოადგენდა თუ არა იმ დროისათვის ერთადერთ დამფუძნებელ ნევრს, ერთობლივად უნდა შეფასდეს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგინლად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2002 წლის 11 დეკემბრის ამხანაგობა „... 91-ის“ საერთო კრების (ოქმი №1) გადაწყვეტილებებით ამხანაგობის ნევრების მიერ მიღებულ იქნა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სადამფუძნებლო ხელშეკრულების პროექტი, ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარედ და ნევრად არჩეულ იქნა

დ. დ-ე, ხოლო თანათავმჯდომარედ – შ. მ-ი. გამგეობის წევრებად, ასევე, არჩეულ იქნენ ზ. ა-ე და ბ. ტ-ე. კრებამ დაამტკიცა მშენებარე „ა“ და „ბ“ კორპუსების ბინებისა და ავტოფარეხების განაწილების გეგმა. კრების გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ „ბ“ კორპუსის აშენების შემდეგ მიწის ნაკვეთი უნდა გაყოფილიყო ორ ნაწილად. „ბ“ კორპუსის მაცხოვრებლების საერთო საკუთრებად უნდა განსაზღვრულიყო 1600 კვ.მ ზემოაღნიშნული კორპუსის, 14 ავტოფარეხის აშენებისა და ექსპლოატაციაში შესვლის, ასევე დ. დ-ს, ბ. ტ-სა და ზ. ა-ს მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ მათ უნდა შეწყვეტოდათ გამგეობის წევრის უფლებამოსილება. აღნიშნული პროცედურების შემდეგ ამხანაგობის გამგეობის წევრი და თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო მხოლოდ შ. მ-ი. აქედან გამომდინარე, 2002 წლის 11 დეკემბრის ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებით, იმისათვის, რომ შ. მ-ი გამხდარიყო თავმჯდომარე, უნდა შესრულებულიყო შემდეგი პირობები: გამგეობის წევრთა მიერ კუთვნილი წილის საკუთრებაში მიღება, „ბ“ კორპუსის ექსპლოატაციაში მიღება და 14 ავტოფარეხის აშენება. წარმოდგენილი მტკიცებულებით – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან დასტურდება რომ, გამგეობის წევრებმა მათი კუთვნილი წილები, რაც განსაზღვრული იყო 2002 წლის 12 დეკემბრის კრების ოქმზე დართული №2 და №3 დანართებით, მიიღეს. ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 აგვისტოს ბრძანებით განხორციელდა „ბ“ კორპუსის ლეგალიზაცია. სადავოა მხოლოდ 14 ავტოფარეხის მშენებლობის დასრულების საკითხი.

სააპელაციო სასამართლომ მხარეთა განმარტებებით დადგენილად ცნო, რომ, ვინაიდან 2002 წლის 11 დეკემბრის ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ავტოფარეხების მშენებლობა დასრულებული არ არის და, შ. მ-ს განმარტებებით, ასაშენებელი დარჩა 9 ავტოფარეხი, 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმით გათვალისწინებული პირობა არ შესრულებულა. ამდენად, სადავო 2008 წლის 15 სექტემბრისა და 22 სექტემბრის კრების გადაწყვეტილების მიღებისას გამგეობის წევრთა დ. დ-ს, ბ. ტ-სა და ზ. ა-ს, როგორც გამგეობის წევრთა უფლებამოსილება შეწყვეტილი არ იყო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არ ემყარება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა სრულ გამოკვლევას, კერძოდ, 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმის დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით დამტკიცდა მშენებარე ცალკე მდგომი გარაჟების განაწილების სქემა. ამავე კრების

ოქმის მეექვსე საკითხით კი განისაზღვრა, რომ „ბ“ კორპუსის აშენების შემდეგ მიწის ნაკვეთი უნდა გაიყოს ორ ნაწილად. მშენებარე „ბ“ კორპუსის მცხოვრებლების საერთო საკუთრებად უნდა განსაზღვრულიყო 1600 კვ.მ ზემოაღნიშნული კორპუსის, 14 ავტოფარეხის აშენებისა და ექსპლოატაციაში შესვლის, ასევე დ. დ-ს, ბ. ტ-სა და ზ. ა-ს მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ მათ უნდა შეწყვეტოდათ გამგეობის წევრის უფლებამოსილება. აღნიშნული პროცედურების შემდეგ ამხანაგობის გამგეობის წევრი და თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო მხოლოდ შ. მ-ი. ამავე კრების დადგენილებით ნაწილშიც მითითებულია მშენებარე „ბ“ კორპუსი და 14 ავტოფარეხი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას უნდა გამოეკვლია 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმის მეხუთე საკითხად დაფიქსირებული ცალკე მდგომი 14 ავტოფარეხი და ამავე კრების მეექვსე საკითხში და დადგენილებით ნაწილში დაფიქსირებული 14 ავტოფარეხში იგულისხმება თუ არა ერთი და იგივე ნივთები. აღნიშნული გარემოება კასატორს სადავოდ აქვს გამხდარი და თვლის, რომ მოსარჩელეთა უფლების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა არა ცალკე მდგომი, არამედ კორპუსის ქვეშ არსებული 14 ავტოფარეხის აშენება. მოცემულ შემთხვევაში, კორპუსის ქვეშ ავტოფარეხების არსებობა მოწინააღმდეგე მხარის მიერ სადავოდ არ არის გამხდარი და ასეთი ფაქტი საქმის მასალებითაც იკვეთება. 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმის ნაწილი კი, რომელსაც სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააყრდნო, არ იძლევა უალტერნატივო დასკვნის საფუძველს, რომ იგი ცალკე მდგომ გარაჟებს ეხება. მითითებული ფაქტობრივი გარემოების დასადგენად გამოკვლევას საჭიროებს საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათ შორის 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმის დანართები, 2002 წლის 23 დეკემბრის ამხანაგობა „... 91-ის“ კრების ოქმი №2 და სხვა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ 2008 წლის სექტემბრისათვის ამხანაგობა „...-91-ის“ გამგეობის წევრთა უფლებამოსილება არ შეიძლება და, მიჩნეულიყო შეწყვეტილად. გარდა ამისა, ამხანაგობის ხელშეკრულების მიხედვით, გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს ამხანაგობის დამფუძნებელი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას, სადავო გადაწყვეტილების მიღებაზე კი, უფლებამოსილი იყო დამფუძნებელ წევრთა კრება ერთობლივად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმრტავს, რომ 2002 წლის 12 დეკემბრის კრების მეექვსე საკით-

ხთან დაკავშირებით მოდავე მხარეები ერთმნიშვნელოვნად და არაორაზროვნად შეთანხმდნენ, რომ შეთანხმებული პირობების, კერძოდ, გამგეობის წევრთა მიერ კუთვნილი წილის საკუთრებაში მიღების, „ბ“ კორპუსის ექსპლოატაციაში მიღებისა და 14 ავტოფარეხის აშენების დადგომის შემდეგ ბ. ტ-სა და ზ. ა-ს შეუწყდებოდათ ამხანაგობის დამფუძნებელი წევრისა და გამგეობის წევრების, ხოლო დ. დ-ს ამავდროულად თავმჯდომარის უფლებამოსილება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სამი პირობის დადგომის შემდეგ ისინი საერთო კრებაში არ შედიოდნენ და მათ უფლებამოსილებას არ წარმოადგენდა 2002 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულების 5.2.1 პუნქტში მითითებულ საკითხზე მსჯელობა და მონაწილეობის მიღება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს, დაადგინოს და შეაფასოს საქმის შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2002 წლის 12 დეკემბრის კრების ოქმის მე-6 პუნქტში და დადგენილებით ნაწილში მითითებული 14 ავტოფარეხი ცალკე მდგომია თუ კორპუსის ქვეშ არის განთავსებული;

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დ. დ-ს, ბ. ტ-ს და ზ. ა-ს გადაეცათ თუ არა ავტოფარეხები და რა რაოდენობით;

2002 წლის 23 დეკემბრის ამხანაგობა „... 91-ის“ კრების ოქმით მხარეთა შეთანხმების საგანი რა კავშირშია 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმით განსაზღვრულ პირობასთან, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება განისაზღვროს ჰქონდა თუ არა შ. მ-ს სადავო 2008 წლის 15 და 22 სექტემბრის კრების №2 და №3 ოქმების მიღების დროს თავმჯდომარის უფლებამოსილება.

ამასთან, მოცემულ დავაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაწყდეს სახელმწიფო ბაჟის მხარეთა შორის განაწილების საკითხი, შესაბამისად, დ. დ-ს და ბ. ტ-ს საკასაციო საჩივარიც ბაჟის განაწილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „...-91-ის“ დ. დ-ს, ბ. ტ-

სა და შ. მ-ს საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განჩინება

№ას-617-587-2013

26 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელმა ნ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. პ-ის მიმართ მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. პ-ს მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ა. პ-ის მიმართ შეეზღუდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. პ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვე-

ტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 ივნისის განჩინებით გ. პ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმობაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

2013 წლის 26 ივნისს ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელმა ნ. გ-მა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, საჯარო რეესტრში ა. პ-ის სახელზე თანასაკუთრების უფლებით აღრიცხულ ქ.თბილისში, ზ. ბ-ის (ყოფილი ე-ის) ქუჩა №1-ში მდებარე 20 კვ.მ №42 ბინას (საკადასტრო კოდი №...) დაედოს ყადაღა მოცემულ საქმეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე შემდეგი საფუძვლებით:

ნ. გ-ი არის ... წელს დაბადებული ა. პ-ის დეიდა, რომელიც ა. პ-ის დედის – ზ. გ-ის გარდაცვალების შემდეგ ყველანაირად ზრუნავდა დისშვილზე და 2001 წლის 31 ივლისიდან იყო მისი მეურვე. ამჟამადაც ა. პ-ი ცხოვრობს ნ. გ-ან, რომელიც უზრუნველყოფს მას მატერიალურად და ხელმძღვანელობს მის აღზრდას.

1999 წელს ზ. გ-ის გარდაცვალების შემდეგ ქ.თბილისში, ზ. ბ-ის (ყოფილი ე-ის) ქუჩა №1-ში მდებარე 20 კვ.მ №42 დედის ოჯახის კუთვნილი ბინა მემკვიდრეობით მიიღო ა. პ-მა. ნ. გ-ის ხელმძღვანელობით უძრავი ნივთი გაიცა იჯარით და შემოსავალი ხმარდება ა. პ-ს.

ბავშვის მამა – გ. პ-ი წლების განმავლობაში არ მონაწილეობდა შვილის აღზრდაში. მისი მამობის ფაქტი მხოლოდ 2002 წლის 29 მაისს დადგინდა ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. გ. პ-ს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა აქვს. იგი აღრიცხულია სოციალურად დაუცველთა სიაში და იღებს შემწეობას. განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა, რომ სოციალურად დაუცველთა სიაში ა. პ-ის აღრიცხვის გზით ანალოგიური შემწეობა დაენიშნა ა. პ-ს, რისთვისაც მამამ იგი თავის მისამართზე დაარეგისტრირა, თუმცა ა. პ-ის კუთვნილი თანხა გ. პ-ს შვილისათვის არ გადაუცია და იყენებს საკუთარი საჭიროებისათვის.

2012 წლის 18 ოქტომბერს ნ. გ-ი გათავისუფლდა ა. პ-ის მზრუნველობისაგან გ. პ-ის სასარგებლოდ, შესაბამისად, ეს უკანასკნელი გახდა ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი და უფლება მიიღო, განკარგოს მისი ქონება.

ამჟამად წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა გ. პ-ის, როგორც მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა, რაც ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფი-

ლებულია, თუმცა არსებობს საშიშროება, რომ აღნიშნული გა-
დანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე გ. პ-ი განკარ-
გავს და სხვაგვარად უფლებრივად დატვირთავს ა. პ-ის კუთ-
ვნილ უძრავ ქონებას, რის საფასურსაც, სოციალურად დაუც-
ველთა შემწეობის მსგავსად, თავად მოიხმარს.

ამდენად, არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძი-
ების გამოყენების სამართლებრივი წინაპირობა და ზემოხსენე-
ბულ უძრავ ნივთს უნდა დაედოს ყადაღა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკაცაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარ-
მოდგენილი შუამდგომლობის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ
ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელ ნ. გ-ის განცხადება სარჩე-
ლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნ-
და დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ა. პ-ის საპ-
როცესო წარმომადგენელ ნ. გ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო
სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16
იანვრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა და მოპასუხე გ. პ-
ს მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ა. პ-ის მი-
მართ შეეზღუდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად
დარჩა სააპელაციო პალატის მიერ.

წარმოდგენილი განცხადებით მხარე მოითხოვს, ყადაღა და-
ედოს ა. პ-ის კუთვნილ უძრავ ქონებას, რათა თავიდან აცილე-
ბულ იქნას საშიშროება, რომ მოპასუხე გ. პ-ი, როგორც უძრავი
ნივთის მესაკუთრის კანონიერი წარმომადგენელი, მოცემული
დავის დასრულებამდე არასრულწლოვანი ბავშვის საზიანოდ
განკარგავს ან უფლებრივად დატვირთავს მას. რადგან გ. პ-ი
წლების განმავლობაში თავს არიდებს შვილის აღზრდაში მონა-
წილეობას და ა. პ-ის, როგორც სოციალურად დაუცველისათვის
დანიშნულ შემწეობასაც თავად იყენებს, არსებობს დასაბუთე-
ბული ეჭვი, რომ უძრავი ქონების განკარგვით მიღებულ სარგე-
ბელსაც მოპასუხე საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენებს.
აღნიშნულით კი არასრულწლოვან ა. პ-ს ზიანი მიადგება და მო-
ცემულ საქმეზე მისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევა-
ში მიღებული გადაწყვეტილება ვეღარ აღსრულდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი და
მე-2 ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სა-
სამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადე-
ბით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე,
რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა

განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მხარეს, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუ იქმნება ვარაუდი, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება. ამისათვის მხარემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია იმის გამო, სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ღონისძიების გატარების შედეგად დაცული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული მხარეთა თა.სწორების ბალანსი.

ზემოხსენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებ-

რივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელ ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელ ნ. გ-ის სარჩელი ორივე ქვემდგომის ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია, რაც ზრდის სარჩელის უზრუნველყოფის საჭიროებას.

კანონის ზემოხსენებული დანაწესის შესაბამისად, განმცხადებელმა წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ ქ.თბილისში, ზ. ბ-ის (ყოფილი ე-ის) ქუჩა №1-ში მდებარე 20 კვ.მ №42 ბინა (საკადასტრო კოდი№...) საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხულია ა. პ-ის სახელზე.

საკასაციო სასამართლო ასევე ითვალისწინებს მოცემული დავის სპეციფიკურობას (სადავოა გ. პ-ის, როგორც არასრულწლოვანი ბავშვის მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა) და მიიჩნევს, რომ არსებობს განსახილველი განცხადებით მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი წანამძღვრები, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მშობლებს ევალებათ, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით კი, მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გ. პ-ის მიერ არასრულწლოვანი ა. პ-ის კუთვნილი უძრავი ნივთის მისივე ინტერესების სანინააღმდეგოდ განკარგვის შემთხვევაში, მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების (თუ ასეთი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა) სათანადოდ აღსრულდება საფრთხე შეექმნება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახეები. ხოლო მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ნორმა სასამართლოს ანიჭებს უფლებას გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩე-

ლის უზრუნველყოფისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელ ნ. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და ა. პ-ის კუთვნილ ქ.თბილისში, ზ. ბ-ის (ყოფილი ე-ის) ქუჩა №1-ში მდებარე 20 კვ.მ №42 ბინას (საკადასტრო კოდი №...) უნდა დაედოს ყადაღა მოცემულ საქმეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. პ-ის საპროცესო წარმომადგენელ ნ. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ქ.თბილისში, ზ. ბ-ს (ყოფილი ე-ის) ქუჩა №1-ში მდებარე ა. პ-ის კუთვნილ 20 კვ.მ №42 ბინას (საკადასტრო კოდი №...) დაედოს ყადაღა მოცემულ საქმეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო სსდომაზე მხარის
გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი**

განჩინება

№ას-1212-1141-2012

15 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. ს-ის სარჩელი მოპასუხეების – ნ. ს-ისა და შ. ც-ის მიმართ, რომლითაც მან მოითხოვა მოპასუხეებს შორის 2011 წლის 19 მაისს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ს-მ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მაისის საოქმო განჩინებით დ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობა, რომელიც როგორც საქმის მასალებით დადასტურდა 2012 წლის 11 მაისს ხელწერილით პირადად იქნა გაფრთხილებული 2012 წლის 22 მაისის სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე. ამავე ხელწერილში მითითებული იყო სხდომაზე გამოცხადების სავალდებულობისა და გამოუცხადებლობის სავალდებულო შედეგების შესახებ. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლებოდა 2012 წლის 11 მაისს. შესაბამისად, აპელანტი 11 დღით ადრე იყო ინფორმირებული სხდომის დანიშვნის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია საქმეში არსებული მასალები და თბილისის სააპელაციო სასამართლოში იმ დროისათვის შესული კორესპონდენცია და დარწმუნდა, რომ აპელანტს სასამართლოსათვის არ უცნობებია დაუძლეველი ძალის

ან სხვა რაიმე ისეთი მოვლენის შესახებ, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის სასამართლოში დროულად გამოცხადებაში. ამასთან, სასამართლო პროცესზე აპელანტის წარმომადგენელმა ც. დ-მა წარადგინა განცხადება, რომლითაც იგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო შუამდგომლობდა სხდომის გადადების თაობაზე. სასამართლოს მხოლოდ ამ განცხადებით ვერ შეექმნა რწმენა აპელანტის წარმომადგენლის გამოცხადების შეუძლებლობის საპატიო მიზეზების არსებობასთან დაკავშირებით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა სხდომის გადადების კანონისმიერი წინაპირობები და მონინალმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საფუძვლიანი იყო, გამომდინარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. ს-ის წარმომადგენელმა ც.დ-მა. კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონსაწინააღმდეგოა და იგი უნდა გაუქმდეს. სასამართლო პროცესზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ავადმყოფობით, რის თაობაზეც სასამართლოს ეცნობა კანონით დადგენილი წესით. ამასთან, სასამართლოს ეცნობა ისიც, რომ ცნობა ავადმყოფობის შესახებ წარედგინებოდა. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით სასამართლო ტოვებს საქმეს განუხილველად სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის პირობებში, მაგრამ საქმის განუხილველად დატოვება არ შეიძლება თუ ეს გამოუცხადებლობა გამოწვეულია საპატიო მიზეზით.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საჩივარს თან ერთვის ავადმყოფობის შესახებ ცნობა, სადაც მითითებულია სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე, კერძოდ, იმაზე რომ ც.დ-ს ჰქონდა მაღალი წნევა (210-110-ზე). ასეთ დროს შეუძლებელია სიარული. საგულისხმოა ისიც, რომ ექიმის გადანყვეტილებით საჭირო იყო ჰოსპიტალიზაცია, რაზეც პაციენტმა უარი განაცხადა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ს-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინალმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანხმავ, სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული.

ზემოაღნიშნულ ნორმათა მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას აპელანტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, თუ მონინალმდეგე მხარე ამის წინააღმდეგი არ არის და, თუ აპელანტი კანონით დადგენილი წესით მონვეული იყო საქმის განხილვაში და არ გამოცხადდა არასაკმატო მიზეზით.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ აპელანტის წარმომადგენელი სხდომის დღეს იყო ავად, ამიტომ ვერ შეძლო სასამართლოში გამოცხადება. ამასთან, სასამართლო სხდომის დაწყებამდე მან წარადგინა განცხადება, რომლითაც ავადმყოფობის გამო ითხოვა პროცესის სხვა დროისათვის გადადება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გადასინჯვა და საქმის განახლება უნდა მოხდეს იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილე-

ბის გადასინჯვის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსრულებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსრულებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსრულებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილია აპელანტის

წარმომადგენლის, ც. დ-ის განცხადება, რომლითაც იგი შუამდგომლობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინაშე 2012 წლის 22 მაისის სხდომის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე მისი ავადმყოფობის გამო. განცხადებაში აღნიშნულია, რომ შესაბამისი ცნობა სასამართლოს მოგვიანებით წარედგინება. კერძო საჩივარს თან ერთვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმადაც პაციენტ ც. დ-ს 2012 წლის 22 მაისს დაუდგინდა ესენციური ჰიპერტენზიის დიაგნოზი, რის გამოც საჭირო იყო მისი ჰოსპიტალიზაცია. აღნიშნული ცნობის შინაარსი (მასში ასახული დიაგნოზი, ჩივილები, რომელიც პაციენტს აღენიშნებოდა, ობიექტური მონაცემები) იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ განმცხადებელს გააჩნდა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო სხდომამდე აპელანტის წარმომადგენელმა შეასრულა თავისი საპროცესო ვალდებულება, კერძოდ, სასამართლოს წერილობით აცნობა სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი. შესაბამისად, მითითებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ს-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მაისის საოქმო განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაუსრეპელი გადაწყვეტილება

ბანრინება

№ას-279-266-2013

10 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სარჩოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 21 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ზ. გ-მა მოპასუხე სს „ე. ქ-ი“ მიმართ და მოითხოვა, რომ მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა მიუღებელი სარჩოს – 18246 ლარის ანაზღაურება.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელის მეუღლე (ვ. გ-ი) მუშაობდა სს „ე. ქ-ი“ 1951 წლიდან და იყო მე-3 თანრიგის ზეინკალი. 1979 წელს მან მიიღო ტრავმა ქარხანაში შრომითი მოვალეობის შესრულების დროს, დაკარგა შრომის უნარი 60%-ით და აღნიშნულის საფუძველზე იღებდა პენსიას 1979 წლიდან. 2005 წლის 21 დეკემბერს ვ. გ-ი გარდაიცვალა და სარჩო დაენიშნა მის მეუღლეს (ზ. გ-ს), როგორც მარჩენალდაკარგულ პირს. ის გარემოება, რომ ვ. გ-ის გარდაცვალების შემდეგ საწარმომ 2005 წელს სარჩო დაუნიშნა მის მეუღლეს, არის აღიარება და მტკიცებულება იმისა, რომ ვ. გ-ი გარდაიცვალა საწარმოო ტრავმით მიყენებული დაზიანებისაგან. 2005 წელს ზეინკლის ხელფასი შეადგენდა 500 ლარს, ვ. გ-ს 2005 წლის 30 მაისიდან გარდაცვალებამდე – 2005 წლის 21 დეკემბრამდე, ე.ი. 6 თვის განმავლობაში პენსია არ მიუღია. 500 ლარის 60% შეადგენდა ყოველთვიურად 300 ლარს. ამდენად, ვ. გ-ის მიუღებელი თანხა შეადგენდა 2006 წლის 1 იანვრისათვის 1800 ლარს. 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 აგვისტომდე ვ. გ-ის მეუღლე ზ. გ-ი იღებდა პენსიას თვეში 66 ლარის ოდენობით, ნაცვლად 300 ლარისა, ე.ი. ის იღებდა 234 ლარით ნაკლებს და მითითებული პერიოდისათვის მიუღებელმა თანხამ შეადგინა 4446 ლარი. 2007 წლის 1 აგვისტოდან გარდაცვალებამდე – 2009 წლის 29 სექტემბრამდე ზ. გ-ს მოპასუხისაგან რაიმე თანხა არ მიუღია. ზეინკლის ხელფასი ამ პერიოდში

სათვის შეადგენდა 800 ლარს, ხოლო 60% – 480 ლარს, შესაბამისად, ზ. გ-ს ეკუთვნოდა კიდევ 12000 ლარი, მთლიანობაში, 18246 ლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ვ. გ-ის გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა სიმსივნით ინტოქსიკაცია და არა სანარმოო ტრავმა, ამიტომ ზ. გ-ის სარჩოს დანიშვნის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 დეკემბრის საოქმო განჩინებით აღნიშნულ საქმეში ზ. გ-ის უფლებამონაცვლედ დაშვებულ იქნა ე. გ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით ე. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით;

1. ე. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მონინალ-მდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო;

2. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

3. ე. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა;

4. მოპასუხე სს „ე. ქ-ას“ მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩოს სახით დაეკისრა 18246 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ამ ნორმის მიხედვით, თუ საქმის განხილვაზე მონინალმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტის მონინალ-მდეგე მხარეს – სს „ე. ქ-ას“ ეცნობა სხდომის დღისა და ადგილის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, თუმცა საზოგადოების წარმომადგენელს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი სასამართლოსათვის არ უცნობებია. ამასთან, სააპელაციო საჩივარში და სარ-

ჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, მათი დამტკიცებულად მიჩნევის პირობებში, იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. ამ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა სს „ე. ქ-ამ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 იანვრის განჩინებით სს „ე. ქ-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2012 წლის 18 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა სს „ე. ქ-ის“ დირექტორის მიერ საჩივარში გამოუცხადებლობის მიზეზად მითითებულ გარემოებაზე, კერძოდ იმაზე, რომ სასამართლო განხილვის დღეს მისი წარმომადგენელი გახდა შეუძლოდ და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო იძულებული გახდა დაუყოვნებლივ მიემართა სამედიცინო დაწესებულებისათვის. აღნიშნულის დასტურად საჩივრის ავტორმა მიუთითა საჩივარზე თანდართულ სტომატოლოგიური კლინიკა შპს „...-ის“ დირექტორის მიერ გაცემულ 2012 წლის 27 სექტემბრის ცნობაზე, საიდანაც ირკვევა, რომ პ. ლ-ე 2012 წლის 18 სექტემბერს 12 საათიდან 13 საათამდე იმყოფებოდა ექიმ-სტომატოლოგთან მიღებაზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი იმპერატიულად ადგენს, რომ ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ უნდა მიუთითებდეს სასამართლო პროცესზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობაზე, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა, ვინაიდან წარდგენილ ცნობაში არ იყო მითითებული მხარის სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ თავად მხარის წარმომადგენელს არ უცნობებია სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის შესახებ თუნდაც სატელეფონო ზარის განხორციელების გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2012 წლის 18 სექტემბერს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მონინალმდევე მხარის წარმომადგენლის

გამოუცხადებლობა არ ყოფილა განპირობებული საპატიო მიზეზით, რაც გამოორიცხავდა საჩივრის დაკმაყოფილებას და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ მხარის მიერ სააპელაციო საჩივარზე შეტანილ იქნა შესაგებელი სააპელაციო საჩივარში მითითებული საფუძვლების უარყოფით და შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთებით, რაც გამოორიცხავდა ასეთი მხარის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო ამონმებს მხოლოდ სააპელაციო საჩივრის (სარჩელის) სამართლებრივ საფუძვლიანობას. კონკრეტულ შემთხვევაში, საჩივარში მითითებული მოთხოვნის ხანდაზმულობა იყო შესაგებლის პოზიცია, რაზეც სასამართლო არ მსჯელობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფარგლებში. ვ. გ-ის გარდაცვალების მიზეზი უკავშირდებოდა ფაქტობრივი გარემოების დადგენას, რასაც სასამართლო ასევე არ ამონმებდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის საფუძველზე სასამართლო ამონმებს თუ რამდენად ამართლებს მითითებული გარემოებები იურიდიულად მოთხოვნას, რაც წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის საკმარის საფუძველს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივარი უსაფუძვლო იყო და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ზემოთითებული განჩინება დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ე. ქ-ამ“, რომელმაც მოითხოვა მათი გაუქმება.

საკასაციო საჩივრის მოტივები:

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 18 სექტემბრის სხდომაზე სს „ე. ქ-ის“ წარმომადგენელ პ. ლ-ის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებებით, კერძოდ, სასამართლო განხილვის დღეს ის გახდა შეუძლოდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო იძულებული შეიქმნა დაუყოვნებლივ მიემართა სამედიცინო დაწესებულებისათვის, რამაც განაპირობა სასამართლო პროცესზე მონააღმდეგე მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა. ამასთან დაკავშირებით, სამედიცინო დაწესებულების დირექტორმა გასცა ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ პ. ლ-ეს გაუარესებული ჰქონდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამის გა-

მო იგი იმყოფებოდა სამედიცინო დანესებულებაში და დროის მოცემულ მონაკვეთში შეუძლებელი იყო როგორც სასამართლო პროცესზე მისი გამოცხადება, ასევე აღნიშნულის თაობაზე სასამართლოსათვის შეტყობინება;

სს „ე. ქ-ამ“ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეიტანა შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე საჩივარში მითითებული საფუძვლების უარყოფით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ცდილობდა სრულად განეხორციელებინა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები და დაეცვა თავისი ინტერესები. ასეთ პირობებში, გამოირიცხებოდა ამ უკანასკნელის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა;

არასწორია სასამართლოს მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხზე. ის გარემოება, რომ მოსარჩელე სარჩოს იღებდა 2012 წლის 1 აგვისტომდე, ხოლო სარჩელი შეტანილ იქნა 2009 წლის 21 ივლისს, ვერ ჩაითვლება წარდგენილი მოთხოვნის ნაწილობრივ ხანდაზმულად არცნობის საფუძვლად. იმის გათვალისწინებით, რომ საქმე შეეხება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ხანდაზმულობის ვადის დენა წარმოებს ყოველი ცალკეული ვალდებულების შესრულების ვადის წარმოშობის მომენტიდან. შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს 2005-2006 წლებში წარმოშობილი მოთხოვნები ხანდაზმულად უნდა ჩაეთვალოს;

მოცემულ საქმეში, ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს გარდაცვლილი ვ. გ-ის გარდაცვალების მიზეზის სამართლებრივი კავშირი წარდგენილ მოთხოვნასთან. საქმეში არსებული გარდაცვალების მოწმობით ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ ვ. გ-ის გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა სიმსივნით ინტოქსიკაცია და არა სანარმოო ტრავმა. მითითებული გარემოება დასტურდება სათანადო მტკიცებულებით. აქედან გამომდინარე, არ შეიძლებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველ ნაწილზე აპელირებით, სასამართლოს დადგენილად არ მიეჩნია დასახელებული გარემოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ე. ქ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელა-

ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მონინალმდეგე მხარე, რის გამოც სასამართლომ მის წინააღმდეგ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დადგენილია, ისიც, რომ აპელანტის მონინალმდეგე მხარე კანონით დადგენილი წესით მონვეული იყო საქმის განხილვაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

მოცემულ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად კასატორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოში მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, მისი წარმომადგენლის ავადმყოფობით. აღნიშნულის დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილია სტომატოლოგიური კლინიკა შპს „...-ის“ დირექტორის 2012 წლის 27 სექტემბრის ორი ცნობა, რომელთა თანახმად, პ. ლ-ე 2012 წლის 18 სექტემბერს 12 საათიდან 13 საათამდე იმყოფებოდა ექიმ-სტომატოლოგთან მიღებაზე და ჩატარებული მკურნალობისათვის გადაიხადა 50 ლარი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული ცნობები არ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 18 სექტემბრის სხდომაზე აპელანტის მონინალმდეგე მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიოობას. კერძოდ, საპატიო მიზეზის დეფინიციას განამტკიცებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ ასეთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით

შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ავადმყოფობა წარმოადგენს სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს. ამასთან, ასეთი გარემოების არსებობა უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებით.

განსახილველ შემთხვევაში, სს „ე. ქ-ის“ წარმომადგენლის ავადმყოფობის დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილი ცნობა არ პასუხობს 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნას. კერძოდ, მასში არაა მითითებული სასამართლო პროცესზე მხარის წარმომადგენლის გამოცხადების შეუძლებლობაზე. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომა დანიშნული იყო 2012 წლის 18 სექტემბერს 13-00 საათზე, აპელანტის წარმომადგენელი კი 12-00 საათიდან იმყოფებოდა კბილის ექიმთან მიღებაზე, შესაბამისად, კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი სარწმუნო დასაბუთება იმის თაობაზე, თუ რატომ ვერ შეძლო მისმა წარმომადგენელმა სხდომის დაწყებამდე ეცნობებინა სასამართლოსათვის მისი ავადმყოფობის შესახებ და მოეთხოვა საქმის განხილვის გადადება.

კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად ასევე უთითებს იმ გარემოებებზე, რომ: 1. სს „ე. ქ-ამ“ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეიტანა შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე, რომლითაც უარყო საჩივარში მითითებული საფუძვლები და რომლის გამოც გამოირიცხებოდა მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ ვ. გ-ის გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა სიმსივნით ინტოქსიკაცია და არა სანარმოო ტრავმა, რაც გამოირიცხავდა მისი მეუღლისათვის სარჩოს დანიშვნის შესაძლებლობას; 2. სასამართლოს 2005-2006 წლებში წარმოშობილი მოთხოვნები ხანდაზმულად უნდა ჩაეთვალა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის ზემოთ მოყვანილ არგუმენტებს და განმარტავს შემდეგს:

სასამართლო სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის (სააპელაციო მოპასუხის) გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ სააპელაციო

მოსარჩელის (აპელანტის) მიერ მითითებული გარემოებების იურიდიულ შესაბამისობაზე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებით, თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230.2 და 387.2 მუხლებისა. სააპელაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას არა მარტო სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პრეზუმფციასაც ეფუძნება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მიიჩნევა დამტკიცებულად და, თუ ისინი იურიდიულად ასაბუთებენ აპელანტის მოთხოვნას, სასამართლო დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო.

განსახილველ შემთხვევაში, აპელანტმა სააპელაციო საჩივარი და სარჩელში მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

1. ვ. გ-ის სს „ე. ქ-ი“ მუშაობდა მე-3 თანრიგის ზეინკლად. 1979 წლიდან სანარმოში მიღებული ტრავმის შედეგად დაკარგა შრომის უნარი 60%-ით, რის გამოც დანიშნული ჰქონდა და იღებდა სარჩოს მოპასუხე ორგანიზაციიდან. 2005 წლის 25 მაისიდან 21 დეკემბრამდე ვ. გ-ის მიმართ გაუცემელი სარჩოს სახით დავალიანება შეადგინდა 1800 ლარს;

2. ვ. გ-ის გარდაცვალების შემდგომ, 2006 წლიდან სარჩო დაენიშნა მის მეუღლეს ზ. გ-ს, როგორც მარჩენალდაკარგულ პირს. 2006 წლის იანვრიდან 2007 წლის აგვისტომდე, ზ. გ-ი სარჩოს სახით იღებდა 66 ლარს, ნაცვლად 300 ლარისა (ზეინკლის ხელფასის 60%), რის გამოც ამ პერიოდში მიუღებელმა თანხამ შეადგინა 4446 ლარი;

3. 2007 წლის 1 აგვისტოდან გარდაცვალებამდე, 2009 წლის 29 სექტემბრამდე ზ. გ-ს სარჩო არ მიუღია, რის გამოც მის მიმართ არსებულმა დავალიანებამ შეადგინა 12000 ლარი (ზეინკლის ხელფასი 800 ლარი, 60% – 480 ლარი, 25 თვეზე – 12000 ლარი);

4. სულ მიუღებელმა სარჩომ შეადგინა 18246 ლარი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გაქარწყლების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა სააპელაციო მოპასუხეს (სს „ე. ქ-ს“), მაგრამ, ვინაიდან იგი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, ამიტომ ასეთ შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო. ასეთ ვითარებაში, საკასაციო სასა-

მართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად (დამტკიცებულად) ე. გ-ის სააპელაციო საჩივარსა და სარჩელში მითითებული გარემოებები, რომლებიც, სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 1006-ე მუხლების შესაბამისად, იურიდიულად ამართლებენ აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნას.

დაუსაბუთებელია ასევე კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს სარჩელი ხანდაზმულად უნდა მიეჩნია, ვინაიდან მოპასუხე თავის შესაგებელში მიუთითებდა სარჩელის ხანდაზმულობაზე. როგორც აღინიშნა, სააპელაციო სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს არ ამონმებს შესაგებელში მითითებული პოზიციის სისწორეს, არამედ ხელმძღვანელობს მხოლოდ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით და არკვევს, ეს გარემოებები, მათი დამტკიცებულად მიჩნევის შემთხვევაში, იურიდიულად ამართლებენ თუ არა აპელანტის მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე ითქვა, სააპელაციო საჩივარსა და სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდნენ აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმის, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ე. ქ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 სექტემბრის და-

უსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2013 წლის 29 იანვრის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განჩინებაში უსწროების განხორციელება

განჩინება

№ა-854-გან-6-2011

2 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემაღვენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეიძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. მ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ე. პ-იანის მიმართ უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1964 წლიდან 1995 წლამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის სარაიონათამორისო სახელმწიფო საწარმო „...ის“ საწყობის გამგედ. ამავე საწარმოში, 1986 წლიდან 1995 წლამდე მუშაობდა მ. კ-ვა – საწარმოს ბუღალტრად. ერთმანეთთან ახლო და კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდათ, რასაც დავმატა ისიც, რომ მოსარჩელე ფაქტობრივ, ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა მის მეზობელთან, მოპასუხე ე. პ-იანთან. იმის გამო, რომ მ. კ-ვასა და მის მეუღლე ი. მ-ვს არ ჰყავდათ შვილები და ახლო ნათესავები, მათივე თხოვნით მეურვეობა და მზრუნველობა მოსარჩელემ და მოპასუხემ გაუწიეს. მოპასუხის მეურვეობა და მზრუნველობა გამოიხატებოდა და შემოიფარგლებოდა დიასახლისობით, ხოლო მათი მოვლის მატერიალურ ხარჯებს იღებდა მოსარჩელე. მადლიერების ნიშნად, მ. კ-ვმა და ი. მ-ვმა გადაწყვიტეს მათი კუთვნილი ბინის მხარეებისათვის ჩუქება. ქ.თბილისში, გამზირ №82-ში მდებარე ბინა №37 ირიცხებოდა ი. მ-ვის სახელზე, და ვინაიდან, იგი იყო ღრმად მოხუცებული,

ორივე მხარის გადაწყვეტილებით, ი. მ-ვის საკუთრებაში არსებულ და ფაქტობრივად ნაჩუქარ ბინაზე გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, იმის გამო, რომ ი. მ-ვის მიერ, ანდერძის დაწერისა და გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით ბინის მხარეთათვის მიღების შემთხვევაში, როგორც არაკანონიერი მემკვიდრეები, არ დაბეგრლიყვნენ ან სიცოცხლეშივე ნაჩუქრობის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში არ ჰქონოდათ საშემოსავლო გადასახადი. ასევე მოსარჩელის, ე. პ-იანისადმი, ნდობისა და სიყვარულის გამოხატვის ნიშნად, იგი დასთანხმდა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულიყო ე. პ-იანთან და ბინა აღრიცხულიყო მის სახელზე. ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა 2001 წლის 7 ივნისს. ხელშეკრულების თანახმად, ბინა გაიყიდა 1500 ლარად, ხოლო გამყიდველმა აიღო ვალდებულება, მყიდველისათვის ბინა გადაეცა 2001 წლის 15 ივნისისათვის. სინამდვილეში, „მყიდველს“ „გამყიდველისთვის“ ბინა არ გადაუცია, ე.ი 2001 წლის 7 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება იყო ფორმალური გარიგება. მისი ამ სახით გაფორმებით დაიფარა ნამდვილი ხელშეკრულების შინაარსი, სადაც მყიდველებად უნდა დაფიქსირებულიყვნენ მოსარჩელე და მოპასუხე თანაბარწილად. უფრო მეტიც, ეს იყო ფაქტობრივად სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, რომლითაც მხარეებმა იკისრეს მოხუცი ცოლ-ქმრის სიკვდილამდე რჩენა და შემდგომ დაკრძალვა. აღნიშნული მხარეთა მიერ პირნათლად იქნა შესრულებული. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე მხარემ აღნიშნა, რომ მისთვის ხელშეკრულების დადების ფაქტი ცნობილი იყო, მაგრამ არ იყო ცნობილი ხელშეკრულების შუნაარსი, რომელიც შეიტყო მხოლოდ სარჩელის მომზადების ეტაპზე, რაც განპირობებული იყო მხარეთა შორის არსებული კონფლიქტური სიტუაციით, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ აპირებდა ხელშეკრულებით დაინტერესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ქ. თბილისში, გამზირ №82-ში მდებარე №37 ბინის 1/2 წილზე თანამესაკუთრედ ცნობა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელე გ. მ-შვილი და ე. პ-იანი 18 წელი იმყოფებიან არარეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში შვილები არ შესძენიათ. მანამდე ორივე მათგანი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ სხვა მეუღლეებთან და ჰყავთ შვილები. ამასთან, გ. მ-შვილის სახელზე, რეგისტრირებული ქორწინების დროს თბილისში, მუხიანის დასახლებაში ირიცხებოდა ოთხოთახიანი ბინა, რომელიც განქორწინებისას და ე. პ-იანთან საცხოვრებლად გადმოსვლისას დაუტოვა ცოლ-შვილს. მემ-

კვიდრეობით მიღებული აქვს და მის სახელზე ირიცხება სიღნაღის რაიონის სოფელში საცხოვრებელი სახლი 22000 კვ. მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით. სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მოსარჩელე თანამესაკუთრედ ცნობის საფუძვლად მიუთითებდა იმას, რომ ი. მ-ვთან და მის მეუღლესთან ერთად მუშაობდა და ე. პ-იანთან ერთად ცხოვრების პერიოდში უვლიდნენ მოხუცებულებს და, მათი აზრით, ი. მ-ვსა და ე. პ-იანს შორის დადებული ხელშეკრულება ნასყიდობა კი არა, ჩუქებაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის თანახმად, ქორწინებისთვის აუცილებელია ქალისა და მამაკაცის კავშირის რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამსახურში. სწორედ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს შეუძლიათ, მოითხოვონ ერთად შექმნილი ქონების თანამესაკუთრეობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაშიც რომ ყოფილიყვნენ, სარჩელის დაკმაყოფილება შეუძლებელი გახდებოდა, რადგან ე. პ-იანი, სსკ-ის 183-ე მუხლის შესაბამისად, სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრირებულია მესაკუთრედ. სსკ-ის 311-ე მუხლის თანახმად კი, არსებობს საჯარო რეესტრის სისწორისა და უტყუარობის პერზუმფცია. ე. პ-იანი ბინის კეთისლონდისიერი შემქმნია. ე. პ-იანი არ აღიარებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით დაფარული იყო სამისდლეშიო რჩენის გარიგება. მოპასუხე მოხუცებთან ერთად ცხოვრობდა 30 წლის განმავლობაში და შვილივით იყო მათთვის. მოსავლელ თანხას თავისი შვილი უზავნიდა, ხოლო მოსარჩელე 2001 წლიდან უმუშევარი იყო და არ ჰქონდა მოხუცების მატერიალურად უზრუნველყოფის შესაძლებლობა. სიმართლეს მოკლებულია ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ არ იცოდა ნასყიდობის ხელშეკრულების თაობაზე, რადგან იგი თავად იღებდა მონაწილეობას მის გაფორმებაში. მოპასუხემ ასევე მიუთითა სარჩელის ხანდაზმულობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით გ. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-შვილმა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 სექტემბრის განჩინებით გ. მ-შვილი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა-
ასაჩივრა გ. მ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინე-
ბის გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძ-
ვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა საქ-
მეზე ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ გ.მ-შვილი
და ე.პ-იანი იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში
და უძრავი ქონება შეძენილი იყო ამ პერიოდში, რაც მოპასუხე-
მაც დაადასტურა. ასეთი გარემოების არებობისას, სასამარ-
თლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექ-
სის 131-ე და 132-ე მუხლები და დაეკმაყოფილებინა სარჩელი,
რაც მან არ გამოიყენა. სააპელაციო სასამართლო გასცდა სა-
სარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და იმსჯელა სარჩელის ხან-
დაზმულობაზე, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კო-
დექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2010 წლის 29 დეკემბრის განჩინებით გ. მ-შვილის
საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სსკ-ის 391-ე
მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გ. მ-შვილის
წარმომადგენელმა ა.ხ-შვილმა განცხადებით მიმართა საქარ-
თველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის გა-
მოსმობა, რასაც მონინალმდეგე მხარეც დაეთანხმა.

საკასაციო პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განჩინებით
გ. მ-შვილის წარმომადგენლის, ამირან ხ-შვილის განცხადება
სარჩელის გამოხმობის შესახებ დაკმაყოფილდა. გაუქმდა მო-
ცემულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები, გ. მ-შვილის
სარჩელი მოპასუხე ე. პ-იანის მიმართ უძრავი ქონების თანამე-
საკუთრედ ცნობის თაობაზე დარჩა განუხილველი.

2011 წლის 22 მარტს საკასაციო პალატას განცხადებით მო-
მართა ე. პ-იანის წარმომადგენელმა შ. შ-შვილმა და მოითხოვა
საკასაციო პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განჩინებაში დაშ-
ვებული უსწორობის გასწორება და ამავე განჩინების სარეზო-
ლუციო ნაწილის განმარტება. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-
ლატის 2010 წლის 30 სექტემბრის №28/1788 განჩინების მე-7
გვერდში მითითებულია, რომ „პალატა იზიარებს საქალაქო სასა-
მართლოს დასკვნას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირე-
ბით“, ხოლო უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-
ლატის 2011 წლის 16 თებერვლის განჩინების მე-4 გვერდზე დაშ-
ვებულია მექანიკური შეცდომა და მითითებულია „პალატამ არ
გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა სარჩელის ხანდაზ-

მულობასთან დაკავშირებით“. აღნიშნულის გათვალისწინებით განმცხადებელმა მოითხოვა უსწორობის გასწორება. გარდა ამისა, განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ გ.მ-შვილის განცხადების საფუძველზე ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის №2/8271-09 განჩინებით ყადაღა დაედო ე. პ-იანის სახელზე რიცხულ ქ.თბილისში, გამზირ 82-ში მდებარე №37 ბინას, (საკადასტრო კოდით №...). ვინაიდან საჯარო რეესტრმა უარი განაცხადა საკასაციო პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განჩინების საფუძველზე ყადაღის მოხსნაზე, აღნიშნულის გათვალისწინებით, განმცხადებელი მოითხოვს, განიმარტოს საკასაციო პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული წინადადება, – „გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილებები“ იგულისხმება თუ არა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო ე. პ-იანის წარმომადგენლის შ. შ-შვილის განცხადებას სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო და ამავე განჩინების განმარტების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. ამდენად, დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია 2011 წლის 16 თებერვლის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლოს თვლის, რომ ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის გან-

ჩინების მე-4 გვერდზე დაშვებულია მექანიკური შეცდომა, კერძოდ, არასწორად მიეთითა „პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა“, რაც უნდა შეიცვალოს საქმეში მითითებული სიტყვებით „პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად გადანყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლოს აღმასრულებლის განცხადებით გადანყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადანყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი განცხადება განხილულ უნდა იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე.

ზემოხსენებული ნორმა მიზნად ისახავს სასამართლო გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის შეუცვლელად მის იმგვარ განმარტებას, რომ იგი მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს მხარეთათვის და ხელი შეუწყოს გადანყვეტილების სწორად აღსრულებას. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში ნათლად და გარკვევით არის ჩამოყალიბებული, რომ გაუქმდა ამ საქმეზე ყველა გადანყვეტილება და განჩინება, შესაბამისად, მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფილს შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განჩინება არ საჭიროებს განმარტებას და ე. პ-იანის წარმომადგენლის შ. შ-შვილის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 262-ე და 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ე. პ-იანის წარმომადგენლის შ. შ-შვილის განცხადებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გასწორდეს საკასაციო პალატის 2011 წლის 16 თებერვლის

განჩინების მე-4 გვერდზე დაშვებული უსწორობა და სიტყვები: „პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა“, შეიცვალოს სიტყვებით: „პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა“.

ე. პინის წარმომადგენლის შ. შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინებაში უსწორობის გასწორება

განჩინება

№ა-2150-შ-47-2012

21 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე**

განხილვის საგანი: უსწორობის გასწორება

აღწერილობითი ნაწილი:

პოლონეთის რესპუბლიკის შუეჩინის მარჯვენა სანაპიროსა და დასავლეთის საოლქო სასამართლოს VIII საოჯახო და არასრულწლოვანთა საკითხების განყოფილების 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მ. რ. მ.-ი, გვარად მ.-ი, ფ.-ისა და ე.ს შვილი, დაბადებული 1953 წლის 19 ნოემბერს შუეჩინში, რომელიც გარდაიცვალა 2008 წლის 17 აგვისტოს შუეჩინში, არის ქალბატონი ე. ბ.-ის, გვარად ლ.-ა, ა. ლ.-ას ქალიშვილი, დაბადებული 1978 წელს საქართველოში, ლაგოდეხის რაიონში, ჩანანერის №1768, მამა.

2012 წლის 22 მაისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ე. ბ.-მა, რომელმაც მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებით ე. ბ.-ის შუამდგომლობა პოლონეთის რესპუბლიკის შუეჩინის მარჯვენა სანაპიროსა და დასავლეთის საოლქო სასამართლოს VIII საოჯახო და არასრულწლოვანთა საკითხების განყოფილების 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა; საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა პოლონეთის რესპუბლიკის შუეჩინის მარჯვენა სანაპიროსა და დასავლეთის საოლქო სასამართლოს VIII საოჯახო და არასრულწლოვანთა საკითხების განყოფილების 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ მ. რ. მ.-ი, გვარად მ.-ი, ფ.-ისა და ე. ს. შვილი, დაბადებული 1953 წლის 19 ნოემბერს შუეჩინში, რომელიც გარდაიცვალა 2008 წლის 17 აგვისტოს შუეჩინში, არის ქალბატონი ე. ბ.-ის, გვარად ლ.-ა, ა. ლ.-ას ქალიშვილი, დაბადებული 1978 წელს საქართველოში, ლაგოდეხის რაიონში, ჩანანერის №1768, მამა.

2013 წლის 16 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ე. ბ.-ის წარმომადგენელმა ფ. მ.-ემ. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ დასახელებულ განჩინებაში არასწორად არის მითითებული დაბადების სააქტო ჩანანერის ნომერი. აქედან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული ზემოაღნიშნული უსწორობის გასწორებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ე. ბ.-ის წარმომადგენელ ფ. მ.-ის განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს განჩინებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებაში ნაცვლად დაბადების სააქტო ჩანანერის ნომრისა: №1768, მითითებულია: №1678.

გარდა ამისა, როგორც გამოირკვა, განჩინების მიხედვით, ე. ბ.-ის დაბადების თარიღად მითითებულია: „1978 წელი“, ნაცვლად თარიღისა: „1978 წლის 5 აპრილი“.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლიდან გამომდინარე, ზემომითითებული გარემოებები, როგორც განჩინებაში დაშვებული უსწორო-

ბები, ექვემდებარება გასწორებას. აქედან გამომდინარე, უნდა შესწორდეს საკასაციო სასამართლოს 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორებები: №1678 დაბადების სააქტო ჩანაწერის ნაცვლად დაბადების სააქტო ჩანაწერის ნომრად მიეთითოს №1768, აგრეთვე, ე. ბ.-ის დაბადების თარიღად მიეთითოს „1978 წლის 5 აპრილი“, ნაცვლად თარიღისა: „1978 წელი“.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებაში გასწორდეს დაშვებული უსწორებები: №1678 დაბადების სააქტო ჩანაწერის ნაცვლად დაბადების სააქტო ჩანაწერის ნომრად მიეთითოს №1768; ე. ბ.-ის დაბადების თარიღად ნაცვლად თარიღისა: „1978 წელი“, მიეთითოს: „1978 წლის 5 აპრილი“.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა შ ი უ ს წ ო რ ო ბ ი ს გ ა ს წ ო რ ე ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-599-565-2012

14 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: მოთხოვნის ხანდაზმულად აღიარება, ხელშეკრულების დადების დავალებულება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. პ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „...-ის“ წინააღმდეგ

და მოითხოვა ელექტროენერჯის დავალიანების 807 ლარის გადახდის თაობაზე სს „...-ის“ მოთხოვნის ხანდაზმულად ცნობა და შესაბამისად 807 ლარის სს „...-ის“ სასარგებლოდ თანხის გადახდისაგან გათავისუფლება, ასევე სს „...-ის“ დავალდებულება მოსარჩელე ე. პ-ის აბონენტად რეგისტრაციის, თბილისში ლ-ის ქუჩა №4/2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე არსებულ საცხოვრებელ ბინაში 220 ვოლტის ძაბვაზე 6 კილოვატის სიმძლავრის ელექტროენერჯის მისაწოდებლად, ამავე სიმძლავრის ელექტროენერჯის მიწოდების, საამისოდ აღრიცხვის კვანძის მოპასუხის ხარჯით მოწყობის და აღნიშნული გრძელვადიანი ვალდებულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების დადების დავალდებულება თბილისის მოსახლეობისათვის არსებული სტანდარტული პირობებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. პ-ის სარჩელი სს „...-ის“ მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხანდაზმულად იქნა ცნობილი ელექტროენერჯის დავალიანების 807 ლარის გადახდის თაობაზე სს „...-ის“ მოთხოვნა და შესაბამისად მოსარჩელე ე. პ-ი გათავისუფლდა 807 ლარის სს „...-ის“ სასარგებლოდ გადახდისაგან, უარი ეთქვა მოსარჩელე ე. პ-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც ითხოვდა სს „...-ის“ დავალდებულებას მოსარჩელე ე. პ-ის აბონენტად რეგისტრაციის, თბილისში ლ-ის ქ. №4/2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე არსებულ საცხოვრებელ ბინაში 220 ვოლტის ძაბვაზე 6 კილოვატის სიმძლავრის ელექტროენერჯის მისაწოდებლად, ამავე სიმძლავრის ელექტროენერჯის მიწოდების, საამისოდ აღრიცხვის კვანძის მოპასუხის ხარჯით მოწყობის და აღნიშნული გრძელვადიანი ვალდებულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების დადების დავალდებულებას თბილისის მოსახლეობისათვის არსებული სტანდარტული პირობებით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. პ-მა და მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინებით ე. პ-ის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება და მოსარჩელე ე. პ-ის სარჩელი მოპასუხე სს „...-ის“ მიმართ დარჩა განუზილველი.

26.03.2012წ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ე. პ-ის წარმომადგენელმა, ი. პ-მა, სადაც მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 2 ნო-

ემბრის გადაწყვეტილება 807 ლარის მოთხოვნის ხანდაზმულად ცნობისა და მოსარჩელის მისი გადახდისაგან გათავისუფლების ნაწილში არ გასაჩივრებულა და იგი დღემდე კანონიერ ძალაშია. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 თებერვლის სასამართლო სხდომაზე კი, სარჩელი გამოხმობილი იქნა მხოლოდ გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორედ აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმცხადებელმა მოითხოვა საოქმო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ გასაჩივრებულ ნაწილში. განმცხადებელი ასევე აღნიშნა, რომ სხდომის ოქმის ბოლო წინადადება – „სხდომის თავმჯდომარემ სასამართლო სხდომა დახურულად გამოაცხადა“ არასწორი იყო, რის გამოც მის ნაცვლად მითითებული უნდა ყოფილიყო – „სხდომის თავმჯდომარემ მთავარი სხდომა დასრულებულად გამოაცხადა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის განჩინებით ე. პ-ის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 23.02.2012წ. საოქმო განჩინებაში დაშვებული მექანიკური უსწორობა და განჩინების სარეზოულუციო ნაწილის 1.1. პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: მოცემულ საქმეზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება, იმ ნაწილში რომლითაც მოსარჩელე ე. პ-ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომლის თანხმად იგი ითხოვდა სს „...-ის“ დავალდებულებას მოსარჩელე ე. პ-ის აბონენტად რეგისტრაციის, თბილისში ლ-ის ქ. №4/2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე არსებულ საცხოვრებელ ბინაში 220 ვოლტის ძაბვაზე 6 კილოვატის სიმძლავრის ელექტროენერჯის მისაწოდებლად, ამავე სიმძლავრის ელექტროენერჯის მიწოდების, საამისოდ აღრიცხვის კვანძის მოპასუხის ხარჯით მოწყობის და აღნიშნული გრძელვადიანი ვალდებულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების დადების დავალდებულებას თბილისის მოსახლეობისათვის არსებული სტანდარტული პირობებით. ე. პ-ის განცხადება სხდომის ოქმის ბოლო წინადადებაში უსწორობის გასწორების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ე. პ-ის გან-

ცხადება უსწორობის გასწორების თაობაზე კერძო საჩივრით გასაჩივრა ე. პ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ განჩინების მიღებისას სამოტივაციო ნაწილში საერთოდ არ უმსჯელია წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველიანობაზე, მასში არ არის აღნიშნული ობიექტური შეფასებები, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებები, რომლითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ კონკრეტულ უსწორობას, აგრეთვე კანონები, რომლითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ კონკრეტულ უსწორობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. პ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი ითვალისწინებს რა სამართალწარმოების პროცესში საპროცესო დოკუმენტების შედგენისას გარკვეული უზუსტობის არსებობას, შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, საკუთარი სურვილით ან მხარის მოთხოვნით გამოასწოროს გადაწყვეტილებაში არსებული შეცდომები. ამავდროულად, აღნიშნული ნორმის მიზანია, აღმოიფხვრას ისეთი უსწორობანი, რომელთაც შეუძლიათ არსებითად იმოქმედონ საქმის გადაწყვეტისა თუ ცალკეული საპროცესო მოქმედებების სწორად შესრულების სასამართლებრივ შედეგზე.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ ე. პ-ი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორებას, კერძოდ, სხდომის ოქმის ბოლო წინადადებაში – „სხდომის თავმჯდომარემ სასამართლო სხდომა დახურულად გამოაცხადას“ ნაცვლად, „სხდომის თავმჯდომარემ მთავარი სხდომა დასრულებულად გამოაცხადას“ ჩანერას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული მოთხოვნა ეხება არა საოქმო განჩინების, არამედ სხდომის ოქმის შემადგენელ ნაწილს, რაზეც ზემოხსენე-

ბული ნორმით განსაზღვრული უსწორობის გასწორების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია და სცილდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მოქმედების ფარგლებს, ვინაიდან იგი არ განეკუთვნება დასახელებული მუხლით გათვალისწინებულ უსწორობის გასწორების ობიექტს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ედვარდ პეტრიაშვილის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ე. პ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის საოქმო განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა შ ი უ ს წ ო რ ო ბ ი ს გ ა ს წ ო რ ე ბ ა

ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

№ა-3022-შ-79-2013

2 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: შვილად აყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინებით გ. ო-ის შუამდგომლობა გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სა-

სამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ცნობილ იქნა გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა ... წლის ... აგვისტოს დაბადებული საქართველოს მოქალაქის გ. ო-ის გერმანიის მოქალაქე ი. შ-ის მიერ შვილად აყვანა, შესაბამისად, შვილად ასაყვანის გვარად განისაზღვრა შ-ი, გ. ო-ის შუამდგომლობა გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე არ დაკმაყოფილდა იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

გ. ო-ემ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და განმარტა, რომ ზემოხსენებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში დაშვებულ იქნა უსწორობა და შეცდომით მიეთითა, რომ შვილად ასაყვანის გვარად განისაზღვრა შ-ი მაშინ, როდესაც მხარის მიერ წარდგენილი გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების თარგმანში დაფიქსირებულია გვარი „შ-ლ“. განმცხადებელმა მოითხოვა ხსენებული უსწორობის გასწორება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ო-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ნოემბრის №ა-3022-შ-79-2013 განჩინებაში უსწორობის გასწორების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. ამდენად, დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესულ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სადავო უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ნოემბრის №ა-3022-შ-79-2013 განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში დაშვებულ იქნა უსწორობა, კერძოდ, მიეთითა: „ცნობილ იქნას გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა ... წლის ... აგვისტოს დაბადებული საქართველოს მოქალაქის გ. ო-ის გერმანიის მოქალაქე ი. შ-ის მიერ შვილად აყვანა. შესაბამისად, შვილად ასაყვანის გვარად განისაზღვრა შ-ი.“ გერმანიის, შტუტგარტის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების თარგმანში კი შვილად ასაყვანის გვარი განისაზღვრა გვარით „შ-ლ“. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მიხედვით, წარმოდგენილი განცხადება საფუძვლიანია და ზემოხსენებულ პუნქტში დაფიქსირებული გვარი „შ-ი“ უნდა გასწორდეს გვარით „შ-ლ“.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ნოემბრის №ა-3022-შ-79-2013 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა და მის მე-2 პუნქტში მითითება – „შვილად ასაყვანის გვარად განისაზღვრა შ-ი“ გასწორდეს შემდეგნაირად: „შვილად ასაყვანის გვარად განისაზღვრა შ-ლ“.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ბანკინებაში უსწორობის გასწორება

ბანკინება

№ა-2814-შ-65-2013

2 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

განხილვის საგანი: უსწორობის გასწორება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის მიტიშინსკის სასამართლო რაიონის 130-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2-320/12) ტ. ა. ასული კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა: მ. ბ-ეს, დაბადებულს ... წლის ... ივნისს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ.ქუთაისში, ტ. ა. ასული კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... აგვისტოს დაბადებული გ. სარჩენად ყველა სახის გამომუშავების ან(და) შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, დაწყებული 2012 წლის 31 ოქტომბრიდან მის სრულწლოვანებამდე. დადგინდა, რომ ალიმენტის გადარიცხვა მოხდეს მოსარჩელის საანგარიშსწორებო ანგარიშზე № 42307. 810.7.3806.1302875, რომელიც გახსნილია ტ. ა. ასული კ-ას სახელზე, ქ.მოსკოვის სბერბანკის ცარიცინსკის ფილიალში, რუსეთი 7978/1308.

ტ. ა. ასულმა კ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ზემომითითებული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და აღსასრულებლად მიექცა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის მიტიშინსკის სასამართლო რაიონის 130-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2-320/12), რომლითაც ტ. ა. ასული კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა: მ. ბ-ეს, დაბადებულს ...წლის ... ივნისს, მცხოვრებს საქართველოს რეს-

პუბლიკაში, ქ.ქუთაისში, ტ. ა. ასული კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... აგვისტოს დაბადებული გ. სარჩენად ყველა სახის გამომუშავების ან(და) შემოსავლის j -ის ოდენობით, დაწყებული 2012 წლის 31 ოქტომბრიდან მის სრულწლოვანებამდე. დადგინდა, რომ ალიმენტის გადარიცხვა მოხდეს მოსარჩელის საანგარიშსწორებო ანგარიშზე №42307. 810.7.3806.1302875, რომელიც გახსნილია ტ. ა. ასული კ-ას სახელზე, ქ.მოსკოვის სბერბანკის ცარიცინსკის ფილიალში, რუსეთი 7978/1308.

2013 წლის 29 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს უფროსმა ი. ჭ-ამ, რომელმაც ითხოვა მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში უსწორობის გასწორება, კერძოდ, მოვალედ მ. ბ-ის ნაცვლად მ. ბ-ე მითითება.

შუამდგომლობის ავტორმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში დაცული არ არის ინფორმაცია ზემომითითებულ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ დასახელებული მ. ბ-ის თაობაზე. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპიუტერული ბაზის მიხედვით, ქუთაისში, ნ-ას ქუჩის მე-2 შესახვევის №72ა/67-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში რეგისტრირებულია მ. გ. ძე ბ-ე (დაბადებული ... წლის ... ივნისს, პირადი ნომერი ...).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ტ. კ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და აღსასრულებლად მიექცა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის მიტიშინსკის სასამართლო რაიონის 130-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2-320/12), რომლითაც:

ტ. ა. ასული კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. ბ-ეს, დაბადებულს ... წლის ...ივნისს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ.ქუთაისში, ტ. ა. ასული კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალი-

მენტი არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... აგვისტოს დაბადებული გ. სარჩენად ყველა სახის გამომუშავების ან(და) შემოსავლის j -ის ოდენობით, დაწყებული 2012 წლის 31 ოქტომბრიდან მის სრულწლოვანებამდე. დადგინდა, რომ ალიმენტის გადარიცხვა მოხდეს მოსარჩელის საანგარიშსწორებო ანგარიშზე № 42307. 810.7.3806.1302875, რომელიც გახსნილია ტ. ა. ასული კ-ას სახელზე, ქ.მოსკოვის სბერბანკის ცარიცინსკის ფილიალში, რუსეთი 7978/1308.

2013 წლის 10 ოქტომბერს, დასახელებულ განჩინებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოს 2013 წლის 22 ნოემბრის №17/245222 წერილით დგინდება, რომ აღნიშნულ სამსახურში მოქალაქე მ. ბ-ის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპიუტერული ბაზის მიხედვით, ქუთაისში, ნ-ას ქუჩის მე-2 შესახვევის №72ა/67-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში რეგისტრირებულია მ. გ. ძე ბ-ე (დაბადებული ... წლის .. ივნისს, პირადი ნომერი ...).

ზემოთითებული გარემოებებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ მოხმობილ განჩინებასა და სააღსრულებო ფურცელში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, მოვალედ მითითებულია მ. ბ-ე, ნაცვლად მ. ბ-სა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილ შუამდგომლობაში შუამდგომლობის ავტორის მონინაალმდეგე მხარედ მ. ბ-ა დასახელებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს განჩინებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული უსწორობა ექვემდებარება გასწორებას. ამდენად, უნდა შესწორდეს საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებასა და სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობა, შუამდგომლობის ავტორის მონინაალმდეგე მხარედ (მოვალედ) მიეთითოს მ. ბ-ე, ნაცვლად მ. ბ-სა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დაადგინა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებასა და აღნიშნულ განჩინებაზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში გასწორდეს დაშვებული უსწორობა: შუამდგომლობის ავტორის მონინა-ალმდეგე მხარედ (მოვალედ) მიეთითოს მ. ბ-ე, ნაცვლად მ. ბ-სა.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შარი გადაწყვეტილების განმარტებაზე

განჩინება

№ას-1205-1134-2012

15 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: აუცილებელი გზის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ჟ. მ-მ და ჩ. ჩ-მ სარჩელი აღძრეს სასამართლოში ბ. მ-ს მიმართ აუცილებელი გზით სარგებლობის აკრძალვის მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: მხარეები რამოდენიმე ათეული წლებია სარგებლობენ ერთადერთი მისასვლელი გზით, რომელიც გადის მოპასუხე ბ. მ-ს ნაკვეთზე. მათ სახლებსა და ცენტრალურ გზას შორის სხვა ალტერნატიული გზა არასოდეს ყოფილა. 2009 წლის 16 აგვისტოს მოპასუხე ბ. მ-მ პრაქტიკულად დაკეტა მათ საცხოვრებელ სახლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებთან მისასვლელი გზა, კერძოდ, ცალკე დამოუკიდებელი ღობით შემოღობა. მიუხედავად მათი არაერთგზის მოთხოვნისა, მოპასუხე წინააღმდეგია, აილოს ღობე და აღადგინოს თავდაპირველი მდგომარეობა, რაც საშუალებას მისცემს, დანიშნულებისამებრ ისარგებლონ მათი კუთვნილი ქონებით. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არ აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი სა-

ჯარო გზასთან, მაშინ მეზობელს შეუძლია, მეორე მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. ამდენად, ბ. მ-ა მოვალეა, ითმინოს მათი ნაკვეთების ჩვეულებრივი სარგებლობით გამოწვეული ზემოქმედება. სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლით მას აკისრია სამეზობლო თმენის ვალდებულება და ამავე მუხლის მეორე ნაწილით არ შეუძლია სავალდებულო გზით სარგებლობის უფლების აღკვეთა, რომელიც საცხოვრებელ სახლებთან და საკარმიდამო ნაკვეთებთან აკავშირებს.

მოპასუხე ბ. მ-მ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარი თქმა შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელეებს გააჩნიათ საჯარო გზასთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა. მოპასუხის ნაკვეთზე არასოდეს ყოფილა სამეზობლო და საჯარო გზასთან დამაკავშირებელი გზა. მოსარჩელეებს გააჩნიათ თავიანთ ნაკვეთზე მისასვლელი ალტერნატიული გზა, მათ შორის საჯარო გზებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა. მოპასუხე ნებას რთავდა მოსარჩელეებს, ესარგებლათ მისი ნაკვეთით, მაგრამ ეს იყო მისი კეთილი ნება. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლზე მითითება არასწორია, ვინაიდან მოპასუხის ნაკვეთზე ასეთი სარგებლობის სასიარულო გზა სერვიტუტით დატვირთული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არასოდეს ყოფილა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელეების, ჟ. მ-სა და ჩ. ჩ-ს, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ჟ. მ-მ და ჩ. ჩ-მ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჩ. ჩ-სა და ჟ. მ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება. ჩ. ჩ-სა და ჟ. მ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბ. მ-ს აეკრძალა კუთვნილი მიწის ნაკვეთზე, ჟ. მ-სა და ჩ. ჩ-სათვის, მოსარჩელეთა საკარმიდამო ნაკვეთებთან დამაკავშირების მიზნით, ფეხით გადაადგილებაში ხელის შეშლა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. მ-მ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 24 მაისის განჩინებით ბ. მ-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჩ. ჩ-სა და ჟ. მ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება. ჟ. მ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ჩ. ჩ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბ. მ-ს აეკრძალა კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ჩ. ჩ-სათვის, ჩ. ჩ-ს საკარმიდამო ნაკვეთთან დაკავშირების მიზნით, ფეხით გადაადგილებაში ხელის შეშლა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. მ-მ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის განჩინებით ბ. მ-ს საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2012 წლის 25 ივნისს ჟ. მ-მ მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა წარდგენილი განცხადება შემდეგ გარემოებათა გამო: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბ. მ-ს აეკრძალა ჩ. ჩ-სათვის მიწის ნაკვეთზე ფეხით გადაადგილებაში ხელის შეშლა. მხარეთა შორის სადავოა ის, თუ რას მოიცავს ეს აკრძალვა – უფლებამოსილია თუ არა ჩ. ჩ-ს, მოითხოვოს ამ გზაზე სხვა პირთა გატარება და ვალდებულია თუ არა ბ. მ-ს ალბე და ჭიშკარი მოაწყოს ისე, რომ ჩ. ჩ-ს დაუბრკოლებლად შეეძლოს ნაკვეთზე გადაადგილება. ამის გამო გადაწყვეტილების აღსრულება ვერ ხერხდება.

პალატამ მიუთითა, რომ განსამარტი გადაწყვეტილებით ჩ. ჩ-ს მოთხოვნა, აუცილებელი გზის დადგენის ნაწილში, დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა ის, რომ ჩ. ჩ-ს კუთვნილ ნაკვეთს არ ჰქონდა კავშირი საჯარო, სასოფლო გზასთან და მისი უზრუნველყოფა შესაძლებელი იყო მხოლოდ ბ. მ-ს ნაკვეთის გავლით. სწორედ ამ ვითარების აღმოფხვრა დადგინდა გადაწყვეტილებით, ე.ი. გადაწყვეტილებით ბ. მ-ს ქონება დაიტვირთა ჩ. ჩ-ს ნივთის სასარგებლოდ, ამ ნივთით ჩვეულებრივი სარგებლობის მიზნებისათვის.

აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება აღსრულდება, თუ ჩ. ჩ-ს მიეცემა საშუალება, დაუბრკოლებლად მივიდეს საკუთარ ნაკვეთთან ბ. მ-ს ეზოს გავლით და გამოიყენოს კუთვნილი ქონება ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულებით. საცხოვრებელი სახლით ჩვეულებრივი სარგებლობა

გულისხმობს იმასაც, რომ სახლში მივიდნენ სახლის მესაკუთრის ოჯახის წევრები, ნათესავები და მისთ. აქედან გამომდინარე, ბ. მ-ა ვალდებულია, ითმინოს ჩ. ჩ-ს ოჯახის წევრთა გადაადგილება მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთზე. თუმცა, მას შეუძლია არ დაუშვას ამ ნაკვეთით ყ. მ-სა და მისი ოჯახის წევრთა სარგებლობა, იმდენად, რამდენადაც, ყ. მ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა და, ამასთან, ყ. მ-ს შეუძლია, დაუკავშირდეს ჩ. ჩ-ს ნაკვეთს საკუთარი ეზოს გავლით. ამავდროულად, ბ. მ-ა რასაკვირველია, უფლებამოსილია, დაიცვას საკუთარი კარმიდამო მესამე პირთაგან, ჩარაზოს ჭიმკარი ბოქლომით, გასაღებით და ა.შ. ოღონდ, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ჩ. ჩ-ს მიწის ნაკვეთით დაუბრკოლებლად სარგებლობაში. ეს ნიშნავს, რომ თუ ბ. მ-ა ჩარაზავს ეზოში შესასვლელს, ჩ. ჩ-ს უნდა შეეძლოს გაღება დამოუკიდებლად, ბ. მ-ს გარეშეც.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბ. მ-მ შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი, რაც გამოიხატა იმაში, რომ შეცვალა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. ბ. მ-ს დაეკისრა თმენის ვალდებულება, არა მარტო ჩ. ჩ-ს, არამედ მისი ოჯახისა და სხვა პირების მიმართაც. აღნიშნული შეილახა ბ. მ-ს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი საკუთრების უფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. მ-ს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჩ. ჩ-სა და ყ. მ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება. ყ. მ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ჩ. ჩ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბ. მ-ს აკრძალა კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ჩ. ჩ-სათვის, თავის საკარმიდამო ნაკვეთთან დაკავშირების მიზნით, ფეხით გადაადგილებაში ხელის შეშლა.

2012 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ტექსტი: ბ. მ-ს აკრძალა, კუთვნილი მიწის ნაკვეთზე, ჩ. ჩ-სათვის, ჩ. ჩ-ს საკარმიდამო ნაკვეთთან დაკავშირების მიზნით, ფეხით გადაადგილებაში ხელის შეშლა, განიმარტა შემდეგნაირად: ბ. მ-ა ვალდებულია ითმინოს ჩ. ჩ-ს, ასევე ჩ. ჩ-ს ოჯახის

წევრთა და სხვა პირთა გადაადგილება მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მხოლოდ ჩ. ჩ-ს კუთვნილ ნაკვეთთან დასაკავშირებლად. ბ. მ-ა უფლებამოსილია, არ დაუშვას მიწის ნაკვეთზე ჟ. მ-ა. ბ. მ-ა უფლებამოსილია ჩარაზოს ქიშკარი, ოღონდ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ჩ. ჩ-ს მიწის ნაკვეთით დაუბრკოლებლად სარგებლობაში, თუ ბ. მ-ა ჩარაზავს ეზოში შესასვლელს, ჩ. ჩ-ს უნდა შეეძლოს რაზის გაღება დამოუკიდებლად ბ. მ-ს გარეშეც.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ სარეზოლუციო ნაწილის ამგვარი განმარტებით ფაქტობრივად შეცვალა მისი შინაარსი, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. დასახელებული ნორმის თანახმად, სასამართლო განმარტავს გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს ბუნდოვან ან ორაზროვან დებულებას. მოსარჩელის მიზანი სასამართლოში სარჩელის შეტანის დროს წარმოადგენს მოპასუხის მიერ შელახული, სადავოდ ქცეული უფლების აღდგენას, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება კი გარანტიაა იმისა, რომ მხარეთა შორის სადავო საკითხი მოწესრიგდეს, გადაწყვეტილებამ შეუქცევადად უნდა დაადგინოს მხარეთა უფლება-მოვალეობები. ის, რაც იწვევდა კონფლიქტს მხარეებს შორის, სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ითვლება დადგენილად და უდავოდ. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების მიზანი არა მხოლოდ პირის დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვაა, არამედ მიღებული გადაწყვეტილებით აღდგენილი უფლების რეალიზება და დაუბრკოლებლად აღსრულება. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, განმარტების საკითხი ორიენტირებული უნდა იყოს მისი აღსრულების ხელშეწყობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქ-

მედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. აღნიშნული მუხლის დანაწესი მესაკუთრეს უფლებას აძლევს, განკარგოს თავისი ნივთი შეხედულებისამებრ, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, თუმცა ამავე მუხლით დგინდება, რომ საკუთრების უფლება აბსოლუტურ უფლებას არ წარმოადგენს და მისი შეზღუდვა კანონით დადგენილ შემთხვევებში შესაძლებელია. მოცემული შეზღუდვის დასტურია სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. აღნიშნული ნორმა ადგენს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლებას, მოსთხოვოს მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან. კონკრეტულ შემთხვევაში, ჯეროვანი გამოყენება გულისხმობს ჩ.ჩიჩუას, უფლებას შეძლოს, თავისი საკუთრებით ნორმალური, ჩვეულებრივი სარგებლობა მეზობელი მიწის ნაკვეთის მეშვეობით. საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს, რომ სხვისი ქონებით შეზღუდული სარგებლობა გამოწვეულია რა ნაკვეთის მდებარეობით შექმნილი საგანგებო მდგომარეობით, სხვისი ქონების უფლებრივად დატვირთვა ამ უფლების მოსარგებლეს თუ სხვა რამ არ არის დადგენილი სულ ცოტა თავისი ნაკვეთით ჩვეულებრივი სარგებლობის შესაძლებლობას უნდა აძლევდეს. მაშინ, როდესაც მიწის ნაკვეთის მოდავე მხარისათვის სარგებლობა დადგინდა მხოლოდ ფეხით გადაადგილების ფარგლებში, მართებულია, ეს უფლება განიმარტოს მხარის ინტერესებში – მისი და მისი ოჯახის წევრებისათვის, ასევე სტუმრად მისული პირებისათვის გადაადგილების თავისუფლებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ბ. მ-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უარი გადაწყვეტილების განმარტებაზე

განჩინება

№ა-3822-გან-1-2012

15 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ა. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მიღებული ბრძანების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ა-მ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ბ-ს“ მიმართ 2006 წლის 20 თებერვლის იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბ-ს“ დირექტორის 2011 წლის 5 სექტემბრის №01-02/50 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ა-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 მარტის განჩინებით შპს „ა-ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა-მ“, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით შპს „ა-ს“ საკასაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებლად იქნა მიჩნეული და დარჩა განუხილველად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „ა-ს“ დირექტორმა რ. ნ-მ და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2012 წლის 3 ოქტომბრის განჩინების განმარტება, კერძოდ, მოითხოვა იმის განმარტება, თუ: ა) რატომ არ ეცნობა კასატორს საკასაციო საჩივრის განხილვის თარიღი, ბ) რის საფუძველზე არ გაეგზავნა მოპასუხის შესაგებელი, გ) რატომ არ მოეთხოვა მონინაალმდევე მხარეს შესაგებლის კანონით დადგენილი სასამართლო ფორმების დაცვით წარმოდგენა და რატომ არ დაუდგინდა ამ მიმართებით ხარვეზი, დ) მოპასუხეს შესაგებელში არ აღუნიშნავს, რომ აღარ არის მეიჯარე და 2012 წლის 7 თებერვლიდან სადავო საიჯარო ხელშეკრულების მხარე ბათუმის მერიაა, ე) აღნიშნული გარემოების დაფარვით მონინაალმდევე მხარემ შეცდომაში შეიყვანა სასამართლო, რის გამოც დავაში არ იქნა ჩაბმული ქ.ბათუმის მერია. განმცხადებლის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ კასატორისათვის საქმის განხილვის თაობაზე იქნებოდა ცნობილი ან გაეგზავნებოდა მონინაალმდევე მხარის შესაგებელი, ის აღნიშნულის თაობაზე აცნობებდა სასამართლოს. საკასაციო პალატის სადავო განჩინება ასევე დაუსაბუთებელია, ის მიღებულია დაჩქარებული წესით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ვადა 3 თვეა, ხოლო სასამართლომ ეს საკითხი საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან ერთ კვირაში განიხილა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წინამდებარე განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ა-ს“ განცხადება განჩინების განმარტების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გა-

დანყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადანყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადანყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადანყვეტილების განმარტების საკითხი გადანყვეტიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადანყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას.

ნორმის ანალიზით ნათლად დასტურდება მისი მოქმედების არეალიცა და მიზანიც, კერძოდ, გადანყვეტილების განმარტება დაიშვება მხოლოდ მისი აღსრულების ხელშესაწყობად, ხოლო ეს დასაშვებია, თუ გადანყვეტილების აღსრულებაუნარიანი ნაწილით – სარეზოლუციო ნაწილით ერთმნიშვნელოვნად არ ირკვევა სასამართლო წესით დადგენილი სამართლებრივი სიკეთის არსი.

განსახილველ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს, რომ განჩინება, რომლის განმარტებასაც მხარე მოითხოვს, საკასაციო საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის თაობაზეა მიღებული, ანუ ამ საპროცესო დოკუმენტით საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადანყვეტილებას რაიმე გზით ტრასფორმაცია არ განუცდია, აღნიშნული კი მიუთითებს იმაზე, რომ ნორმით რეგულირებული ურთიერთობის უმთავრესი წინაპირობა – გადანყვეტილების აღსრულების ხელშესობა გამორიცხულია.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ამავე სასამართლოს 2012 წლის 3 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანიც არაა, მასში ნათლადაა სასამართლო განსჯის შედეგად მიღებული დასკვნა ჩამოყალიბებული, შესაბამისად, განჩინების განმარტების არც ეს წინაპირობაა სახეზე.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ განცხადებაში მითითებული საფუძვლები გადანყვეტილების განმარტების საგანს არ წარმოადგენს, ხოლო, საკასაციო პალატა აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ საქმე განხილულია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ა-ს“ განცხადება განჩინების განმარტების თაობაზე უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები, შესაბამისად, განცხადებაზე დართული მტკიცებულებები: ქ.ბათუმის მერიის ადმინისტრაციის უფროსის წე-

რილობითი მიმართვა და საჯარო რეესტრის ამონაწერი საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით, 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ა-ს“ განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ოქტომბრის განჩინების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

2. განმცხადებელს დაუბრუნდეს №ა-3822-12 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 2 ფურცლად.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შ ა რ ი გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ის გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ზ ე

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-225-217-2012

25 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეიძე

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ბ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ა. ბ-ის მიმართ და მოითხოვა საზიარო უფლების ნატურით გაყო-

ფით გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: საჯარო რეესტრის ამონა-წერის მიხედვით, ქ.თბილისში, ლ-ის ქ.75-ში მდებარე სახლთმფლობელობა თანაბარ წილად რეგისტრირებულია გ. ბ-ისა და ა. ბ-ის სახელებზე. სახლთმფლობელობის 1/2 ირიცხება გ. ბ-ის, ხოლო 1/2 – ა. ბ-ის სახელებზე. ვინაიდან, საკუთრების უფლება ეკუთვნის ორ პირს, ისინი საზიარო უფლების მქონე პირებად მიიჩნევიან. აღნიშნულის მიუხედავად, გ. ბ-ი ფაქტობრივად ფლობს გაცილებით ნაკლებ მინის ნაკვეთს, ვიდრე მას ეკუთვნის. წილობრივი მონაცემების გათვალისწინებით თითოეულ მესაკუთრეს ეკუთვნის 812.5 კვ.მ. კონკრეტულ შემთხვევაში, საინჟინრო ექსპერტიზის თანახმად, საზიარო საგნის გაყოფა შესაძლებელია თანამესაკუთრეთა შორის ღირებულების შემცირების გარეშე. მოპასუხემ დაიკავა იმაზე მეტი მინის ნაკვეთი, ვიდრე მას ეკუთვნის, რითაც იზღუდება გ. ბ-ის, როგორც მესაკუთრის უფლებები.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: საკუთრების შეძენის დღიდან მესაკუთრეებს, ფაქტობრივად, შემოსაზღვრული აქვთ თავიანთი კუთვნილი მინის ნაკვეთები. ა. ბ-ის შენობა-ნაგებობები განლაგებულია მის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ 900 კვ.მ მინის ნაკვეთზე და მოსარჩელის მიერ დაკავებულ ფართში არ არის გადასული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საზიარო უფლება ქ.თბილისში, ლ-ის ქ. №75-ში მდებარე უძრავი ქონების ნატურით გაყოფის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ლ-ის ქ. №75(71)-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილი საჯარო რეესტრში აღრიცხულია მოსარჩელე გ. ბ-ის საკუთრებად (მინის ნაკვეთის ფართობი – 1625 კვ.მ, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: №1 დან №22-მდე). ამავე უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრეს ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათების თანახმად, წარმოადგენს მოპასუხე ა. ბ-ი. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 27 სექტემბრის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ქ.თბილისში, ლ-ის

ქ. №75-71-ში განთავსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საერთო ფართი შეადგენს 1625 კვ.მ-ს, ხოლო მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების განაშენიანების საერთო ფართი – 791.61 კვ.მ-ს, აქედან ფაქტობრივად მიწის ნაკვეთის (განაშენიანებასთან ერთად) საერთო ფართიდან გ. ბ-ი ფლობს 689,36 კვ.მ-ს, სადაც განაშენიანების ფართია 368,35 კვ.მ (შენობები: №1/1; №7/1; №10/1; №12/1; №15/1; №16/1; №18/1; №20/1 და №22/1), ხოლო განაშენიანებისგან თავისუფალი მიწის ნაკვეთი 321,01 კვ.მ. ა. ბ-ი ფაქტობრივად მიწის ნაკვეთის (განაშენიანებასთან ერთად) საერთო ფართიდან ფლობს 935,64 კვ.მ-ს, სადაც განაშენიანება 423,26 კვ.მ-ია (შენობები: №2/1; №3/1; №4/1; №5/1; №6/1; №8/1; №9/1; №11/1; №13/1; №14/1; №17/1; №19/1 და №21/1), ხოლო განაშენიანებისგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის ფართია 512,38 კვ.მ. ქ.თბილისში, ლის ქ. №75-71-ში განთავსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ორ თანაბარნილად გამიჯვნა, მიწის ნაკვეთის კონფიგურაციისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ზომებისა და ურთიერთგანლაგებიდან გამომდინარე, ტექნიკურად შეუძლებელია. სასამართლო სხდომაზე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტ ბ. ბ-ისა და მხარეთა განმარტებებით, დადგინდა, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 27 სექტემბრის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაში არასწორადაა მითითებული, რომ №13/1; №14/1 და №19/1 შენობებს ფლობს ა. ბ-ი, რადგან სინამდვილეში აღნიშნული შენობები იმყოფება გ. ბ-ის ფაქტობრივ მფლობელობაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო მიწის ნაკვეთის (განაშენიანებასთან ერთად) საერთო ფართიდან გ. ბ-ი ფაქტობრივად ფლობს 733.71 კვ.მ-ს, სადაც განაშენიანების ფართია 412.7 კვ.მ (შენობები: №1/1; №7/1; №10/1; №12/1; №13/1; №14/1; №15/1; №16/1; №18/1; №19/1; №20/1 და №22/1), ხოლო განაშენიანებისგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის ფართია 321,01 კვ.მ. ა. ბ-ი ფაქტობრივად მიწის ნაკვეთის (განაშენიანებასთან ერთად) საერთო ფართიდან ფლობს 891.29 კვ.მ-ს, სადაც განაშენიანების ფართია 378,91 კვ.მ (შენობები: №2/1; №3/1; №4/1; №5/1; №6/1; №8/1; №9/1; №11/1; №17/1 და №21/1), ხოლო განაშენიანებისგან თავისუფალი მიწის ნაკვეთი 512,38 კვ.მ-ია. ექსპერტ ბ. ბ-ის განმარტებით, დასტურდება, რომ, მიუხედავად აღნიშნული უსწორობი-

სა, ექსპერტიზის დასკვნაში, ქ.თბილისში, ლ-ის ქ. №75-71-ში განთავსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების მხარეთა შორის ნატურით გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, მიწის ნაკვეთის კონფიგურაციისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების და ურთიერთგანლაგებიდან გამომდინარე, ტექნიკურად შეუძლებელია. მისივე განმარტებით, ასევე შეუძლებელია ნატურით გაყოფა იმ შემთხვევაშიც, თუ მხარეებს საკუთრებაში დარჩებათ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული შენობა-ნაგებობები და გაიყოფა მხოლოდ განაშენიანებისგან თავისუფალი მიწის ნაკვეთი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის შპს „...-ის“ ექსპერტ მ. წ-ის მიერ 2010 წლის 28 ივლისს გაცემული №09/სტ დასკვნა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დასკვნით ვერ დგინდება გაყოფის შედეგად განაშენიანებისგან თავისუფალი რამდენი კვ.მ მიწის ნაკვეთი მიეკუთვნება ა. ბ-ს და რამდენი – გ. ბ-ს. ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, სახლთმფლობელობაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართი შეადგენს 789 კვ.მ-ს, საიდანაც 213 კვ.მ ეკუთვნის ბ-ს, ხოლო 235 კვ.მ – გ. ბ-ს. ექსპერტმა არ გასცა პასუხი, თუ ვის ეკუთვნის დანარჩენი 341 კვ.მ, ასევე არ არის მითითებული 341 კვ.მ-დან გამიჯვნის შემთხვევაში რამდენი შეხვდება ა. ბ-ს და რამდენი – გ. ბ-ს. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, არც ერთ მხარეს მიკუთვნებული არ აქვს ჩრდილოეთით მარჯვნივ არსებული შენობა №1/1 და მის წინ მდებარე მიწის ნაკვეთი.

ექსპერტი დასკვნის კვლევით ნაწილში უთითებს შემდეგს: „ა. ბ-ის კუთვნილი №9 საცხოვრებელი სახლის ნახევარზე მეტი და ასევე მის მფლობელობაში მყოფი №17 და №21 შენობა-ნაგებობები, სულ 116,5 კვ.მ საერთო ფართით, განთავსებულია გ.ბ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთში. აქედან გამომდინარე, დარღვეულია მესაკუთრეების წილობრივი ბალანსი, ანუ ბ-ს 116,5 კვ.მ-ით ნაკლები ფართი აქვს დაკავებული, ვიდრე ბ-ს და მის საკომპენსაციოდ საჭიროა, თავისუფალი ეზოს ხარჯზე დაბალანსდეს წილობრივი თანასწორუფლებიანობა“.

სააპელაციო პალატამ ექსპერტის აღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ უკანასკნელის მიერ შედგენილ სავარაუდო გაყოფის ნახაზში №21 შენობა-ნაგებობა გ. ბ-ს აქვს მიკუთვნებული. გარდა ამისა, ექსპერტ ბ. ბ-ის განმარტებით, დასტურდება, რომ დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ შპს „...-ის“ ექ-

სპერტ მ. ნ-ის მიერ შედგენილ სავარაუდო გაყოფის ნახაზით ცენტრალური გზის პირას არსებული მთლიანი ფართი მიკუთვნებული აქვს გ. ბ-ს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ა. ბ-ის საკუთრებაში დარჩენილი ფართის ღირებულებას, იქიდან გამომდინარე, რომ ამ უკანასკნელს არ რჩება ცენტრალური გზიდან შესავლელი თავის ნაკვეთში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის შპს „...-ის“ ექსპერტის 2010 წლის 28 ივლისს №09/სტ დასკვნა ბუნდოვანია, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს გაზიარებული, შესაბამისად, მითითებული ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით, ექსპერტ მ. ნ-ის ზეპირი განმარტებაც არ უნდა იქნეს გაზიარებული, გამომდინარე იქიდან, რომ ხსენებული დასკვნის შევსება ზეპირი განმარტებებით პალატამ შეუძლებლად მიიჩნია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ.თბილისში, ლ-ის ქ. №75-71-ში მდებარე უძრავი ქონების მხარეთა შორის ერთგვაროვან ნაწილებად გაყოფა, ღირებულების შემცირების გარეშე, შეუძლებელია.

სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 961-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეულ მონილეს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. იმავე კოდექსის 963-ე მუხლის მიხედვით, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. დადგენილია, რომ ა. ბ-სა და გ. ბ-ს გააჩნიათ საზიარო საკუთრების უფლება ქ.თბილისში, ალექსეევკის დასახლებაში, ლ-ის ქ. №75-71-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, ასევე დადგენილია, რომ საზიარო უფლების საგნის ორ ერთგვაროვან ნაწილად დაყოფა ღირებულების შემცირების გარეშე (ნატურით გაყოფა) შეუძლებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2012 წლის 16 იანვარს მიღებულ იქნა დამატებითი განჩინება, რის საფუძველზეც, გ. ბ-ს ა. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისათვის გაწეული ხარჯის 300 ლარის ანაზღაურება. პალატამ მიიჩნია, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ საკითხის დასმამ წარმოადგენს მხარეთა პრეროგატივას და, შესაბამისად, აღნიშნული საკითხის დასმის 7-დღიანი საპროცესო ვადაც ვრცელდება მხოლოდ მხარეებზე. რაც შეეხება, გადაწყვეტილების გამომ-

ტან სასამართლოს, პალატის მოსაზრებით, სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება თავისი ინიციატივით ნებისმიერ დროს, თუ წარმოიშვა ამის საჭიროება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2012 წლის 16 იანვრის დამატებითი განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-მა შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეული დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის კანონით დადგენილი წესი და ვადა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის დანაწესის სანინაალმდეგოდ, სასამართლომ დამატებითი განჩინება (ნაცვლად გადაწყვეტილებისა) გამოიტანა ერთი თვის შემდეგ (ნაცვლად 7 დღისა), რაც არასწორია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას მოსარჩელე მხარემ სასამართლოში წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც საზიარო უფლების გაუქმება შესაძლებელი იყო. საქმის განხილვისას მოპასუხე მხარე დაეთანხმა შენობა-ნაგებობების კუთვნილების საკითხს, მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით დავის საგანს წარმოადგენდა მხოლოდ მიწის ნაკვეთი და მისი გამიჯვნის შესაძლებლობა. ექსპერტიზის დასკვნა სხვა მხრივ სადავო არ გამხდარა. ამის მიუხედავად, მოპასუხე მხარეს არც თვითონ წარმოუდგენია სხვა დასკვნა და არც სასამართლოს წინაშე დაუყენებია შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ თავისი ინიციატივით დანიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა. მისი დანიშვნის მიზეზი კი, სასამართლოს განმარტებით, გახდა წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის არასრული ხასიათი. აღნიშნული მოქმედებით სასამართლომ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი და მხარის ვალდებულება სასამართლოში თვითონ შეასრულა. ექსპერტის მიერ წარმოებული კვლევა და დასკვნები ცხადად წარმოშობს ეჭვს, ვინაიდან ექსპერტი ასკვნის ისეთი ნივთის გამიჯვნის შეუძლებლობას, რაზედაც კვლევა არასწორად აქვს ჩატარებული. კვლევით ნაწილში ექსპერტმა არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ნაგებობების სარგებლობის საკითხი მხარეებს განსაზღვრული ჰქონდათ, სწორედ ამიტომ, ამაზე მხარეები არ დავობდნენ. სამოქალაქო კოდექსის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თითოეულ მოწილეს უფლება აქვს, ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას, ანუ აღნიშნული ნორმა საზიარო უფლების მქონე პირს აძლევს უფლებას, დაიცვას საზიარო საგნით თავისი სარგებლობის უფლება, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ საგნის სარგებ-

ლობის რაიმე განსაზღვრული წესია დადგენილი, მხარეს შეუძლია, სადავოდ გახადოს ამ წესით სარგებლობა, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, არ განხორციელებულა.

საქმეში წარმოდგენილია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ნაგებობა №12, №18 და №20 არ არის არც ერთი მხარის მფლობელობაში, აღნიშნულ ნაგებობას ფლობენ მოსარგებლეები – გ. ბ-ი და გ. ბ-ი. სასამართლო შეეცადა, ზეპირი განმარტების საშუალებით შეეცადა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც აბსოლუტურად უკანონო და დაუსაბუთებელია, აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უნდა დაენიშნა განმეორებითი ექსპერტიზა.

უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 30 აპრილის განჩინებით გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის 2012 წლის 16 იანვრის დამატებითი განჩინების თაობაზე ცნობილ იქნა დასაშვებად, ხოლო საკასაციო საჩივარი თბილისის 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებელი განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ამავე სასამართლოს 2012 წლის 16 იანვარს მიღებულ იქნა დამატებითი განჩინება, კერძოდ, გ. ბ-ს ა. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისათვის განუული ხარჯის – 300

ლარის ანაზღაურება.

საკვსაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინება მიღებულ იქნა კანონის დარღვევით. პალატამ გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითა შემდეგი: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ საკითხის დასმა წარმოადგენს მხარეთა პრეროგატივას და, შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნის დასმის 7-დღიანი საპროცესო ვადაც ვრცელდება მხოლოდ მხარეებზე. რაც შეეხება, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს გადაწყვეტილება თავისი ინიციატივით ნებისმიერ დროს, თუ წარმოიშვა ამის საჭიროება.

საკვსაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ დასკვნას შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა, სასამართლოს მიერ ხარვეზით გამოტანილი გადაწყვეტილების გამოსწორების საშუალებაა. დამატებითი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოტანილი, თუ ამ საქმეზე გამოტანილი ძირითადი გადაწყვეტილება არ შეიცავს პასუხს მხარის ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც, განხილვის საგანი იყო, მაგრამ სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება ამ კონკრეტული მოთხოვნის მიმართ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი კი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც სასამართლომ არ გადაწყვიტა სასამართლო ხარჯების საკითხი და დამატებითი გადაწყვეტილებით ეს ხარვეზი სწორდება. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს ან სასამართლოსაგან, თუ მან ძირითადი გადაწყვეტილების შემდეგ აღმოაჩინა მასში ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, ან მხარეთა თხოვნით. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება წარმოიშვას ძირითადი გადაწყვეტილების გა-

მოცხადების დღიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეული დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის კანონით დადგენილი წესი და ვადა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის დანაწესის საწინააღმდეგოდ, სასამართლომ დამატებითი განჩინება (ნაცვლად გადაწყვეტილებისა) გამოიტანა ერთი თვის შემდეგ (ნაცვლად 7 დღისა), რაც არასწორია. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა სასამართლოსათვის.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2012 წლის 6 იანვარს ა.ბ-ის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა 2011 წლის 15 დეკემბერს გამოტანილ გადაწყვეტილებაში დაშვებული არითმეტიკული შეცდომის გასწორება, კერძოდ, მიუთითა, რომ არ იყო ნამსჯელი ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ა.ბ-ის მიერ გადახდილ თანხაზე, რომელიც 300 ლარს შეადგენს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნულ საკითხს ანესრიგებს რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი, სასამართლო ხარჯების გადაწყვეტილებით გაუნაწილებლობა აშკარა არითმეტიკულ შეცდომას არ წარმოადგენს და იგი დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით უნდა გასწორდეს.

ა. ბ-ის წარმომადგენლის განცხადება სამართლებრივადაც სწორი რომ იყოს, დარღვეულია მისი სასამართლოში შეტანის ვადა, კერძოდ, 261-ე მუხლის მე-2 ნაწილით ცალსახად დგინდება, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის 1-ლი წინადადების თანახმად, კი საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. 2011 წლის 15 დეკემბრის სასამართლო სხდომას, რომელზედაც გამოცხადდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება ესწრებოდა ა. ბ-ის წარმომადგენელი ნ. რ-ი. აქედან გამომდინარე, ვინაიდან, დამატებითი გადაწყვე-

ტილების გამოტანის ვადის ათვლის წინაპირობა გადაწყვეტილების გამოცხადებაა და არა მისი ჩაბარება (გადაცემა მხარისათვის) მისი გამოტანის მოთხოვნის უფლება მხარეს ჰქონდა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში, რაც მან არ განახორციელა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 იანვრის დამატებითი განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 იანვრის განჩინება.
საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვა

განჩინება

№ას-497-470-2012

22 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მართლსაწინააღმდეგო განზრახი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. რ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ჯ-ის მიმართ მართლსაწინააღმდეგო განზრახი ქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანის – 20000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემ-

დეგ გარემოებებზე მითითებით:

მოსარჩელეს დედოფლისწყაროს რაიონში საკუთრების უფლებით გააჩნია 396 ჰა მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ ნაკვეთზე საკუთრების უფლება აღრიცხულია საჯარო რეესტრში. მიწის ნაკვეთზე მდებარეობს ორი ფერმა და ორი საცხოვრებელი სახლი, რომელთაგან ერთი 1998 წლიდან ნაქირავები ჰქონდა მოპასუხეს, რომელმაც ქირის გადახდა შეწყვიტა 2008 წლიდან. მოსარჩელის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხეს თანხა არ გადაუხდია, უკანონოდ ფლობდა ქონებას და არ აძლევდა მესაკუთრეს ნივთით სარგებლობის შესაძლებლობას. თ. ჯ-ემ მიმართა საგამომძიებო ორგანოს გ. რ-ის მიმართ საძოვრის შეძენის შესახებ დოკუმენტების სავარაუდო გაყალბების შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით. სიღნაღის რაიონული პროკურატურის მიერ 2011 წლის 22 მაისს შეწყდა წინასწარი გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. მოსარჩელემ კუთვნილი უძრავი ქონებიდან მოპასუხის გამოსახლება შეძლო მხოლოდ პოლიციის დახმარებით. გაფრთხილების მიუხედავად, იმავე ღამეს მოპასუხემ მართლსაწინააღმდეგოდ შეაღწია მოსარჩელის კუთვნილ ფერმაში, ბინასა და საძოვარში, რითაც დაარღვია მესაკუთრის უფლებები და მიაყენა მატერიალური ზიანი. დანაშაულის ჩადენის გამო, მოპასუხე მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო. სისხლის სამართლის საქმეზე გ. რ-ი მიჩნეულ იქნა დაზარალებულად, ხოლო 2011 წლის 23 მაისს თ. ჯ-ესა და პროკურატურას შორის, მოსარჩელის თანხმობით, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და თ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. განაჩენით დადგენილია, რომ მოპასუხემ ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, დადგენილია მიზეზობრივი კავშირიც ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და თ. ჯ-ის ბრალეულობა. დადგენილია ასევე მოსარჩელისათვის ამ ქმედების შედეგად 20000 ლარის ოდენობის ზიანის მიყენება, რომლის ანაზღაურებაც, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პასუხისმგებელია ქმედების ჩამდენი და ეს ზიანი მას ნებაყოფლობით არ აუნაზღაურებია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად მიუთითა შემდეგი გარემოებები:

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის განაჩენით არ არის დადგენილი მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის 20000 ლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი

და არც ის გარემოება, რომ თ. ჯ-ის დაეკისრა სამოქალაქო წესით პასუხისმგებლობა, მოსარჩელეს არ აქვს წარდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა მოთხოვნილი ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი, შესაბამისად, არ დასტურდება სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების წინაპირობები. თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. რ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, თ. ჯ-ის მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 20000 ლარის, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 თებერვლის განჩინებით თ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, 105-ე მუხლზე და განმარტა, რომ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. ფაქტობრივი დასაბუთებისას საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა მიუთითოს იმ მტკიცებულებებზე, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, ასევე მოსაზრებები, რომლებითაც საქმის განმხილველი სასამართლო უარყოფს საქმეში წარმოდგენილ ამა თუ იმ მტკიცებულებას, ამასთან, საქმის განმხილველმა სასამართლომ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას გულდასმით უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა მტკიცებულება და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანოს დასკვნა სადავო გარემოების არსებობის ან არარსებობის თაობაზე. განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებები თელავის რაიონულ სასამართლოს ყოველმხრივ და სრულად არ გამოუკვლევიან, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივი კუთხით დაუსაბუთებელია. დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის განაჩენით თ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად, ასევე დამატებით სასჯელის

სახედ განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე გ. რ-ისათვის მოპასუხე თ. ჯ-ის მიერ ზიანის მიყენების შესახებ ფაქტი დადასტურდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰ მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ზიანის მიყენების ფაქტი ამ კონკრეტულ შემთხვევაში კვლევას არ საჭიროებს. ამ თვალსაზრისით პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის დასაბუთება, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი განაჩენით. თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა რა გ. რ-ისათვის 20000 ლარის ოდენობის ზიანის მიყენების ფაქტი, გადაწყვეტილების მიღებისას პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს. პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰ მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან, ვინაიდან კანონის აღნიშნული დანაწესი ვრცელდება მხოლოდ ზიანის მიყენების შესახებ ფაქტზე და იგი არ გულისხმობს მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენილად მიჩნევისათვის მხოლოდ ამგვარი განაჩენით ხელმძღვანელობას. დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სარჩელის განხილვისას მიყენებული ზიანის ოდენობის შესახებ ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს თავად განსახილველ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად, რა დროსაც დაცული უნდა იყოს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და საქმეში მონაწილე ორივე მხარემ თანაბარი შესაძლებლობებით უნდა ისარგებლოს, იმისათვის რომ წარმოადგინოს და უარყოს მონიშნულ მდგე მხარის მიერ მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები. წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა შეფასდეს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რის შედეგადაც სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის განხილველი სასამართლოს მიერ არ არის გამოკვლეული და დადგენილი მოსარჩელე გ. რ-ისათვის მოპასუხე თ. ჯ-ის დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ოდენობა, პალატამ ჩათვალა, რომ მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა მხარის მიერ მიყენებული ზიანის ზუსტ ოდენობასა და მოდავე მხარისათვის დაკისრებული თანხის კანონიერებაზე. მოპასუხემ საქმის პირველი ინსტან-

ციის სასამართლოში განხილვისას მიუთითა, რომ მას ეტაპობრივად აქვს გადახდილი განსაზღვრული ოდენობის თანხა მოსარჩელისათვის და ასევე, გადაცემული აქვს განსაზღვრული ოდენობის ყველი, ამასთან, მისივე განმარტებით, მოპასუხე უფელიდა მოსარჩელის 170 სულ ცხვარს, რომლის დადასტურება შესაძლებელია მოწმეთა ჩვენებებით. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული გარემოებები არ გამოუკვლევია პირველი ინსტანციის სასამართლოს, პალატამ ჩათვალა, რომ მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეემოწმებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების საფუძვლიანობა და ემსჯელა აქვს თუ არა შესრულებული მოპასუხეს ვალდებულების გარკვეული ნაწილი. ამდენად, პალატის მოსაზრებით, საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დასაადგენია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ის გარემოება, კონკრეტულად რა ოდენობის ზიანი მიადგა მოსარჩელე გ. რ-ს მოპასუხე თ. ჯ-ის მიერ და მიღებული აქვს თუ არა გ. რ-ს შესრულების გარკვეული ნაწილი თ. ჯ-ისაგან. სასამართლომ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩათვალა, რომ საჭიროა მტკიცებულებების დამატებით გამოკვლევა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რის გამოც პალატა უფლებამოსილი არ არის, მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. რ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი დასაბუთებით:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება ეწინააღმდეგება სასამართლოს მიერ დადგენილ ცალკეულ ფაქტებს, სასამართლომ არ განმარტა, თუ რატომ მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებლად, რაც საქმის ხელახლა განხილისათვის დაბრუნების საფუძველი გახდა. პალატამ არასწორად განმარტა კანონი – „ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესის“ თაობაზე. თელავის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღიძრა თ. ჯ-ის მიმართ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავის საფუძველზე. სარჩელი ეფუძნება დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის განაჩენს, რომლითაც თ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, გ. რ-ის კუთვნილ მფლობელობაში, მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ, უკანონოდ შესვლაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში მითითებულია, როგორც გ. რ-ისათვის ზიანის მიყენების ფაქ-

ტი, ასევე, დამდგარი ქონებრივი ზიანის ოდენობა, რის საფუძველზეც სასამართლომ დაადასტურა პროკურორის მიერ კვალიფიცირებული დანაშაული, კერძოდ, განაჩენში აღნიშნულია, რომ 1998 წლიდან, გ. რ-ს თ. ჯ-ისათვის მიქირავებული ჰქონდა საძოვარი, მასზე განთავსებული ცხვრის ფერმითა და საცხოვრებელი ბინით. 2008 წლიდან თ. ჯ-ე აღარ უხდიდა ქირას კასატორს, არც დაკავებულ ფერმას, ბინასა და საძოვარს ათავისუფლებდა, რის გამოც, გ. რ-მა მიმართა პოლიციას, თ. ჯ-ე 2011 წლის 28 მარტს გამოსახლებულ იქნა უკანონოდ დაკავებული ფართიდან, თუმცა იგი ხელმეორედ შევიდა ამავე მფლობელობაში. აქვე მითითებულია, რომ დანაშაულებრივი ქმედებით თ. ჯ-ემ დაზარალებულ გ. რ-ს წლების განმავლობაში მიაყენა 20000 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი, აღნიშნული მიაჩნებებს იმაზე, რომ კასატორს წლების განმავლობაში არ ჰქონდა შესაძლებლობა, თავისი ქონება გამოეყენებინა შემოსავლის მისაღებად, ასევე აღსანიშნავია, რომ ამავე წლებში ეს უკანასკნელი იხდიდა კუთვნილი მიწის გადასახადებს. სისხლის სამართლის განაჩენით დადგენილი ქონებრივი ზიანის ოდენობად 20000 ლარი განისაზღვრა დადასტურებულია მოწმეთა ჩვენებებით, დაზარალებულის მიერ წარდგენილი დოკუმენტებითა და სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით. გასაჩივრებულ გადანყვეტილებში სასამართლო მიუთითებს, რომ თელავის რაიონულ სასამართლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ გამოუკვლევია ყოველმხრივ და სრულად, რის გამოც გადანყვეტილება მიიჩნია დაუსაბუთებლად. აქვე აღნიშნავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰ მუხლის შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებები კვლევას არ საჭიროებენ. სასამართლომ, ერთი მხრივ, განმარტა, რომ თელავის რაიონული სასამართლოს გადანყვეტილებით დადგინდა რა გ. რ-ისათვის 20000 ლარის ოდენობის ზიანის მიყენების ფაქტი, გადანყვეტილების მიღებისას, პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს, ამასთან ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰ მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან. არასწორია გასაჩივრებული განჩინების განმარტება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰ მუხლის მე-2 ნაწილი ვრცელდება მხოლოდ ზიანის მიყენების შესახებ ფაქტზე და იგი არ გულისხმობს მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენილად მიჩნევისათვის მხოლოდ ამგვარი განაჩენით ხელმძღვანელობას. დანაშაულით მიყენებული

ზიანის ოდენობა უნდა დადგინდეს თავად განსახილველ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად, რა დროსაც დაცული უნდა იყოს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და საქმეში მონაწილე ორივე მხარემ თანაბარი შესაძლებლობებით უნდა ისარგებლოს, იმისათვის, რომ წარმოდგინოს ან უარყოს მეორე მხარის მიერ მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები. წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა შეფასდეს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რის შედეგადაც სასამართლო გამოიტანს დასკვნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშნული მსჯელობით სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავის მოთხოვნები. კანონმდებელმა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმის გამარტივებული წესით განხილვის აუცილებლობა დააწესა იმიტომ, რომ სისხლის სამართალწარმოებიდან მოპასუხისა და მოსარჩელის ინსტიტუტი ამოღებულ იქნა, სამოქალაქო საქმის წარმოებისას კი, აღარ არის საჭირო სხვა კვლევები, თუ ზიანის ოდენობა განსაზღვრულია. პალატამ არ გამოიყენა 309¹⁷ მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც მითითებულია გარემოებაზე, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენით არ არის განსაზღვრული ზიანის ოდენობა. სააპელაციო სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის კანონიერებაც, როდესაც მიუთითა შემდეგი: მართალია, სასამართლომ ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულად მიიჩნია, მაგრამ თავისი გადაწყვეტილების 4.3 პუნქტში უთითებს, რომ მოპასუხე უვლიდა 170 სულ ცხვარს, რაც სასამართლოს აზრით, მოთხოვნილ თანხას უნდა დააკლდეს, ასეთ შემთხვევაში, თ. ჯ-ის მიმართ გამოტანილი განაჩენი შესაძლოა აღმოჩნდეს უკანონო, რადგან ზიანის შემცირება ან გაზრდა ასახვას ჰპოვებს დანაშაულის სიმძიმეზე, მის კვალიფიკაციასა და დანიშნულ სასჯელზე. გარდა ამისა, საპროცესო შეთანხმების დადებისას თ. ჯ-ე გაფრთხილებული იყო, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდებოდა. არც თ. ჯ-ეს და არც მის დამცველს განაჩენი არ გაუსაჩივრებიათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განჩინებით გ. რ-ის საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმებისა და გ. რ-ის საკასაციო პრეტენზიის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაა დადგენილი, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივი დასაბუთება გაიზიარა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა მოსარჩელისათვის მოპასუხის მხრიდან დანაშაულის ჩადენის შედეგად ზიანის მიყენების ფაქტს. რაც შეეხება მიყენებული ზიანის ოდენობის გაანგარიშებას, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ კუთხით პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია საპროცესო კანონის მოთხოვნები, კერძოდ: ა) სასამართლომ ყოველმხრივ და სრულად არ გამოიკვლია მტკიცებულებები (სსსკ-ის 105-ე მუხლის დარღვევა); ბ) სასამართლოს დასაბუთება არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰ მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან, ვინაიდან კანონის აღნიშნული დანაწესი ვრცელდება მხოლოდ ზიანის მიყენების შესახებ ფაქტზე და იგი არ გულისხმობს მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენილად მიჩნევისათვის მხოლოდ ამგვარი განაჩენით ხელმძღვანელობას.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის უკან დაბრუნებას ხელახლა განსახილველად საფუძველად დაუდო შემდეგი მოტივაცია: საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დასადგენია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ის გარემოება, კონკრეტულად რა ოდენობის

ზიანი მიადგა მოსარჩელე გ. რ-ს მოპასუხე თ. ჯ-ის მიერ და მიღებული აქვს თუ არა გ. რ-ს შესრულების გარკვეული ნაწილი თ. ჯ-ისაგან. ამასთან, მიყენებული ზიანის ოდენობის შესახებ ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს თავად განსახილველ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად, რა დროსაც დაცული უნდა იყოს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა კანონი – „ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესის“ თაობაზე. ამასთან, პალატამ არ გამოიყენა საპროცესო კანონის 309¹⁷ მუხლის მე-2 ნაწილის დებულებანი. კასატორი მიიჩნევს, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში მითითებულია, როგორც გ. რ-ისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე, დამდგარი ქონებრივი ზიანის ოდენობა, რის საფუძველზეც სასამართლომ დაადასტურა პროკურორის მიერ კვალიფიცირებული დანაშაული. აღნიშნული მიანიშნებს იმაზე, რომ კასატორს წლების განმავლობაში არ ჰქონდა შესაძლებლობა, თავისი ქონება გამოეყენებინა შემოსავლის მისაღებად, ასევე აღსანიშნავია, რომ ამავე წლებში ეს უკანასკნელი იხდიდა კუთვნილი მიწის გადასახადებს. მითითებული არაა გუმენტების დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე გ. რ-ი მოპასუხე თ. ჯ-ისაგან ითხოვს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამასთან, მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად უთითებს არა სახელშეკრულებო ურთიერთობას, არამედ დელიქტურ ურთიერთობას. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის დანაწესიდან, რომლის მიხედვითაც, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ თ. ჯ-ის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით მოსარჩელე გ. რ-ს მიადგა ზიანი. აღნიშნული გარემოება დადასტურებულ იქნა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ამდენად, საქმის საკასაციო წესით განხილვისათვის სავალდებულოდ გასაზიარებელია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოპასუხის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა; მოსარჩელისათვის მი-

ყენებული ზიანი; მიზეზობრივი კავშირი ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, სააპელაციო სასამართლომ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი არ მიიჩნია საკმარის მტკიცებულებად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავ ემუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად ფაქტობრივი გარემოებების დადგენას ყოველთვის წინ უძღვის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება, რაც მოიცავს მათი დასაშვებობის, შესახებობისა და უტყუარობის შემოწმებას, აგრეთვე მტკიცებულებათა საკმარისობაზე მსჯელობასა და მათ შეფასებას ერთობლიობაში. მტკიცებულებათა დასაშვებობა შესაძლებელია დადგენილი იყოს როგორც მატერიალური კანონით, ასევე საპროცესო კანონით.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამარტივებული წესით განხილვის მარეგულირებელი ნორმებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავი) მოწესრიგებულია როგორც წმინდა პროცესუალური საკითხები (დასაშვებობა, განსჯადობა და ა.შ.), ასევე მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებული საკითხები. მაგალითად: 309²⁰ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამდენად, ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად კანონმდებელი დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენს. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით უტყუა-

რად დადგენილად მიიჩნია ზიანის მიყენების ფაქტი, რაც კასაციის შემომწმების საგანს არ წარმოადგენს.

ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამარტივებული წესით განხილვის მარეგულირებელი ნორმებიდან კიდევ ერთი ნორმა, 309¹⁷ მუხლის მე-2 ნაწილი ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობას. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მიყენებული ზიანის გაანგარიშებას, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს შეიძლება ასევე დაერთოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მიყენებული ზიანის ოდენობა. მოცემული ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან ცალსახად დგინდება, რომ დელიქტით გამოწვეული ზიანის ოდენობის დასადგენად დასაშვები მტკიცებულებაა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, ამასთან, შესაძლებელია იგი საკმარისი აღმოჩნდეს, თუ განაჩენი შეიცავს შესაბამის გაანგარიშებას. ხოლო თუ განაჩენი ზოგადად ადგენს ზიანის მიყენების ფაქტს და არ შეიცავს ოდენობის დასაბუთებას, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მოსარჩელეს დასჭირდება დამატებითი მტკიცებულების წარდგენა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენილად მიჩნევისათვის მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ხელმძღვანელობა ისე გამოიციხა, რომ თვითონვე არ მოუხდენია აღნიშნული მტკიცებულების შეფასება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამგვარი უსწორობა გამომდინარეობს კანონის არასწორი განმარტებიდან და კანონის არგამოყენებიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია ის სამართლებრივი საფუძვლები, როდესაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს იმავე სასამართლოს, თუმცა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. კანონის ამგვარი ჩანაწერი ემსახურება მართლმსაჯულების ეკონომიურობის პრინციპს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპე-

ლაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. მითითებული ნორმით განსაზღვრულია რა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის ზუსტი ფარგლები, კანონმდებელი ამ ფარგლებში სააპელაციო სასამართლოს ფაქტობრივი გარემოების დადგენისა და მტკიცებულებათა შეფასების მიზნით რაიმე შეზღუდვას არ უნესებს, უფრო მეტიც, ამ ინსტანციის სასამართლოში, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით (სსსკ 380-ე მუხლი) დასაშვებია ახალი მტკიცებულების მიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ არასაკმარისად დაასაბუთა გადაწყვეტილება, შესაბამისად კასატორის პრეტენზია სრულიად მართებულია და გაზიარებულ უნდა იქნეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავ კოდექსის 394-ე მუხლის ე' ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო საჩივრის პრეტენზიის დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განსახილველი საქმის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება ამ ეტაპზე შეუძლებელია. ამასთან, საქმის სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდეგ, სასამართლომ, საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, ასევე საპროცესო ნორმების დაცვით წარდგენილ ახალ მტკიცებულებებს უნდა მისცეს სათანადო შეფასება. სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, არის თუ არა საკმარისი სასარჩელო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. განაჩენის, როგორც მტკიცებულების უტყუარობის შესამოწმებლად სასამართლომ უნდა დაადგინოს ხომ არ არის განაჩენში მითითებული ზიანის ოდენობა კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქ-

მეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. დასახელებული ნორმის გათვალისწინებით, ვინაიდან საქმე სააპელაციო სასამართლოს უბრუნდება ხელახლა განსახილველად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლო ხარჯების განსაზღვრა სწორედ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დროს უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. რ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა
სააპელაციო სასამართლოში**

ბანჩინება

№ას-285-271-2013

30 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, ქმედების განხორციე-
ლება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. დ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ბ-ის, ზ. ს-სა და ი. მ-ის მიმართ სოლიდარულად ზიანის – 2220 ლარის ანაზღაურე-
ბის, საცხოვრებელი ბინის სავენტილაციო მილების გახსნის და-
ვალდებულებისა და სასამართლო ხარჯების გადახდის შესახებ
შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელე ცხოვრობს ქ.ბათუმში, ფ. მ-ის ქ. №105-ში მდე-
ბარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. ამავე სახლში შექ-
მნილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ი“. ამ უკანასკნელის
მოთხოვნით ამხანაგობაზე 2008 წლის 30 სექტემბერს გაიცა
მშენებლობის ნებართვა მანსარდული ტიპის სართულის დაშე-
ნების თაობაზე. მანსარდული სართულის დაშენება ანარმოა-
სარჩელში მითითებულმა მოპასუხეებმა, რომლებიც წარმოად-
გენენ მანსარდის მესაკუთრეებს. მშენებლობის დროს მოპასუ-
ხეთა მიერ დაშვებულ იქნა შეცდომა (მშენებლობა განხორცი-
ელდა მშენებლობის გეგმა-ნახაზით გათვალისწინებული ზომე-
ბის დარღვევით), მოპასუხეთა ამ ქმედებით მოსარჩელეს მი-
ადგა ზიანი. მოპასუხეებმა სადავო მშენებლობისას დახურეს
სავენტილაციო მილები, რაც საცხოვრებელ ბინაში იწვევს არა-
სასიამოვნო ჰაერის დაგროვებას.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მათ
მოსარჩელისათვის ზიანი არ მიუყენებიათ, შესაბამისად, წარ-
მოდგენილი სარჩელი უსაფუძვლოა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2012 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. დ-ის სარ-
ჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის

სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 1730 ლარის გადახდა, სარჩელი სავენტილაციო მილების გახსნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რაც სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში – მოპასუხეებმა, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 30 დეკემბერს ქ. ბათუმში, ფ. მ-ის ქ. №105-ში მდებარე 5-სართულიან საცხოვრებელ სახლში შექმნილ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ის“ სახელზე გაიცა მშენებლობის ნებართვა მანსარდის დაშენებაზე, რაც დასტურება ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გაცემული №289/08 მშენებლობის ნებართვით.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერების თანახმად, ქ. ბათუმში, ფ. მ-ის ქ. №105-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სხვენი ეკუთვნით გ. ც-ეს (47,10 კვ.მ), დ. ბ-ეს (60 კვ.მ) და ი. მ-ს (35,7 კვ.მ + 76 კვ.მ + 29,9 კვ.მ + 30 კვ.მ).

2013 წლის 29 იანვარს მთავარ სხდომაზე ვ. დ-ეს სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელი აღძრული იყო არასათანადო მოპასუხეების წინააღმდეგ და სთხოვა მოსაზრების დაფიქსირება მათი სათანადო მოპასუხით – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ით“ შეცვლასთან დაკავშირებით, რასაც ვ. დ-ე არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ არ სურდა მოპასუხედ საქმეში ამხანაგობის ჩართვა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა შემდეგი სასარჩელო მოთხოვნების ფარგლებში: ა) მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 2200 ლარის დაკისრება (აღდგენითი სამუშაოს ხარჯი); ბ) მოპასუხეთა დავალდებულება საკვამლე და სავენტილაციო მილების გახსნაზე; გ) საქმის წარმოებასთან დაკავშირებით განეული ხარჯების (ადვოკატის მომსახურების თანხა, სანოტარო წესით რწმუნებულებათა გაფორმების თანხები და ა.შ.) – 535 ლარის დაკისრება მოპასუხეთათვის. ვ. დ-ემ, წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით, გაზარდა დავის საგანი და ნაცვლად 2735 ლარისა, მოითხოვა მოპასუხეთათვის 3655 ლარის დაკისრება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოსატანად, უპირველეს

ყოვლისა, სწორად უნდა განისაზღვროს სათანადო მოპასუხე.

„მშენებლობის ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის (მოქმედებდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ის“ სახელზე 2008 წლის 30 დეკემბერს მშენებლობის ნებართვის გაცემისას) მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „მშენებლობის ნებართვად“ ითვლებოდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონით დადგენილი წესითა და ფორმით, გარკვეული ვადით მინიჭებული უფლება, რომელიც წარმოადგენდა მშენებლობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს. ამავე ნორმის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მშენებლობა“ გულისხმობდა შენობა-ნაგებობის აგების (მათ შორის, რეკონსტრუქციის) პროცესს, რომელიც მოიცავდა სამშენებლო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოებს, ხოლო „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „დამკვეთი“ იყო ფიზიკური ან იურიდიული პირი, კანონით განსაზღვრული ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი, ან ამხანაგობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამუშაოს უკვეთავდა საპროექტო ან/და სამშენებლო ორგანიზაციას.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებით (მოქმედებდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ის“ სახელზე 2008 წლის 30 დეკემბერს მშენებლობის ნებართვის გაცემისას) დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, დამკვეთი ვალდებულია, მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ასევე, უზრუნველყოს სანებართვო პირობების შესრულება, ხოლო მე-6 პუნქტის მიხედვით, დამკვეთს მისთვის დაკისრებული უფლებებისა და მოვალეობების შეუსრულებლობის ან დარღვევით შესრულების შემთხვევაში ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული ნორმებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ბათუმში, ფ. მ-ის ქ. №105-ში მდებარე 5-სართულიან საცხოვრებელ სახლზე მანსარდის დაშენებაზე დამკვეთს წარმოადგენდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ი“, რომელიც პასუხისმგებელი იყო სამშენებლო სამუშაოების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებაზე. შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სარჩელის მიმართ სათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ი“ და შესთავაზა ვ. დ-ეს, გამოეთქვა თანხმობა საქმეში არასათანადო

მოპასუხეებად მონაწილე ფიზიკური პირების შეცვლაზე მითითებული ამხანაგობით, რაზედაც ვ. დ-ემ განაცხადა უარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ვ. დ-ეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ეს დასკვნა თავისთავად განაპირობებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ ზ. ს-ეს ეკუთვნის სადავო მანსარდის რაიმე ნაწილი. ასევე, არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ განხორციელებული მშენებლობის შედეგად ქ.ბათუმში, ფ. მ-ის ქ. №105-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში გადააკეთი. საკვამლე და სავენტილაციო მილები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა ვ. დ-ის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს განხილვის საგნად ქცეული სასარჩელო მოთხოვნების ფარგლებში, სააპელაციო საჩივარში დაფიქსირებული გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. დ-ემ და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2008 წლის 30 დეკემბერს ქ.ბათუმში, ფ.მ-ის ქ. №105-ში მდებარე 5-სართულიან საცხოვრებელ სახლში შექმნილ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ის“ სახელზე უფლებამოსილმა ორგანომ გასცა მშენებლობის ნებართვა მანსარდის დაშენების თაობაზე, მაგრამ ამ უკანასკნელს ზემოთხსენებული 5-სართულიანი სახლის მე-4 სადარბაზოს მე-5 სართულზე მანსარდის დაშენების შესახებ რომელიმე სამშენებლო ორგანიზაციისათვის შეკვეთა არ მიუცა ანუ შემკვეთსა და მენარდეს შორის არანაირი ხელშეკრულება არ გაფორმებულა, ამდენად, არც მშენებლობა უნარმოებია.

2010 წელს კასატორმა მიმართა ქ.ბათუმის მერიის არქიტექტურის სამსახურს, რათა გაეგო საცხოვრებელი სახლის მე-4 სადარბაზოს მე-6 სართულზე მანსარდის მშენებლობა ვინ განახორციელა. პასუხად მას განუმარტეს, რომ მიემართა ამხანაგობა „ა-ის“ და მასთან გაერკვია ყველაფერი.

2010 წლის 26 ნოემბერს კასატორმა მიმართა ამხანაგობა „ა-ის“ მაშინდელ თავმჯდომარე გ. ძ-ეს და შეიტყო, რომ ყველამ თავისი ხარჯითა და ძალებით დააშენა მანსარდი მე-6 სართულზე და თავად არიან პასუხისმგებელი საკუთარ დაშენებულზე.

საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, მონმის სახით დაკითხულმა ამხანაგობა „ა-ის“ ამჟამინდელმა თავმჯდომარე გ. ც-მა აჩვენა, რომ მან ზოგადად იცოდა მე-4 სადარბაზოს მე-6 სართულზე მანსარდის დაშენების ნებართვის არსებობის შესახებ. მისთვის ცნობილია, რომ ამ სადარბაზოს მე-6 სართულის დაშენება ორგანიზებულად არ მიმდინარეობდა. ფიზიკური პირები მშენებლობას აწარმოებდნენ დამოუკიდებლად. დანარჩენ სადარბაზოებში სამუშაოები სრულდებოდა სამშენებლო ორგანიზაციასთან გაფორმებული შეკვეთით, რასაც ვერ იტყოდა მე-4 სადარბაზოზე.

სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მიიღო აშკარად უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

პალატა დადგენილ გარემოებად მიიჩნევს, რომ ქ.ბათუმში, ფ. მ-ის ქ. №105-ში მდებარე სახოვრებელი სახლის სხვენი ეკუთვნით გ. ც-ეს, დ. ბ-სა და ი. მ-ს, რაც მტკიცდება საჯარო რეესტრის ამონაწერებიდან. კასატორის განმარტებით, დავის საგანია ხსენებული საცხოვრებელი სახლის მე-4 სადარბაზოს მე-5 სართულზე ლ. ბ-ის, ზ. ს-სა და ი. მ-ის მიერ დაშენების პროექტის უხეში დარღვევით მანსარდის დაშენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, გ. ც-ე კი ცხოვრობს ამავე სახლის პირველ სადარბაზოში, სადაც მე-5 სართულზე აიშენა მანსარდი და ამ საქმესთან არანაირი კავშირი არ აქვს.

გ. დ-ის მოსაზრება მოპასუხეთა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ით“ შეცვლაზე უარის თქმის თაობაზე საფუძვლიანია.

საქმის მასალებითა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასამართლო პროცესზე დაკითხულ მონმეთა განმარტებებით დადგენილია, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ი“ ქ.ბათუმში, ფ.მ-ის ქ. №105-ში მდებარე 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მე-4 სადარბაზოს მე-5 სართულზე მანსარდული ტიპის მე-6 სართულის დაშენებას არ აწარმოებდა და არც არანაირი მონაწილეობა არ მიუღია აღნიშნულ მშენებლობაში. მითითებულ სართულზე მანსარდის მშენებლობის თაობაზე მას სამშენებლო ორგანიზაციებისათვის დაკვეთა არ მიუცია. მშენებლობას აწარმოებდნენ ამხანაგობის წევრები – მოპასუხეები: დ. ბ-ე, ზ. ს-ე და ი. მ-ი თავიანთი სახსრებითა და ძალებით. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამხანაგობის წევრს, კერ-

ძო პირს არა აქვს უფლება აწარმოოს მშენებლობა ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე, რაზეც დგება ამხანაგობის საერთო კრების ოქმი. თუ ასეთი ნებართვა არ არსებობს და ამხანაგობის წევრთა უნებართვო მშენებლობით სხვა ბინათმესაკუთრებს მიადგათ ზიანი, აღნიშნული ჩაითვლება კერძო პირის მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებად, რითაც იზღუდება ბინათმესაკუთრეთა დანარჩენი წევრების სარგებლობის უფლებები და ზიანი ადგება მათ.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეებმა თვითნებურად, თავიანთი სახსრებითა და ძალებით აწარმოეს ქ.ბათუმში. ფ.მ-ის ქ. №105-ში მდებარე 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მე-4 სადარბაზოს მე-5 სართულზე მანსარდული ტიპის ბინების მშენებლობა, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს ამავე სადარბაზოს მე-2 სართულზე მდებარე მოსარჩელე ვ. დ-ის საცხოვრებელ ბინას.

მოსარჩელე საგსებით სამართლიანად არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს პალატის შეთავაზებას, მოსარჩელე ვ. დ-ეს გამოეთქვა თანხმობა საქმეში თითქოსდა არასათანადო მოპასუხე ფიზიკური პირების ამხანაგობა „ა-ით“ შეცვლაზე, რადგან 2008 წლის 30 დეკემბერს ამხანაგობა „ა-ის“ სახელზე გაცემული ნებართვა მანსარდის დაშენებაზე არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ამხანაგობა „ა-ი“ იყო დამკვეთი მანსარდის მშენებლობაზე და ის იყო პასუხისმგებელი სამშენებლო სამუშაოების კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებაზე.

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების მტკიცება იმ ნაწილშიც, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით სადავო მანსარდის რაიმე ნაწილის ზ. ს-ი კუთვნილება არ დასტურდება, რადგან კასატორმა გააკეთა რა განაცხადი საჯარო რეესტრში აღნიშნულის შესახებ, იქ არ აღმოჩნდა მის მიერ დაშენებული მანსარდული ტიპის საცხოვრებელი ბინის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუნდაც იმ მიზეზით, რომ ეს უკანასკნელი მან თავის საკუთრებაში არ დაარეგისტრირა. ის ფაქტი, რომ ამავე სართულზე თავისი ხარჯებით აიშენა მანსარდული ტიპის ბინა, დასტურდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარ სხდომაზე ამხანაგობა „ა-ის“ ამჟამინდელი თავმჯდომარე გ. ც-ის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით.

სააპელაციო პალატამ სრულიად უსაფუძვლოდ ჩათვალა, რომ კასატორმა სათანადო მტკიცებულებებით ვერ დადასტურა მე-6 სართულზე განხორციელებული მშენებლობის შედეგად ქ.ბათუმში, ფ.მ-ის ქ. №105-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში

საკვამლე და სავენტილიციო მიწების გადაკეცივის ფაქტი. მართალია, კასატორმა დროულად ვერ წარუდგინა სასამართლოს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მაგრამ მათი წარუდგენლობა არ იყო გამონვეული კასატორის ბრალით.

სასამართლო პროცესზე მოსამართლემ მხარეს დაუბრუნა აღნიშნული მტკიცებულებები იმ მოტივით, რომ მან ისინი დაგვიანებით წარადგინა და მხედველობაში არ მიიღო, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ქალაქის მერიამ დროზე არ მისცა აღნიშნული მტკიცებულებები.

სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეს მიადგა დელიქტით გამონვეული ზიანი, რადგან მოპასუხეებმა მანსარდის დაშენების პროექტის დარღვევით აწარმოეს მშენებლობა და, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, ვალდებული არიან, აუნაზღაურონ ზიანი მოსარჩელეს. ამავე კოდექსის 463-ე მუხლის თანახმად კი კასატორს უფლება აქვს, მოსთხოვოს მოპასუხეებს, მათ მიერ პროექტის დარღვევით წარმოებული მშენებლობით მიყენებული ზიანის სოლიდარულად ანაზღაურება. ის ფაქტი, რომ მოპასუხეები წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს, დადასტურდა პირველი ინსტანციის სასამართლოში სპეციალისტის სახით დაკითხული დ. გ-ის მიერ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება და თვლის, რომ ვ. დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლზე, რომლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი.

კასატორის მოსაზრებით, იგი სავსებით სწორად არ დათანხმდა სააპელაციო სასამართლოს შეთავაზებას, მის მიერ დასახელებული მოპასუხეები – დ. ბ-ე, ზ. ს-ე და ი. მ-ი, როგორც არასათანადო მოპასუხეები შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ით“. კასატორი ყურადღებას ამახვილებს დავის საგანზე და აღნიშნავს, რომ მოცემული

დავის საგანია ქ.ბათუმში, ფ.მ-ის ქ. №105-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მე-4 სადარბაზოს მე-5 სართულზე დ. ბ-ის, ზ. ს-ის და ი. მ-ის მიერ პროექტის უხეში დარღვევით მანსარდის დაშენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კასატორის განმარტებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ის“ დაშენება არ უნარმოებია, მას სამშენებლო ორგანიზაციებისათვის დაკვეთა არ მიუცია, არამედ მოპასუხეებმა თვითნებურად, თავიანთი სახსრებითა და ძალებით აწარმოეს ქ.ბათუმში, ფ.მ-ის ქ. №105-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მანსარდული სართულის მშენებლობა, ამიტომ პასუხი მათ უნდა აგონ. ის ფაქტი, რომ მშენებლობის ნებართვა გაიცა ამხანაგობა „ა-ე“, არცერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ამხანაგობა იყო დამკვეთი მანსარდის მშენებლობაზე.

კასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხზე:

ვიდრე სასამართლო შეუდგებოდეს სარჩელში მითითებული გარემოებების შემოწმებას და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სუბსუმირებას მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებთან, აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვებს – ვინ?, ვისგან?, რას?, რის საფუძველზე ითხოვს?. პირველი ორი კითხვა სათანადო მხარესთან მიმართებაში იძლევა პასუხს, მესამე – მოთხოვნასთან მიმართებაში, ხოლო მეოთხე – მოთხოვნის საფუძველთან მიმართებაში. დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად ამოსავალია მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ სარჩელსა და შესაგებელში მითითებული გარემოებები. ამასთან, საქმის განხილვის სანყისს (მოსამზადებელ) ეტაპზე სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, სარჩელში მითითებული გარემოებების დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, აგებდა თუ არა მოპასუხე პასუხს და რომელი ნორმის საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მოპასუხეა პირი, რომელიც ჩაებმება საქმეში სარჩელის შესაბამისად და რომელმაც პასუხი უნდა აგოს მოსარჩელის წინაშე მის მიერ დარღვეული ან კანონით დაცული ინტერესების ხელყოფისათვის. მან პასუხი უნდა აგოს სარჩელზე და სასამართლოს გადანყევტილება სარჩელის დაკმაყოფილების თუ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ უშუალო გავლენას უნდა ახდენდეს მის უფლებებსა და ინტერესებზე. საკასაციო პალატა არ გამორიცხავს იმას, რომ სათანადო მოპასუხის საკითხი დადგეს საქმის ზემდგომ ინსტანციაში განხილვის დროსაც, სადაც სახელმძღვანელო პრინციპი იგივეა, ანუ იმის გამორკვევა, სარ-

ჩელში მითითებული ფაქტები და მოთხოვნა რამდენად შემხებლობაშია სარჩელში დასახელებულ მოპასუხესთან. მოპასუხემ თავის დაცვის მიზნით შესაძლოა, მიუთითოს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც არა მხოლოდ მის პასუხისმგებლობას გამოორიცხავენ, არამედ საერთოდ მის შემხებლობას დავასთან, ამიტომ მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს ის, თუ როგორ აყალიბებს მოსარჩელე თავის პოზიციას.

განსახილველ შემთხვევაში, მოკლედ თუ შევაჯერებთ მოსარჩელის პოზიციას, სარჩელის ფაბულა ასეთია: მოსარჩელე ცხოვრობს ქ.ბათუმში, ფ.მ-ის ქ. №105-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. ამავე სახლში შექმნილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ი“. ამ უკანასკნელის მოთხოვნით ამხანაგობაზე 2008 წლის 30 სექტემბერს გაიცა მშენებლობის ნებართვა მანსარდული ტიპის სართულის დაშენების თაობაზე. მანსარდული სართულის დაშენება აწარმოეს სარჩელში მითითებულმა მოპასუხეებმა, რომლებიც წარმოადგენენ მანსარდის მესაკუთრეებს. მშენებლობის დროს მოპასუხეთა მიერ დაშვებულ იქნა შეცდომა (მშენებლობა განხორციელდა მშენებლობის გეგმა-ნახაზით გათვალისწინებული ზომების დარღვევით), მოპასუხეთა ამ ქმედებით მოსარჩელეს მიადგა ზიანი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებულ გარემოებათა დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, მოსარჩელეს შეუძლია, მოპასუხეს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულების საფუძველზე, კერძოდ 992-ე მუხლის თანახმად, რაც შეეხება სოლიდარულ პასუხისმგებლობას, ამისათვის გამოდგება 998-ე მუხლი.

სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ი“ სათანადო მოპასუხედ, რომ არ დაუდგენია მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი – სარჩელში დასახელებულ პირთა მიერ პროექტის დარღვევით მანსარდული სართულის დაშენება. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას არც მოპასუხეთა იმ ახსნა-განმარტებებს დაყრდნობია, სადაც ისინი აცხადებდნენ, რომ მშენებლობის მწარმოებელი არა მოპასუხეები, არამედ ამხანაგობა „ა-ი“. სხვენი უშუალოდ მოპასუხეებმა კი არ ააშენეს, არამედ მათ შეიძინეს აშენებული სხვენი (იხ. მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ის უდავო გარემოება, რომ ამხანაგობა „ა-ის“ სახელზე 2008 წლის 30 დეკემბერს გაიცა მშენებლობის ნებართვა, არ გამოორიცხავს ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობას ცალკეულ შემთხვევებში. პალატის ამ მოსაზრებას კიდევ უფრო მეტად აძლიერებს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1 მუხლის „ა“ ქვე-

პუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი ვალდებულია, ისეთ მდგომარეობაში შეინარჩუნოს და იმგვარად გამოიყენოს ინდივიდუალური საკუთრება და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონება, რომ ამით სხვა მესაკუთრეს არ მიადგეს ზიანი, და იმოქმედოს სამეზობლო ზემოქმედებათა თემნის ვალდებულების ფარგლებში. შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის (ნებართვის გაცემის დროისათვის მოქმედი რედაქცია) საფუძველზე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მხრიდან საკუთარ მოვალეობათა დარღვევისათვის პასუხი უნდა აგოს ამხანაგობამ. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ა-ი“ სათანადო მოპასუხედ, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომელიც ეხება სააპელაციო სასამართლოში დაგვიანებით წარდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე მიღებული განჩინების კანონიერებას (2013 წლის 29 იანვრის სხდომის ოქმი). საკასაციო პალატა კასატორის საყურადღებოდ განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დამკვიდრებული არასრული (შეზღუდული) აპელაციის სახე, რა დროსაც სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში უნდა შემოწმდეს. საქმის წარმოების ამ ეტაპზე ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენას კანონი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უშვებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი). ახალ მტკიცებულებათა დაშვება გამორიცხულია, თუკი მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ისინი არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. კასატორს ამ კუთხით არ გამოუთქვამს დასაბუთებული პრეტენზია, პირიქით, მის მიერ დაგვიანებით წარდგენილი მტკიცებულებების ანალიზიდან ირკვევა, რომ ქ.ბათუმის მერიის შესაბამის სამსახურებს კასატორმა მას შემდეგ მიმართა, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში დასრულებული იყო საქმის განხილვა. კასატორი ვერ ასაბუთებს, თუ რატომ ვერ შეძლო მან აღნიშნული მოქმედების განხორციელება საქმის მომზადების ეტაპზე. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩ-

ნებს, რომ მოპასუხებებზე საცხოვრებელი ბინის სავენტილაციო მილების გახსნის დავალდებულების მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს დასკვნები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს დ. ბ-ის, ზ. ს-ის და ი. მ-ის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის ფარგლებში და მიიღოს შესაბამისი გადანყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ვ. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 თებერვლის გადანყვეტილება მოპასუხებებისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას.
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 თებერვლის გადანყვეტილება მოპასუხებებისათვის ქმედების დავალდებულების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩეს უცვლელად.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-790-749-2013

25 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ც-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. გ-ის მიმართ სესხის – 50 000 ლარის, 2009 წლის მარტიდან სარჩელის აღძვრამდე 35 თვეზე 52500 ლარისა და გადაუხდელ თანხაზე სესხის სრულად დაფარვამდე დარიცხული სარგებლის ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2009 წლის 15 მარტს მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 50 000 ლარი განუსაზღვრელი ვადით ყოველთვიურად 3%-ის დარიცხვით. მოპასუხემ დაფარა მხოლოდ 10 თვის სარგებელი, ხოლო დანარჩენი დავალიანება არ გადაუხდია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მიმართ არანაირი ფულადი ვალდებულება არ გააჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით ს. ც-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. გ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 35000 ლარისა და 5250 ლარის ანაზღაურება. ამავე კოლეგიის 2013 წლის 29 მარტის დამატებითი გადაწყვეტილებით კი, მ. გ-ს ს. ც-ას სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად სესხის ძირითადი თანხის – 35000 ლარის 3%-ის გადახდა თანხის სრულ დაფარვამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დამატებითი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში – მ. გ-მა, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში კი ს. ც-ამ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 ივნისის განჩინებით მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 თებერ-

ვლის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2013 წლის 22 თებერვალს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა მ. გ. ი. ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2013 წლის 22 თებერვალს, მხარეთათვის გადაწყვეტილების ჩაბარებისათვის კანონით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 23 თებერვალს და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის თანახმად, აღნიშნული ვადა ამოიწურა 2013 წლის 25 მარტს, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 25 მარტს, აღნიშნული ვადა ამოიწურა 2013 წლის 8 აპრილს. საქმის მასალებით კი დასტურდება, რომ მ. გ-მა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა 2013 წლის 10 აპრილს, ანუ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით (გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2013 წლის 8 აპრილს).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 59-ე და 63-ე მუხლების თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. გ-ის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. გ-მა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

მ. გ-მა არაერთხელ მიაკითხა სასამართლოს 2013 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების ჩასაბარებლად, თუმცა სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეს გაუგზავნა და მხარეს 2013 წლის 26 მარტს ჩაბარდა, 30 მარტს კი მ. გ-მა მიიღო მეორე გადაწყვეტილების ასლი, რომლის გამო საქმის განხილვაზე იგი არ მიუწვევიათ და განხილვის შესახებაც არ შეუტყობინებიათ. აპელანტმა მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად ჰქონდა 14 დღის ვადა, როგორც ეს სარეზოლუციო ნაწილში იყო მითითებული. ამასთან, მ. გ-ს არ ჰყავდა წარმომადგენელი და ამის გამო არ იცოდა, რომ თითოეული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა უნდა ათვლილიყო დამოუკიდებ-

ლად. ამდენად, მხარეს სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დარღვეულად არ უნდა ჩაეთვალოს და ძირითადი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა უნდა აითვალოს დამატებითი გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, 259¹ მუხლებით და მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2013 წლის 22 თებერვალს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა მ. გ-ი.

უდავოა, რომ მ. გ-ი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტთა წრეს არ განეკუთვნებოდა და მასზე ვრცელდებოდა ამავე კოდექსის 259¹ მუხლის მოთხოვნები.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ კანონით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 23 თებერვალს და ამოიწურა 2013 წლის 25 მარტს, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 25 მარტს და აღნიშნული ვადა ამოიწურა 2013 წლის 8 აპრილს. სააპელაციო საჩივარი კი მ. გ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა 2013 წლის 10 აპრილს, ანუ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას მ. გ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, თუმცა მიიჩნევს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გამოთვლისას დაშვებულ იქნა გარკვეული უზუსტობა.

სააპელაციო საჩივრის შეტანის პირობებს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადანყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუ დასაბუთებული გადანყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადანყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადანყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70–78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

ამავე კოდექსის 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილით კი, თუ გადანყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადანყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადანყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადანყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადანყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადანყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ მხარისათვის, რომელიც ესწრებოდა გადანყვეტილების გამოცხადებას ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადანყვეტილების გამოცხადების თარიღი, კანონმდებელი განსაზღვრავს ვალდებულებას, რათა გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადანყვეტილების ასლი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში, „არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღის“ ათვლისათვის გამოყენებული უნდა იქნეს საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადის გამოთვლის ზოგადი წესი, კერძოდ, მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც წლებით, თვე-

ებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპით გამოთვლილი მე-20 დღე არის იმ მოქმედების შესრულების პირველი დღე, რაც უკავშირდება სასამართლოში გამოცხადებას და ასეთად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს 21-ე დღე. ანალოგიურად უნდა განიმარტოს 30-ე დღე, როგორც, ერთი მხრივ, მხარის მიერ სასამართლოში გამოცხადების ბოლო დღე (მიუხედავად იმისა, ემთხვევა თუ არა უქმე და დასვენების დღეს) და იმავდროულად გასაჩივრების ვადის ათვლის პირველი დღე, თუკი მხარე დაარღვევს სასამართლოში გამოცხადების კანონისმიერ ვალდებულებას.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი აპელანტ მ. გ-ის კანონით დადგენილი წესით ცნობილი იყო.

ზემოხსენებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად მ. გ-ს მისი გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღიდან – 2013 წლის 24 და არა 25 მარტიდან, როგორც ეს გასაჩივრებულ განჩინებაშია მითითებული, მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის 24 მარტი დაემთხვა უქმე, კვირა დღეს. აღნიშნული ვადა ამოიწურა 2013 წლის 8 აპრილს (6-7 აპრილი იყო დასვენების დღეები). შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად აითვალა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დასაწყისი, თუმცა მართებულად განსაზღვრა სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო თარიღი და სავსებით დასაბუთებულად მიიჩნია, რომ მ. გ-ის მიერ სააპელაციო საჩივრის 2013 წლის 10 აპრილს შეტანით აპელანტმა კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა დაარღვია, რაც სააპელაციო საჩივრის გაწუხილევლად დატოვების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო მისთვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 მარტის დამატებითი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების მომენტიდან, ვინაიდან როგორც ძირითადი, ისე დამატებითი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილებით მხარეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განემარ-

ტა მათი გასაჩივრების წესი და პირობები.

ამასთან, არც სადავო გადაწყვეტილებები არ შეიცავს რაიმე დათქმას იმის შესახებ, რომ მათი გასაჩივრება რაიმე სახით დაკავშირებულია ერთმანეთთან, შესაბამისად, აპელანტს არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, 2013 წლის 22 თებერვლის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა მოგვიანებით გამოტანილი დამატებითი გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან აეთვალა. აღნიშნული კი იმაზე მეტყველებს, რომ კერძო საჩივრის ხსენებული არგუმენტი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება.

ასევე დაუსაბუთებელია მ. გ-ის მითითება, რომ მას არ ჰყავდა წარმომადგენელი და ამის გამო არ იცოდა, რომ თითოეული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა უნდა ათვლილიყო დამოუკიდებლად.

სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

ხსენებული ნორმა მოქმედი კანონმდებლობის არცოდნას მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევისას საპატიო და შესაბამისი სამართლებრივი შედეგებისაგან დამცავ გარემოებად არ მიიჩნევს. ამდენად, მ. გ-ი ვალდებული იყო, სცოდნოდა გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი სურვილისამებრ, მიემართა კვალიფიციური დახმარებისათვის.

რაც შეეხება მხარის მითითებას, რომ მან არაერთხელ მიმართა საქალაქო სასამართლოს მის საქმეზე გამოტანილი 2013 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების მისაღებად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ.გ-მა საქალაქო სასამართლოში განცხადება შეიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მე-20 დღემდე მაშინ, როდესაც ევალებოდა გადაწყვეტილების ჩასაბარებლად სასამართლოში გამოცხადებულყოფიერ მე-20-30-ე დღეებში. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღემდე კი, სასამართლო კოლეგია ვალდებული არ იყო, მხარისათვის გადაწყვეტილების ასლი გადაეცა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო

საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების საპროცესო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 419-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-583-554-2013

8 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „მ-იმ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ვ. ს-ის“ მიმართ 108 287.66 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

2011 წლის 12 დეკემბერს შპს „მ-სა“ და შპს „ვ. ს-ს“ შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისში, დ. ა-ის გამზირ №152-ში მდებარე შპს „მ-ის“ შენობის სახურავის მოწყობა სპილენძის ფასონური ელემენტებით.

ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ სამუშაოს შესრულებაზე, მისი გადახდის წესსა და ვადებზე. 2.1. პუნქტით კი, შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 608 200 ლარს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამუშაოს ღირებულების 50% უნდა გადახდილიყო წინასწარ, ხოლო დარჩენილი თანხა – ეტაპობრივად: 2012 წლის 7 თებერვალს – 84 000 ლარი, 2012 წლის 12 მარტს – 120 000 ლარი, დარჩენილი 100 000 ლარის გადახდა უნდა მომხდარიყო სამუშაოს დასრულებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან სამ საბანკო დღეში. ხელშეკრულების დასრულების ბოლო ვადა იყო 2012 წლის 2 აპრილი.

მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად არც დამატებით განსაზღვრულ ვადაში არ შეასრულა. მოსარჩელემ მოპასუხეს გადაუხადა 508 101.13 ლარი, რადგან შესრულებული სამუშაოების ღირებულებაა 399 813.47 ლარი, შესაბამისად, ზედმეტად გადახდილი თანხა შეადგენს 108 287.66 ლარს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სამშენებლო სამუშაოების დასრულება შეუძლებელი იყო თავად მოსარჩელის მიერ სამშენებლო პოლიგონის დროულად მოუმზადებლობის გამო, რის შესახებაც შპს „ვ. ს-მა“ არაერთხელ მიმართა შპს „მ-ს“ და სთხოვა მშენებლობის ვადის გაგრძელება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით შპს „მ-ის“ სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილით, 364-ე მუხლით, 369-ე მუხლის პირველი ნაწილით, 259¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 59-ე და 63-ე მუხლებით და დაადგინა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას 2013 წლის 15 მარტს ესწრებოდა მოპასუხე შპს „ვ. ს-ის“ წარმომადგენელი დ. კ-ე, რომელიც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის

გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა სასამართლოში არ გამოცხადებულა და გადაწყვეტილების ასლი არ ჩაუბარებია. შესაბამისად, გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს – 2013 წლის 16 აპრილს და ამოიწურა 2013 წლის 29 აპრილს. აპელანტის წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2013 წლის 1 მაისს, რითაც დაარღვია კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია არა მხოლოდ მხარეთა საპროცესო უფლებები, არამედ მოვალეობებიც. მხარის ერთ-ერთი ძირითადი უფლება სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, შეიცავს საპროცესო ვალდებულებას, რომ მხარემ ამ უფლების რეალიზება მოახდინოს კანონით განსაზღვრულ ვადაში. მოცემულ შემთხვევაში შპს „გ. ს-მა“ საპროცესო უფლება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების თაობაზე კანონით დადგენილ ვადაში ვერ განახორციელა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „გ. ს-მა“ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას 2013 წლის 15 მარტს ესწრებოდა აპელანტის წარმომადგენელი დ. კ-ე, რომელიც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს მე-20 და არა უგვიანეს 30-ე დღისა სასამართლოში არ გამოცხადებულა და გადაწყვეტილების ასლი არ ჩაუბარებია. შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30 დღეს – 2013 წლის 16 აპრილს და ამოიწურულად ჩათვალა 2013 წლის 29 აპრილს. სააპელაციო საჩივარი კი წარდგენილ იქნა 2013 წლის 1 მაისს.

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქმის მასალებში დ. კ-ეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, მარწმუნებლის სახელით გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება არ გააჩნდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლის წესი მოქმედებს, თუ: 1. გადაწყვეტილების გამოცხადებას დაესწრო გადაწყვეტი-

ლების გასაჩივრების უფლების მქონე პირი. საქმეში არსებული დ. კ-ის სახლზე გაცემული მინდობილობით დასტურდება, რომ მას ამგვარი უფლებამოსილება არ გააჩნდა ან 2. გასაჩივრების უფლების მქონე პირისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი. ვინაიდან დ. კ-ე არ წარმოადგენდა გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირს, შპს „ვ. ს-ის“ კი კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი არავის უცნობებია და არც მის გამოცხადებას ესწრებოდა, ასეთი სახის მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

ამდენად, დ. კ-ე არ იყო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, მისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება არ შეიძლება ჩაითვალოს მხარისათვის ჩაბარებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება მხარეს უნდა ჩაბარებოდა ამავე კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად, რისი დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არსებობს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ვ. ს-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კო-

დექსის 70–78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის შეტანის იმპერატიულ ვადას და ამ ვადის გამოთვლის წესს. აღნიშნული წესის ზედმინვენით დაცვა მნიშვნელოვანია, რათა აპელანტს არ შეეღაბოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და სწორად განისაზღვროს სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დენის დაწყების მომენტი. ამასთან, ხსენებული ნორმით გათვალისწინებული ვადის იმპერატიულობა იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოს არ ძალუძს მისი გადახედვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2010 წლის 15 დეკემბრის კანონით „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, განისაზღვრა მხარეთა ვალდებულება, კანონით დადგენილი პირობების არსებობისას, თავად უზრუნველყონ სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარება სასამართლოში გამოცხადების გზით. ამ თვალსაზრისით სრულიად მართებულია კერძო საჩივრის ავტორის აპელირება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლით განსაზღვრულ ორი სახის პირობაზე, კერძოდ, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი. შესაბამისად, იმისათვის, რათა სასამართლო გათავისუფლდეს მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარების ტვირთისაგან, აუცილებელია მან უზრუნველყოს გასაჩივრების უფლების მქონე პირის იმ პროცესზე დასწრება, რომელზეც უნდა გამოცხადდეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

საქმის მასალებით დადგენილია და კერძო საჩივრის ავტორი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ შპს „ვ. ს-ის“ ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში იცავდა დ. კ-ე. რომელიც ესწრებოდა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას. საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან დ. კ-ეს არ ჰქონდა მარწმუნებლისაგან მინიჭებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სპეციალური უფლებამოსილება გასაჩივრების თაობაზე, სახეზე არ გვაქვს საპ-

როცესო კოდექსის 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პირობა – „გადანყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადანყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი.“

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული მეორე პირობის – „ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადანყვეტილების გამოცხადების თარიღი“ შემოწმებისათვის, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებს: შპს „ვ. ს-ის“ წარმომადგენელი დ. კ-ე ესწრებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2013 წლის 13 მარტს გამართულ სასამართლო სხდომას. სხდომის ოქმის შინაარსიდან ირკვევა, რომ დასრულდა საქმის არსებითი განხილვა და გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2013 წლის 15 მარტს. საინტერესოა, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს აღნიშნული ფაქტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლით გათვალისწინებული პირობის შესრულებად, ანუ დ. კ-ის გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღის ცოდნა ნიშნავს თუ არა მისი მარწმუნებლისათვის, შპს „ვ. ს-ის“ გადანყვეტილების გამოცხადების თარიღის ცოდნას. მოცემულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, აუცილებელია შემოწმდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 98-ე მუხლების შემადგენლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადანყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში. განსახილველ შემთხვევაში მართალია დ. კ-ეს შპს „ვ. ს-ან“ არ ჰქონდა მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილება, მაგრამ, არსებული უფლებამოსილების ფარგლებში მას თავისუფლად შეეძლო მისი მარწმუნებლისათვის ეცნობებინა გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწი-

ლის მიხედვით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. მითითებული ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ შემთხვევაში, როცა მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენელთან მიმართებაში შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საპროცესო მოქმედების შედეგი ვრცელდება მხარეზე, ამასთან, კანონმდებელი წარმომადგენელს აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს, რაც მდგომარეობს უწყების ჩაბარების შესახებ მხარის ინფორმირებაში. თუმცა, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის ნეგატიური შედეგები მხარეს შეერაცხება. საკასაციო პალატა საპროცესო კოდექსის 70.1 და 98.1 მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მხარის წარმომადგენლისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება და მისი სამართლებრივი შედეგები არ მოითხოვს დავალების (მინდობის) ხელშეკრულებაში სპეციალურ აღნიშვნას და ზოგადი უფლებამოსილება საკმარისია იმისათვის, რათა წარმომადგენლისათვის სასამართლო უწყებით ცნობილი ფაქტი კანონის ძალით, იმავდროულად სასამართლომ ცნობილად ჩათვალოს მისი მარწმუნებლისათვის.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო მოქმედება კანონიერად, როდესაც დაადგინა, რომ დაცული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლით გათვალისწინებული პირობა, ხოლო გასაჩივრების ვადა ათვალა 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლიდან, ვინაიდან მხარემ თავად არ უზრუნველყო სასამართლოში გაცოხადება და გადაწყვეტილების ჩაბარება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა. საქმის მასალებით დადაგენილია, რომ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღე იყო 2013 წლის 14 აპრილი, სწორედ ამ თარიღიდან დაიწყო სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა, რომელიც დაემთხვა დასველების დღეს, შაბათს, 27 აპრილს, რის გამოც აპელანტს შეეძლო

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სასამართლოსთვის მიემართა არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, 2013 წლის 29 აპრილისა, მან კი სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2013 წლის 1 მაისს, რაც უდავოდ წარმოადგენს საპროცესო ვადის დარღვევას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას და თვლის, რომ იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ვ. ს-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად

განჩინება

№ას-907-852-2012

16 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 22 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს მ. და ვ. კ-მა მოპასუხეების: მ. ქ-ის, გ. ქ-ის, ბ. ა-სა და ი. ა-ის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს ქ.თბილისში, ზ. ვ-ის ქ. №35-ში მდებარე 440 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მათი და მოპასუხეების საზიარო უფლების გაუქმება იმგვარად, რომ მოპასუხეებს მიკუთვნებოდათ საცხოვრებელ სახლში მათ მიერ დაკავებული ფართების შესაბამისი წილი მიწაზე ინდივიდუალურად.

სარჩელის თანახმად, ქ.თბილისში, ზ. ვ-ის ქ. №35-ში მდებარე ორსართულიანი სახლი წარმოადგენს მოსარჩელეთა მამკვიდრების საკუთრებას. 1967 წლის 26 მაისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხეებმა შეიძინეს აღნიშნული საცხოვრებელი სახლის 1/3 წილი, რაც მოიცავდა 2 ოთახს პირველ სართულზე, ფართით 32.88 კვ.მ., შემინულ შუშაბანდსა და სამზარეულოს, ხოლო მოსარჩელების საკუთრებაში დარჩა დაახლოებით 2/3 წილი. საცხოვრებელ სახლზე ასევე მიმაგრებულია მიწის ნაკვეთი, ფართით 440 კვ.მ., რომელიც წარმოადგენს მხარეთა თანასაკუთრებას. არაერთი მცდელობის მიუხედავად, მოდავე მხარეებს შორის ვერ მოხერხდა ურთიერთშეთანხმება მიწის ნაკვეთის გამიჯვნასთან დაკავშირებით.

2009 წლის 20 ნოემბერს იმავე სასამართლოში შესაგებელი წარადგინეს მ. ქ-ემ, გ. ქ-ემ, ი. ა-მა და ბ. ა-მა. მათ სარჩელი ნაწილობრივ ცნეს და შესაგებელში მიუთითეს, რომ ეთანხმებოდნენ მოსარჩელის მოსაზრებას საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე, თუმცა არა იმ ფორმით როგორც მოცემული იყო ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნაში. ამდენად, ისი-

ნი თანხმობას აცხადებდნენ გამიჯვნაზე, მაგრამ არ ეთანხმებოდნენ მოსარჩლეების მიერ შეთავაზებულ ვარიანტს. მოპასუხეთა მოსაზრებით, გამიჯვნა უნდა მომხდარიყო არა ფაქტობრივად დაკავებული ფართის წილის შესაბამისად, არამედ საჯარო რეესტრში განსაზღვრული წილების პროპორციულად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 ოქტომბრის საოქმო განჩინებით აღნიშნულ საქმეზე ვ. კ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ლ. კ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით მ. კ-სა და ლ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

გაუქმდა ერთი მხრივ მ. კ-სა და ლ. კ-ეს, ხოლო მეორე მხრივ, მ. და გ. ქ-ს, აგრეთვე, ი. ა-სა და ბ. ა-ს შორის არსებული საზიარო უფლება ქ.თბილისში, ზ. ვ-ის ქ. №35-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე და მის წინ მიმდებარე მიწის ნაკვეთზე;

ქ.თბილისში, ზ. ვ-ის ქ. №35-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამიჯვნა განხორციელდა საქმეში არსებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 5 აპრილის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №5-005951-2011 დასკვნის შესაბამისად, კერძოდ, გ. და მ. ქ-ს, აგრეთვე, ბ. და ი. ა-ს საკუთრების უფლებით მიეკუთვნათ მათ მიერ საცხოვრებელ სახლში ფაქტობრივად დაკავებული 49.65კვ.მ – პირველ სართულზე ოთახი №5, ოთახი №7 და ოთახი №8 დამხმარე სათავსოები (დანართი №1 და №2), ხოლო მ. და ლ. კ-ს საკუთრების უფლებით მიეკუთვნათ შენობის დარჩენილი ნაწილი 199.92კვ.მ (დანართი №1, №2);

ქ.თბილისში, ზ. ვ-ის ქ. №35-ში არსებული საცხოვრებელი სახლის წინ მდებარე გამყოფი ღობით შემოსაზღვრული მიწის ნაკვეთის გამიჯვნა განხორციელდა საქმეში არსებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 5 აპრილის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №5-005951-2011 დასკვნის შესაბამისად, კერძოდ, გ. და მ. ქ-ს, აგრეთვე, ბ. და ი. ა-ს საკუთრების უფლებით მიეკუთვნათ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული 49.65კვ.მ, ხოლო მ. და ლ. კ-ს საკუთრების უფლებით მიეკუთვნათ 46.47კვ.მ. თბილისში, ზ. ვ-ის ქ. №35-ში მდებარე საერთო სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი დარჩა მ. კ-ის, ლ. კ-ის, მ. ქ-ის, გ. ქ-ის, ი. ა-სა და ბ. ა-ის საერთო საკუთრებაში.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ.თბილისი, ზ. ვ-ის №35-ში მდებარე უძრავი ქონება – 440კვ.მ

მინის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მ. კ-ის, ლ. კ-ის, მ. ქ-ის, გ. ქ-ის, ი. ა-სა და ბ. ა-ის თანასაკუთრებაში.

საქმეში წარმოდგენილი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2011 წლის 5 აპრილის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №5-005951-2011 დასკვნის თანახმად, ქ.თბილისი, ზ. ვ-ის ქ. №35-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნატურით გამიჯვნა შესაძლებელია მხარეთა მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართების შესაბამისად;

ამავე დასკვნის მიხედვით, მინის ნაკვეთზე საზიარო უფლების გაუქმება თანამესაკუთრეთა წილების შესაბამისად ამ ეტაპზე შეუძლებელია.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება სამართლებრივად შემდეგნაირად დაასაბუთა:

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიხედვით, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. აღნიშნული დებულების მიზანია ყოველი პირის დაცვა სხვა პირების მხრიდან მისი საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში გაუმართლებელი ჩარევისაგან. ამასთან, საკუთრება წარმოადგენს პირთა აბსოლუტურ უფლებას, რაც გულისხმობს იმას, რომ ქონების ამა თუ იმ პირზე კუთვნილებას უნდა აცნობიერებდეს არა მარტო ამ ნივთის მფლობელი, არამედ ყველა დანარჩენი მესამე პირი. ეს წინაპირობები აუცილებელია იმისათვის, რათა მესაკუთრემ შეძლოს ქონებასთან თავისუფალი ურთიერთობების განხორციელება.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ნივთებზე საერთო საკუთრების არსებობა არ ნიშნავს საკუთრების უფლების შეზღუდვას. თითოეული თანამესაკუთრე სრულფასოვნად უნდა ახორციელებდეს თავის უფლებას და თავისუფლად უნდა სარგებლობდეს თანასაკუთრებაში არსებული ნივთით, თუმცა – სხვა თანამესაკუთრეთა ინტერესების გათვალისწინებით. საკუთრების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, როდესაც მესაკუთრე საერთო (წილად) საკუთრებაში არსებულ ნივთზე სრულფასოვნად ვერ ახორციელებს თავის უფლებას ან სხვა რაიმე მიზეზით მისთვის მოუხერხებელია სხვა თანამესაკუთრესთან საერთო უფლებით დაკავშირება, კანონი ნებისმიერ თანამესაკუთრეს აძლევს უფლებას, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მოტივით მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. თუმცა, ნატურით გაყოფასთან მიმართებით ერთი შეზღუდვა მაინც მოქმედებს – საზიარო საგნის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფა შესაძლებელი უნდა იყოს ღირებულების შემცირების გარეშე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. ამავე კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით დასაშვებია, თუ საზიარო საგანი (საგნები) შესაძლებელია დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული მუხლი არ გულისხმობს უძრავი ნივთის გაყოფას მხოლოდ თანაბარი ფართების მიხედვით. აღნიშნული ნორმის მიზანია, მაქსიმალურად დააბალანსოს ყოველი მესაკუთრის უფლება, რათა საზიარო საგნის გაყოფისას რომელიმე მათგანი არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ პირობებში და მისთვის ინდივიდუალურ საკუთრებაში გამოყოფილი ნივთი აღჭურვილი იყოს ყველა იმ თვისებით, რომელიც აუცილებელია შემდგომში მისი დამოუკიდებლად სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის.

სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლის თანახმად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერზე, რომლითაც განსაზღვრული იყო, რომ ქ.თბილისში, ზ. ვ-ის ქ. №35-ში მდებარე უძრავი ქონება 440 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა მ. კ-ის (1/3 წილი), ლ. კ-ის (1/3 წილი), ი. ა-ის და ბ. ა-ის (1/6 წილი), მ. და გ. ქ-ის (1/6 წილის) საერთო საკუთრებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხსენებული უფლება არ ართმევდა მხარეებს შესაძლებლობას მათთვის უკეთესი მიზნების მისაღწევად უარი ეთქვათ გაყოფის ამგვარ წესზე და შეთანხმებულიყვნენ საზიარო უფლების გაუქმების განსხვავებულ პირობებზე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2011 წლის 5 აპრილის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №5-005951-2011 დასკვნაზე, საიდანაც ირკვეოდა, რომ ტექნიკურად შესაძლებელი იყო საცხოვრებელი სახლისა და მის წინ მიმდებარე მიწის ნაკვეთზე ნატურით გამიჯვნა მხარეთა მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართების შესაბამისად. დასკვნაში ასევე მითითებული იყო გაყოფის მექანიზმზე, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მხარეებს გაუქმებინათ მათ შორის არსებული საზიარო უფლება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს სასამართლოსთვის არ წა-

რუდგენიათ რაიმე არგუმენტი, რომელიც სადავოდ გახდიდა აღნიშნული დასკვნის საფუძვლიანობას ან კომპეტენტურობას. ამდენად, საქალაქო სასამართლომ სრული მოცულობით გაიზიარა 2011 წლის 5 აპრილის №5-005951-2011 საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის მიერ საცხოვრებელ სახლზე და მის წინ მიმდებარე მიწის ნაკვეთზე განსაზღვრულ საზიარო უფლების გამიჯვნის ფორმა. რაც შეეხებოდა დარჩენილ მიწის ნაკვეთს, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, ამ ეტაპზე მისი ნატურით გამიჯვნა შეუძლებელი იყო, ამიტომ იგი უნდა დარჩენილიყო მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. და ლ. კ-მა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

აპელანტების მოსაზრებით, მიუღებელი იყო საზიარო უფლების მხოლოდ მიწის ნაკვეთის ერთ ნაწილზე გაუქმება, რამდენადაც სასამართლოს სრული ფაქტობრივი წინაპირობა ჰქონდა სამისოდ, რომ მოეხდინა საზიარო უფლების გაუქმება მთლიანი მიწის ნაკვეთზე. მანამდე, ვიდრე ღიად რჩებოდა დარჩენილ მიწის ფართზე საზიარო უფლების გაუქმების საკითხი, მიზანშეუწონელი იქნებოდა ძალაში შესულიყო საზიარო უფლების გაუქმება მიწის ნაკვეთის ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე, რამდენადაც ამგვარად ნაწილობრივი საზიარო უფლების გაუქმება შეუძლებელი იყო საბოლოო ჯამში გამხდარიყო ტექნიკური სახის წინაღობა მთლიან ფართზე საზიარო უფლების გაუქმებისას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 მაისის განჩინებით მ. კ-სა და ლ. კ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილები, რომლებითაც:

ა. ქ.თბილისში, ზ. ვ-ის ქ. №35-ში არსებული საცხოვრებელი სახლის წინ მდებარე გამყოფი ღობით შემოსაზღვრული მიწის ნაკვეთის გამიჯვნა განხორციელდა საქმეში არსებული სსიპ „ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2011 წლის 5 აპრილის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №5-005951-2011 დასკვნის შესაბამისად, კერძოდ, გ. და მ. ქ-ს, ბ. და ი. ა-ს საკუთრების უფლებით მიეკუთვნათ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული 49.65 კვ.მ, ხოლო მ. და ლ. კ-ს საკუთრების უფლებით მიეკუთვნათ 46.47 კვ.მ; ბ. ქ.თბილისში, ზ. ვ-ის ქ. №35-ში მდებარე საერთო სარგებ-

ლობაში არსებული მიწის ნაკვეთი დარჩა მ. კ-ის, ლ. კ-ის, მ. ქ-ის, გ. ქ-ის, ი. ა-სა და ბ. ა-ის საერთო საკუთრებაში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 6.1 აბზაცის მიხედვით, ექსპერტიზის 2011 წლის 5 აპრილის დასკვნით ტექნიკურად შესაძლებელი იყო საცხოვრებელი სახლისა და მის წინ მიმდებარე მიწის ნაკვეთზე ნატურით გამიჯვნა მხარეთა მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კანონი უშვებს საზიარო უფლების გაუქმებას „საზიარო საგანზე“, რაც გულისხმობს კონკრეტულ ნივთს, ანუ სამოქალაქო ბრუნვის კონკრეტულ ობიექტს. მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან ირკვეოდა, რომ ასეთ „საზიარო საგანს“, ანუ კონკრეტულ ნივთს წარმოადგენდა მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №... ე.ი. საზიარო უფლება მისი ნატურით გაუქმების შემთხვევაში უნდა გაუქმებულიყო სწორედ ამ ნივთზე (საზიარო საგანზე) მთლიანად და არა მის რომელიმე ნაწილზე. ამასვე ადასტურებდა ზემოხსენებული ნორმის ფრაზა: „თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ობიექტებად“, ანუ თუ ერთი კონკრეტული ნივთი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ობიექტებად. ნორმა არ საუბრობს ნივთის (საზიარო საგნის) შემადგენელი პირობითი ერთეულების ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფაზე. სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი რეგულირების საგნად განიხილავს სწორედ ნივთებს (საზიარო საგნებს) და არა მათ შემადგენელ პირობით ერთეულებს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 ნაწილით საზიარო უფლება ნატურით გააუქმა სახლის წინ მდებარე მიწის ნაკვეთზე, ხოლო მე-5 ნაწილით – სახლის უკან მდებარე მიწის ნაკვეთი მხარეთა თანასაკუთრებაში დატოვა,

მაშინ როცა ეს ორივე მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა ერთ ნივთს, ერთ საზიარო საგანს – მიწის ნაკვეთს საკადასტრო კოდით №....

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ერთი კონკრეტული უძრავი ნივთის ერთ პირობით ნაწილზე საზიარო უფლების გაუქმება, ხოლო ამავე უძრავი ნივთის მეორე პირობითი ნაწილის თანასაკუთრებაში დატოვება (ანუ საზიარო უფლების გაუქმებაზე უარი) ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის არსს და დაწინაურებას – საზიარო უფლების ნატურით გაუქმებას მთლიანად ნივთზე – რაც გადაწყვეტილების ამ ნაწილების გაუქმების საფუძველი იყო.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასრულად დაასაბუთა 963-ე მუხლის გამოყენება მოცემული სარჩელის მოთხოვნების მიმართ. სააპელაციო სასამართლომ ასევე ყურადღება მიაქცია იმ საკითხს, რომ მოსარჩელეთა (აპელანტთა) სარჩელის მოთხოვნას, როგორც სარჩელით, ისე დაზუსტებული სარჩელით წარმოადგენდა საზიარო უფლების გაუქმება იმგვარად, რომ მხარეებს მიკუთვნებოდათ მათ მიერ საცხოვრებელ სახლში დაკავებული ფართების შესაბამისი წილი ინდივიდუალურ საკუთრებაში, კერძოდ, განაშენიანებისაგან თავისუფალ ფართზე მოპასუხეებს (მონინაალმდეგე მხარეებს) მიკუთვნებოდათ 93.6 კვ.მ, ხოლო მოსარჩელეებს ასევე განაშენიანებისგან თავისუფალ ფართზე მიკუთვნებოდათ 228.2 კვ.მ. საქმის წარმოების განმავლობაში სარჩელის მოთხოვნა აღარ დაზუსტებულა.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის სამი დასკვნა, კერძოდ, 2009 წლის 16 ოქტომბრის, 2010 წლის 14 იანვრისა და 3. სასამართლოს მიერ დაწინაურებული 2011 წლის 5 აპრილის ექსპერტიზის დასკვნები, საუბრობდნენ განაშენიანებისგან თავისუფალ მიწის ნაკვეთზე, ანუ საზიარო საგნის მხოლოდ ერთ (განაშენიანებისგან თავისუფალ) ნაწილზე და არა თავად საზიარო საგანზე (განაშენიანებულ და განაშენიანებისგან თავისუფალ მონაკვეთებზე). დასკვნები აგრეთვე შეეხებოდნენ მხარეთა მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართების მიხედვით საზიარო საგნის გაყოფას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2009 წლის 16 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნის კვლევით ნაწილში თავად ექსპერტმაც განმარტა, რომ განმცხადებლის (მ. კ-ე) მიერ დასმულ კითხვაში იგი ითხოვდა ქ.თბილისში, ზ. ვ-ის №35-ში არსებული უძრავი ქონებიდან განაშენიანებისგან თავისუფალი (ცარიელი) მიწის ნაკვეთის გაყოფას არა საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითე-

ბული წილების შესაბამისად, არამედ მხარეთა მიერ საცხოვრებელ სახლში ფაქტობრივად დაკავებული ფართების მიხედვით. სააპელაციო სასამართლომ შენიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი უშვებს რა საზიარო საგნის ნატურით გაყოფას, არანაირ დათქმას არ შეიცავს განაშენიანებისგან თავისუფალ თუ განაშენიანებული ფართის მქონე საზიარო საგანზე. ზემოხსენებული ნორმისთვის უცხოა ასევე საზიარო საგნის გაყოფა ფაქტობრივად დაკავებული ფართების მიხედვით. ნორმა უშვებს საზიარო საგნის გაყოფას მხარეთა საკუთრებაში (საჯარო რეესტრში გატარებული) არსებული წილების მიხედვით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის (მოსარჩელის) სარჩელის მოთხოვნა (საზიარო საგნის გაყოფა „განაშენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთზე მხარეთა მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართების მიხედვით“) არ გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლიდან და სასამართლო მას ნაწილობრივ აკმაყოფილებდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა: ა. შესაძლებელი იყო თუ არა საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის ერთ პირობით ერთეულზე, ხოლო მეორე პირობით ერთეულზე მის გაუქმებაზე უარის თქმა, აგრეთვე, ბ. პასუხი გასცემოდა საკითხს – დასაშვები იყო თუ არა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება მაშინ, როცა სარჩელის მოთხოვნა არ გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის კონკრეტული ნორმიდან.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება მ. და ლ. კ-მა გაასაჩივრეს საკასაციო წესით. მათ მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა არსებითად განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

საკასაციო საჩივარი არგუმენტირებულია შემდეგნაირად:

სწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ხელახლა განხილვას საჭიროებს საკითხი – შესაძლებელია თუ არა საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის ერთ პირობით ერთეულზე, ხოლო მეორე პირობით ერთეულზე მის გაუქმებაზე უარის თქმა. ამასთან, არასწორია გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოს მეორე დასკვნა, რომლის მიხედვითაც, პასუხი უნდა გაეცეს საკითხს: დასაშვებია თუ არა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება მაშინ, როცა სარჩელის მოთხოვნა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის კონკრეტული ნორმიდან. მეორე დასკვნას საფუძვლად დაედო სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის სააპელაციო სასამართლოსეუ-

ლი განმარტება. სასამართლო სწორად განმარტავს მითითებულ ნორმას, როდესაც იგი საუბრობს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული წილების შესაბამისად საზიარო უფლების გაუქმების და არა ფაქტობრივად დაკავებული ფართების შესაბამისად ამ უფლების გაუქმების შესაძლებლობაზე, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში ხსენებული ნორმის ამგვარად განმარტების ფაქტობრივი წინაპირობა არ არსებობს;

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდა არსებულ საცხოვრებელ სახლში საზიარო უფლების გაუქმება და მოდავე მხარეებს მიეკუთვნათ საცხოვრებელი სახლის ის ფართები, რომლებიც ზუსტად შეესაბამებოდა აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს. სასამართლოს გადაწყვეტილება დასახელებულ ნაწილში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია და იმთავითვე შევიდა კანონიერ ძალაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე მესაკუთრეებისათვის ინდივიდუალურ საკუთრებაში მიკუთვნილებული ფართები არ შეესაბამება იმ წილობრივ მონაცემს, რაც ასახულია ამ უძრავი ქონების მიმართ არსებულ საჯარო რეესტრის ამონაწერში და შეიცვალა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

შექმნილ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნება და სავალდებულო პირობად იმაზე მითითება, რომ სასამართლომ იმსჯელოს სარჩელის მოთხოვნაზე რეგისტრირებული წილების შესაბამისად, არასწორია. მართალია, ამჟამად საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია წილობრივ მონაცემზე, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეთათვის ფართების გადაცემის თაობაზე, კანონიერ ძალაშია შესული. აქედან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, რეესტრის ჩანაწერი ითვლება უზუსტოდ. ამდენად, კანონსაწინააღმდეგო იქნება, თუკი პირველი ინსტანციის სასამართლო იმსჯელებს საზიარო უფლების გაუქმებაზე რეგისტრირებული წილების შესაბამისად, როგორც ამაზე სააპელაციო სასამართლო მიუთითებს;

დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა განაშენიანებისაგან თავისუფალ ფართთან დაკავშირებით. სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი ამ მხრივ არ ითვალისწინებს არანაირ დათქმას, კერძოდ, იგი არ ითვალისწინებს დათქმას იმასთან დაკავშირე-

ბით, მინაზე საზიარო უფლებების გაუქმებისას, უფლება უნდა გაუქმდეს თავისუფალ მინის ფართზე თუ, მთლიანობაში განაშენიანების მინის ფართის ჩათვლით. აღნიშნული საკითხი არ არის უფლებრივი საკითხი, იგი განეკუთვნება ტექნიკურ საკითხს. მოცემულ შემთხვევაში, საცხოვრებელი სახლის მიერ დაკავებული მინის ფართი არ უნდა მონაწილეობდეს გამიჯვნაში (მისი გამოყოფა ტექნიკურად შეუძლებელია) და საზიარო უფლებების გაუქმება უნდა მოხდეს სწორედ თავისუფალი მინის ფართზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც მოცემულ შემთხვევაში შებოჭილია სააპელაციო სასამართლო. ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქ-

მის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა ამ გადაწყვეტილების სამართლებრივი დაუსაბუთებულობის გამო, კერძოდ, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი. საქმის უკან დაბრუნების აუცილებლობა სააპელაციო სასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა ორ გარემოებაზე:

1. შესაძლებელია თუ არა საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის ერთ პირობით ერთეულზე, ხოლო მეორე პირობით ერთეულზე მის გაუქმებაზე უარის თქმა;

2. დასაშვებია თუ არა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება მაშინ, როცა სარჩელის მოთხოვნა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის კონკრეტული ნორმიდან.

ზემოაღნიშნული გარემოებები, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რომელთა გამოც გამართლებული იქნებოდა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს თავადვე შეეძლო ემსჯელა ზემოხსენებულ საკითხებზე. საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ დაუსაბუთებლობაზე არ უთითებს, ხოლო, გადაწყვეტილების სამართლებრივი დაუსაბუთებლობა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ შეიძლება გახდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, გარემოებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის უკან დაბრუნების საფუძველად მიიჩნია, არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რაც სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას ართმევდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე თავად გადაენწყვიტა საქმე და არ დაებრუნებინა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ

ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადანყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადანყვეტილების მიღებისას უნდა გადანყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. და ლ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1-ლი მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება

ბანრინება

№ას-589-560-2013

10 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ლ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. დ-ს, ვ. ფ-ს, გ. ფ-სა და ნოტარიუს დ. ხ-ს მიმართ და მოითხოვა მასა და რ. ფ-ს შორის 2004 წლის 6 ოქტომბერს სამისდღეშიო რჩენის პირობით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით მ. ლ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ლ-მ და მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინებით მ. ლ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ლ-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ივნისის განჩინებით, მ. ლ-ს საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესაძლებლობად.

მ. დ-მ, ვ. ფ-მ და გ. ფ-მ საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოიტანეს საკასაციო შესაგებელი, რომელსაც დართული აქვს გარდაცვალების მოწმობა №68137002434 და რომლიდანაც ირკვევა, რომ მ. ლ-ე გარდაიცვალა 2013 წლის 29 აპრილს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოება მოცემულ სამოქალაქო საქმეზე უნდა შეჩერდეს გარდაცვლილი მ. ლ-ს უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 721-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება არ წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან ქმედუწუნარობის დადგომის გამო, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან სხვა რამ არ გამომდინარეობს მინდობილობის შინაარსიდან.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილია მათა ლომთაძის მიერ გივი ბერაძის სახელზე გაცემული მინდობილობა, სადაც მითითებულია რომ მარწმუნებლის გარდაცვალება არ იწვევს რწმუნებულის უფლებამოსილების შეწყვეტას, რწმუნებული ვალდებულია გააგრძელოს მინდობილ საქმეთა წარმოება მემკვიდრის განკარგულებამდე. აღნიშნული მინდობილობა გაცემულია გადახდობის უფლებით, შესაბამისად, გივი ბერაძის მიერ ფრიდონ ბასილას სახელზე გაცემული მინდობილობა ძალაშია მათა ლომთაძის გარდაცვალების შემდეგაც.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლებას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას, თუ ერთ-ერთი მხარე გარდაიცვალა, ხოლო, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ საქმეში სხვა პირის ჩართვა.

განსახილველ შემთხვევაში, 2013 წლის 1 მაისს გაცემული №68137002434 გარდაცვალების მოწმობით ირკვევა, რომ 2013 წლის 29 აპრილს გარდაიცვალა კასატორი მ. ლ-ე.

განსახილველი დავა ეხება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, შესაბამისად, იგი განეკუთვნება იმ კატეგორიის საქმეთა რიცხვს, რომლის დროსაც უფლებამონაცვლებობა დასაშვებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნ-

ქტის მიხედვით, საქმის წარმოება შეჩერდება ამ კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა. მოსარჩელის გარდაცვალებისას, თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმეში უფლებამონაცვლე არ ჩაერთო, სარჩელი განუხილველად დარჩება. ასევე განუხილველად დარჩება მოსარჩელის მიერ შეტანილი სააპელაციო და საკასაციო საჩივრები. მოპასუხის გარდაცვალების შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია ერთწლიანი ვადის გასვლამდე მიუთითოს მოპასუხის უფლებამონაცვლე პირი (პირი, რომელმაც სამკვიდრო ქონება მიიღო, უმკვიდრო ქონების შემთხვევაში – სახელმწიფო ან შესაბამისი ორგანიზაცია ან სხვა უფლებამონაცვლე). თუ აღმოჩნდება, რომ სამკვიდრო ქონება არ არსებობს, საქმის წარმოება შეწყდება. მოსარჩელის დასაბუთებული შუამდგომლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს ერთწლიანი ვადა არა უმეტეს 6 თვით.

ამდენად, მხარის გარდაცვალებისას საქმის წარმოება ჩერდება მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, თუმცა კანონმდებელი განსაზღვრავს საქმის წარმოების შეჩერების მაქსიმალურ ვადას – ერთ წელს, რა დროის განმავლობაშიც უნდა დადგინდეს მისი უფლებამონაცვლე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მაია ლომთაძის საკასაციო საჩივრის გამო სამოქალაქო საქმის განხილვა უნდა შეჩერდეს მ. ლ-ს უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შეჩერდეს წარმოება სამოქალაქო საქმეზე – მ. ლ-ს სარჩელის გამო მ. დ-ს, ვ. ფ-ს, გ. ფ-სა და დ. ხ-ს მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მ. ლ-ს უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება

ბანრინება

№ას-1667-1564-2012

25 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: დავალიანების გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

სს „თ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „მ-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვა შპს „მ-ის“, სს „თ-ის“ სასარგებლოდ, 69 750.11 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, მხარეთა შორის მრავალი წელია არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, თუმცა შპს „მ-ს“ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაუგროვდა დავალიანება. მხარეებს შორის 2010 წლის 4 მარტს გაფორმდა დავალიანების გადახდის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, 2010 წლის 4 მარტის მდგომარეობით მოპასუხის დავალიანებამ სს „თ-ის“ წინაშე შეადგინა 72675.54 ლარი. აღნიშნული დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით, მხარეთა შორის შედგა 30-თვიანი გრაფიკი და მოპასუხეს ყოველთვიურად გადასახდელ თანხად განესაზღვრა 2417.70 ლარი. მოპასუხემ ასევე დაარღვია 2010 წლის 4 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის პირობები და დღეის მდგომარეობით მოპასუხის დავალიანება მოსარჩელის მიმართ შეადგენს 69750.11 ლარს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით სს „თ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „მ-ს“ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 69 750.11 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „მ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით

ყვეტილებით შპს „მ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, რაზეც საჩივარი წარადგინა შპს „მ-მა“ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 დეკემბრის საოქმო განჩინებით შპს „მ-ის“ საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმეზე განახლდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 დეკემბრის საოქმო განჩინებით შპს „მ-ის“ დირექტორ ნ. მ-ას შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა დავა იმავე მხარეებს შორის 2003 წლის 28 ნოემბრის №010047 აქტის გაუქმებისა და აქტის საფუძველზე დარიცხული თანხის – 69000 ლარის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ, დავის საგანს წარმოადგენდა თანხა, რომელიც მიმდინარე განსახილველი საქმის დავის საგანია. შუამდგომლობის ავტორმა წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „მ-ის“ სარჩეული დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2003 წლის 28 ნოემბრის ელექტროენერჯის აღსრიცხვიანობის შემოწმების აქტი №010047. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას მნიშვნელობა ექნებოდა მოცემული საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის, ვინაიდან დავა მიმდინარეობს ერთი და იგივე თანხაზე, შესაბამისად, შუამდგომლობა დაკმაყოფილებას ექვემდებარეობდა.

აღნიშნული საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს „თ-ის“ წარმომადგენელმა ა. ქ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის შეჩერების მოტივად მიუთითა არა დავის ფაქტობრივ საფუძველებზე, არამედ იმ გარემოებაზე, რომ დავა მიმდინარეობდა იგივე მხარეებს შორის და დავის საგანს წარმოადგენდა ერთი და იგივე თანხა. სასამართლოს არ დაუსაბუთებია და არ უმსჯელია, თუ რატომ იყო შეუძლებელი საქმის განხილვა სხვა საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე და რა მნიშვნელობა ჰქონდა 32/8145-12 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას განსა-

ხილველი საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის, ხოლო სასამართლოს მიერ მითითებული გარემოება, რომ დავა მიმდინარეობდა ერთსა და იმავე თანხაზე, ვერ გახდებოდა საქმის წარმოების შეჩერების განმსაზღვრელი პირობა. სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი შეეჩერებინა მოცემული საქმის განხილვა იმ სარჩელის საფუძველზე, რომელიც წარმოადგინა შუამდგომლობის ავტორმა, ვინაიდან ამ სარჩელით განსახილველ დავას არავითარი კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „თის“ წარმომადგენელ ა.ქ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 დეკემბრის საოქმო განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გასაჩივრებული საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა შპს „მ-ის“ დირექტორ ნ. მ-ას შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ და მოცემულ საქმეზე შეჩერდა წარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, რომლითაც შპს „მ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2003 წლის 28 ნოემბრის ელექტროენერჯის აღსრიცხვიანობის შემოწმების აქტი №010047 და შპს „მ-ი“ გათავისუფლდა აღნიშნული აქტის საფუძველზე დარიცხული თანხის – 69000 ლარის გადახდის ვალდებულებისაგან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას მასზე, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეჩერების წინაპირობები შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული საფუძველით საქმის წარმოების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა საქმეთა შორის ისეთი აუცილებელი კავშირი, რაც შეჩერების ღო-

ნისძიების გამოუყენებლობის პირობებში ობიექტურად შეუძლებელს გახდის სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვას. სხვაგვარად თუ ვიტყვით, საქმის წარმოების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა სასამართლოს განხილვაში არსებული საქმის გადაწყვეტისას. აქედან გამომდინარე, საქმის წარმოების შეჩერებამდე, სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს მიერ განიხილება, კერძოდ, გამომდინარეობენ თუ არა ისინი ერთი და იგივე ფაქტობრივი საფუძვლებიდან და სამართლებრივი ურთიერთობიდან.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეში სარჩელის დავის საგანია შპს „მ-ის“, სს „თ-ის“ სასარგებლოდ“ ვალის აღიარებისა და გადახდის გრაფიკის ხელშეკრულების საფუძველზე, დავალიანების – 69 750.11 ლარის დაკისრება, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული სარჩელის დავის საგანია 2003 წლის 28 ნოემბრის №010047 აქტის გაუქმება და აქტის საფუძველზე დარიცხული 69000 ლარის გადახდისაგან გათავისუფლება, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მხარეთა შორის 2010 წლის 4 მარტს დადებულ დავალიანების გადახდის შესახებ ხელშეკრულებასთან, რომლის საფუძველზეც არსებული დავალიანების – 72675.54 ლარის დაფარვა უნდა მომხდარიყო 2012 წლის აგვისტოს ჩათვლით და იმის გამო, რომ დავალიანება შპს „მ-მა“ სრულად არ დაფარა, დავალიანებამ შეადგინა სულ 69 750.11 ლარი. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები არ გამომდინარეობენ ერთი და იგივე ფაქტობრივი საფუძვლებიდან და სამართლებრივი ურთიერთობიდან, შესაბამისად, არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვის შეუძლებლობა საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვამდე, ანუ სახეზე არაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ამ განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად

დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „თ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 დეკემბრის საოქმო განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

№ას-652-614-2012

2 ივლისის, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებუ-
ლების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ს. ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ინდ.მენარმე მ.
ე-ის, კ. გ-ის, ნ. ჩ-ის, ლ. გ-ისა და მ. გ-ის მიმართ მოპასუხეები-
სათვის სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ ძირი თანხის – 11 339.13 აშშ
დოლარის, სარგებლის – 3 511.20 აშშ დოლარის, პირგასამტეხ-
ლოს – 2 825.99 აშშ დოლარის, სულ 17 576.32 აშშ დოლარის გა-
დახდის სოლიდარულად დაკისრების, ხოლო მთლიანი დავალი-
ანების დაფარვის მიზნით, ქ.თბილისში, ი-ის ქ. №18-ში (საკა-
დასტრო კოდი №...) მდებარე სესხის უზრუნველსაყოფად იპო-

თეკით დატვირთული კ. გ-ის, ლ. გ-ისა და მ. გ-ის კუთვნილი 88.28 კვ.მ უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის მოთხოვნით.

კ. გ-მ, ნ. ჩ-მა, ლ. გ-მ და მ. გ-მ საქმის მომზადების ეტაპზე სარჩელი ცნეს ნაწილობრივ, კერძოდ, აღიარეს ვალდებულების არსებობა 11239,13 აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეებს: მ. ე-ს, კ. გ-სა და ნ. ჩ-ს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრათ 12210.79 აშშ დოლარის გადახდა, რომლის დაფარვის მიზნით, აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქ.თბილისში, ი-ის ქ. №18-ში (საკადასტრო კოდი №...) მდებარე კ. გ-ის, ლ. გ-ისა და მ. გ-ის კუთვნილი 88.28მ2 უძრავი ნივთი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. ბ-მა“, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 მარტის განჩინებით სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. ბ-მა“, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მ. ე-ის, კ. გ-ისა და ნ. ჩ-ისათვის კასატორის სასარგებლოდ 12210,79 აშშ დოლარისა და დამატებით 5345,53 აშშ დოლარის დაკისრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მაისის განჩინებით სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქმის განხილვა, ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

2012 წლის 26 ივნისს სს „ს. ბ-მა“ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, აღნიშნა, რომ მოპასუხეებმა ბანკის მიერ მოთხოვნილი დავალიანება დაფარეს სრულად და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831 მუხლის საფუძველზე, სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საკასაციო საჩივრის გამომშობისა და მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების თაობაზე. განცხადების დაზუსტების მიზნით, 2012 წლის

29 ივნისს კასატორმა განმეორებით მომართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ უარს აცხადებდა საკასაციო საჩივარზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და სს „ს. ბ-ის“ შუამდგომლობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ის საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მაისის განჩინებით სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი – ინდ.მენარმე მ. ე-ის, კ. გ-ის, ნ. ჩ-ის, ლ. გ-ისა და მ. გ-ის მიმართ ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

საქმეში წარმოდგენილი სს „ს. ბ-ის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის – ი. ჩ-ს წერილობითი მომართვით დასტურდება, რომ კასატორი უარს აცხადებს საკასაციო საჩივარზე.

საქმეში წარმოდგენილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესწავლით დადასტურებულია, რომ ი.ჩ-ს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათაგან გააჩნია ასევე სარჩელზე უარის თქმის უფლება და სს „ს. ბ-ის“ იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედება ამონურული არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს, ამავე კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას იხელმძღვანელოს საპროცესო კანონმდებლობის იმ ნორმითაც, რომელიც პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვის თავში მდებარეობს, თუმცა არ ეწინააღმდეგება ზემდგომი წესით საქმის განხილვისათვის დადგენილ წესებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორი-

გეზით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მოსარჩელე (კასატორი) უფლებამოსილია, შესაბამისი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუბრკოლებლად განაცხადოს უარი თავის სარჩელზე (საკასაციო საჩივარზე).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ამასთან, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ს. ბ-ის“ უფლებამოსილ წარმომადგენელ ი. ჩ-ს შუამდგომლობა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ამავე ნორმის მე-4 ნაწილით კი დადგენილია, რომ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მაისის განჩინებით სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, ხოლო საკასაციო საჩივარზე უარის თქმის მოთხოვნით სს „ს. ბ-მა“ სასამართლოს 2012 წლის 29 ივნისის მომართა, პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე სს „ს. ბ-ს“ უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2012 წლის 23 არილს №002 საგადახდო დავალებით საკასაციო საჩივრის გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 435,52 ლარის ნახევარი – 217,76 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის მე-3, 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. სს „ს. ბ-ის“ წარმომადგენელ ი. ჩ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. შეწყდეს წარმოება სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 მარტის განჩინებაზე მონინაალმდევე მხარეების: ინდ.მენარმე მ. ე-ის, კ. გ-ის, ნ. ჩ-ის, ლ. გ-ისა და მ. გ-ისათვის კასატორის სასარგებლოდ 12210,79 აშშ დოლარისა და დამატებით 5345,53 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

3. მოცემულ საქმეზე ძალაში დარჩეს ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

4. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

5. კასატორ სს „ს. ბ-ს“ (საიდენტიფიკაციო №...) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საგირავნო-სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდეს (სს ბანკი „რესპუბლიკა“ ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01.) მის მიერ 2012 წლის 23 არილს №002 საგადახდო დავალებით საკასაციო საჩივრის გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 435,52 ლარის ნახევარი – 217,76 ლარი.

6. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა

ბანრინება

№ას-316-301-2013

3 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 29 ივლისს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა ე. გ-მა მოპასუხე დ. გ-ის მიმართ და მოითხოვა ქ.თბილისში, ზ.ჭ-ის ქ. №4-ში მდებარე სახლის 12 კვ.მ ფართის მქონე საერთო სარგებლობის აბაზანით სარგებლობაში მის მიმართ დ. გ-ის მხრიდან უკანონო ხელშეშლის აღკვეთა და ხსენებული აბაზანის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით საპირფარეოს მხრიდან კარის მოწყობა.

მოგვიანებით, იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა დ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა ე. გ-ის მის სასარგებლოდ კაპიტალური კიბის მშენებლობისათვის მის მიერ განუხლები ხარჯის ნახევარის – 400 ლარის დაკისრება, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის ამ კიბით სარგებლობის აკრძალვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ე. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: დ. გ-ს დაევალა ე. გ-ან საერთო სარგებლობის 12 კვ.მ აბაზანის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა – შესასვლელი კარის აღდგენა საპირფარეოს მხრიდან, მასვე აეკრძალა ე. გ-ის საერთო სარგებლობის 12 კვ.მ აბაზანით სარგებლობის ხელშეშლა. ამავე გადაწყვეტილებით დ. გ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება დ. გ-მა გაასაჩივრა საჩივრით, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 მაისის საოქმოდ განჩინებით დაკმაყოფილდა, გაუქმდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა.

2008 წლის 14 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა მოპასუხე დ. გ-მა, რომელმაც ითხოვა ზემოხსენებულ საქმეზე მ. ტ-ის მოპასუხედ ჩაბმა მის მხარეზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება მ. ტ-ი. ამასთან, ამავე სასამართლოს ამავე თარიღის განჩინებით მოცემულ საქმეზე საქმის წარმოება შეჩერდა მოპასუხე დ. გ-ის სარჩელის გამო მოპასუხეების მ. ტ-სა და ე. გ-ის მიმართ საზიარო უფლებების გაუქმების მოთხოვნაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აპრილის განჩინებით საქმეზე წარმოება განახლდა.

ამავე სასამართლოს 2012 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით ე. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა დ. გ-ის შეგებებული სარჩელი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 თებერვლის განჩინებით ე. გ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება ე. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე დ. გ-ის მიმართ, ე. გ-ის სარჩელზე დ. გ-ის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება დავის საგნის არარსებობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ ე. გ-ი სარჩელითა და დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა თბილისში, ზ. ჭ-ის ქუჩის №4-ში მდებარე 12 კვ.მ საერთო სარგებლობის აბაზანით სარგებლობაში მოსარჩელისათვის მოპასუხე დ. გ-ის მხრიდან მომდინარე უკანონო ხელშეშლის აღკვეთას და ამ აბაზანის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით, საპირფარეშოს მხრიდან შესასვლელი კარის მონყობას. აღნიშნული გარემოების დასადგენად, სასამართლომ გამოიკვლია სარჩელის საფუძვლები, სარჩელის მოთხოვნა და მოტივები. ე. გ-ი, მის მიერ წარდგენილ დასაბუთებულ სააპელაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 სექტემბრის გადაწ-

ყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ე. გ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რაც გასაჩივრდა მის მიერ შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი უსწორობის გამო, კერძოდ, სადავო ნივთი – ჭ-ის ქ. №4-ში მდებარე 12 კვ.მ აბაზანა, სამი თანამესაკუთრის (გ-ის, გ-ის და ტ-ის ოჯახის წევრების) საზიარო ქონებას წარმოადგენდა, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. საქმეში წარდგენილი მტკიცებულების – კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, ტ-სა და გ-ს შორის შედგა მორიგება, რომლის თანახმად, მათი კუთვნილი უძრავი ქონება გაიმიჯნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ტ-მა დაკარგეს აბაზანის წილზე პრეტენზიის დაყენების უფლება. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სასამართლომ გ-ის წარმომადგენლის უსაფუძვლო განცხადებისა და ტ-ის ზეპირი ჩვენების საფუძველზე მიიჩნია, რომ ტ-მა თავისი წილი აბაზანის ნაწილი დაუთმეს გ-ს, რისი დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არსებობდა. უფრო მეტიც, პრივატიზაციის ხელშეკრულებაში აბაზანის წილი მითითებული არ იყო და მათ, ფიქტიურად, ნოტარიუსს ცვლილება შეატანინეს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ე. გ-ის სარჩელისა და დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველების შემოწმების შედეგად დადგენილად მიიჩნია, რომ წარდგენილი სარჩელითა და სააპელაციო საჩივრით აპელანტი სადავოდ ხდიდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ წილობრივ მონაწილეობას სადავო აბაზანაზე და ითხოვდა აბაზანით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთას, საფუძველად კი უთითებდა იმ ფაქტის თაობაზე, რომ ტ-ებს გ-ის თავიანთი წილი აბაზანიდან არ დაუთმიათ.

სასამართლომ საქმის მასალების შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ თბილისში, ჭ-ის ქუჩის №4-ში მდებარე სადავო ფართზე არსებობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 1 მარტის კანონიერ ძალაში შესული განჩინება, რომლითაც განუხილველი დარჩა ე. გ-ის საკასაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის განჩინება, დ. გ-ის, ე. გ-სა და მ. ტ-ის საზიარო უფლების გაუქმებისა და დ. გ-ის და ე. გ-ის ინდივიდუალური საკუთრების ობიექტის გამიჯვნის თაობაზე, თბილისში, ზ. ჭ-ის ქუჩის №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე. აღნიშნული კი ნიშნავდა იმას, რომ სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა ზ. ჭ-ის ქუჩის №4-ში მდებარე სააბაზანოსთან დაკავშირებით დ. გ-ის, ე. გ-სა და მ. ტ-ის წილობრივი მონაწილეობის განსაზღვრის თაობაზე, დაადგინა თითოეული მათგანის წილობრივი უფლება სა-

დავო ფართზე და დადგენილი წილობრივი მონაწილეობის მიხედვით, ქონების ნატურით გაყოფის გზით, საზიარო უფლება გააუქმა. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, აღარ არსებობდა დავის საგანი, ანუ საზიარო უფლება ზ. ჭ-ის ქ. №4-ში მდებარე აბაზანაზე და არც აღნიშნული უფლებით სარგებლობის ფაქტობრივი საფუძველი, ანუ ფართი საერთო სარგებლობაში, ვინაიდან სადავო ფართზე არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე. შესაბამისად, ე. გ-ის დაზუსტებულ მოთხოვნას, აღკვეთილიყო საზიარო საგნით – აბაზანით – სარგებლობის ხელშეშლა, კანონიერ ძალაში შესული და აღსრულებული სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოეცალა დავის საგანი, რაც იმაში გამოიხატა, რომ ნატურით გაყოფის გზით სადავო აბაზანაზე საზიარო უფლება გაუქმდა და მხარეთა კუთვნილი წილების შესაბამისი ფართები აღნიშნულ აბაზანაში ნატურით გაიმიჯნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის ა' ქვეპუნქტის, კერძოდ, დავის საგნის არარსებობის გამო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. გ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნება შემდეგი საფუძველით: მოდავე მხარეებს საერთო საკუთრებაში გააჩნიათ აბაზანა, რომლის ფართი შეადგენს 12 კვ.მ-ს. ე. გ-მა თვითნებურად გადატინხრა აბაზანა და მისაკუთრა მისი 2/3 ნაწილი. მოსარჩელემ (კერძო საჩივრის ავტორმა) სასამართლოში წარადგინა ყველა საჭირო მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ აბაზანა წარმოადგენდა სამი ოჯახის საერთო საკუთრებას. უფრო მეტიც, მესამე ოჯახის წევრებს (ტ-ს-ი) აღნიშნული აბაზანა არ ჰქონიათ საკუთრებაში, რასაც ადასტურებს თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 2004 წლის 17 თებერვლის წერილი და საჯარო რეესტრის მიერ 2008 წელს გაცემული პრივატიზაციის ხელშეკრულება. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანი არ არსებობდა და საზიარო ქონება მხარეებს შორის სწორად იყო გაყოფილი, თუმცა ეს მოსაზრება არ დაუსაბუთებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივ-

რის საფუძვლებზე გამოკვლევის შედეგად მიიჩნევა, რომ ე. გ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 თებერვლის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლი შეიცავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის პირობებშიც, სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე ან თავისი ინიციატივით შეწყვიტოს საქმის წარმოება. მითითებული მუხლის ა' ქვეპუნქტის მიხედვით, ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს დავის საგნის არარსებობა. ასეთ დროს აღარ არსებობს საქმის განხილვის საჭიროება, რადგან რეალურად არ არსებობს საგანი, რომლისკენაც სადავოდ ქცეული უფლებაა მიმართული. სასამართლოში საქმის განხილვის მიზანი კი სწორედ ისაა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხილულ იქნეს საქმეები დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ (სსკ-ის მე-2 მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინებით საქმის წარმოება შეწყდა დავის საგნის არარსებობის გამო.

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ე. გ-ის სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა – თბილისში, ზ. ჭ-ის ქ. №4-ში მდებარე სახლის 12 კვ.მ ფართის მქონე საერთო სარგებლობის აბაზანით სარგებლობაში მოპასუხე დ. გ-ის მხრიდან უკანონო ხელშეშლის აღკვეთა და ხსენებული აბაზანის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით საპირფარეშოს მხრიდან კარის მოწყობა. იგივეს მოითხოვდა ე. გ-ი მის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრით;

2008 წლის 20 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა მოპასუხე დ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა მოცემულ საქმეზე წარმოების შეჩერება ქ.თბილისში, ზ.ჭ-ის ქ. №4-ის პირველ სართულზე მდებარე აბაზანა-საპირფარეშოზე მასა და ე. გ-ს შორის საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნით აღძრული სარჩელის გადაწყვეტამდე;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის განჩინებით ხსენებული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე წარმოება შეჩერდა მოპასუხე დ. გ-ის სარჩელის გამო მოპასუხეების – მ. ტ-სა და ე. გ-ის მიმართ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნაზე მიღებული

გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით დ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა დ. გ-ის, მ. ტ-ის და ე. გ-ის საზიარო უფლება ქ.თბილისში, ზ. ჭ-ის ქ. №4-ის პირველ სართულზე მდებარე 10.64 კვ.მ სააბაზანო-საპირფარეშოზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად შემდეგნაირად: ე. გ-ს ნატურით (რეალურად) გამოეყო სანიტარული კვანძის 3.64 კვ.მ და საჯარო რეესტრში აღირიცხა ამ უკანასკნელის საკუთრებად, ხოლო, დ. გ-ს ნატურით (რეალურად) გამოეყო სანიტარული კვანძის 7.00 კვ.მ და საჯარო რეესტრში აღირიცხა ამ უკანასკნელის საკუთრებად.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების შემდეგ დარჩა ძალაში და, შესაბამისად, იგი შესულია კანონიერ ძალაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ დღეის მდგომარეობით, აღარ არსებობს დავის საგანი, ანუ საზიარო უფლება ზ. ჭ-ის ქ. №4-ში მდებარე აბაზანაზე და არც აღნიშნული უფლებით სარგებლობის ფაქტობრივი საფუძველი, ანუ ფართი საერთო სარგებლობაში, ვინაიდან სადავო ფართზე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე. შესაბამისად, ე. გ-ის დაზუსტებულ მოთხოვნას, მოპასუხეს აღეკვეთოს საზიარო საგნით – აბაზანით – სარგებლობის ხელშეშლა, კანონიერ ძალაში შესული და აღსრულებული სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოეცალა დავის საგანი, რაც იმაში გამოიხატა, რომ ნატურით გაყოფის გზით სადავო აბაზანაზე საზიარო უფლება გაუქმდა და მხარეთა კუთვნილი წილების შესაბამისი ფართები აღნიშნულ აბაზანაში ნატურით გაიმიჯნა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოდავე მხარეებს საერთო საკუთრებაში გააჩნიათ აბაზანა, რომლის ფართი შეადგენს 12 კვ.მ-ს. მიუხედავად იმისა, რომ მან სასამართლოს წარუდგინა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები, სასამართლომ მაინც ჩათვალა, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანი არ არსებობდა და საზიარო ქონება მხარეებს შორის სწორად იყო გაყოფილი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან იგი არ გამომდინარეობს საქმეზე დადგენილი უდავო გარემოებებიდან და

ენინაალმდეგება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, ამიტომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა

ბანრინება

№ას-196-189-2013

15 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 6 მარტს ნ. კ-მა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 მარტის განჩინებით ნ. კ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შპს „ზ-ს“ აუკრძალა ქ.თბილის-ში, სოფელ ზ-ში მდებარე უძრავი ქონების, საკადასტრო კოდი №... გასხვისება და უფლებბრივი დატვირთვა.

2012 წლის 12 მარტს ნ. კ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ზ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სარჩელი მოპასუხე შპს „ზ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ნ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს „ზ-ს“ ნ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 178580 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში ნ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 მარტის განჩინებით შპს „ზ-ის“ საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე სასამართლოს 2013 წლის 12 აპრილის განჩინებით ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

2013 წლის 28 ივნისს ნ. კ-ის წარმომადგენელმა ე. გ-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და განმარტა, რომ მოსარჩელე ნ. კ-მა შპს „ზ-ის“ წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელზე მთლიანად უარი განაცხადა. წინამდებარე განცხადებას ე. გ-ემ დაურთო ნ. კ-ის სახელით გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც ნ. კ-ი სხვა წარმომადგენლებთან ერთად ე. გ-ეს უფლებას ანიჭებს, შესაბამისი ინსტანციებიდან, გამოიხმოს სარჩელები მოთხოვნაზე უარის თქმით ან უარის თქმის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნებზე, ასევე უარი თქვას სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე. მინდობილობაში, რომელიც ერთვის წინამდებარე განცხადებას, მითითებულია ას-196-189-2013 სამოქალაქო საქმე – კასატორები – შპს „ზ-ი“ და ნ. კ-ი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, ნ. კ-ის წარმომადგენელ ე. გ-ის განცხადებების საფუძვლიანობა და თვლის, რომ მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სარჩელი მოპასუხე შპს „ზ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ნ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს „ზ-ის“ ნ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 178580 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში ნ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით

სით გაასაჩივრა ორივე მხარემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 აპრილის განჩინებით ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, ხოლო შპს „ზ-ის“ საკასაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შემონმების ეტაპზე, 2013 წლის 28 ივნისს ნ. კ-ის წარმომადგენელმა ე. გ-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და განმარტა, რომ მოსარჩელე ნ. კ-მა შპს „ზ-ის“ წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელზე მთლიანად უარი განაცხადა. წინამდებარე განცხადებას ე. გ-ემ დაურთო ნ. კ-ის სახელით გაცემული, სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობა, რომლითაც ნ. კ-ი სხვა წარმომადგენლებთან ერთად ე. გ-ეს უფლებას ანიჭებს, შესაბამისი ინსტანციებიდან გამოიხმოს სარჩელები მოთხოვნაზე უარის თქმით ან უარის თქმის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნებზე, ასევე უარი თქვას სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე. მინდობილობაში, რომელიც ერთვის წინამდებარე განცხადებას, მითითებულია ას-196-189-2013 სამოქალაქო საქმე – კასატორები – შპს „ზ-ი“ და ნ. კ-ი.

საქმეში წარმოდგენილი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის შესწავლის საფუძველზე საკასაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „ზ-ის“ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს – დირექტორს წარმოადგენს მ. შ-ი, შესაბამისად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 მუხლის თანახმად, იგი უფლებამოსილია, საზოგადოების სახელით გასცეს მინდობილობები, მათ შორის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებათა გადაცემის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამოწვევებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით, ხოლო მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია, კანონით გათვალისწინებული შედეგების

გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუზრკოლებლად უარი განაცხადოს თავის სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ამასთან, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ნ. კ-ის განცხადება სარჩელზე უარის თქმის შესახებ საფუძვლიანია, რის გამოც მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 მარტის განჩინებით ნ. კ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შპს „ზ-ს“ აეკრძალა ქ.თბილისში, სოფელ ზ-ში მდებარე უძრავი ქონების, საკადასტრო კოდი №... გასხვისება და უფლებრივი დატვირთვა. აღნიშნული დავის საკასაციო წესით განხილვისას მოსარჩელე ნ. კ-მა უარი თქვა სარჩელზე.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 მარტის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კანონით გათვალისწინებული, ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილს თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე ნორმის მე-4 ნაწილით დად-

გენილია, რომ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ მხარეთა მიერ საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვამდე სარჩელზე უარის თქმის გამო, კასატორ შპს „ზ-ს“ სრულად უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით კს „დ. პ. ს-ოს“ მიერ 2013 წლის 11 მარტის №110301 საგადახდო დავალებით გადახდილი 8000 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ნ. კ-ის წარმომადგენელ ე. გ-ის განცხადება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. შეწყდეს წარმოება სამოქალაქო საქმეზე – ნ. კ-ის სარჩელის გამო შპს „ზ-ის“ მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.

3. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ ნ. კ-ის სარჩელისა გამო შპს „ზ-ის“ მიმართ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

4. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 მარტის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება – შპს „ზ-ს“ აეკრძალა ქ.თბილისში, სოფელ ზ-ში მდებარე უძრავი ქონების, საკადასტრო კოდი №... გასხვისება და უფლებრივი დატვირთვა.

5. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია.

6. კასატორ შპს „ზ-ს“ (ს/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით კს „დი-ელ-ვი პაიპერ საქართველოს“ მიერ 2013 წლის 18 აპრილის №180401 საგადახდო დავალებით გადახდილი 8000 ლარი.

7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა

ბანრინება

№ას-123-117-2013

13 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. გ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ჩ-ის მიმართ და მოითხოვა: ქ.თბილისში, კ-ის ქ. №1-ში მდებარე სახლთმფლობელობაში დამოუკიდებელი უფლების ობიექტების ქ. გ-ის იდეალური 1/24 წილის შესაბამისი ფართის – 43,35 კვ.მ და გ. ჩ-ის 3/24 წილის შესაბამისი ფართის 130,58 კვ.მ რეალურ წილებად დადგენა; სასამართლოს მიერ ქ. გ-ისათვის დადგენილი რეალური ფართის არაკეთილსინდისიერი მფლობელის – გ. ჩ-ისაგან გამოთხოვა; ქ. გ-ის საკუთრებაში არსებული ფართის 45,53 კვ.მ ოდენობით გ. ჩ-ის მფლობელობასა და სარგებლობაში 1972 წლიდან არსებულად აღიარება; არაკეთილსინდისიერი მფლობელის – გ. ჩ-ის მიერ მიღებული სარგებლის 16200 აშშ დოლარის დაკისრება მოსარჩელის სასარგებლოდ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი არის ქ.თბილისში, კ-ის ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/24-ის მესაკუთრე, ხოლო 3/24-ის მესაკუთრეს წარმოადგენს გ. ჩ-ე. მოსარჩელის მამამ დ.ჩ-ემ, რომელიც იყო ამ საცხოვრებელი სახლის 1/6-ის მესაკუთრე და ეკუთვნოდა 3 ოთახიანი ბინა, მდებარე პირველ სართულზე, 1959 წელს გაყო და გაყიდა თავისი კუთვნილი წილიდან 1/4 (3/24) ე. ც-ზე. 1962 წელს ე. ც-მ გაყიდა თავისი წილი მ-ზე, რომელიც 1972 წელს იყიდა მან. 1972 წლის მაისიდან ხსენებულ ბინაში აღარ უცხოვრია, რითაც ისარგებლა გ. ჩ-ემ და გააუქმა კაპიტალური ტიხრები. გადააკეთა მისი საცხოვრებელი ფართი, მიუერთა თავის ფართს და 40 წელია სარგებლობს მის საკუთრებაში არსებული ფართით. გამიჯვნასთან დაკავშირებით გ. ჩ-ე უარზეა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სარჩელში

მოყვანილ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, რის გამოც მოცემულ სარჩელზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 თებერვლის განჩინებით მოპასუხის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2012 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ქ. გ-ეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ქ. გ-ემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 დეკემბრის წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილებით ქ. გ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ის ნაწილები, რომლებითაც ქ. გ-ეს უარი ეთქვა მის საკუთრებაში არსებული 45,53 კვ.მ-ის გ. ჩ-ის მფლობელობასა და სარგებლობაში 1972 წლიდან არსებულად აღიარებისა და გ. ჩ-ის მიერ მიღებული სარგებლის – 16200 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ, აღნიშნულ ნაწილებში მიღებულ იქნა წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა ქ. გ-ის საკუთრებაში არსებული ფართის გ. ჩ-ის მფლობელობასა და სარგებლობაში 1972 წლიდან ყოფნის ფაქტი, ასევე დადგინდა ქ. გ-ის მიერ გ. ჩ-ისაგან ამ უკანასკნელის მიერ ქ. გ-ის ფართით სარგებლობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის ფაქტობრივი საფუძვლის არსებობა. ქ. გ-ის საკუთრებაში არსებული ფართის მოცულობა და მისი სარგებლობის შედეგად გ. ჩ-ისათვის დასაკისრებელი თანხის მოცულობა განისაზღვრა წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სხვა მოთხოვნათა ნაწილებში.

სააპელაციო სასამართლოს წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება მხარეებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით. გ. ჩ-ემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო ქ. გ-ემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ მოცემულ სარჩელზე უნდა შენ-

ყდეს საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. მითითებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია: თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება; ამგვარი გადაწყვეტილება ეხება იმავე მხარეებს შორის არსებულ დავას, სადაც იგივეა როგორც დავის საგანი (სასარჩელო მოთხოვნა), ასევე საფუძვლები (ფაქტობრივი გარემოებები).

საკასაციო პალატის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ნორმაში გამოხატული კანონმდებლის ნება სრულად შეესაბამება, როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით დადგენილ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. მართალია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განამტკიცებს ზოგად პრინციპს, რომლის მიხედვითაც ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. თუმცა, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით. სწორედ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვას აწესებს იმავე კოდექსის 272-ე მუხლი ისეთი გარემოებების არსებობისას, როდესაც მხარემ ერთხელ უკვე ისარგებლა ამ უფლებით და სასამართლომ არსებითად გადაწყვიტა დავა. შესაბამისად, იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით საქმის კვლავ განხილვა საფრთხეს შეუქმნიდა სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულო ძალას და სამოქალაქო უფლებათა სტაბილურობას.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოპასუხე გ. ჩ-ემ სარჩელის პასუხად წარმოადგინა სამართლებრივი შესაგებელი, სადაც განმარტა, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შემადგენლობა განსახილველ სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტისათვის. მოპასუხემ შესაგებელს დაურთო კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 სექტემბრის გადაწყვე-

ტილებს, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ქ. გ-ის სარჩელი. აღნიშნული გადაწყვეტილებიდან ირკვევა შემდეგი:

სარჩელი აღძრა ქ. გ-ემ მოპასუხე გ. ჩ-ის მიმართ. მოსარჩელე ქ. გ-ემ მოითხოვა ქ. თბილისში, კ-ის ქ. №1-ის თანამესაკუთრეებს, ქ. გ-ესა და გ. ჩ-ეს შორის საზიარო საგნის ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმება, ასევე გ. ჩ-ისათვის ქ. გ-ის სასარგებლოდ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ფართით სარგებლობისათვის ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელე სარჩელის საფუძვლად უთითებდა, რომ 1959 წლის 6 თებერვალს დ. ჩ-ემ თავისი ბინის გაყოფის შედეგად გაყიდა, ხოლო ე. ც-მ იყიდა ერთი საცხოვრებელი ოთახი 1/24 საცხოვრებელი სახლის წილი, ხოლო დ. ჩ-ეს დარჩა 3/24 წილი. 1962 წელს ც-მ გაყიდა თავისი წილი, ერთი საცხოვრებელი ოთახი, ანუ 1/24 საცხოვრებელი სახლის წილი ლ. მ-ზე. 1972 წელს მსაგან იყიდა ქ. გ-ემ. გ. ჩ-ემ (დ. ჩ-ის შვილი) მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ფართი მიუერთა თავის საკუთრებაში არსებულ ფართს და 1972 წლიდან სარგებლობს ქ. გ-ის კუთვნილი ფართით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით აღდგენილ იქნა ქ. გ-ის საკუთრების უფლება ქ. თბილისში, კ-ის ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელი ფართობის 1/24 წილზე. ქ. თბილისში, კ-ის ქ. №1-ში პირველ სართულზე მარცხენა მხარეს არსებული ბინიდან ქ. გ-ეს ეკუთვნის ერთი საცხოვრებელი ოთახი დამხმარე სათავსოებით, ხოლო გ. ჩ-ის დანარჩენი ორი ოთახი დამხმარე სათავსოებით. 1959 წლიდან 1972 წლამდე საზიარო საგანი გაყოფილი იყო ნატურით. შესაძლებელია საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ: 1972 წლის 26 იანვარს, ქ. თბილისში, კ-ის ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან, პირველ სართულზე 1/24 წილის მესაკუთრე ლ. მ-ამ თავისი წილი გაასხვისა ქ. გ-ზე. ქ. თბილისში, კ-ის ქ. №1-ში მდებარე 3 სართულიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს მრავალბინიან სახლს. მრავალბინიანი სახლის სამოთახიანი ბინა წარმოადგენს მხარეთა თანასაკუთრებას. საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, ქ. თბილისში, კ-ის ქ. №1-ში მდებარე უძრავი ნივთიდან 1/24 წილი საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ქ. გ-ის სახელზე. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული სასამართლოს (1972 წლის 27 მარტი) მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ქ. გ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ ფართს ფლობს და ამ ფართით სარგებლობს გ. ჩ-ე. მხარეთა შორის საზიარო უფლების სა-

დავო საგანი გაყოფადი არ არის. უსაფუძვლოა ქ.გ-ის სარჩელი ნატურით გაყოფის შემთხვევაში, დათმობილი ფართის სანაცვლოდ კომპენსაციის დაკისრების თაობაზე.

რაც შეეხება განსახილველ დავას, საყურადღებოა შემდეგი გარემოებები:

სარჩელი აღძრულია ქ.გ-ის მიერ იმავე მოპასუხის მიმართ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც შეეხებოდა იდეალური წილების შესაბამისი რეალური წილების განსაზღვრას, თავისი არსით წარმოადგენდა საზიარო უფლების ნატურით გაუქმების მოთხოვნას, რაც ანალოგიურია იმ მოთხოვნისა, რომელიც ზემოთ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების კონტექსტში იქნა განხილული.

სავინდიკაციო მოთხოვნასთან მიმართებაში, ქ. გ-ე განმარტავს, რომ იდეალური წილების შესაბამისი რეალური წილების დადგენის შემთხვევაში, ფაქტობრივად შესაძლებელია აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სავინდიკაციო მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნასთან ერთად, როგორც ერთიანი მოთხოვნა.

ქ. გ-ის განმარტებით, მის საკუთრებაში არსებული ფართის 45,53 კვ.მ ოდენობით გ. ჩ-ის მფლობელობასა და სარგებლობაში 1972 წლიდან არსებულად აღიარების იურიდიული ინტერესია გ. ჩ-ისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქ.თბილისის ორჯონიკიძის რაიონული სასამართლოს (1972 წლის 27 მარტი) მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ქ. გ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ფართის გ. ჩ-ის მიერ ფლობისა და ამ ფართით სარგებლობის ფაქტი დადგენილია კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით, შესაბამისად, საქმე გვაქვს დავის საგნის იგივეობასთან. ანალოგიურად შეიძლება ითქვას ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ქ. გ-ისათვის მიყენებული ზიანი გამოიხატება ამ უკანასკნელის მიერ ფართით სარგებლობის შეუძლებლობით მიუღებელ შემოსავალში. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ სწორედ მოსარჩელის ფართით სარგებლობისათვის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას ითხოვდა ქ. გ-ე.

მოსარჩელის განმარტებით, განსახილველი სარჩელის იურიდიული ინტერესია დადგინდეს, რომ დღეის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიხედვით მასსა და გ. ჩ-ის სა-

კუთრებაში არსებული ნილობრივი და მათი შესაბამისი რეალური ფართები წარმოადგენენ ერთ საცხოვრებელ ფართში მდებარე ერთი ბინის ფართებს, რომ მისი საკუთრება იმყოფება მოპასუხის მფლობელობაში და მას არ გააჩნია მისი საკუთრების საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ფლობის და სარგებლობის უფლება. საკასაციო პალატის შეფასებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყველების დავის საგანი ისევე იყო მიმართული მოსარჩელის საკუთრების უფლების დაცვისკენ, როგორც წინამდებარე საქმეშია მოცემული, თუმცა მოსარჩელემ სარჩელი დააფუძნა იმავე გარემოებებს იმავე მხარის მიმართ.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორ ქ. გ-ის საკასაციო საჩივარში გამოთქმულ პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, თითქოს გ. ჩ-ისა და ქ. გ-ის საცხოვრებელი ფართები არ წარმოადგენენ ერთი უფლების ობიექტებს. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მრავალბინიანი სახლის სამოთახიანი ბინა წარმოადგენს მოსარჩელე ქ. გ-ისა და გ. ჩ-ის თანასაკუთრებას, ანუ საზიარო საგანს. ამასთან, განსაზღვრულია მხარეთა ნილობრივი მონაცემები 1/24 და 3/24-ით. მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილი უძრავი ქონების ნილის ნასყიდობის ხელშეკრულებებით არ დგინდება კონკრეტული ფართის მახასიათებლები, ისე, როგორც ამას მოსარჩელე წარმოაჩენს. ის ფაქტი, რომ მხარეთა საკუთრების უფლება ნილზე საჯარო რეესტრში აღრიცხულია სხვადასხვა საკადასტრო კოდით არ ნიშნავს იმას, რომ მხარეებზე აღიქმულია საკუთრების უფლება სხვადასხვა უძრავ ნივთზე (შენობა-ნაგებობის ერთეულზე). აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, ხოლო დასაბუთებული პრეტენზიის არარსებობის პირობებში, ქ. გ-ის დასახელებული განმარტება არ ცვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების და განსახილველი დავის საფუძვლების იდენტიურობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. გ. ჩ-ის საკასაციო პრეტენზიას სხვა პრეტენზიებთან

ერთად წარმოადგენს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევა, კერძოდ სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, რაც საფუძვლიანია და გაზიარებულ უნდა იქნეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, 273-ე, 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შეწყდეს წარმოება სამოქალაქო საქმეზე, – ქ. გ-ის სარჩელის გამო, გ. ჩ-ის მიმართ ქ.თბილისში, კ-ის ქუჩა №1-ში მდებარე სახლთმფლობელობაში დამოუკიდებელი უფლების ობიექტების ქ. გ-ის იდეალური 1/24 წილის შესაბამისი ფართის – 43,35 კვ.მ და გ. ჩ-ის 3/24 წილის შესაბამისი ფართის 130,58 კვ.მ რეალურ წილების დადგენის, სასამართლოს მიერ ქ. გ-ისათვის დადგენილი რეალური ფართის არაკეთილსინდისიერი მფლობელის – გ. ჩ-ისაგან გამოთხოვის, ქ. გ-ის საკუთრებაში არსებული ფართის 45,53 კვ.მ ოდენობით გ. ჩ-ის მფლობელობასა და სარგებლობაში 1972 წლიდან არსებულად აღიარებისა და არაკეთილსინდისიერი მფლობელის – გ. ჩ-ის მიერ მიღებული სარგებლის 16200 აშშ დოლარის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრების თაობაზე.

2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების განახლება

განჩინება

№ა-4591-ბ-32-2011

20 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 22 აგვისტოს ზ. ლ-ემ სარჩელი აღძრა ბაღდათის რაიონულ სასამართლოში კ. ლ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. ლ-ის სარჩელი კ. ლ-ის მიმართ სესხის დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ლ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განჩინებით ზ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ბაღდათის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ლ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 29 სექტემბრის განჩინებით ზ. ლ-ეს განესაზღვრა 5 დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოსადგენად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსვებლობის გამო.

2011 წლის 7 დეკემბერს ზ. ლ-ემ საქართველოს უზენაეს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადე-

ბით მომართა. მისი მტკიცებით, უზენაესი სასამართლოს განჩინება ხარვეზის თაობაზე კურიერმა მ. ი-ემ კანონით დადგენილი წესით არ ჩააბარა, რის გამოც გაუშვა ხარვეზის შევსების ვადა, რასაც ადასტურებს ვანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის განაჩენი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინება ზ. ლ-ის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

საქმის მასალებში წარმოდგენილი, ზ. ლ-ის ვანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის განაჩენა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ზ. ლ-ის ზემოაღნიშნული განჩინება არ ჩაბარებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ზ. ლ-ის განცხადების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. უნდა გაუქმდეს საკასაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ზ. ლ-ის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და საქმის წარმოება განახლდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე, 284-ე მუხლებით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლებით, 401-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინება და საქმის წარმოება განახლდეს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების განახლება

განჩინება

№ა-2696-ა-15-2012

30 აგვისტო, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მიღებული ბრძანების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ა-მ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ბ-ს“ მიმართ 2006 წლის 20 თებერვლის იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბ-ს“ დირექტორის 2011 წლის 5 სექტემბრის №01-02/50 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ა-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 მარტის განჩინებით შპს „ა-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დეტოვებული.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა-მ“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის განჩინებით შპს „ა-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2012 წლის 24 მაისის განჩინებით შპს „ა-ის“ შუამდგომლობა სა-

ხელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა 3 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედნის წარმოდგენა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, ასევე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი, მე-3 პუნქტების შესაბამისად, საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების თაობაზე შპს „ა-ის“ დირექტორ რ. ნ-ს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით 2012 წლის 24 მაისს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პალატამ ჩათვალა, რომ ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი სამდღიანი ვადის დენა დაიწყო 2012 წლის 25 მაისს და ვინაიდან ვადის უკანასკნელი დღე – 27 მაისი, ემთხვეოდა უქმე დღეს, საპროცესო ვადა ამოიწურა 2012 წლის 28 მაისს. შპს „ა-ის“ დირექტორ რ. ნ-ის განცხადება და სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვითარი, განცხდებაზე დართული კონვერტის თანახმად, ფოსტას ჩააბარა 2012 წლის 29 მაისს, საპროცესო ვადის დარღვევით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლისა და 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად იქნა მიჩნეული.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „ა-მ“, მოთხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის განჩინების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი დასაბუთებით:

საკასაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით კასატორმა ფოსტას მიმართა არა 2012 წლის 29 მაისს, არამედ, 28 მაისს, აღნიშნული გარემოება დასტურდება დოკუმენტის ჩაბარების შესახებ საფოსტო ქვითრებითა და შპს „ს. ფ-ის“ საერთაშორისო ურთიერთობათა ადმინისტრაციისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს 2012 წლის 12 ივნისის №15/6/2-3193 პასუხით. ის გარემოება, რომ საკასაციო პალატისათვის გადაცემულ კონვერტზე არასწორად იყო მითითებული მიმართვის თარიღი განმცხადებლისათვის უცნობი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სანაწილმდეგო გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივნისის განჩინებით შპს „ა-ის“ ზემოაღნიშნული განჩინება მიჩნეულ იქნა დასაშვებად რის თაობა-

ზეც ეცნობა მონინალმდევე მხარეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შპს „ა-ის“ განცხადების საფუძვლიანობა და თვლის, რომ ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმისათვის მნიშვნელოვან მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

2012 წლის 24 მაისის განჩინებით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით წარმოდგენილი საფოსტო კონვერტის შესწავლით დასტურდება, რომ მხარის მიერ დოკუმენტების ფოსტისათვის ჩაბარების თარიღად მითითებულია 2012 წლის 29 მაისი და სწორედ აღნიშნული გარემოება დაედო საფუძვლად 2012 წლის 4 ივნისის განჩინებას, რომლითაც შპს „ა-ის“ საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საპროცესო მოქმედების (ხარვეზის გამოსწორების) ვადა იწურებოდა 2012 წლის 27 მაისს. ფოსტის მეშვეობით გამოგზავნილი კონვერტის ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ საფოსტო კონვერტის ნომერი 136/18-ია. საქმის წარმოების განახლების მიზნით განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი, სანოტარო წესით დამონმბებული შპს „ს. ფ-ის“ მიერ გაცემული №000011 ქვითრით უდავოდ ირკვევა, რომ №136/18 შეკვეთილი წერილი ფოსტას ჩაბარდა 2012 წლის 28 მაისს. აღნიშნულს განამტკიცებს ასევე შპს „ს. ფ-ის“ საერთაშორისო ურთიერთობათა ადმინისტრაციისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროს ნ. ბ-ის წერილობითი განმარტება №136/18 შეკვეთილი წერილის საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის გადასაცემად აჭარისა და გურიის ფოსტის რეგიონალური სამმართველოს ბათუმის №18 საფოსტო განყოფილებიდან 2012 წლის 28 მაისს გაგზავნის თაობაზე.

აღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ განმცხადებელმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენის გზით უზრუნველყო იმის დადასტურება, რომ ხარვეზის გამოსწორების მიზნით მან შპს „ს. ფ-ს“ მიმართა არა კონვერტზე მითითებულ დროს – 2012 წლის 29 მაისს, არამედ, სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო ვადის დაცვით – 2012 წლის 28 მაისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან

განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. ამავე კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარემ, დაადასტურა, ერთი მხრივ, საფოსტო კონვერტზე არსებული მიმართვის თარიღის უსწორობა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ უსწორობის თაობაზე საქმის განხილვის დროს მისი არაინფორმირებულობის ფაქტი, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს მისი საფუძვლიანად მიჩნევისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით. ამავე კოდექსის 431-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან უნდა იქნეს განხილული საქმეთა განხილვის შესახებ ამ კოდექსით დადგენილი წესით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2012 წლის 4 ივნისის განჩინება საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის განხილვის ეტაპზე იქნა განუხილველად დატოვებული, პალატა მიიჩნევს, რომ საქმის წარმოება უნდა განახლდეს შპს „ა-ის“ საკასაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლთან შესაბამისობის გარკვევის ეტაპზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ა-ის“ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა

გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის განჩინება შპს „ა-ის“ საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე და განახლდეს საქმის წარმოება საკასაციო საჩივარის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის შესაბამისად წარმოებაში მიღების ეტაპიდან.

3. განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების განახლება

განჩინება

№ას-498-472-2011

23 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. და ნ. თ-ებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ზ. ქ-ის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი დასაბუთებით: ადიგენის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა სამოქალაქო საქმის განხილვა ქ. თ-ისა და ნ. თ-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების ც. პ-სა და ნოტარიუს დ. კ-ის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულებების კერძოდ, საცხოვრებელ სახლზე მდებარე ადიგენის რაიონის სოფ. უ-ში (რეესტრის №...) და დაბა ადიგენში ს-ის ქუჩა №44-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე (რეესტრის №1/105) ბათილად ცნობის შესახებ. აღნიშნულ საქმეზე ადიგენის რაიონულმა სასამართლომ 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით მათი სარჩელები არ დააკმაყოფილა, რის შემდგომაც ადიგენის რაიონული სასამარ-

თლოს გადანყვეტილება გაასაჩივრეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების მიმდინარეობის პერიოდში ც. პ-მა 2009 წლის 22 მაისს ზემოთ აღნიშნული ქონება არაკეთილსინდისიერად გაასხვისა ზ. ქ-ის სახელზე, რათა კანონდარღვევით შედგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებები გადაეფარა და ქ. თ-ისა და ნ. თ-ის კუთვნილი ქონება თვალთმაქცურად გადასულიყო ზ. ქ-ის საკუთრებაში, თუმცა ზ. ქ-ემაც იცოდა, რომ მის მიერ უკანონოდ შექმნილი ადიგენის რაიონში სოფელ უ-ში მდებარე ბინები სადავო იყო, მაგრამ, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინების გარეშე მაინც შეიძინა, ისე, რომ არც უნახავს საცხოვრებელი ბინა.

მოპასუხე ზ. ქ-ემ არ ცნო სარჩელი შემდეგი დასაბუთებით: ცხოვრობს ქ.თბილისში, დედამისი იყო ადიგენის რაიონიდან და მასაც დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ადიგენის რაიონში შეეძინა ბინა, სადაც ჩავიდოდა თავის ოჯახთან ერთად დასასვენებლად. 2009 წლის მაისში მისთვის ცნობილი გახდა, რომ ც. პ-ი აღნიშნულ რაიონში ჰყიდდა უძრავ ქონებას, ვინაიდან მისთვის მისაღები აღმოჩნდა გამყიდველის მიერ შემოთავაზებული პირობები 2009 წლის 22 მაისს მას და ც. პ-ს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმებამდე საჯარო რეესტრის ამონაწერით იგი დარწმუნდა, რომ სადავო ქონების მესაკუთრე ც. პ-ი იყო, ამავე დროს ქონება არ იყო დატვირთული რაიმე უფლებით, მასზე არ იყო რეგისტრირებული რაიმე შეზღუდვა. ც. პ-სა და თ-ებს შორის მიმდინარე დავა არ ნიშნავდა იმას, რომ ც. პ-ი არ წარმოადგენდა ამ ქონების მესაკუთრეს. მოპასუხე ც. პ-მა არ ცნო სარჩელი შემდეგი საფუძვლებით: საცხოვრებელი სახლები, რომლებიც მდებარეობენ ადიგენის რაიონი სოფელ უ-ში და დაბა ადიგენში ს-ის ქ. №44-ში მისი საკუთრებაა. აღნიშნული საცხოვრებელი სახლები მან შეიძინა ქ. და ნ. თ-ებისაგან. აღნიშნულთან დაკავშირებით ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით ქ. და ნ. თ-ებმა აღძრეს სარჩელი ადიგენის რაიონულ სასამართლოში, თუმცა ადიგენის რაიონული სასამართლოს გადანყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ქ. და ნ. თ-ებმა აღნიშნული გადანყვეტილება გაასაჩივრეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის მსვლელობის დროს, ვინაიდან მისი შვილი მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ სასწავლებლად და ესაჭიროებოდა თანხა, მან ზემოთ აღნიშნული სახლები მიჰყიდა ზ. ქ-ეს, კერძოდ, ადიგენის რაიონი სოფელ უ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი მიჰყი-

და 3 000 ლარად, ხოლო დაბა ადიგენში ს-ის ქ. №44-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი – 1 000 ლარად. ზ. ქ-ე წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ქ. თ-ისა და ნ. თ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ც. პ-სა და ზ. ქ-ეს შორის ადიგენის რაიონის სოფ. უ-ში და დაბა ადიგენში, ს-ის ქ. №44-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე გაფორმებული მარტივი ტიპის ნასყიდობის ხელშეკრულება, რაც სააპელაციო წესით გააჩაჩივრა მოპასუხე ზ. ქ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით ზ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ქ. თ-ისა და ნ. თ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2002 წლის 11 მარტს ნ. თ-სა და ც. პ-ს შორის სანოტარო წესით გაფორმებულ იქნა ნასყიდობის ხელშეკრულება ადიგენში, ს-ის ქ. №44-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე. იმავე დღეს ქ. თ-სა და ც. პ-ს შორის ასევე სანოტარო წესით გაფორმებულია ნასყიდობის ხელშეკრულება ადიგენის რაიონის სოფ. უ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლზე. მითითებული ხელშეკრულებების საფუძველზე, სახლები საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ც. პ-ის სახელზე. 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ქ. და ნ. თ-ებმა დამოუკიდებელი სარჩელებით მიმართეს ადიგენის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს ზემოთ ხსენებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრში სადავო სახლებზე ც. პ-ის საკუთრების უფლების გაუქმება. სარჩელებზე უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოყენებული არ ყოფილა. ადიგენის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. და ქ. თ-ების სარჩელები არ დაკმაყოფილდა. რაიონული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. და ქ. თ-ებმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ივლისის განჩინებით ნ. და ქ. თ-ების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ადიგენის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ განჩინების გამოტანამდე, კერძოდ, 2009 წლის 22 მაისს ც. პ-სა და ზ. ქ-ეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ც. პ-ის კუთვნილი ადიგენის რაიონის სოფელ უ-ში მდებარე

რე უძრავი ქონება. 2009 წლის 22 მაისს ც. პ-სა და ზ. ქ-ეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის მეორე ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ც. პ-ის კუთვნილი ადიგენში, ს-ის ქ. №44-ში მდებარე უძრავი ქონება. ზ. ქ-ე 2009 წლის 22 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ადიგენის რაიონის, სოფელ უ-ში მდებარე უძრავი ქონების და ადიგენში, ს-ის ქ. №44-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ. ორივე ხელშეკრულებაში მითითებული თანხა გამყიდველს გადაეცა მყიდველისაგან. მხარეები არ დავობენ, რომ, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებებისა, სადავო ბინებში დღემდე ცხოვრობენ ქ. და ნ. თ-ები. ამასთან, შსს ადიგენის რაიონული სამმართველოს უფროსის 2009 წლის 22 ოქტომბრის წერილით დგინდება, რომ ზ. ქ-ეს განცხადება ჰქონდა შეტანილი პოლიციაში ამ ბინებიდან თ-ების გამოსახლების მოთხოვნით, მაგრამ, ვინაიდან მხარეთა შორის დაწყებული იყო სამოქალაქო დავა, განცხადებას არ მისცემია მსვლელობა. მოსარჩევეები სადავო გარიგებების ბათილად ცნობას ითხოვდნენ იმ საფუძველით, რომ ეს გარიგებები იყო მოჩვენებითი, ხოლო მისი მხარეები იყვნენ არაკეთილსინდისიერები.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითება სადავო გარიგებების მოჩვენებითობის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს დასკვნა არ ეფუძნება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პალატამ განმარტა, რომ სადავო ხელშეკრულებების მოჩვენებით გარიგებებად მიჩნევისათვის, მოსარჩევეებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათ (ხელშეკრულებებს) შესაბამისი იურიდიული შედეგები არ მოჰყოლია. მოსარჩევეებს აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილისა და 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად არ წარმოუდგენიათ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ გარიგება იმ შემთხვევაში ჩაითვლება მოჩვენებით დადებულად, როცა გარიგების მხარეებს არ სურთ ამ გარიგებით გათვალისწინებული იურიდიული შედეგის დადგომა. მოჩვენებითი გარიგება მოკლებულია ნამდვილობას და მხარეთა მიერ გამოიყენება კანონსაწინააღმდეგო მიზნების დასაფარად და მისაღწევად. მოჩვენებითი გარიგების დროს მოსარჩევეებლად იქცევა ამ გარიგების მონაწილე ნების გამოვლენის ყველა სუბიექტი და გარიგების არც ერთ მხარეს არ სურს ამ გარიგების შესრულება. მოჩვენებით დადებულად გარიგება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს მხო-

ლოდ ერთი მხარის მიერ ნების გამოვლენის გამო იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს მოსალოდნელი სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. გარიგების შედეგად კანონსაწინააღმდეგო მიზნის მიღწევა ან სხვა გარიგების დაფარვა ორივე მხარის ინტერესი და მიზანი უნდა იყოს. საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ც. პ-ისა და ზ. ქ-ის მიერ ამ გარიგებების დადების დროს რაიმე კანონსაწინააღმდეგო მიზნის მიღწევის ნებას. ასევე არ დასტურდება მტკიცებულებებით, რომ ამ გარიგებების დადებით დაიფარა რაიმე სხვა გარიგება. საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურდებოდა, რომ მხარეებმა განახორციელეს სხვა გარიგებისათვის დამახასიათებელი რაიმე ქმედება. მოცემულ შემთხვევაში სადავო გარიგებების დადებით მხარეებს სურდათ ერთი მხრივ, ქონების გასხვისება, მეორე მხრივ, მისი შექმნა, რაც განხორციელდა და ზ. ქ-ე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მესაკუთრედ. ამასთან, იგი რეალურად შეუდგა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლით მესაკუთრისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას და პოლიციის შესაბამის დანაყოფს განცხადებით მიმართა უძრავ ნივთებზე საკუთრების ხელყოფის აღკვეთის მოთხოვნით. პალატამ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები სადავოდ გამხდარი გარიგებების დადების დროს დაცულია. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ სადავო გარიგებების დადებისას მიმდინარეობდა დავა ამ ბინებთან დაკავშირებით მათ ადრინდელ მესაკუთრეებსა და ც. პ-ს შორის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არ შეიძლება გახდეს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. პალატამ ასევე არ გაიზიარა გასაჩივრებული გადანყვეტილების დასკვნა იმის შესახებ, რომ სადავო ხელშეკრულებების დადებისას ზ. ქ-ემ იცოდა ბინებზე მიმდინარე დავის შესახებ და განმარტა, რომ სასამართლოს ეს დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან.

რაც შეეხება სადავო ბინების დაბალ ფასად გაყიდვას, პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი 2010 წლის 20 მაისით დათარიღებული აუდიტის დასკვნები პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე მტკიცებულებებად მიღებულია საპროცესო ნორმების დარღვევით, მხარეთა მოსაზრებების მოსმენისა და შესაბამისი საპროცესო დოკუმენტის გარეშე, სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რითაც დაირღვა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინცი-

პი. ამასთან, სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებიდან გამომდინარე, მხარეები უფლებამოსილი არიან, თავისუფლად აირჩიონ გარიგების ფასიც. თუ გარიგების მხარეებისათვის ფასი მისალეობია, ისინი არ არიან ვალდებული, ამტკიცონ ამ გარიგების პირობების განსაზღვრის საფუძვლები. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გარიგების ბათილობის საფუძველი ვერ გახდება მითითება იმის შესახებ, რომ მყიდველს არ უნახია შესაძენი ბინები, რადგან ეს გარემოება წარმოადგენს გარიგების მხარის (ამ შემთხვევაში შემძენის) რისკს და არა გარიგების ბათილობის საფუძველს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელებმა ასევე ვერ დაადასტურეს შემძენის – მოპასუხე ზ. ქ-ის არაკეთილსინდისიერება ანუ ის, რომ მან სადავო გარიგებების დადებისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა უძრავ ნივთებზე რეესტრში არსებული ჩანაწერების უზუსტობის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პალატამ განმარტა, რომ, როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების შეძენას, შემძენს, თავისი უფლების დასამტკიცებლად, შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს. თუნდაც სინამდვილეში რეესტრის მონაცემები არასწორი იყოს, ამ მდგომარეობას არაარსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის არცოდნაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობას და, შესაბამისად, ნივთის შეძენას არღვევს, სწორედ შემძენის არაკეთილსინდისიერებაა. ზემოთ დასახელებული ნორმები შეიცავს არაკეთილსინდისიერების იურიდიული შედეგის განმსაზღვრელ ელემენტს – შემძენმა იცის, რომ გამსხვისებისგან არ იყო მესაკუთრე. ამდენად, შემძენის ინტერესების დამცავი ნორმის გამოყენებისას უნდა შემოწმდეს არა მარტო საჯარო რეესტრის მონაცემები, ასევე უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა ნივთის შეძენამდე არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარეს არ მიუთითებია და, შესაბამისად, არც რაიმე მტკიცებულებით დაუდასტურებია ის გარემოება, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებების დადებამდე ზ. ქ-ე პირადად იცნობდა ც. პ-ს, ამიტომ მას უნდა სცოდნოდა ამ უკანასკნელსა და თ-ებს შორის არსებული დავის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. და ნ. თ-ებმა და მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი დასაბუთებით: სააპე-

ლაციო სასამართლომ გვერდი აუარა საქმეში არსებულ მთელ რიგ ფაქტებს და ისე გამოიტანა გადაწყვეტილება, არ გაითვალისწინა, რომ ც. პ-ის მიმართ დაფა დაინყო 2008 წელს ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმების მოთხოვნით. საქმის განხილვის პერიოდში ც. პ-მა უძრავი ქონება სასწრაფოდ მიჰყიდა ზ. ქ-ეს. ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია მოჩვენებით, აღნიშნულ ხელშეკრულებას იურიდიული შედეგი არ მოჰყოლია სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 56-ე მუხლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. და ქ. თ-ების საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

მოცემული დავის საგანია ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა სამოქალაქო კოდექსის 56-ე, 183-ე, 185-ე და 312-ე მუხლების შესაბამისად. აღნიშნულ საკითხზე არსებობს სასამართლოს პრაქტიკა, რაც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. და ქ. თ-ებს დაუბრუნდეთ ივანე თ-ის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

ნ. და ქ. თ-ების საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

ნ. და ქ. თ-ებს დაუბრუნდეთ ივანე თ-ის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების განახლება

განჩინება

№ა-2858-ა-16-2012

24 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თავდაპირველ სარჩელში – ფაქტობრივად დამდგარი ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, შეგებულ სარჩელში – სესხის ძირითადი თანხისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ვ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ქ. ბ-ის“ მიმართ დაკარგული გირავნობის საგნის რეალური საბაზრო ღირებულების – 399 775,44 აშშ დოლარის, მიუღებელი შემოსავლის – 133 110 აშშ დოლარის, ასევე ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 53 288 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

სს „ბ. ქ-მ“ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს კ. ვ-ის მიმართ 2002 წლის 30 მაისს დადებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე სესხის ძირითადი თანხის – 133 190 აშშ დოლარის, ასევე ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილებისათვის მინიმალური ზიანის – ვადის გადაცილებიდან, 2003 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის 1 ივნისამდე ერთდროულად 175 824 აშშ დოლარისა და 2007 წლის 1 ივნისიდან ვალდებულების შესრულებამდე ყოველთვიურად 3996 აშშ დოლარის, ასევე ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 12 360 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით კ. ვ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სს „ბ. ქ-ს“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კ. ვ.ს სს „ბ. ქ-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – 133 190 აშშ დოლარის გადახდა, მასვე დაეკისრა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონისმიერი პროცენტის, ერთდრო-

ულად 73 254,5 აშშ დოლარისა და 2007 წლის 1 ივნისიდან ვალდებულების სრულ შესრულებამდე თვეში 1664,90 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. ვ-მ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინებით კ. ვ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. ვ-მ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ასევე შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით კ. ვ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. ვ-ისა და სს „ბ. ქ-ს“ სარჩელები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კ. ვ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა 399 775 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში, სს „ბ. ქ-ს“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა 133 190 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით კ. ვ-ს გადახდილად ჩაეთვალა 133 190 აშშ დოლარი და საბოლოოდ სს „ბ. ქ-ს“ კ. ვ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 266 585 (399 775 – 133 190) აშშ დოლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი და შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინებით, სს „ბ. ქ-ს“ განცხადების საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის იმ დროს მოქმედი რედაქციის საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმდა საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება, ხოლო 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილისა და 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კ. ვ-ისა და სს „ბ. ქ-ს“ ერთობლივი განცხა-

დება დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე გამოტანილი გადან-
ყვეტილებები და შეწყდა საქმის წარმოება მხარეთა მიერ თავი-
ანთ სარჩელებზე უარის თქმის გამო.

კ. ვ-მ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასა-
მართლოს, წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა და, სამოქალა-
ქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვე-
პუნქტის შესაბამისად, მოითხოვა საქართველოს უზენაესი სა-
სამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმე-
თა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინების გაუქმება,
ასევე საქმის წარმოების განახლება შემდეგი დასაბუთებით:

განმცხადებლის განმარტებით, საქმის წარმოების შეწყვე-
ტისა და სარჩელზე უარის თქმის შესახებ განცხადებაზე კ. ვ-ის
სახელით შესრულებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნის, ის შეს-
რულებულია სხვა პირის მიერ, რაც დასტურდება სსიპ „ლ.სამ-
ხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული
ბიუროს“ დასკვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინებით კ. ვ-ის განცხადე-
ბა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზე-
ნაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების
საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინების გაუქ-
მებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე მიჩნეულ იქ-
ნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის
გარეშე, რის თაობაზეც ეცნობა მოწინააღმდეგე მხარეს კანო-
ნით დადგენილი წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კ. ვ-
ის განცხადების საფუძვლიანობა და თვლის, რომ ის ნაწილობ-
რივ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემო-
ებათა გამო:

პალატა, პირველ ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს იმ
გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი ერთობლივი გან-
ცხადება სარჩელებზე უარის თქმის შესახებ სასამართლოში
უშუალოდ კასატორს არ წარუდგენია, საქმის მასალებით აღ-
ნიშნული განცხადების საფუძვლიანობის მხარეთა დასწრებით
განხილვის ფაქტი არ არის დადასტურებული. საკასაციო პალა-
ტის მოსაზრებით, მართალია, აღნიშნული გარემოება საქმის
განხილვის წესის დარღვევისა თუ საკასაციო პალატის სადავო
განჩინების უსაფუძვლოდ მიჩნევის წინაპირობას არ წარმოად-
გენს, თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქმის წარმოების

განახლების შესახებ განცხადებაზე დართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად: „გადაწყვეტა საკითხისა, ხელმოწერა, კ. ვ-ის სახელით (ტექსტის სახით), განლაგებული: ერთობლივ განცხადებაზე, სარჩელებზე უარის თქმის შესახებ, 25.07.08. წლის თარიღით, მარცხენა მხარეს სიტყვები „კ. ვ-ის“ ქვემოთ, შესრულებულია თუ არა კ. ვ-ის მიერ, შეუძლებელია ნიმუშების ვარიაციულობისა და უხარისხობის გამო (წარმოდგენილი ხელმოწერების თავისუფალი ნიმუშები არის მოკლე ტრანსკრიფციის განსხვავებით გამოსაკვლევი ხელმოწერისაგან და განცხადებების ხელნაწერი ტექსტები კი არის ქსეროასლები)“.

ექსპერტი აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძვლად ჩატარებულ კვლევაში მიუთითებს შემდეგს:

ხელმოწერის გამოკვლევითა და შედარებით კ. ვ-ის ხელწერისა და ხელმოწერების ნიმუშებთან დადგენილ იქნა თანადამთხვევები ხელის საერთო და შემდეგი ვარიანტის კერძო ნიმუშებში: ა) კონსტრუქციული აგებულება ასო „უ“-ს და „ბ“-ს შესრულებისას; ბ) მოძრაობის შეფარდებითი განფენილობა ასო „ძ“-ს მე-2 ელემენტის შესრულებისას ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად შემცირებული;

დასკვნის კვლევითი ნაწილის თანახმად, თანადამთხვევებთან ერთად გამოვლინდა განსხვავებები: გაქანებაში (ნიმუშებში საშუალოზე დიდი) და შემდეგი ვარიანტის კერძო ნიმუშებში: ა) კონსტრუქციული აგებულება ასოების: „რ“-ს და „დ“-ს შესრულება გამოსაკვლევი ორელემენტის ვარიანტი, ნიმუშებში სამელემენტის; ბ) მოძრაობის საწყისი წერტილის განლაგება ასო „ვ“-ს შესრულებისას გამოსაკვლევი ნიმუშებისაგან განსხვავებით შემხებია პირველი ელემენტის შუა ნაწილთან;

კვლევის შედეგად გამოვლენილი ცალკეული თანადამთხვევები და განსხვავებული ნიმუშების მოცულობა არ არის საკმარისი რაიმე კატეგორიული, დადებითი ან უარყოფითი დასკვნისათვის, ვინაიდან მათ აქვთ დაბალი საიდენტიფიკაციო მნიშვნელობა და არ ქმნიან პირისათვის დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობას, ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: თანადამთხვევები ატარებენ ჯგუფურ ხასიათს ე.ი. ისინი გვხვდება მრავალ პირთა ხელნაწერებში. განსხვავებული ნიმუშების არსებობა ვერ იქნა ახსნილი ერთგვაროდ: ისინი შეიძლება გამოწვეული იყოს შემსრულებელი პირის ხელწერის ვარიაციულობით, რომელიც ვერ გამოვლინდა წარმოდგენილ ნიმუშებში. მეტი საიდენტიფიკაციო ნიშნების გამოვლენა ვერ მოხერხდა ნიმუშების ვარიაციულობისა და უხარისხობის გამო.

საკასაციო პალატა აღნიშნული მტკიცებულების, სამოქალა-

ქო საპროცესო კოდექსის 172-ე და 105-ე მუხლებით დადგენილი წესით შეფასების შედეგად ასკვნის, რომ ის მართალია კატეგორიული ხასიათის დასკვნას არ წარმოადგენს, თუმცა ამ მიმართებით, პალატა ასევე ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტზე, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებად მიჩნევის თაობაზე საკასაციო პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინება კ. ვ-ის განცხადებასა და ექსპერტის დასკვნასთან ერთად გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს საქმეში არსებულ მისამართზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით ჩაბარდა საზოგადოების კანცელარიას 2012 წლის 11 ივლისს, სს „ბ. ქ-ს“ კი არც სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში და არც მოგვიანებით განცხადების წინააღმდეგ თუნდაც წერილობითი შეპასუხება არ წარუდგენია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მის უფლებას წარმოადგენდა, ხოლო ამავე კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, ერთი მხრივ, მიუთითებს ხელმოწერის ნიმუშებს შორის არსებულ დამთხვევებზე, ხოლო, მეორე მხრივ, მათ შორის არსებულ სხვაობაზე, ამასთან, კატეგორიული დასკვნის გაცემაზე უარი იმ საფუძვლით ითქვა, რომ კვლევის ნიმუშები არასაკმარისი იყო, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს კ. ვ-ის განცხადების საფუძვლიანად მიჩნევის წინაპირობა.

პალატა ყურადღებას გაამახვილებს განმცხადებელის მიერ საქმის წარმოების განახლების საფუძვლად მითითებულ სამართლებრივ გარემოებაზე: კ. ვ-ე განცხადებით საქმის წარმოების განახლებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მოითხოვს. დასახელებული ნორმის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია. ამავე ნორმის მე-2 ნაწილი კი, დოკუმენტის სიყალბის საფუძველზე საქმის წარმოების განახლებას დასაშვებად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რაც

მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება, თუმცა საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სადავო გარემოების შეფასებაში სასამართლო შეზღუდული არ არის, რაც ნიშნავს სასამართლოს უფლებამოსილებას, თავად განახორციელოს სადავო გარემოების სამართლებრივი კვალიფიკაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ კ. ვ-ის განცხადება, სამართლებრივი თვალსაზრისით, საქმის წარმოების განახლების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შემადგენლობას ქმნის, რომლის თანახმადაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ასევე შემდეგ გარემოებაზე: საქმეში წარმოდგენილი განცხადებით, რომლის საფუძველზეც შეწყდა წარმოება, კ. ვ-სთან ერთად შეგებულ სარჩელზე უარი თქვა ასევე სს „ბ. ქ-მ“. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი მოითხოვს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გაუქმებას, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით საქმის წარმოების განახლების საფუძველი მხოლოდ კ. ვ-ის მიერ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში იკვეთება, ამასთანავე, საწინააღმდეგოს არსებობის შემთხვევაშიც კი, განმცხადებელი არ არის უფლებამოსილი სს „ბ. ქ-ს“ ნაცვლად მოითხოვოს შეგებულ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კ. ვ-ის განცხადების სრულად დაკმაყოფილების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 431-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან უნდა იქნეს განხილული საქმეთა განხილვის შესახებ ამ კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლი-

თაც კ. ვ-ის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო შეწყდა საქმის წარმოება, ხოლო, ვინაიდან კ. ვ-ის საკასაციო საჩივარი ამავე სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დასაშვებადაა მიჩნეული, საქმის წარმოება უნდა განახლდეს საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის ეტაპიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, კ. ვ-ის საკასაციო საჩივარი განხილულ იქნას ზეპირი მოსმენის გარეშე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. კ. ვ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც კ. ვ-ის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო შეწყდა მოცემული საქმის წარმოება და კ. ვ-ის საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის ეტაპიდან განახლდეს საქმის წარმოება.

3. დანარჩენ ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინება დარჩეს ძალაში.

4. კ. ვ-ის საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც ეცნობოთ მხარეებს.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების განახლება

განჩინება

№ა-2424-ბ-13-2012

23 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

მოსამართლე პ. ქათამაძე

დავის საგანი: უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. მ-მ მოპასუხე ამხანაგობა „რ-ის“ და მისი წევრების – გ. მ-ს, ნ. ჭ-ს, მ. თ-ის, ს. გ-ს, ტ. თ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხე ამხანაგობა „რ-ის“ მიერ 2009 წლის 3 აგვისტოს ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, ქ.ქობულეთში, კ-ის 2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 ბინების მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაცემა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით:

1. ნ. მ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა;
2. ამხანაგობა „რ-ს“, მის წევრებს – გ. მ-ს, მ. თ-ს, ტ. თ-ს, ს. გ-ს, ნ. ჭ-ს დაევალით 2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა „რ-სა“ და ნ. მ-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, 2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა „რ-სა“ და ნ. მ-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში აღნიშნული ნასყიდობის საგნის, ქ.ქობულეთში, კ-ის 2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 საცხოვრებელი ბინების ნ. მ-ს საკუთრებაში გადაცემა;
3. ნ. მ-ს საჯარო რეესტრში აღირიცხა 2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა „რ-სა“ და ნ. მ-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში აღნიშნული ნასყიდობის საგნის, ქ.ქობულეთში, კ-ის 2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 საცხოვრებელი ბინების მესაკუთრედ;
4. ამხანაგობა „რ-ს“, მის წევრებს – გ. მ-ს, მ. თ-ს, ტ. თ-ს, ს. გ-ს, ნ. ჭ-ს ნ. მ-ს სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 3000 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ სარჩელზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ;

5. ამხანაგობა „რ-ს“, მის წევრებს – გ. მ-ს, მ. თ-ს, ტ. თ-ს, ს. გ-ს, ნ. ჭ-ს ნ. მ-ს სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 800 ლარის გადახდა ნ. მ-ს მიერ წარმომადგენლის იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ამხანაგობა „რ-ის“ თავმჯდომარე გ. მ-მ, წევრებმა: ნ. ჭ-მ, მ. თ-მ, ს. გ-მ, ტ. თ-მ. აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით ამხანაგობა „რ-ის“ თავმჯდომარე გ. მ-ს, წევრების: ნ. ჭ-ს, მ. თ-ს, ს. გ-ს, ტ. თ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. მ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ნ. მ-ს აპელანტების სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო ინსტანციაში გადახდილი ბაჟის – 5000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით:

1. ნ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

2. გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

3. ნ. მ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა;

4. ამხანაგობა „რ-ს“, მის წევრებს – გ. მ-ს, მ. თ-ს, ტ. თ-ს, ს. გ-ს, ნ. ჭ-ს დაევაღათ ამხანაგობა „რ-სა“ და ნ. მ-ს შორის 2009 წლის 3 აგვისტოს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კერძოდ, მითითებული ხელშეკრულების მე-4 პუნქტში აღნიშნული უძრავი ქონების – ქ.ქობულეთში, კ-ის 2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 ბინების ნ. მ-სათვის საკუთრებაში გადაცემა;

5. ნ. მ-ს საჯარო რეესტრში აღირიცხა ამხანაგობა „რ-სა“ და ნ. მ-ს შორის 2009 წლის 3 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების მე-4 პუნქტში აღნიშნული უძრავი ქონების – ქ.ქობულეთში, კ-ის 2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 ბინების

მესაკუთრედ;

6. ამხანაგობა „რ-ს“, მის წევრებს – გ. მ-ს, მ. თ-ს, ტ. თ-ს, ს. გ-ს და ნ. ჭ-ს კასატორ ნ. მ-ს სასარგებლოდ დაეკისრათ ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე და საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 9000 ლარის გადახდა;

7. ამხანაგობა „რ-ს“, მის წევრებს – გ. მ-ს, მ. თ-ს, ტ. თ-ს, ს. გ-ს და ნ. ჭ-ს კასატორ ნ. მ-ს სასარგებლოდ დაეკისრათ ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განუთხილი ხარჯის ასანაზღაურებლად 800 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

მოსარჩელე ნ. მ-მ გ. მ-ს 2004-2006 წლებში გადაურიცხა 345253 აშშ დოლარი ჩხორონწყუს საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობისათვის;

ამხანაგობა „რ-ის“ 2009 წლის 3 აგვისტოს დამფუძნებელი კრების №1 სხდომის ოქმის თანახმად, ამხანაგობის წევრებმა (გ. მ-ა, ნ. ჭ-ა, მ. თ-ე, ს. გ-ა, ტ. თ-ე) ამავე კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით დაადგინეს ამხანაგობა „რ-ის“ კუთვნილი – ქ.ქობულეთში, კ-ის ქ. №2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 ბინების გასხვისება და ნ. მ-სათვის 180000 აშშ დოლარად მიყიდვა;

2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა „რ-ის“ თავმჯდომარე გ. მ-სა და ნ. მ-ს შორის დაიდო ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლითაც ამხანაგობა „რ-მა“ იკისრა ვალდებულება, 2010 წლის 1-ლ აგვისტომდე აეშენებინა და ნ. მ-სათვის საკუთრებაში გადაეცა ქ.ქობულეთში, კ-ის ქ. №2ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში №13, №15, №18, №25 და №27 ბინები (ნასყიდობის საგანი);

ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მითითებული საცხოვრებელი სახლი დადგენილ ვადაში იქნა მიღებული ექსპლოატაცი-აში, მაგრამ ამხანაგობა „რ-მა“ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, ნ. მ-ს საკუთრებაში არ გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინები;

2009 წლის 8 სექტემბერს ნ. მ-სა და ზ. ლ-ს შორის დაიდო საერთო საკუთრების წილზე ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლითაც ნ. მ-მ იკისრა ვალდებულება, ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე, ზ. ლ-სათვის საკუთრებაში გადაეცა მისი კუთვნილი წილი დაბა ჩხორონწყუში, გ-ს ქუჩის მესამე შესახვევის №1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან. ხელშეკრულების მიხედვით, ნასყობის ფასი შეადგენდა 180000

აშშ დოლარს, რომელიც ზ. ლ-ს უნდა გადაეხადა ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკის მიხედვით;

ზ. ლ-მ ვერ შეძლო შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით თანხის გადახდა, რამაც განაპირობა მხარეთა შორის საერთო საკუთრებიდან წილის გამოსყიდვის შესახებ წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა და შესაბამისად მოშლა;

2010 წლის 23 მარტს ნ. მ-სა და ზ. ლ-ს შორის გაფორმდა საერთო საკუთრებაში არსებული ქონების (შენობა-ნაგებობის) რეალური წილის გამიჯვნის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მხარეებმა მოახდინეს მათ საერთო საკუთრებაში არსებული, დაბა ჩხორონყუში, გ-ს ქუჩის მესამე შესახვევის №1-ში მდებარე უძრავი ქონების – შენობა-ნაგებობის (საერთო სასარგებლო ფართი 2112 კვ.მ) გამიჯვნა;

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, დაბა ჩხორონყუში, გ-ს ქუჩის მესამე შესახვევის №1-ში მდებარე უძრავი ქონება რეგისტრირებულია ნ. მ-სა და ზ. ლ-ს სახელზე თანასაკუთრების უფლებით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, კასატორს წამოყენებული ჰქონდა დასაბუთებული პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ამხანაგობა „რ-ის“ თავმჯდომარე გ. მ-სა და ნ. მ-ს შორის 2009 წლის 03 აგვისტოს და ნ. მ-სა და ზ. ლ-ს შორის 2009 წლის 8 სექტემბერს დადებულ ხელშეკრულებებს და, შესაბამისად, არასწორად მიიჩნია, რომ ამ ორი ხელშეკრულების სანაცვლოდ ნ. მ-ს უნდა დაეთმო მისი კუთვნილი 50% წილი ჩხორონყუს სავაჭრო ცენტრში, კერძოდ, დაბა ჩხორონყუში, გ-ს ქუჩის მესამე შესახვევის №1-ში მდებარე უძრავი ქონების ნახევარი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების დადებას წინ უსწრებდა მხარეთა შეთანხმება, რომელიც უკავშირდებოდა გ. მ-ს (ამხანაგობა „რ-ის“ თავმჯდომარის გ. მ-ს ძმის) ვალდებულებას ნ. მ-ს წინაშე 360000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე. სადავო არ იყო ის გარემოება, რომ ნ. მ-ს 360000 აშშ დოლარი უნდა მიეღო შემდეგი სახით:

180000 აშშ დოლარი – ფულადი სახით, ხოლო დარჩენილი 180000 აშშ დოლარის ნაცვლად საკუთრებაში უნდა გადასცემოდა ამხანაგობა „რ-ის“ კუთვნილი - ქ.ქობულეთში, კ-ის ქ. №2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 ბინები.

საკაპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი იყო და მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ ზემოხსენებული შეთანხმების შესაბამისად, დაიდო ორი ხელშეკრულება: 1. 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულება, ამხანაგობა „რ-ის“ თავმჯდომარე გ. მ-სა და ნ. მ-ს შორის, რომლითაც ამხანაგობა „რ-მა“ იკისრა ვალდებულება, აეშენებინა და ნ. მ-სათვის საკუთრებაში გადაეცა ქ.ქობულეთში, კ-ის ქ. №2ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში №13, №15, №18, №25 და №27 ბინები და 2. 2009 წლის 08 სექტემბრის ხელშეკრულება, ნ. მ-სა და ზ. ლ-ს შორის, რომლითაც ნ. მ-მ იკისრა ვალდებულება, ზ. ლ-სათვის საკუთრებაში გადაეცა მისი კუთვნილი წილი დაბა ჩხოროწყუში, გ-ს ქუჩის მესამე შესახვევის №1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან 180000 აშშ დოლარად;

საკაპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა ზემოხსენებული შეთანხმება ითვალისწინებდა ნ. მ-ს წინაშე გ. მ-ს ვალდებულების (360000 აშშ დოლარის გადახდა) შესრულებას 2009 წლის 3 აგვისტოს და 2009 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულებების საფუძველზე.

მოპასუხის მოსაზრებით, 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება ამხანაგობა „რ-ს“ წარმოეშობოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ნ. მ-ა დათმობდა თავის კუთვნილ 50% წილს გ-ს ქუჩის მესამე შესახვევის №1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან.

საკაპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის ზემოხსენებულ მოსაზრება და ყურადღება მიაქცია 2009 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულებაზე, რომლითაც ნ. მ-მ იკისრა ვალდებულება, მისი კუთვნილი წილი, დაბა ჩხოროწყუში, გ-ს ქუჩის მესამე შესახვევის №1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან, გაესხვისებინა 180000 აშშ დოლარად. ამდენად, უდავო იყო, რომ მოსარჩელეს მისი კუთვნილი წილი უნდა გაესხვისებინა 180000 აშშ დოლარად, რითაც დაიფარებოდა მოსარჩელის წინაშე გ. მ-ს ვალდებულების – 360000 აშშ დოლარის ნახევარი. ამ ვალდებულების მეორე ნახევრის შესრულების სანაცვლოდ კი, ამხანაგობა „რ-მა“ 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება, აეშენებინა და მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა ქ.ქობულეთში, კ-ის ქ. №2ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში №13, №15, №18, №25 და №27 ბინები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამხანაგობა „რ-ის“ მიერ 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება არ უკავშირდებოდა მოსარჩელის მიერ დაბა ჩხორონწყუში, გ-ს ქუჩის მესამე შესახვევის №1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან მისი კუთვნილი წილის გასხვისებას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, 2009 წლის 3 აგვისტოს და 2009 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულებების ურთიერთკავშირი მდგომარეობდა იმაში, რომ ამ ხელშეკრულებებით უნდა შესრულებულიყო გ. მ-ს ვალდებულება მოსარჩელის წინაშე, რაც გულისხმობდა მოსარჩელისათვის 360000 აშშ დოლარის გადახდას. საკასაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოპასუხის მითითება ჩხორონწყუს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან, თავად მოპასუხის განმარტებით, სწორედ ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეთანხმდნენ მხარეები, რომ მოსარჩელის წინაშე გ. მ-ს ვალდებულება (360000 აშშ დოლარის გადახდა) შესრულდებოდა 2009 წლის 3 აგვისტოს და 2009 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულებების საფუძველზე. გარდა ამისა, მითითებული გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი მოსარჩელის კუთვნილი წილის ღირებულება. უსაფუძვლო იყო ასევე მოპასუხის მითითება 2010 წლის 31 მარტის მიღება-ჩაბარების აქტზე, რომლითაც მოპასუხის მოსაზრებით, დასტურდებოდა, რომ მოსარჩელის წილის ღირებულება შეადგენდა 360000 აშშ დოლარს. საკასაციო პალატა დაეთანხმა კასატორის მოსაზრებას ხსენებული აქტის გაუზიარებლობის თაობაზე იმ საფუძველით, რომ მას ხელს არ აწერდა მოსარჩელე. გარდა ამისა, ეს აქტი სარწმუნოდაც რომ ყოფილიყო მიჩნეული, ის ვერ გააბათილებდა 2009 წლის 8 სექტემბრის წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში მკაფიოდ მითითებულ წილის ნასყიდობის ფასს. გარდა ამისა, აღსანიშნავი იყო, რომ ხსენებული აქტი წარმოადგენდა საერთო საკუთრებაში არსებული ქონების (შენობა-ნაგებობის) რეალური წილის გამიჯვნის 2010 წლის 23 მარტის ხელშეკრულების დანართს, შესაბამისად, მას არ ჰქონდა კავშირი 2009 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულებასთან. ამდენად, მოპასუხემ ვერ შეძლო მის მიერ მითითებული გარემოების დადასტურება, რაც მის მოვალეობას წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამხანაგობა „რ-მა“ 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება, დაეფარა მოსარჩელის

(კრედიტორის) წინაშე გ. მ-ს ვალდებულების – 360000 აშშ დოლარის ნახევარი, რისთვისაც მას უნდა აეშენებინა და მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა 180000 აშშ დოლარად ღირებული უძრავი ქონება – ქ.ქობულეთში, კ-ის ქ. №2ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში №13, №15, №18, №25 და №27 ბინები.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულებით მოხდა ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ, რაც შეესაბამებოდა სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის დანაწესს. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული 2009 წლის 03 აგვისტოს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო ნარდობის მარეგულირებელი ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. მოცემულ შემთხვევაში, ამხანაგობა „რ-მა“ 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება, დაეფარა მოსარჩელის (კრედიტორის) წინაშე გ. მ-ს ვალდებულების – 360000 აშშ დოლარის ნახევარი, რისთვისაც მას უნდა აეშენებინა და მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა 180000 აშშ დოლარად ღირებული უძრავი ქონება – ქ.ქობულეთში, კ-ის ქ. №2ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში №13, №15, №18, №25 და №27 ბინები. ამდენად, მითითებული ხელშეკრულებით ამხანაგობა „რ-ს“ ევალდებოდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო და დამზადებული (აშენებული) უძრავი ნივთი გადაეცა შემკვეთის (მოსარჩელის) საკუთრებაში.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებაში მითითებული უძრავი ნივთი აშენდა და მიღებულ იქნა ექსპლოატაციაში. დადგენილი იყო ასევე, რომ ამხანაგობა „რ-მა“ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, ნ. მ-ს საკუთრებაში არ გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინები.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, ხოლო, ამავე კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ხსე-

ნებულები ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე უფლებამოსილი იყო ამხანაგობა „რ-ისათვის“ მოეთხოვა 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კერძოდ, ქ.ქობულეთში, კ-ის ქ. №2ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში №13, №15, №18, №25 და №27 ბინების საკუთრებაში გადაცემა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებაზე მოსარჩელე ნ. მ-ს მოთხოვნით გაიცა საალსრულებო ფურცელი.

2012 წლის 7 ივნისს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართეს ამხანაგობა „რ-ის“ ნევრებმა: მ. თ-მ, ტ. თ-მ და ნ. გ-მ. მათ მოითხოვეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მაისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება, ასევე მითითებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ივნისის განჩინებით მ. და ტ. თ-ების განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად; მათი განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა; ნ. გ-ს განცხადებაზე შეჩერდა საქმის წარმოება ან გარდაცვლილ ნ. ჭ-ს (მოპასუხის) უფლებამონაცვლის დადგენამდე არა უმეტეს ერთი წლისა;

2012 წლის 17 ივლისს ნ. გ-მ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და წარმოადგინა სამკვიდრო მოწმობა ნ. ჭ-ს სამკვიდროს მიღების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ განცხადებას და მიიჩნევს, რომ ნ. გ-ს განცხადებაზე საქმის წარმოება უნდა განახლდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ივნისის განჩინებით ნ. გ-ს განცხადებაზე შეჩერდა საქმის წარმოება ან გარდაცვლილ ნ. ჭ-ს (მოპასუხის) უფლებამონაცვლის დადგენამდე არა უმეტეს ერთი წლისა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის თანახმად, საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება.

მოცემულ შემთხვევაში, ნ. ჭ-ს ანდერძისმიერმა მემკვიდრემ – ნ. გ-მ წარმოადგინა 2012 წლის 16 ივლისის სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც დასტურდება, რომ მან მიიღო ნ. ჭ-ს ან-

დერძისმიერი სამკვიდრო ქონება სრულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად, ან გარდაცვლილი ნ. ჭ-ა (მოპასუხე) უნდა შეიცვალოს მისი უფლებამონაცვლე ნ. გ-თი და ეს უკანასკნელი უნდა ჩაებას საქმეში, ხოლო, საქმის წარმოება უნდა განახლდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის მიხედვით, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ, თუ საქმის განახლების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების წინაპირობები არ არსებობს, მაშინ სასამართლომ განცხადება განსახილველად უნდა მიიღოს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ჭ-ს უფლებამონაცვლე ნ. გ-ს განცხადება აკმაყოფილებს დასაშვებობის წინაპირობებს, ამიტომ იგი განსახილველად უნდა იქნეს მიღებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. გ-ს განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 432-ე მუხლის თანახმად, საქმის განახლების შესახებ განცხადება ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლოს შეუძლია თავისი განჩინებით დროებით შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება. გადაწყვეტილების იძულებით სისრულეში მოყვანა იმაზე იქნება დამოკიდებული, იძლევა თუ არა საქმის წარმოების მომთხოვნი პირი შესაბამის გარანტიებს.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მაგრამ არაა ვალდებული შეაჩეროს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება. ამასთან, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებით შეიძლება გარკვეული ზიანი მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, ამიტომ სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას, თუ საქმის წარმოების განახლების მომთხოვნი პირი (განმცხადებელი) იძლევა შესაბამის გარანტიებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარე, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ისეთი საპ-

როცესო მოქმედების შესრულების თაობაზე, რომლითაც მონინალმდეგე მხარეს შეიძლება მიადგეს ზიანი, – არ შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ ასეთი მოთხოვნით. მან იმავდროულად უნდა შესთავაზოს სასამართლოს 57-ე მუხლით გათვალისწინებული გარანტია, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც მონინალმდეგე მხარემ შეიძლება განიცადოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებით.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი სასამართლოს სთავაზობს სადავო ბინების დაყადაღებას, რითაც მისი მოსაზრებით, დაცული იქნება მონინალმდეგე მხარის ინტერესები.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს განმცხადებლის აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან სადავო ბინების დაყადაღება ვერ უზრუნველყოფს იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც მონინალმდეგე მხარემ შეიძლება განიცადოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ შემოთავაზებულმა გარანტიამ შეიძლება უზრუნველყოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება და არა გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებით გამონვეული ზიანი ანუ ის ზიანი, რომელიც მონინალმდეგე მხარეს (მოსარჩელეს) შეიძლება მიადგეს გადაწყვეტილებით მიკუთვნებული უძრავი ქონების დაგვიანებით გადაცემის შემთხვევაში. ამდენად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების თაობაზე დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 283-ე, 284-285-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მოცემულ საქმეში ან გარდაცვლილი ნ. ჭ-ს (მოპასუხის) უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნეს ნ. გ-ა და განახლდეს საქმის წარმოება;

2. ნ. ჭ-ს უფლებამონაცვლედ ნ. გ-ს განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ მიღებულ იქნეს განსახილველად;

3. განცხადება განხილულ იქნეს ზეპირი განხილვის გარეშე;

4. მონინალმდეგე მხარეს გადაეგზავნოს განცხადებისა და თანდართული მასალების ასლები და განემარტოს, რომ მას უფლება აქვს ამ განჩინების გადაცემიდან 5 დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი პასუხი განცხადებაზე;

5. ნ. ჟ-ს უფლებამონაცვლე ნ. გ-ს განცხადება გადანყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქონების ყადაღისგან გათავისუფლება

განჩინება

№ას-26-24-2013

10 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 2 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს ი. და მ. დ-მა მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და დ. დ-ის მიმართ და მოითხოვეს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 16 იანვრის აქტით დაყადაღებული მოძრავი ნივთების, კერძოდ: ორი სავარძლის, მაგიდის, ტახტის, კარადის, საძინებელი კომპლექტის, მაცივარი „მინსკი 16-ის“, გაზქურის, ტახტის (დაზიანებული), მაგიდის, სკამის, ტელევიზორის და სამზარეულოს კომპლექტის ყადაღისაგან გათავისუფლება.

სარჩელის თანახმად, ი. და მ. დ-ი ცხოვრობენ ქ.თბილისში, ვ-ის დასახლების მესამე მასივის მე-10 კვარტალში, „ჟ“ კორპუსში მდებარე №38 ბინაში. დასახელებული უძრავი ქონება ირიცხება ერთ-ერთი მათგანის – მ. დ-ის სახელზე. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, 2012 წლის 16 იანვრის აქტის თანახმად, დააყადაღა მათ საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული მოძრავი ნივთები, კერძოდ: ორი სავარძელი, ერთი მაგიდა, ერთი „ტახტი“, ერთი კარადა, საძინებელი კომპლექტი, მაცივარი „მინსკი 16“, გაზქურა, „ტახტი“ (დაზიანებული), მაგიდა, სკამი, ტელევიზორი, სამზარეულოს კომპლექტი და ცეცხლსასრო-

ლი იარაღი. ქონების დაყადაღების საფუძველია შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 16 იანვრის №006-9987 ბრძანება, რომელიც მიღებულია ინდემნარმე დ. დ-ის მიმართ. დ. დ-ს იურიდიული მისამართი არ გააჩნია, იგი ჩანერილი იყო ქ.თბილისში, ვ-ას პირველი შესახვევის №3-ში მდებარე №73 ბინაში, თუმცა 2011 წლის 29 ივლისიდან მოხსნილ იქნა რეგისტრაციიდან. ეს უკანასკნელი ღამეს ზოგჯერ მოსარჩელებთან, ხოლო ზოგჯერ ახლო მეგობართან ათევდა. მოსარჩელეთა მითითებით, ზემოხსენებულ ქონებას შეცდომით დაედო ყადაღა. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებდნენ მეზობლები, რომელთა ნოტარიალურად დადასტურებული ახსნა-განმარტება სარჩელს თან ერთვოდა. ამასთან, ქონება წარმოადგენდა მათ აუცილებელ საყოფაცხოვრებო საშუალებას. მართალია, მოპასუხე დ. დ-ი მათი ძმია, მაგრამ მოსარჩელები პასუხს ვერ აგებდნენ ამ უკანასკნელის ქმედებებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით ი. და მ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შემოსავლების სამსახურის საგადასახადო საქმეთა ოფიცრის მიერ ქ.თბილისში, ვ-ის დასახლებაში, მესამე მასივის მე-10 კვარტლის „ჟ“ კორპუსში მდებარე №38 ბინაში აღწერილი და დაყადაღებული ნივთების რეალიზაციის შეჩერების შესახებ.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. და მ. დ-მა. აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ი. და მ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 16 იანვრის აქტით დადგენილია, რომ საგადასახადო საქმეთა ოფიცერმა ქ.თბილისში, ვ-ის დასახლების მესამე მასივის მე-10 კვარტლის „ჟ“ კორპუსში მდებარე №38 ბინაში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული

საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, აღწერა და დააყადაღა შემდეგი დასახელების ნივთები: 1. ორი სავარძელი; 2. მაგიდა; 3. ტახტი; 4. კარადა; 5. საძინებელი კომპლექტი; 6. მაცივარი „მინსკი“; 7. გაზქურა; 8. ტახტი (დაზიანებული); 9. მაგიდა; 10. სკამები (რვა); 11. ტელევიზორი; 12. სამზარეულოს კომპლექტი; 13. ცეცხლსასროლი იარაღი;

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ქ.თბილისში, ვ-ის დასახლების მესამე მასივის მე-10 კვარტლის „ჟ“ კორპუსში მდებარე №38 ბინა რეგისტრირებულია მ. დ-ის საკუთრებად;

დ. დ-ი ცხოვრობდა თავის დებთან – ი. და მ. დ-ან ერთად ზემომითითებულ მისამართზე და, შესაბამისად, მისი საცხოვრებელი ადილის მისამართი იყო: ქ.თბილისი, ვ-ის დასახლების მესამე მასივის მე-10 კვარტლის „ჟ“ კორპუსში მდებარე ბინა №38. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა დაეფუძნა შემდეგ მოსაზრებებს: თავად აპელანტები სადავოდ არ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ დ. დ-ს არ გააჩნდა დამოუკიდებელი საცხოვრებელი ფართი. უფრო მეტიც, 2011 წლის 29 ივლისს იგი მოხსნილი იყო უკანასკნელი რეგისტრაციის ადგილიდან (ქ.თბილისი, ვ-ას პირველი შესახვევი №3, ბინა 73). აპელანტთა მითითებით, მათი ძმა ლამეს ათევდა ხან მათთან, ხანაც ახლო მეგობართან;

ქ.თბილისში, ვ-ის დასახლების მესამე მასივის მე-10 კვარტლის „ჟ“ კორპუსში მდებარე ბ. №38-ში, 2012 წლის 16 იანვრის აქტით, სადავო მოძრავ ნივთებთან ერთად ყადაღა დაედო დ. დ-ის სახელზე რეგისტრირებულ ცეცხლსასროლ იარაღს. ამასთან, საგადასახადო ინსპექციაში არსებული ჩანაწერებით, ინდმენარმე „დ. დ-ის“ იურიდიული მისამართი აღნიშნული ბინა იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს.

სასამართლო სხდომაზე დაკითხული მონმეების – დ. ფ-სა და მ.კ-ის ჩვენებების მიხედვით დადგინდა, რომ ისინი იყვნენ მოსარჩელეთა მეზობლები, მ. და ი. დ-მა საცხოვრებელი ბინიდან გაყიდეს თითქმის ყველა ნივთი მათი ძმის დ. დ-ის დავალიანების გამო, აღწერილი და დაყადაღებული ნივთები უნახავთ მოსარჩელეთა სახლში, დაუნახავთ როგორ ამოჰქონდათ ნივთები ბინაში. თითოეული ნივთთან დაკავშირებით მონმეებმა დაზუსტებით ვერ დაადასტურეს თუ ვის მიერ, როდის და სად იქნა შეძენილი სადავო ნივთები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლზე და განმარტა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე სწორედ მოსარჩელებს ეკისრებოდათ იმის მტკიცების ტვირთი, რომ დაყადაღებულ ნივთებზე მათ გააჩნდათ უფლება. შესაბამისად, გაზიარებული ვერ იქნებოდა სააპელაციო საჩივრის მითითება საქმეზე მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებასთან დაკავშირებით. ამასთან, მსგავს დავებზე სასამართლოს არ ევალებოდა იმის დადგენა, ზოგადად კანონიერად მოხდა თუ არა ნივთების დაყადაღება და იყო თუ არა ისინი მოვალის საკუთრება. სასამართლო, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის კვალობაზე მსჯელობდა მხოლოდ იმის შესახებ, გააჩნდათ თუ არა უფლება მოსარჩელებს დაყადაღებულ ნივთებზე.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელებს არ წარუდგენიათ იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადავო ნივთები იყო მათი საკუთრება. სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებით კი დაზუსტებით და ცალსახად ვერ დადასტურდა თითოეულ კონკრეტულ ნივთთან მიმართებით მათი მოსარჩელებისადმი კუთვნილების ფაქტი, კერძოდ, სად, როდის და ვინ შეიძინა სადავო ნივთები.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს მოძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის წესს. მითითებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის მიხედვით, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ბინაში, სადაც დაყადაღებული ნივთები აღმოჩნდა, ცხოვრობდნენ დ., ი. და მ. დ-ი, ეს პრეზუმფცია ვრცელდებოდა სამივეზე. ამ გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ დასახელებული მოძრავი ნივთები წარმოადგენდა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთადერთ საშუალებას, მხოლოდ ორი მოწმის ზოგადი ჩვენებებით არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო მოძრავ ნივთებზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლება. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვერც მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდა სარჩელში აღნიშნული გარემოებები.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითება იმის შესახებ, რომ ისეთ სარ-

ჩელზე, როგორცაა მოძრავი ნივთების ყადაღისაგან გათავისუფლება, მოსარჩელე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს უფრო მყარი მტკიცებულებები, ვიდრე მხოლოდ მონმეტა ჩვენებებია, რათა უტყუარად დადასტურდეს მოძრავ ნივთებზე მისი საკუთრების უფლება.

მტკიცებულებათა წარუდგენლობის გამო, სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა საჩივრის მითითებას იმის შესახებ, რომ დაყადაღებული ნივთები წარმოადგენდა ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის აუცილებელ ნივთებს, რომლებზეც ყადაღის დადება, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დაუშვებელი იყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ი. და მ. დ-მა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი დასაბუთებით:

დაყადაღებული ქონება განლაგებულია ქ.თბილისში, ვ-ის დასახლების მესამე მასივის მე-10 კვარტლის „უ“ კორპუსში მდებარე №38 ბინაში, რომელიც საკუთრების უფლებით ირიცხება მ. დ-ის სახელზე. ამდენად, ამავე ბინაში განლაგებული ავეჯი და საყოფაცხოვრებო ნივთებიც მოსარჩელის საკუთრებაა. საგულისხმოა, რომ მითითებული ქონება წარმოადგენს ასევე მეორე მოსარჩელის, მ. დ-ის დის ი. დ-ის საკუთრებას. ამის შესახებ შესაბამის აღნიშვნას შეიცავს აღმასრულებლის მიერ შედგენილი აქტი, კერძოდ, ი. დ-ი მასზე მიუთითებს, რომ იგი არ ეთანხმება აქტის შინაარსს, რადგან ქონება წარმოადგენს მის საკუთრებას. ამასთან, სადავო ქონება განეკუთვნება ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის აუცილებელ ქონებას და იგი არ ექვემდებარება დაყადაღებას. ნივთები შექმნილია მათი სახსრებით, საცხოვრებელ ბინაში სხვა ნივთები არ გააჩნიათ. რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარეს – დ. დ-ს, იგი არ არის რეგისტრირებული რომელიმე კონკრეტულ მისამართზე და მათ ბინაში მხოლოდ დროგამოშვებით ათევდა ღამეს;

სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი. თუკი კანონი მოითხოვს, რომ მოსარჩელემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს სადავო ქონების მის საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება, იგივე მოთხოვნა უნდა გავრცელდეს მოპასუხე შემოსავლების სამსახურის მიმართ. კონკრეტულ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რომელ კონკრეტულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით დაადგინა სასამართლომ, რომ მ. დ-ის საკუთრებაში არსებულ სახლში

განლაგებული ქონება დ. დ-ის საკუთრებაა. ასეთი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება, ამდენად, კასატორთათვის გაურკვეველია, თუ რატომ მიიჩნიეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მ. დ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაში (სადაც დები დ-ი რეალურად ცხოვრობენ) განთავსებული მთელი მოძრავი ქონება მხოლოდ დ. დ-ის საკუთრებად. თავად კასატორებმა სადავო ნივთები შეიძინეს მეორად ბაზრობაზე, სწორედ ამან განაპირობა შეძენის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის შეუძლებლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად და ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 16 იანვრის აქტის მიხედვით, საგადასახადო საქმეთა ოფიცერმა ქ.თბილისში, ვ-ის დასახლების მე-სამე მასივის მე-10 კვარტლის „ჟ“ კორპუსში მდებარე №38 ბინაში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული დ. დ-ის საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, აღწერა და დააყადაღა შემდეგი დასახელების ნივთები: ორი სავარძელი; მაგიდა; ტახტი; კარადა; საძინებელი კომპლექტი; მაცივარი „მინსკი“; გაზქურა; ტახტი (დაზიანებული); მაგიდა; სკამები (რვა); ტელევიზორი; სამზარეულოს კომპლექტი; ცეცხლსასროლი იარაღი;

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ქ.თბილისში, ვ-ის დასახლების მესამე მასივის მე-10 კვარტლის „ჟ“ კორპუსში მდებარე №38 ბინა რეგისტრირებულია მ. დ-ის საკუთრებად;

დ. დ-ი ცხოვრობდა თავის დებთან – მ. და ი. დ-ან ერთად ზემომითითებულ მისამართზე;

სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების – დ. ფ-სა და მ. კ-ის (მოსარჩელეთა მეზობლების) ჩვენებებით დადგინდა, რომ მოსარჩელეებმა საცხოვრებელი ბინიდან გაყიდეს თით-

ქმის ყველა ნივთი მათი ძმის დ. დ-ის დავალიანების გამო. მონ-მეებმა დაადასტურეს, რომ მოსარჩელეთა ბინაში მათ უნახავთ აღწერილი და დაყადაღებული ნივთები, თუმცა ვერ მიუთითეს თუ ვის მიერ, როდის და სად იქნა შექმნილი სადავო ნივთები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებისას სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო როგორც კანონისმიერი, ასევე ფაქტობრივი პრეზუმფციები, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

კასატორები მიიჩნევენ, რომ, ვინაიდან დაყადაღებული ქონება განლაგებულია მოსარჩელე მ. დ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაში, ამიტომ ამავე ბინაში განლაგებული ავეჯი და საყოფაცხოვრებო ნივთებიც მისი საკუთრებაა. კასატორთა მოსაზრებით, ასეთი დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის დანაწესიდან, შესაბამისად, კასატორები მიიჩნევენ, რომ სადავო მოძრავი ნივთების მოვალისადმი კუთნილების ფაქტი მოპასუხე შემოსავლების სამსახურს უნდა ემტკიცებინა. მიუხედავად ამისა, მითითებული ფაქტის მტკიცების ტვირთი სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს არ დააკისრა, შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ სადავო მოძრავი ნივთები წარმოადგენს არა მოსარჩელეთა, არამედ მოვალე დ. დ-ის საკუთრებას.

კასატორთა ხსენებული პრეტენზიის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

განსახილველი დავის საგანია ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება. მოცემული სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლიდან, რომლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ). აღნიშნული დანაწესი იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად (აღსრულების საგნად). ასეთ ვითარებაში, აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სარჩელი სასამართლოში მოვალისა და კრე-

დიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება.

მსგავსი დავების განხილვისას, როგორც საპროცესო-სამართლებრივი, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტით, მტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზეა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის პოზიცია ემყარება იმ გარემოებას, რომ იგი წარმოადგენს იმ უძრავი ქონების მესაკუთრეს, რომელშიც განთავსებულია სადავო მოძრავი ნივთები, შესაბამისად, მისივე მოსაზრებით, იგი მოძრავი ნივთების მესაკუთრეცაა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის სწორად გადასაწყვეტად ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ პრეზუმფციას – ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი (პრეზუმფცია) ასახავს იმ შემთხვევებს, როდესაც ბრუნვის მონაწილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან არსებული უფლება, ხშირ შემთხვევაში უცნობია მფლობელის უფლებები, მაგრამ სამართლებრივი წესრიგი მოითხოვს, დავეყრდნოთ მფლობელის კეთილსინდისიერებას და იგი, სანაღმდეგოს დამტკიცებამდე, ნივთის მესაკუთრედ მივიჩნიოთ.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელები ფლობენ სადავო მოძრავ ნივთებს, უფრო მეტიც, დადგენილია, რომ სადავო ნივთები განთავსებულია მოსარჩელე მ. დ-ის საკუთრებაში რიცხულ ბინაში. ამდენად, მოსარჩელის სასარგებლოდ არსებული სამართლებრივი პრეზუმფციის პირობებში, რომელიც უნდა გაქარწყლებულიყო მოპასუხე შემოსავლების სამსახურის მიერ, დაუშვებელია კვლავ მოსარჩელის მხარეზე დარჩეს მტკიცების ტვირთი, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა სადავო ნივთების საკუთრების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ზემოხსენებული მსჯელობის სისწორის დასასაბუთებლად საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად. მითითებული ნორმიდან გა-

მომდინარე, საკუთვნებლის თვისებას შეადგენს ის, რომ იგი მთავარ ნივთთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საკუთვნებელი განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის. საკუთვნებელი სივრცობრივად უკავშირდება მთავარ ნივთს. სანინალმდეგოს დამტკიცებამდე, მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნებლის მესაკუთრედ მიიჩნევა. საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საცხოვრებელი ბინა რეგისტრირებულია მ. დ-ის საკუთრებაში, შესაბამისად, ივარაუდება, რომ ამ ბინაში განთავსებული ნივთების მესაკუთრე და კეთილსინდისიერი მფლობელია მ. დ-ი. ამდენად, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 151-ე და 158-ე მუხლებით გათვალისწინებული პრეზუმფციები, რაც ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია. საკასაციო სასამართლოს ამგვარი განმარტება სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას (იხ. სუსგ 2012 წლის 25 ივნისი, საქმე №ას-262-253-2012; სუსგ 2012 წლის 4 ივნისი, საქმე №ას-1777-1755-2011; სუსგ 2013 წლის 1 ივლისი, საქმე №ას-204-197-2013).

რაც შეეხება მოპასუხის მითითებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლზე, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეთა სასარგებლოდ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 151-ე და 158-ე მუხლებით გათვალისწინებული პრეზუმფციების პირობებში, მოპასუხე შემოსავლების სამსახური ვერ დაეყრდნობა მხოლოდ მის მიერ მითითებული ნორმის პრეზუმფციას და მან უნდა ამტკიცოს, მოსარჩელეთა არაუფლებამოსილება მათ მფლობელობაში არსებულ ნივთებზე და ამ ნივთების მოვალისაღმი კუთვნილების ფაქტი. ასეთი მტკიცებულებები მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედ-

ვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად, მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეებმა პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სულ გადაიხადეს სახელმწიფო ბაჟი 420 ლარი. აქედან გამომდინარე, ვინაიდან სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, მონინალმდევე მხარეს – მოპასუხეებს (შემოსავლების სამსახურსა და დ. დ-ს) მოსარჩელეების სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ 420 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. და ი. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ი. და მ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს: ყადაღისაგან გათავისუფლდეს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 16 იანვრის აქტით დაყადაღებული შემდეგი მოძრავი ნივთები: ორი სავარძელი; მაგიდა; ტახტი; კარადა; საძინებელი კომპლექტი; მაცივარი „მინსკი 16“; გაზქურა; ტახტი (დაზიანებული); მაგიდა; სკამი; ტელევიზორი; სამზარეულოს კომპლექტი.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და დ. დ-ს დაეკისროთ 420 ლარის გადახდა ი. და მ. დ-ის სასარგებლოდ ამ უკანასკნელთა მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიბელო

მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით	3
საპროცესო უფლებამონაცვლეობა	7; 10; 16
მტკიცების ტვირთი	
მტკიცებულებათა დასაშვებობა	19
მტკიცებულებათა გამოკვლევა	36; 49
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება	63
სასამართლო სხდომაზე მხარის	
გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი	69
დაუსწრებელი გადაწყვეტილება	74
განჩინებაში უსწორობის გასწორება	83; 89; 91; 95; 98
უარი გადაწყვეტილების განმარტებაზე	101; 107; 110
ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვა	119
ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების	
წარდგენა სააპელაციო სასამართლოში	132
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა	143; 149
საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად	157
საქმის წარმოების შეჩერება	169; 172
საქმის წარმოების შეწყვეტა	176; 181; 188; 193
საქმის წარმოების განახლება	200; 202; 206; 214; 221
ქონების ყადაღისგან გათავისუფლება	231